# საერთო გაზეთი

№18 (202) • 11-17.IV.2012 წელი • გამოდის ყოველ ოთხშაბათს • www.saertogazeti.ge; E-mail: saertogazeti@yahoo.com • ფასი 1 ლარი



## sanam am kacs morig SarSi ar gavxvevT, jer is davadginoT, rodidan iwyeba biZina ivaniSvilisTvis saqarTveloSi mudmivad cxovrebis aTi weli?

ირაკლი სესიაშვილი:



## israel-iranis omis SemTxvevaSi saqarT-velos SeiZleba ltolvilTa didi nakadi moawydes

გოგა ხაინდრავა:

## saakaSvili aris yaCaRi, romelic kadafis gzas daadga

კახა კუკავა:

## gamocxaddeba Tu ara saqarTvelo evropis sameurveo teritoriad?!

ჰამლეტ ჭიპაშვილი:

## agvistos omi ar yofila omi saqarTvelos da ruseTs Soris

## Zmao dito CubiniZe, ar dagaviwydes, `oms sityvebi iwyeben da zarbaznebi agrZeleben~



## ra moxda italiaSi 5 marts?



ISSN 2233-3983

## saakaSvili _ putinis gamoputinebuli mefisnacvali saqarTveloSi

## ratom midis saqarTvelodan leliko jafariZe?!

## sami Zroxa da turiko mezRapris `evropuli zRaprebi~

## რედაქტორის სვეტი

— ჩვენ ის ხალხი ვართ, რომ ვინმეს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება არ მივცეთ? ა, ბატონო, ახლა ისეთ ცვლილებას შევიტანთ კონსტიტუციაში, რომ ბატონ ბიძინას უფლება მიეცემა გახდეს პარლამენტარი, გახდეს პრემიერ-მინისტრი, გახდეს პრეზიდენტი. ბატონ ბიძინას და საერთოდ ყველას, ვინც საქართველოში დაიბადა და ვინც ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეა, ოღონდ ბოლო ათი წელი საქართველოში უნდა ცხოვრობდეს, — განაცხადა ბატონმა პალიკომ, ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა.



ყველას მიეცემაო, კი ბრძანა პატივცემულმა პალიკომ, მაგრამ ყველა რანაირად გამოდის, თუ მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებს ვაბედნიერებთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებით?

— დისკრიმინაციული, ეს კანონიო, — აყვირდნენ ვიღაც-ვიღაცები.

დისკრიმინაციული რომ იყოს მხოლოდ, კიდევ რა უჭირს, მაგრამ იდიოტურიც რომ არის, ამას რა ვუყოთ?

იდიოტურიც და ამავე დროს ანტიქართულიც.

— ანტიქართული რა შუაშიაო? — იკითხავს მავანი.

იმ შუაშია, რომ ამ კანონის მიღების აუცილებლობას იმ კეთილშობილური და მამულიშვილური განზრახვით კი არ ვხსნით, რომ ყველას, ვინც ქართველია, ვინც ქართველად დაიბადა, საშუალება მივცეთ, რომ საქართველოში, ანუ თავის სამშობლოში სრულფასოვან მოქალაქედ იგრძნოს თავი.

თუ ადამიანი ქართველია, რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ქვეყნის მოქალაქეა იგი, იტალიის, პერუს, ზამბიის თუ რუსეთის, თუ ის ქართველია, მას თავის სამშობლოში, საქართველოში მოღვაწეობის და საქმიანობის შეუზღუდავი სამართლებრივი უფლებები უნდა მიეცეს.

ქართული სახელმწიფო, საქართველოს ხელისუფლება ვერ გრძნობს თავის წილ პასუხისმგებლობას იმ მილიონობით ქართველის წინაშე, რომლებიც ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო იძულებულნი გახდნენ ქვეყნიდან წასულიყვნენ და სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა მიეღოთ.

თუ ისინი საქართველოში დაბრუნდებიან, რატომ უნდა დაუწესდეთ მათ კიდევ ათწლიანი „საჯარიმო სანქცია", ათწლიანი გამოსაცდელი ვადა, რომ ქართული საზოგადოების სრულუფლებიან წევრად იქცნენ?

ათვლის წერტილად რატომ მაინცდამაინც ათი წელი და რატომ არა თუნდაც ის დღე, როცა ქართველი კაცი საქართველოში ბრუნდება და ამბობს — მე დავბრუნდი ჩემს სამშობლოში და ამიერიდან აქ მინდა ვიცხოვრო და აქ მინდა მოვკვდე.

**ვახტანგ ხარჩილავა**

# „სააკაშვილმა ივანიშვილის თანაგუნდელსა და ატლანტის უნივერსიტეტის პროფესორს მოქალაქეობაზე უარი უთხრა"

ბიძინა ივანიშვილი ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის მიმართვას არ აპირებს. ამის შესახებ განცხადება დღეს გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე ბიძინა ივანიშვილის პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ გააკეთა. მან ხელისუფლების წარმომადგენლების მითითებას, რომ საფრანგეთის მოქალაქე ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისათვის თხოვნით პრეზიდენტისთვის უნდა მიემართა, ფარისევლობა უწოდა.

ფანჯიკიძის თქმით, საქართველოს ხელისუფლებას ივანიშვილისათვის ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მინიჭებას კანონი ავალდებულებდა და ამაზეც კი უარი განაცხადეს.

„რატომ უნდა იყოს ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხი იმ პირის ნება-სურვილზე დამოკიდებული, რომლის ნებასურვილითაც მას თავის დროზე, საქართველოს მოქალაქეობა უკანონოდ ჩამოერთვა?!", — განაცხადა ფანჯიკიძემ.

ივანიშვილის პრესსპიკერის თქმით, პრეზიდენტი ყველაფერს კადრულობს იმისათვის, რომ არა მხოლოდ თავისი მომხრეები, არამედ მთელი საქართველო დაარწმუნოს, რომ იგი ძალადობით და საკუთარი ნებასურვილებით განაგებს ქვეყანას, კონსტიტუციას და კანონებს. სააკაშვილი თითქმის ყველას ეუბნება, მე ვარ მოძალადე და კეთილი ინებეთ და ამას შეეგუეთ.

ფანჯიკიძის თქმით, ცოტა ხნის წინ პრეზიდენტს ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქემ ატლანტის უნივერსიტეტის პროფესორმა ნუგზარ დავითაშვილმა მიმართა.

„თითქმის არაფერი უნდა დასდგომოდა წინ მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას, მაგრამ როდესაც გაიგეს, რომ იგი ბიძინა ივანიშვილის პარტიის საინიციატივო ჯგუფის წევრი იყო, უარი უთხრეს", — განაცხადა ფანჯიკიძემ.

იგი ასევე გამოეხმაურა ქრისტიან-დემოკრატების მიერ ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებას, რომლის მიხედვითაც, ბიძინა ივანიშვილს ევროკავშირის წევრის მოქალაქეს საქართველოში პოლიტიკური უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა ეძლევა.

„ხელისუფლება ცდილობს, ვინმე იმაში დაარწმუნოს, რომ ეს ცვლილება ერთი ადამიანისთვის, ბიძინა ივანიშვილისთვის კეთდება, ეს არის ტყუილი. სინამდვილეში ამ ცვლილებით უკვე მერამდენედ კონსტიტუციას თავის თავზე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ირგებს. იგი იძულებულია, დაემორჩილოს საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნას, აღადგინოს კანონიერება და ივანიშვილს უკანონოდ ჩამორთმეული არჩევნების მონაწილეობის უფლება დაუბრუნოს", — განაცხადა ფანჯიკიძემ და დასძინა, რომ ამავდროულად, მიხეილ სააკაშვილი მისთვის არანაკლებ სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტორს, მმართველობის მანიაკალურ ავტორიტარულ პრინციპთან მოდის წინააღმდეგობაში, რომლის თანახმადაც, იგი ყოველთვის მართალია.

„ეს პრინციპი სააკაშვილს აიძულებს ბიძინა ივანიშვილს არ დაუბრუნოს საქართველოს მოქალაქეობას, რადგან ეს დანაშაული თუ არა, შეცდომის აღიარება მაინც იქნებოდა. ამ ორი პირობის ერთდროულად შესრულება კანონის თანახმად შეუძლებელია. სამაგიეროდ, შესაძლებელია კანონის შეცვლა ისე, როგორც ერთ ადამიანს აწყობს და სჭირდება. სწორედ ამიტომ, მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილის პრობლემების მოსაგვარებლად იცვლება კონსტიტუცია", — განაცხადა ფანჯიკიძემ და დასძინა, რომ ამით კიდევ ერთხელ დასტურდება კონსტიტუცია სააკაშვილისთვის, მხოლოდ და მხოლოდ, ფარატინა ქაღალდია.

# „ქართული ოცნების" წარმომადგენლები ვახტანგ კომახიძეს შეხვდნენ



"ქართული ოცნების" წარმომადგენლები შვეიცარიაში მცხოვრებ ქართველ ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძეს შეხვდნენ და მის მიერ ფეისბუკით გავრცელებული ინფორმაციის შესახებ ესაუბრნენ. ეს განცხადება დღეს გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე ბიძინა ივანიშვილის პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ გააკეთა.

მან ზემოხსენებული შეხვედრის დეტალების გახმაურებისაგან თავი შეიკავა. ფანჯიკიძის თქმით, "ქართულ ოცნებაში" კომახიძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სერიოზულად მოეკიდნენ, "რადგან დღევანდელი ხელისუფლებისაგან მოულოდნელი არაფერია".

შეგახსნებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ვახტან კომახიძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ხელისუფლებისაგან ბიძინა ივანიშვილის სიცოცხლეს საფრთხე ეუმქრება.

# ოზურგეთში „ქართული ოცნების" ოფისი გაიხსნა



ოზურგეთში კოალიცია "ქართული ოცნების" ოფისი გაიხსნა.

ოფისის პრეზენტაციას კოალიცია "ქართული ოცნების" საინიციატივო ჯგუფის წევრი მანანა კობახიძე, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი და "თავისუფალი დემოკრატების" წევრი ვიქტორ დოლიძე ესწრებოდნენ.

"ქართული ოცნების" ოზურგეთის ოფისს კონსტანტინე შარაშენიძე უხელმძღვანელებს.

მანანა კობახიძის განცხადებით, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში "ქართული ოცნება" გაიმარჯვებს.

„სწორედ დღეს ეყრება საფუძველი ქართულ, ეროვნულ ხელისუფლებას, რომელსაც სურს, ხელისუფლებიდან გაისტუმროს "ნაციონალური მოძრაობა", რომელმაც ქვეყანა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ჩვენ ყველას ერთად, თქვენთან ერთად შეგვწევს იმის უნარი, რომ ერთობლივად ოქტომბრის არჩევნებში დავამარცხოთ "ნაციონალური მოძრაობა" და "ქართული ოცნება" მოვიდეს საქართველოს პარლამენტში. ბიძინა ივანიშვილი სწორედ ამის გარანტიაა", — აღნიშნა მანანა კობახიძემ.

# ლევან ჩიტაძე: სახალხო დამცველის ანგარიშში არაფერი წერია 94 პოლიტპატიმარზე

„სახალხო დამცველის ანგარიშსი არ არის სპეციალური თავი „პოლიტპატიმრების შესახებ", მაშინ როცა ქვეყანაში 94 პოლიტპატიმარია," — განაცხადა მოძრაობა „არას" ხელმძღვანელმა ლევან ჩიტიძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, სახალხო დამცველი ამბობს, რომ აღნიშნული საკითხი მის კომპეტენციაში არ შედის.

„მე გიორგი ტუღუშს დავუსვი შეკითხვა - რატომ არ არის მის ანგარიშში აღნიშნული საკითხი. მან მიპასუხა, რომ სახალხო დამცველი პატიმრებს სტატუსებს არ ანიჭებს და მას კანონი არ ავალდებულებს, რომ ანგარიშში სპეციალურად გამოყოს პოლიტპატიმარების შესახებ ქვეთავი. მისი კიდევ ერთი არგუმენტი იყო ის, რომ აშშ-ის სახალხო დამცველის მოხსენებაში მსგავსი თავი არ არის. ჩვენ გადავამოწმეთ და ვნახეთ, რომ იმ ანგარიშში ამ საკითხს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია,"- განაცხადა ლევან ჩიტაძემ.



მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, სახალხო დამცველი ჩაერთვება თუ არა „პოლიტპატიმრების დასახმარებლად გაფორმებულ მემორანდუმში", ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები მაინც გაეცნობიან თითოეული პოლიტპატიმრის საქმეს და სტატუსების თაობაზე გადაწყვეტილებასაც მიიღებენ.

„როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ ჟურნალისტს შეუძლია გაეცნოს თითოეული პოლიტპატიმრის საქმეს,"- აღნიშნა ჩიტიძემ.

`medianiusi~

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება
შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# qr ist iani gi o rgi da mi si su l ier i Zma mi Sa

ეს ქრისტიან-დემოკრატი გიორგი თარგამაძე რომ არ გვყოლოდა, რა ეშველებოდა საქართველოს და რა ეშველებოდა ბიძინა ივანიშვილს?

ქრისტიანიც არის ბატონი გიორგი, შეთავსებით დემოკრატიც და ამიტომაც დღენიადაგ იმაზე ფიქრობს, ვის რა ვარგო და ვის რა ვუშველოო, ხოლო როცა განუწყვეტლივ ამაზე ფიქრობ, რა თქმა უნდა, მეტი შანსია გამოუვალი სიტუაციიდან, გამოსავალი სხვებზე უფრო მალე მოძებნო და გაჭირვებაში ჩავარდნილს დროზე უშველო.

აკი, უშველა ქრისტიანმა გიორგიმ ერთმორწმუნე მიხეილს და ისეთი ცვლილების შეტანა შესთავაზა კონსტიტუციაში, რომელიც ამ ჯიუტ ივანიშვილსაც ხელ-ფეხს გაუხსნის მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად და ერთმორწმუნე მიხეილსაც სუფთად გამოიყვანს შექმნილი მდგომარეობიდან.

გიორგი კი არა, გაჭირვების ტალკვესი უნდა გერქვას შენ და კიდევ მაშველი რგოლი უნდა გერქვას, წყალწაღებულთა გადამრჩენო, უნამუსოთათვის ნამუსის მომწმენდო...







# dakar gu l eb i

„სახლიდან“ გავიდნენ და დაიკარგნენ. არც შინ დაბრუნებულან და არც იქ ჩანან, სადაც უნდა მისულიყვნენ.

ერთი მაღალია, გამხდარი, მეორე საშუალო სიმაღლის, მსუქანი.

სანამ სახლიდან გავიდოდნენ და სხვა სახლისკენ მიმავალ გზას დაადგებოდნენ, ხალხი მათ საინტერესო პოლიტიკოსებად იცნობდა და ერთ დროს მათი დიდი იმედიც ჰქონდა, თუმცა, დროთა განმავლობაში, ეს იმედი მინავლდა და ჩაცხრა, მაგრამ პატივისცემა და სიმპათიები მათ მიმართ მაინც დარჩა.

ჰოდა, აი, ეს ორი, ერთი მაღალი და გამხდარი, მეორე მსუქანი, ორივე კარგი მამის შვილები, კარგი ქართველები, თავიანთი პოლიტიკური სახლიდან გავიდნენ და დაიკარგნენ.




ვიღაც-ვიღაცებს უნახავთ ერთ შუშის სასახლეში არიან თურმე, პატივისცემა და ყურადღება არ აკლიათ, არც ჯანმრთელობას უჩივიან, მაგრამ ხალხში გამოჩენას რატომღაც ერიდებიან.

ჯერჯერობით არავინ იცის, რა არის მიზეზი მათი სიჩუმისა და განდეგილობისა — თვითონ არ სურთ გარეთ თავის გამოყოფა თუ ვიღაც სხვა არ აძლევთ ამის უფლებას?

ასეა თუ ისეა, რაც სახლიდან გავიდნენ, მას მერე ესენი არავის დაულანდავს.

თუ ვინმე ნახავთ, გადაეცით ჩვენი თხოვნა — დაგვენახონ, გამოჩნდნენ, ხმა ამოიღონ, გვითხრან, რა უჭირთ, რა ულხინთ... ერთს კახა ჰქვია, მეორეს გუბაზი, ერთი მაღალია და გამხდარი, მეორე მსუქანი, საშუალო სიმაღლის.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# gamocxaddeba Tuara saqarTvelo evropis sameurveo teritoriad?!

*გვესაუბრება „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი* **კახა კუკავა:**

**— კახა, ხელისუფლება ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილის სასარგებლოდ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას აპირებს. რამდენად მართებულად მიგაჩნიათ კონსტიტუციაში მსგავსი შესწორების შეტანა და რა შეიძლება ამას მოჰყვეს?**

— კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით შემდეგი პოზიცია გვაქვს: პირველი — ნათლად ვუჭერთ მხარს, როგორც ივანიშვილის, ისე ნებისმიერი ქართველის უფლებას გახდეს საქართველოს მოქალაქე. ყველა ქართველს, მათ შჭორის ბიძინა ივანიშვილს უფლება გვაქვს საქართველოს მოქალაქეობით ვისარგებლოთ. ამიტომ იურიდიული მიზეზების გამოგონება, ამ შემთხვევაში ძალიან სასაცილოა. რეესტრში შეგიძლიათ ნახოთ, ყოველდღიურად ჩინელებზე, არაბებზე, რუსებზე გაიცემა მოქალაქეობა ყოველგვარი შეფერხებების გარეშე. იმავდროულად, ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ ამ კონსტიტუციური ცვლილების. ეს ნონსენსია, პირდაპირი ნეოკოლონიალიზმის რეციდივი, როდესაც საქართველოში მოქალაქის უფლება არამოქალაქე პირს ეძლევა. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ევროკავშირის წევრი, აშშ-ს, ირანის თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეა პირი. ეს არის ნონსენსი იმიტომ, რომ არჩევითი დემოკრატიის მთავარი პრინციპია ის, რომ ქვეყნის მოქალაქეები ხელისუფლებას თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ. ადრე ეს შეფარვით ხდებოდა, ახლა კი ამ ცვლილებით საქართველოს მოქალაქეები ოფიციალურად გავხდებით მონები, რომლებიც შეიძლება სხვა ქვეყნის მოქალაქემ მართოს. ვეთანხმები თქვენი შეკითხვის არსს — კონტექსტს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. თუ ხელისუფლებას უნდა ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცეს, გაცილებით უფრო ადვილია მას მოქალაქეობა აღუდგინოს, რასაც პრეზიდენტის ბრძანებულებაზე ხელმოწერის გარდა არაფერი სჭირდება, ვიდრე კონსტიტუციაში სპეციალური შესწორების შეტანა.

**— გარდა ამისა, ხომ არ ატარებს ეს ცვლილება დისკრიმინაციულ ხასიათს. კერძოდ, ითქვა, რომ ეს ცვლილება მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს შეეხებათ. რა დააშავეს სხვა ქვეყნის მოქალაქეებმა?**

— ევროკავშირი საქართველოსთვის იურიდიულად ზუსტად ისეთივე ორგანიზაციაა, როგორც მაგალითად, წყნარი ოკეანის აუზის თანამშრომლობის ორგანიზაცია. ჩვენ არ ვართ ამ ორგანიზაციების წევრობის კანდიდატები, რომც ვიყოთ, არც ეს ცვლის არაფერს. მაგალითად, ჩვენ ევროსაბჭოს წევრები ვართ. როგორ წარმოგიდგენიათ კანონი მიიღონ რომლის, მიხედვით ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების მოქალაქეებს საქართველოში არჩევნებში მონაწილეობის უფლება ექნებათ. ე.ი. სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, რუსეთის მოქალაქეებს შეუძლიათ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელები გახდნენ?! ეს კითხვა ვისაც არ უნდა დაუსვათ, ყველა გეტყვით — როგორ შეიძლება სომეხი ან აზერბაიჯანელი პრეზიდენტად გვყავდესო. მაშინ, გაუგებარია, რატომ შეიძლება ფრანგი და გერმანელი გვყავდეს?! ეს ხომ ფობიზმია. თუ არ შეიძლება სომეხი, არ შეიძლება არც ინგლისელი. აქ პრინციპია მთავარი. თუ გვინდა წყალში არ ჩავყაროთ ბრძოლა, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ქართველმა ერმა გაიარა, მაშინ იმის უფლება მაინც უნდა გვქონდეს, რომ სახელმწიფო საქართველოს მოქალაქეებმა მართონ. ჯერ ეს, თავისთავად რეალურ დამოუკიდებლობას არ ნიშნავს, ეს ფორმალურია. ახლა გამოდის, რომ დე-იურე დამოუკიდებლობა რაც გვაქვს, იმასაც გვაკარგინებენ. შემდეგი ნაბიჯი, ალბათ სამეურვეო ტერიტორია იქნება. ეს არის ქვეყნები, რომელთაც არჩევითი დემოკრატია არ აქვთ და რომელიღაც სხვა სახელმწიფო მართავს და თან არც იმ სახელმწიფოს ნაწილნი არიან. მაგალითად, როგორიცაა პუერტორიკო, პალესტინა, რომლებიც კოლონიის თანამედროვე ფორმები არიან. თუ დღეს, ივანიშვილია ამ ცვლილების ფორმალური მიზეზი, მომავალ არჩევნებზე შეიძლება გვითხრან — ჩვენ ვერ ვატარებთ და ევროპა ჩაგვიტარებს არჩევნებსო და გამოვცხადდებით ევროპის სამეურვეო ტერიტორიად. ეს კატეგორიულად მიუღებელია.

**— საქართველოდან უამრავი ქართველია გასული, რომელთა დიდი ნაწილი ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე არ არის. რა ბედი ელით სხვა ქვეყნებიდან დაბრუნებულ მოსახლეობას?**

— საქართველოსთვის ამ საკითხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. იმიტომ რომ თანამედროვე მსოფლიოში დემოგრაფიული დინამიკა ბევრის განმსაზღვრელია. მაგალითად, მექსიკა, ინდონეზია, ფილიპინები, დღეს, დიდი ოცეულის წევრები არიან იმიტომ, რომ მოსახლეობის რაოდენობა ავტომატურად ნიშნავს, რომ მათ წამყვანი ეკონომიკა აქვთ და მსოფლიო უსაფრთხოების პოლიტიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ. იგივე ამერიკა, ჩინეთის მაგალითი ავიღოთ. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა დღეს ბევრად უფრო მდიდარია, მისი სამხედრო ძლიერება ჩინეთისას აღემატება, არავინ დაობს, რომ ეს დროის საკითხია, შეიძლება 20, 30, მაქსიმუმ 40 წელი დასჭირდეს, მაგრამ ჩინეთი ჩაანაცვლებს და ამერიკა აღარ იქნება მსოფლიოს ნომერ პირველი სახელმწიფო. ამხელა ისტორია იმიტომ მოვყევი, რომ საქართველოსთვის დემოგრაფიულ მასას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თანაც პატარა ქვეყნებს სხვა პრობლემაც აქვთ. დიდ ქვეყნებს შეუძლიათ მოსახლეობის რესურსის შევსება არამარტო ბუნებრივი მატების, არამედ, ასიმილაციის ხარჯზე. საქართველოს ამის ფუფუნება არ აქვს იმიტომ, რომ პატარა ერი ვართ და როგორც კი ასიმილაციის პროცესს დავტოვებთ, საკუთარ იდენტურობას დავკარგავთ. გეტყვით, რატომ არის ჩინეთის და აშშ-ს მაგალითი აქტუალური ჩვენს მაგალითზე: საბჭოთა კავშირის დროს სამხრეთ-კავკასიის სამივე რესპუბლიკაში — საქართველოში — 5 მილიონი, სომხეთში — 4, აზერბაიჯანში — 6 მილიონი მოსახლეობა იყო. ითვლებოდა, რომ ტერიტორიით, მოსახლეობით და სხვა მახასიათებლებით ეს რესპუბლიკები დაახლოებით თანაბარი მნიშვნელობის იყო, მაგრამ საქართველო გეოპოლიტიკურად, ისტორიულად, კულტურულად, ეკონომიკურადაც პირველი იყო. დღეს ეს ბალანსი დარღვეულია. თუ მაშინ აზერბაიჯანის მოსახლეობა საქართველოს 15-20 პროცენტით აღემატებოდა, დღეს აზერბაიჯანის მოსახლეობა საქართველოს უკვე 2-ჯერ აღემატება — 8 მილიონი 4-თან შეფარდებაში, ასევე ეკონომიკურად. ანუ დღეს ჩვენ არამარტო მსოფლიოში და დიდ რეგიონში ვართ მაჩანჩალა, არამედ რეალობა ასეთია — კავკასიაში ლიდერია აზერბაიჯანი, მისი მთავარი ოპონენტი — სომხეთია, ხოლო საქართველო პერიფერიაა. ამ თვალსაზრსით, თქვენი შეკითხვის კონტექსტს დავუბრუნდები. ამ დიასპორისთვის ქართული იდენტურობის და პასპორტის შენარჩუნებას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ჩვენ იმ მოსახლეობის ნახევარი მაინც უნდა დავიბრუნოთ, რათა საქართველოში კარგი ეკონომიკური ვითარება შეიქმნას. ილუზია არ უნდა გვქონდეს, რომ ყველა ქართველი ხუთშვილიანი გახდება. ამიტომ, ბუნებრივი კლება უნდა შეიცვალოს ბუნებრივი მატებით, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, უზარმაზარი რესურსია ჩვენი დიასპორა. თუ ვიტყვით, რომ ყოველი მე-3 ქართველი საზღვარგარეთაა გასული, ყოველი განათლებულიდან — ყოველი მეორე, ყოველი მაღალი კვალიფიკაციის ქართველიდან — სამიდან ორია გასული, პასპორტი უმთავრესი საშუალებაა ამ ადამიანს ახსოვდეს, რატომ არის იგი ქართველი. თუ სიტყვაზე გერმანიაში წასულმა ქართველმა მოიყვანა ცოლად გერმანელი, აიღო გერმანიის პასპორტი, მისი შვილი გერმანულად საუბრობს — რატომ არის იგი ქართველი? ამიტომ პასპორტი უმთავრესი ბერკეტია, რომ ამ ადამიანების იდენტურობა შევინარჩუნოთ. პატარა ქვეყნები — სომხეთი, ისრაელი აგრესიულ პოლიტიკას ატარებენ იმ თვალსაზრისით, რომ ორმაგი მოქალაქეების ინსტიტუტის გამოყენებით ამ ხალხს საკუთარ ისტორიულ სამშობლოსთან კავშირი შეუნარჩუნონ. დღეს მთელი მსოფლიო საუბრობს იმაზე, თუ როგორი ძლიერი ლობი ჰყავს სომხეთს. ისრაელი კი ითვლება, რომ მსოფლიოს მართავს. ამ დროს ისრაელი და სომხეთი დიასპორის გარეშე რომ ავიღოთ, ეს ორი სასაცილო ლილიპუტია მსოფლიო რუკაზე. ისრაელი საქართველოზე პატარაა ტერიტორიულადაც და მოსახლეობითაც. ისრაელის მთელი მნიშვნელობა, რითაც მსოფლიოს აზანზარებს, მისი დიასპორაა. ერთი წამით წარმოიდგინეთ რა მოხდება ისრაელმა რომ თქვას — ამ ხალხს არ ვიცნობ, ვინც ამერიკაში ცხოვრობს ამერიკელია, ვინც საფრანგეთში ფრანგი და ა.შ., მეორე დღესვე ისრაელის სახელმწიფო არსებობას შეწყვეტს იმიტომ, რომ იგი პალესტინელების წინააღმდეგ მარტო დარჩება. ისრაელს და სომხეთს არ შევედრები, მაგრამ გარკვეული გავლენის მატარებელი დიასპორა საქართველოსაც ჰყავს საზღვარგარეთ, რითაც ქართულ სახელმწიფოს შეგვიძლია დამატებითი წონა შევძინოთ.

**— ისევ კონსტიტუციის ცვლილებას დავუბრუნდები. უცნაურია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქის მსგავსი უფლებები მიენიჭება თუ მას 10 წელი აქვს აქ მუდმივად ნაცხოვრები. როგორ ფიქრობთ, ივანიშვილის შემთხვევაში ეს როგორ უნდა დადგინდეს?**

— არავის ეჭვი არ ეპარება, რომ ეს ცვლილება კონკრეტულად ივანიშვილისთვის კეთდება, რათა არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. ეს სამარცხვინოა. ამან შეიძლება არ გამოიწვიოს ევროპის მიერ საქართველოს კოლონიზაცია, მაგრამ, თუ ახლა ჩაიდება კანონში, რომ ევროპელს შეუძლია საქართველოს მოქალაქის მსგავსად იმავე უფლებებით ისარგებლოს, მოგვიანებით უფრო ადვილად მიიღებენ ახალ შესწორებას — ევროპელს და ამერიკელს, მერე იტყვიან — ჩინეთიც ჩავამატოთო. თვითონ პრინციპია აქ მთავარი, ეს სამარცხვინოა. ვფიქრობ, ეს არის სწორედ მსოფლიო მასონური პოლიტიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ატრიბუტი — ყველა ავკაცობა კეთილშობილი იდეების ეგიდით. ეს, რა თქმა უნდა, ვითომ ივანიშვილისთვის კეთდება. თუმცა, ივანიშვილის საკითხი არ არის აქ მთავარი. რომ სჭირდებოდეთ, მას ისედაც მიაღებინებდნენ არჩევნებში მონაწილეობას, მარტივად მისცემდნენ საქართველოს მოქალაქის პასპორტს. ეს საფარველად დაიდეს, რადგან დღეს სწორედ ეს იყოს ყურადღების ცენტრში და რაც, სინამდვილეში ძირითადი საკითხია, უკანა პლანზე გადავიდეს. რეალურად, ამით ილახება ივანიშვილის, როგორც მოქალაქის უფლება, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვან საკითხზე ვსაუბრობთ — ილახება საერთოდ საქართველოს სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპი. უნდა გითხრათ, რომ მთელი რიგი მასონური შეთქმულებები, არამარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში ბევრგან მიმდინარეობს. კახა ბენდუქიძე ქადაგებდა, რომ ერსა და სახელმწიფოს შორის არანაირი კავშირი არ არსებობს. რომ ქართველ ერს საქართველოს ტერიტორიაზე ისეთივე უფლება აქვს, როგორც ავსტრალიაში, ან ქართველს საქართველოში ისეთივე უფლება აქვს, როგორც სომეხს. რა მნიშვნელობა აქვს ვინ რა ეროვნების მატარებელია, ეს არის ტერიტორია, სადაც თუკი მოქალაქეთა უმრავლესობა სომეხი იქნება, ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებებსო და ა.შ. ეს თეორია არსებობს. და სწორედ ამ თეორიიდან გამომდინარეა საშიში ის ცვილებება, რომელიც ახლა უნდა მიიღონ. რეალურად, კომუნისტების დროს, ქართველი და არაქართველ მოსახლეობას შორის შეფარდება 80-20-ზე თუ იყო, დღეს უკვე 3-1-თანაა. არსებობს ასეთი თეორია, ვარაუდი — რაღაც კონკრეტულ მომენტში საქართველო, რომელიც დემოგრაფიულად აგრესიულ მთელ რიგ ქვეყნებთან უვიზო რეჟიმებს აწესებს, რაღაც მომენტში მას თვითონ დაუწესებენ უვიზო რეჟიმს ევროპასთან და აშშ-სთან. თუ წარმოგიდგენიათ რა მოხდება? — რამოდენიმე წელიწადში შეიძლება ქვეყნის მოსახლეობის 50 პროცენტმა დატოვოს საქართველო და ამავე პერიოდში დემოგრაფიულად მდიდარ აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან მოაწყდეს მოსახლეობა, რომელთა შემოსვლას ვერ შევზღუდავთ. მერე ლაზიკა ნახევარმილიონიანი კი არა მილიონნახევრიანი ქალაქი იქნება და, პრაქტიკულად საქართველოში ქართველი ერი მართლაც ერთ-ერთ ერად დავრჩებით, როგორც დღეს სომხები არიან საქართველოში ერთ-ერთი ერი. ეს პროცესი, საფრთხეები ერთპლანიანი არ არის, არამედ მრავალპლანიანი. ეს კონსტიტუციური ცვლილება ერთ-ერთია. ცალკე აღებული რომ ხდებოდეს კონსტიტუციური შესწორება, ამაში პრობლემატური არაფერი იქნებოდა. მაგრამ, როცა პარალელურად გველაპარაკებიან ლაზიკაზე, აკეთებენ უვიზო რეჟიმებს, მოსახლეობა ყოველწლიურად იკლებს, როგორც ბუნებრივად, ისე მიგრაციის ხარჯზე, ასეთ დროს ასეთი ტიპის ცვლილებებს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ და დიდი სიფრთხილით მოვეკიდოთ.





**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# sanam am kacs morig SarSi ar gavxvevT, jer is davadginoT, rodidan iwyeba biZina ivaniSvilisTvis saqarTveloSi mudmivad cxovrebis aTi weli?

დიდი ამბავია ატეხილი პოლიტიკურ წრეებში — საქართველოს ხელისუფლება სპეციალურად ბიძინა ივანიშვილისთვის კონსტიტუციას ცვლის, რომ მას პოლიტიკურ ცხოვრებაში ნორმალურად მონაწილეობის საშუალება ჰქონდეს, ამიერიდან მას შექმნას პოლიტიკური პარტია, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, გახდეს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და ა.შ.

— ჩვენ ამ კანონის მიღებას იმიტომ ვაპირებთ, რომ არავინ დაიჩაგროს, არავინ შეიზღუდოს... კონსტიტუციაში ამ ახალი ცვლილებით ბიძინა ივანიშვილს ყველა ის უფლება ექნება, რაც საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს, — ბრძანებს პალიკო კუბლაშვილი და მას ხმას აყოლებენ ნაცმოძრაობის და საპარლამენტო უმრავლესობის სხვა წარმომადგენლებიც.

მოკლედ რომ ვთქვათ, ივანიშვილის პირადი იურისტები, მისი კოალიცის წევრები, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ეს თავისი არსით ტრაგიკომიკური და იმავე დროს დისკრიმინაციული ხასიათის ცვლილება კონსტიტუციაში სპეციალურად ბიძინა ივანიშვილისთვის შეაქვთ.

სამწუხარო და უცნაური ის არის, რომ არავის, ვისაც კი კომენტარი გაუკეთებია ამ თემასთან დაკავშირებით, იოტისოდენა ეჭვიც კი არ შეუტანია ხელისუფლების მიერ ერთხმად მოწონებულ და სიხარულით ატაცებულ ამ ინიციატივაში და არავის დაუსვამს კითხვა: — ხომ არ არის



ეს ხელისუფლების მიერ გადმოგდებული მორიგი სატყუარა, ხომ არ არის ეს დროის გაყვანის მიზნით გაკეთებული სვლა, ხომ არ არის ეს ხაფანგი, სადაც ბიძინა ივანიშვილის შეტყუებას ცდილობენ ხელისუფლება და მისი ფარული მოკავშირეები?

**რატომ არავის დაუსვამს ერთი უბრალო და მარტივი კითხვა ხელისუფლებისთვის — საიდან იწყება, თქვენი აზრით, ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოში ათი წლის ცხოვრების ათვლის წერტილი?**

ადასტურებთ თუ არა, რომ ბიძინა ივანიშვილი საქართველოში 2001 წლიდან მუდმივად ცხოვრობს და ამ ათწლიან სავალდებულო „სტაჟთან" დაკავშირებით მას მომავალში რაიმე პრობლემა არ შეექმნება?



**ხომ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში ხელისუფლებამ უცებ განაცხადოს, რომ თურმე ბიძინა ივანიშვილი საქართველოში მუდმივად ცხოვრობს არა 2001 წლიდან, არამედ 2003 ან 2004 ან 2005 წლიდან და, აქედან გამომდინარე, მასზე ვერ გავრცელდება ის უფლებები, რაც კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით მხოლოდ იმ პირებს ეხება, რომლებიც ათი წელია მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში.**

ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ამ განცხადებას იმასაც დაამატებს, რომ ძალიან წუხს, რომ ასე მოხდა, მაგრამ რას იზამ, კანონის წინაშე ყველა თანაბარია.

ვინმე იძლევა იმის გარანტიას, რომ მსგავსი რამ არ შეიძლება მოხდეს?

მანამ, ვიდრე ხელისუფლებას ოფიციალურად, დოკუმენტურად არ დაუდასტურებია, რომ ივანიშვილი ნამდვილად ცხოვრობდა საქართველოში ბოლო ათი წლის განმავლობაში, როგორ შეიძლება მის ზეპირ განცხადებებს ვენდოთ და დავიჯეროთ, რომ ეს ახალი ცვლილება კონსტიტუციაში სპეციალურად ბიძინა ივანიშვილისთვის იქნა შეტანილი, რომ მან დაუბრკოლებლად შეძლოს მოღვაწეობა პოლიტიკურ ასპარეზზე და იოლად დაამარცხოს სახელისუფლო გუნდი ოქტომბრის არჩევნებში.

ხელისუფლება, რომელმაც მოქალაქეობა შეუწყვიტა ივანიშვილს, ახლა იმაზე ფიქრით იკლავს თავს, რომ ბატონ ბიძინას როგორმე შეუმსუბუქოს მდგომარეობა და შემოვლითი გზით, საკანონმდებლო მანიპულაციებით ის უფლებები მანიჭოს, რაც საქართველოს მოქალაქეს აქვს?

ხელისუფლებას თუ ეს კეთილშობილური სურვილი ამოძრავებს, მაშინ ამდენ ჯახირს და დავიდარაბას არ ჯობდა, პირდაპირ აღედგინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობა და მისთვის ყოველმხრივ წამგებიანი ამ აჟიოტაჟისთვის საბოლოოდ დაესვა წერტილი?

— კანონმა არ მოგვცა ამის გაკეთების საშუალება... ბიძინა ივანიშვილმა იმის ნაცვლად, რომ ორმაგი მოქალაქეობა მოეთხოვა, სხვა ვარიანტი აირჩია და მოქალაქეობის დაბრუნება ნატურალიზაციის გზით მოინდომა, რაც ჩვენი კანონმდებლობით დაუშვებელია... რა ჩვენი ბრალია თუ თან შეცდომა დაუშვა და არასწორი გზით წავიდა? — განაცხადა პალიკო კუბლაშვილმა.

— მერედა, რატომ არ გააფრთხილეთ, რომ სწორი გზით არ მიდიოდა? — მკაცრი ტონით იკითხა ერთმა ჟურნალისტმა ქალბატონმა და წამწამები მიამიტურად ააფახულა-ჩააფახულა.

პავლე კუბლაშვილმა, ფაქტობრივად, არაკვალიფიციურობაში დასდო ბრალი ივანიშვილის იურისტებს, რომლებმაც გამარჯვების მისაღწევად ის გზა აირჩიეს, რომელიც თავიდანვე დამარცხებისთვის იყო განწირული.

კუბლაშვილის განმარტებით, ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობა არავის ჩამოურთმევია, მას მოქალაქეობა კანონის მიხედვით ავტომატურად შეუწყდა, როცა ივანიშვილმა საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო, რის შემდეგაც მას ხელისუფლებისთვის უნდა მიემართა ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით, რაც გაუგებარი მიზეზებით არ გაკეთებულა.

ვერ გეტყვით, რამდენად მართებულია ივანიშვილის იურისტების კომპეტენტურობაში ეჭვის შეტანა, თუმცა არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ მათი მხრიდან არაერთგზის გაკეთებული ოპტიმისტური განცხადებები იმის შესახებ, რომ ხელისუფლება იძულებული გახდებოდა აუცილებლად დაებრუნებინა მოქალაქეობა ივანიშვილისთვის, არ გამართლდა.

როცა ასეთი განცხადებები კატეგორიული ტონით კეთდება, როცა სამი თვის განმავლობაში ამტკიცებ, რომ აუცილებლად წარმატებით დასრულდება შენს მიერ დაგეგმილი პროცესი და ამით, ნებსით თუ უნებლიეთ, შეცდომაში შეგყავს როგორც კლიენტი, ასევე მთელი საქართველო, სხვა თუ არაფერი, მომხდარის გამო პასუხისმგებლობა მაინც უნდა იგრძნო.

**შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ხელისუფლებასთან ერთად ბიძინა ივანიშვილის კოალიციის ზოგიერთ პოლიტიკურ სუბიექტს ხელს არ აძლევს ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭება, შორს ვარ იმ აზრისგანაც, რომ ივანიშვილის გარემოცვის ზოგიერთი წევრი უშუალოდ ხელისუფლების დირექტივებით და ინსტრუქციებით მოქმედებს, თუმცა ბევრი რამ, რაც ივანიშვილის გარშემო ხდება, საკმაოდ საფუძვლიან საბაბს იძლევა უსიამოვნო და სკანდალური დასკვნებისთვის.**

კარგია, როცა ადამიანებს ენდობი, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ბოლო ოცი წელია საქართველოს პოლიტიკური სპექტრისთვის ლამის ცხოვრების წესად და ჩვეულებრივ ამბად იქცა ღალატი, ორგულობა, ორპირობა, ორმაგი თამაში, ორ სკამზე ჯდომა, ორი ბატონის მსახურება.



**ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება ასე ცხოვრობდნენ, ასე ერთბაშად ზნესა და ხასიათს ვერ შეიცვლიან და ისინი ბიძინა ივანიშვილსაც ისე თვალისდაუხამხამებლად გაჰყიდიან, როგორც ადრე სხვებს ჰყიდდნენ.**

მართლაც ეს ახალი საკონსტიტუციო ცვლილება სრულიად ახალ პოლიტიკურ რეალობას ქმნის და ბიძინა ივანიშვილს თავისუფლად და დამოუკიდებლად მოქმედების ფართო ასპარეზს უშლის, თუმცა, ჩემი აზრით, სანამ გამარჯვების ყიჟინას დავცემდეთ, აუცილებელია დაზუსტდეს, საიდან იწყება ბიძინა ივანიშვილის საქართველოში ცხოვრების ათვლის წერტილი და ავსებს თუ არა ამ წლების რაოდენობა სავალდებულო ნორმას — ათ წელს?

**ვიმეორებ, ბიძინა ივანიშვილმა და მისმა გარემოცვამ, განსაკუთრებით ეს ევალება ივანიშვილის ნდობით აღჭურვილ იურისტთა ჯგუფს, ხელისუფლებას უნდა მოსთხოვოს ოფიციალური, დოკუმენტურად დადასტურებული პასუხი კითხვაზე, ხელისუფლების აზრით, რომელი წლიდან ცხოვრობს ბიძინა ივანიშვილი საქართველოში მუდმივად?**

გასაოცარი ამბავია, რატომ ენდობიან მავანნი და მავანნი ასე გულუბრყვილოდ და მიამიტურად თვალთმაქცობაში არაერთგზის მხილებულ ამ ხელისუფლებას და რატომ იჯერებენ ასე უაპელაციოდ მის განცხადებას, რომ ბიძინა ივანიშვილი ამიერიდან ყველა იმ უფლებით სარგებლობს, რითაც სარგებლობს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე?

ვინმეს გაუკვირდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამ ხელისუფლებამ უტიფრად განაცხადოს: — ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკური მოღვაწეობის შეუზღუდავი უფლებებით ესარგებლა, ამ მიზნით კონსტიტუციაში ცვლილებაც კი შევიტანეთ, მაგრამ როგორც ახლახან დადგინდა, ივანიშვილი ვერ აკმაყოფილებს ამ საკანონმდებლო ცვლილების უმთავრეს მოთხოვნას — ის, როგორც იტყვიან, დროში ვერ ჩაეტია და სავალდებულო ათ წლამდე კიდევ რამდენიმე წელი უკლია. ამ ახალ გარემოებათა გამო ივანიშვილი არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რის გამოც ძალიან, ძალიან ვწუხვართ.

თუ დააკვირდებით, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები და ქდპ-ლები ერთ ხმაში ამღერდებიან, უნდა ველოდოთ, რომ ვიღაცას სასიმღეროდ არ აქვს საქმე.

ესეც არ იყოს, რაღაც ძალიან საეჭვოდ უციმციმებს თვალები პალიკო კუბლაშვილს, ხოლო დავით ბაქრაძე კიდევ უფრო გახევდა და გაშეშდა, რაც კარგის მომასწავებელი არ უნდა იყოს...

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# goga xaindrava: saakaSvili aris yaCaRi, romelic kadafis gzas daadga



ვესაუბრებით „ამომრჩეველთა ლიგის" წევრს, ბატონ **გოგა ხაინდრავას**.

**— ბატონო გოგა, „ამომრჩეველთა ლიგაში" ყველა ის ადამიანია გაერთიანებული, რომელიც თავის დროზე მაინცდამაინც დიდი პერსპექტივით არ უყურებდით, არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლას. დღეს რა შეიცვალა, რატომ დადგა დღის წესრიგში ხელისუფლების შეცვლა არჩევნების საშუალებით?**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ არჩევნებით ხელისუფლების შეცვლას არ ვუყურებდით პერსპექტივით. პირიქით, ჩვენ ყველა არჩევნებში მივიღეთ მონაწილეობა და მეტსაც გეტყვით, რომ 2008 წელის საპრეზიდენტო არჩევნები მოვიგეთ კიდეც. ლევან გაჩეჩილაძემ მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები, მაგრამ ხელისუფლებამ, მიხელ სააკაშვილმა, ასე ვთქვათ, ბნელი ძალებით მიითვისა ეს ხმები. მაშინ ეს შემთხვევა, მსოფლიო პოლიტიკურმა კონიუნქტურამაც განაპირობა. გახსოვთ, ბუშის ადმინისტრაცია უპირობო მხარდაჭერას უცხადებდა სააკაშვილს, მიუხედავად იმისა, რომ ის, პრაქტიკულად, კრიმინალურ რეჟიმად გადაიქცა. 2008 წლის 6 ინვარს, როცა აბსოლუტურად თაღლითმა თარხნიშვილმაც ვერ გაბედა არჩევნების შედეგების გამოცხადება, ჯორჯ ბუში გამოვიდა და მიხეილ სააკაშვილს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. ხოლო შემდეგ პუტინისგანაც მიიღო მილოცვა. ორი ასეთი სახელმწიფოს ლიდერი, როცა წერტილს უსვამს რაიმეს, არა მგონია, სხვა ამის წინააღმდეგ წასულიყო. ამიტომ საქართველოში უკანონობა და ძალადობა დამკვიდრდა. ამის შემდეგ საპარლამენტო არჩევნებშიც მივიღეთ მონაწილეობა გავიმარჯვეთ, მაგრამ ნებაყოფლობით უარი ვთქვით გაყალბების გზით მოპოვებულ საპარლამენტო მანდატებზე. ამიტომ საუბარი იმაზე, თითქოს ჩვენ უარს ვამბობდით არჩევნებზე და წინააღმდეგი ვიყავით. სწორი არ არის.



**— დღეს რა შეიცვლა საიმისოდ, რომ იბრძოლოთ არჩევნების გზით ხელისუფლების შესაცვლელად. მითუმეტეს, როცა 2008 წლიდან დღემდე საარჩევნო კუთხით მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა და ამას ვენეციის კომისიის დასკვნაც ადასტურებს, სადაც საერთაშორისო ორგანიზაცია საარჩევნო კოდექსში არსებულ დარღვევებზე საუბრობს. ასეთ პირობებში რა არის გარანტორი იმისა, რომ ხელისუფლება არჩევნების შედეგს კვლავ არ გააყალბებს?**

**— რას ფიქრობთ, რა შეუშლის ხელისუფლებას ხელს ახლაც გააყალბოს არჩევნები?**

— ის შეუშლის, რომ დასავლეთი აღარ მიიღებს გაყალბებულ არჩევნებს და ამას პირველ რიგში, არ აღიარებს აშშ-ი, რომელიც აქამდე მფარველობდა სააკაშვილის რეჟიმს.მმიზეზი კი ისაა, რომ გაყალბებული არჩევნების აღიარების შემთხვევაში, ამერიკას საერთაშორისო ასპარეზზე იმიჯი მნიშვნელოვნად შეელახება. მმათ კარგად იციან, რომ საакშვილის რეჟიმის მფარველობა გამოუსწორებელ ზიანს აყენებს, მათ ქვეყანას და მათ პოლიტიკურ ინტერესებს მსოფლიო ბაზარზე. ახალი ელჩი, რომელიც საქართველოში ჯერ არ ჩამოსულა უკვე საკმაოდ უპრეცედენტო განცხადებებს აკეთებს. აამიტომ არც ერთი „შანსი", „გაპრავდეს" სააკაშვილის არჩევნები, აღარ არსებობს.

**— რატომ შეიცვალა დასავლეთის პოზიცია საქართველოსათან დაკავშირებით ასე მკაფიოდ?**

— სააკაშვილი არის ყაჩაღი და ეს უკვე ამერიკულმა მხარემ კარგად გააცნობიერა. სააკაშვილი არის ტრივიალური კრიმინალი,

— სიტუაცია 2008 წლიდან მოყოლებული დღემდე მნიშვნელოვნად შეიცვალა. ახლა გამოჩნდა ისეთი პოლიტიკური ფალავანი, რომელიც საქართველოს აქამდე არ ჰყოლია, ვგულისხმობ, ბიძინა ივანიშვილს. დღეს მისი პოტენცია იმდენად წონადია, ვიდრე სააკაშვილის, „ნაცმოძრაობის", ან თუ გინდათ, დანარჩენი მთელი პოლიტიკური ველი ერთად აღებული. პრინციპში, მათი ერთმანეთთან შედარება არც შეიძლება. ივანიშვილის გამოჩენამ და პოლიტიკური კოალიციის შექმნამ აბსოლუტურად თავდაყირა დააყენა სიტუაცია. მისმა უნარმა, მისადმი ნდობამ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასვე ქვეყნის გარეთ, მოიტანა შედეგები, რომელთა გადაფასება ძალიან ძნელი იქნება. მინდა გითხრათ, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა თავისი კალენდარული ვადა კარგა ხანია ამოწურა. სააკაშვილის პოლიტიკური დრო დასრულდა და დასრულდა სრული კრახით, სამარცხვინოდ. საბოლოო გამარჯვებამდე რჩება მხოლოდ ტექნიკური მხარე, რომელიც ქართველმა ამომრჩევლებმა უნდა აღასრულონ.

რომელიც ადგას კადაფის გზას. მმისი ოჯახი და მისი ახლობლები არნახულად გამდიდრნენ – დედა, ცოლი, ბიძაშვილები, თვითონ, თავისი ძმები, მამა, ისევე, როგორც ხელისუფლების უმაღლესი რანგის წარმომადგენლები.

**— „ამომრჩეველთა ლიგაში" საკმაოდ აქტიური პოლიტიკური სახეები გაწევრიანდით, რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკიდან სამოქალაქო სექტორში გადასვლა, რა იყო მიზეზი?**

— ჩვენი გზა, პრაქტიკულად, ყოველთვის ბრძოლის გზაზე გადიოდა. ყოველთვის კარგად ვაცნობიერებდით, ვისთან გვქონდა საქმე. განსაკუთრებით ეს საკითხი კარგად გვესმოდა იმ ადამიანებს, ვინც ახლოს ვიცნობთ სააკაშვილს, მის გარემოცვას. თუმცა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ვცდილობდით, მაქსიმალურად გამოგვეყენებინა ლეგიტიმური და კანონიერი საშუალებები ხელისუფლების შესაცვლელად.



**— ბატონო გოგა, გასაგებია, რომ აპირებთ მოსახლეობა დაიცვათ ზეწოლისგან და მათ მისცეთ შესაძლებლობა, თავისუფლად გააკეთონ არჩევანი. თუმცა თქმა ერთია, განხორცილება მეორე. როგორ აპირებთ მთელი საქართველოს მასშტაბით ამის გაკეთებას?**

— არჩევნებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება გვაქვს, არაერთ არჩევნებში მიგვიღია მონაწილეობა. ჩვენ ვიცით მათი სქემები, ვიცით გაყალბების შემსრულებლები, ვიცით იმ კრიმინალური ჯგუფების შესახებ, რომლებიც თრგუნავენ მოსახლეობას. ამასთან ჩვენ გვაქვს გამოცდილება საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის, ამიტომ ჩვენი ეს გამოცდელება, პოტენციალი უნდა გამოვიყენოთ საერთო საქმისთვის.

**— „ამომრჩეველთა ლიგის" პრეზენტაციაზე გაჟღერდა ინიციატივა, „სოლიდარობის ფონდის" ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც პოლიტიკური ნიშნით დევნილ ადამიანებსა და მათ ოჯახებს დაეხმარება. როგორ მოხდება ფონდის დაფინანსება და შევსება?**

— ფონდის შევსება მოხდება, თუნდაც, სატელეფონო ზარებით. საქართველოში სამი მილიონზე მეტი ადამიანია, თითოეულმა მათგანმა ლარი, რომ გაიღოს უკვე სამი მილიონია და წარმოგიდგენიათ, ამ ფულით რამდენი ადამიანის დახმარებას შევძლებთ. ფონდი იქნება აბსოლუტურად გამჭვირვალე თანხებით შევსებული და დაეხმარება ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ რეჟიმის მსხვერპლი იქნება.

**— „ამომრჩეველთა ლიგის" პრეზენტაციაზე 28 აპრილს თბილისში დაანონსეთ მშვიდობიანი მანიფესტაცია. რატომ მაინცდამინც თბილისში, რადგან რეგიონებში ძალიან მძიმე ვითარება შექმნილი. რატომ იწყებთ თქვენ აქტიურობას თბილისიდან?**

— 2007 წლის ნოემბერშიც აქტიურობა დაიწო თბილისიდან, ხოლო შემდეგ მთელ საქართველოს მოვედით, თანაც ისე, რომ, საბოლოო ჯამში, 250-300 ათასი კაცი გამოვიდა თბილისში და რეგიონებიდან ჩამოსული მოსახლეობის რაოდენობა საკმაოდ მაღალი იყო. თბილისი დედაქალაქია. ის არის, როგორც პოლიტიკური, ასევე სულიერი, ენერგეტიკული ცენტრი. ამიტომ მინდა მოუწოდო ამომრჩეველს, ვისთვისაც არჩევანის უფლება მნიშვნელოვანია და საკუთარი საარჩევნო ხმა არ ემეტებათ ამ ჯოჯოებისთვის, გამოვიდნენ. ეს იქნება აბსოლუტურად მშვიდობიანი მანიფესტაცია, რომელიც მიმართული იქნება ქვეყანაში თავისუფალი არჩვნების ჩასატარებლად. ამიტომ ჩვენ ბუნებრივია, გავაცოცხლებთ იმ მუხტს, იქედან, სადაც ყოველთვის იყო და არის. შემდეგ ყველა ქალაქში, ყველა სოფელში, ყველა დაბაში ჩავალთ, გვეყოლება ჩვენი წარმომადგენლები და ყველაფერს გავაკეთებთ ამომრჩევლების დასაცავად.

**— ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში განაცხადეთ, რომ თანაბრად დაიცავთ როგორც უმრავლესობის, ასვე ოპოზიციის მხარდამჭერების უფლებებს. თუმცა გიორგი თარგამაძის განცხადებით, ადამიანებს, რომელთაც აქვთ, კონკრეტული პოლიტიკური წარსული, არჩევანის ნეიტრალური სტატუსის დაკავება გაუჭირდებათ. რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

— ეს ერთმანეთთან რა კავშირშია? პოლიტიკური წარსული, რომ მაქვს, ადამიანის უფლებების დაცვა არ შემიძლია? თარგამაძე მაგიდის ქვეშ ხელსახვევით დადიოდა, როცა მე, პირადად, ადამიანის უფლებებს ვიცავდი და ის კომკავშირულ მომავალზე ფიქრობდა. ჩემი პოლიტიკური პოზიცია არასოდეს დამიმალავს და არც დავმალავ. ამას არანაირი კავშირი არ აქვს დავიცვა ადამიანები ხელისუფლების ზეწოლისგან, რათა არჩევნებზე თავისუფლად შეძლონ პოზიციის დააფიქსირება. აგერ ვნახავთ, ყველაფერს ნათქვამია, პარასკევი და აგერ ხვალეო. მთავარია, ამომრჩეველმა თავისუფლად შეძლოს არჩევანის გაკეთება და მერე მათი გადასაწყვეტია, ვის მისცემენ ხმას — თარგამაძეს, თუ სააკაშვილს. ისე, არა მგონია, ასეთი თავქარიანი ამომრჩეველი კიდევ არსებობდეს, ვინც მათ დაუჭერს მხარს.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ თუ დადგება არასასურველი შედეგი და ხელისუფლება არჩვენებს ისევ გააყალბებს, ადამიანის უფლებების დასაცავად, კომბლებით ხელში გამოხვალთ. თუმცა „ევროპელი-დემოკრატების" წევრის ლევან ჩოლოყაშვილის თქმით, „ბატონ გოგას ამით ახალი არაფერი უთქვამს და იგი მიეჩვია, კომბლების არადანიშნულების გზით გამოყენებას". რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

— ლევან ჩოლოყაშვილისნაირი და მსგავსი სუბიექტების გამონათქვამებზე არ ვაპირებ კომენტარის გაკეთებას, აბსოლუტურად არ მაინტერესებს ჩოლოყაშვილი რას ლაპარაკობს. მე, პირადად, დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი ხელისუფლებას არ მისცემს უფლებას არჩევნების გაყალბების, რადგან ჩვენ ისტორიულ გზაგასაყარზე ვდგავართ. ან ჩამოვყალიბდებით ლიბიის მსგავს სახელმწიფოდ, ან წავალთ წინ და განვითარდებით წარმატებას მივაღწევთ. ამიტომ ჩოლოყაშვილები, სააკაშვილები, წიკლაურები, თარგამაძეები და სხვები რას ფიქრობენ, არ მაინტერესებს.

**მირანდა ნაბახტეველი**

## ირაკლი ბათიაშვილი: „მასტერა" დაგვემუქრა, 26 მაისზე უარესად გადაგივლითო



„სახალხო კრებისა" და „დემოკრატიული მოძრაობის" წევრებმა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გუშინ, პარლამენტთან მომხდარი ფაქტი გააპროტესტეს. მათი განცხადებით, „სახალხო კრებისა" და „დემოკრატიული მოძრაობის" წევრებს ხელისუფლებამ მემორიალთან მისასვლელი გზა გადაუკეტა.

„პოლიციის მიერ გზის გადაკეტვა ჩვენი საგანგებო აღნიშვნისა და მსჯელობის საგანი არ გახდებოდა, რომ არა ზონდერ-ბრიგადების მობილიზაცია და ფრიად „პოპულარული" ტიპაჟის, გია დგებუაძის - მეტსახელად „მასტერას" მიერ გახმოვანებული პირდაპირი მუქარა: „თქვენთვის საკმარისი არ იყო, რაც 26 მაისს გაგიკეთეთ, შემდგომში უარესად გადაგივლით", - განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა.

ოპოზიციის წარმომადგენლების თქმით, სააკაშვილის რეჟიმმა ამ ქმედებით კიდევ ერთხელ დაადასტურა საკუთარი პანიკური შიში რაიმე სახის აქციის მიმართ.

მათი აზრით, შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ მსვლელობის შეფერხების დროს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მემორიალთან იმყოფებოდა და ამასთანავე, ინციდენტის შესახებ ინფორმაცია არც ერთი ტელეკომპანიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არ გასულა.

# israel-iranis omis SemTxvevaSi saqarTvelos iranidan SeiZleba ltolvilTa didi nakadi moawydes

*გვესაუბრება სამხედრო ექსპერტი, „ქართული ოცნების“ საინიციატივო ჯგუფის წევრი* ***ირაკლი სესიაშვილი***

**— ირაკლი, რამდენად რეალურია მოსაზრება, რომ საქართველო ომის საფრთხის წინაშეა. მართლაც რომ დაიწყოს აშშ-სა და ირანს ანდა ირანსა და ისრაელს შორის სამხედრო კონფლიქტი, რა ვითარებაში აღმოვჩნდებით ჩვენ, რა საფრთხე ემუქრება, ამ შემთხვევაში საქართველოს?**

— ძირითადი, საფრთხე ირანსა და აშშ-ს ან ირანსა და ისრაელს შორის შესაძლო სამხედრო კონფლიქტია, რომელშიც, არ გამოვრიცხავ, ნატომაც მიიღოს მონაწილეობა. ირანი საკმაოდ დიდი სახელმწიფოა, 80 მილიონი მოსახლით, კარგად განვითარებული მრეწველობით, იგი მუსულმანური სამყაროს ერთ-ერთი ძლიერი ცენტრია. აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენი არაა, რა ტიპის სამხედრო ოპერაცია შეიძლება დაიგეგმოს ან განხორციელდეს ირანთან მიმართებაში. დღეს მსოფლიოში არ არსებობს რაიმე ძალა ან კოალიცია, რომელსაც ირანის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ომის დასაწყებად საკმარისი რესურსი გააჩნია. მხოლოდ ერაყის ოპერაცია აშშ-ს დღეში 2 მილიარდი დოლარი უჯდებოდა. ერაყი ირანთან შედარებით რამდენჯერმე პატარა სახელმწიფოა. ამიტომ, თუ ირანთან კონფლიქტი კიდევ უფრო გაღრმავდა და მისი მშვიდობიანი გზით მოგვარება შეუძლებელი გახდა, ერთადერთი, რასაც შეიძლება ველოდოთ, საჰაერო დარტყმებია ირანზე ბირთვული იარაღისთვის განკუთვნილი ურანის ობიექტების გასანადგურებლად. ამ შემთხვევაში, ოპერაცია განხორციელდება, როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან და აქ საქართველოს ტერიტორია მოაზრებული ვერ იქნება.

**— მაგრამ, თუ ირანში სამხედრო მოქმედებები დაიწყო, რუსეთი შეიძლება ირანს სამხედრო ტექნიკით მიეხმაროს, რომელიც გიუმრში აქვს. ამას გარდა, აზერბაიჯანმა და თურქეთმა ამ დაპირისპირებაში ჩართვაზე უარი განაცხადეს, მაგრამ საქართველო აშშ-ს ბაზებს, აეროდრომებს თუ გამოაყენებინებს, რას გამოიწვევს ეს?**

— ამასთან დაკავშირებით მართლაც ჩნდება კითხვები — ხომ არ გამოიყენებენ საქართველოში არსებულ სამხედრო აეროდრომებს? — ვფიქრობ არა. იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ისეთი სამხედრო აეროდრომები, რომელმაც შეიძლება ამერიკული ბომბდამშენები მიიღოს და შესაბამისად, აქედან აფრინდნენ ირანის მიმართულებით, მაგრამ ტექნიკურად, ისინი მსგავსი თვითმფრინავების მისაღებად საკმარისად აღჭურვილნი არ არიან. გარდა ამისა, აშშ-ს ეს არც სჭირდება, რადგან შეუძლია ავიამზიდები სპარსეთის ყურეში შეიყვანოს და იქედან განახორციელოს ოპერაცია, რაც გაცილებით ეფექტური და მომგებიანი იქნება. ფართომასშტაბიანი სახმელეთო ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში რისკი დიდი რაოდენობით სამხედრო დანაკარგის შესახებ, საკმაოდ მაღალია. რასაც შეიძლება მოჰყვეს ასიმეტრული, პარტიზანული ბრძოლები, რაც გასცდება ირანის ფარგლებს და არამხოლოდ ახლო-აღმოსავლეთს, არამედ ევროპასაც მოიცავს. ამიტომ აშშ და დასავლეთი ასეთ რისკებზე არ წავლენ. თუ ფართომასშტაბიან ომზე ვისაუბრებთ, ამას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია დასჭირდება, რასაც აშშ ვერ მიაღწევს იმიტომ, რომ როგორც ჩინეთს, ისევე რუსეთს ვეტოს უფლება აქვს და რუსეთი რომც დაითანხმონ (რაც ნაკლებ სავარაუდოა) ჩინეთს ვერ დაითანხმებენ, რადგან იგი, ფაქტობრივად ნავთობპროდუქტებით ირანისგან მარაგდება და მასთან ურთიერთობის გაფუჭება არ აწყობს. ამიტომ წერტილოვანი დარტყმების შემთხვევაში, კონფლიქტი ლოკალური იქნება, რეგიონს არ გასცდება და



ამ პროცესში სხვა ქვეყნების ჩართვა არ მოხდება. ეს არ არის ავღანეთის მსგავსი სახმელეთო ოპერაცია, რომელსაც ზურგი, უზრუნველყოფა სჭირდება. ერთადერთი, რეალური საშიშროება, რასაც ვხედავ არის ის, რომ პანიკას, შეიძლება ირანიდან ლტოლვილების გადინება მოჰყვეს. რამდენადაც ირანთან საქართველოს უვიზო რეჟიმი აქვს, ირანის მოსახლეობა სომხეთის საზღვარს მიაწყდება, სომხეთი მისცემს კორიდორს და საქართველოში შემოუშვებს მათ. მათ შორის, იცით, რომ ირანში რამდენიმე ათეულათასობით ფერეიდნელი ქართველი ცხოვრობს და შეიძლება საკმაოდ სერიოზული ნაკადი მოგვაწყდეს, ერთი მხრივ, იმ პანიკის გამო, რაც ამ ოპერაციას შეიძლება მოჰყვეს, მეორე მხრივ, ბევრ ირანელს შეიძლება ამ ქვეყნიდან გაქცევის და ევროპისთვის თავის შეფარების სურვილი ჰქონდეს. მიუხედავად უვიზო რეჟიმისა, ხელისუფლება აცხადებს, რომ ასეთ შემთხვევაში საზღვრებს ჩაკეტავს, მაგრამ ეს არცთუ ისე მარტივი საკითხია. დღეს, ხელისუფლება კი ამბობს ასე, მაგრამ ამ გამოწვევებისას მან, შეიძლება აშშ-ს თხოვნის საფუძველზე თანხმობა განაცხადოს იმიტომ, რომ ამ ლტოლვილებს შესაბამისი კონვენციების მიხედვით გარკვეული დაცვის მექანიზმები უნდა გაჩნდეთ. მეორე საფრთხე საქართველოსთან მიმართებაში ისაა, რომ თუ ირანთან კონფლიქტი რუსეთთან შეთანხმების გარეშე გაღრმავდება, რუსეთმა იმის გამო, რომ იგი თამაშგარეთ დარჩება და მას გარკვეული ინტერესები აქვს ირანში, შეიძლება პროვოცირება მოახდინოს და სომხეთის საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სომხეთში დამატებითი ძალების შეყვანა მოითხოვოს, შემდგომში ამ ძალების ტრანზიტის უფლებით საქართველოზე. რის უფლებასაც საქართველოს ხელისუფლება არ და ვერ მისცემს იმიტომ, რომ ეს არასერიოზული იქნება. რუსეთს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს და ამ დროს ტრანზიტის, სამხედრო ძალების გატარების უფლების მიცემა თავისთავად რისკების მატარებელია იმიტომ, რომ იგი შემოსვლის შემთხვევაში შეიძლება აღარ გავიდეს ჩვენი ტერიტორიიდან, ვთქვათ, ბორჯომშიც, ახალციხეშიც ბაზები ჩაგვიყენოს და დაიკავოს ტერიტორია. უარის მიღების შემთხვევაში ამას მოჰყვება ის, რომ რუსეთი ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტს ტრანზიტის გზის გაჭრას. ეს უკვე სერიოზული საფრთხეა და არამარტო რუსეთ-საქართველოს შორის კონფლიქტს, არამედ დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირებასაც უკავშირდება. ამიტომ ეს ფაქტორები გასათვალისწინებელია. იმედია აშშ ამ რისკებს აანალიზებს.

— რამდენად მოსალოდნელია საფრთხის მოახლოების შემთხვევაში სააკაშვილმა აღმოსავლეთ საქართველო მიატოვოს და თუნდაც აჭარაში გამაგრდეს. ყარსის ხელშეკრულების თანახმად, იქ რუსეთისგან დაცულია.

— ზოგადად, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება პარლამენტის ქუთაისში გადატანის შესახებ ერთი მხრივ, შეიძლება განპირობებული იყოს სამხედრო სტრატეგიული ფაქტორების გათვალისწინებით, რამდენადაც ახალგორთან თბილისი



ძალიან ახლოსაა და კონფლიქტის შემთხვევაში შეიძლება აღმოსავლეთ საქართველო დასავლეთის მაგისტრალებს მოსწყდეს. მაგრამ მაინც მგონია, რომ ეს უფრო მეტად შიდა პოლიტიკური ფაქტორებითაა განპირობებული. მიშას თბილისის მოსახლეობის ეშინია, აქ ანტიმიშისტური განწყობები გაცილებით მაღალია. ამიტომ, ადრე თუ გვიან, იგი მზადაა თბილისი დათმოს. მეორე, მას ეშინია გაყალბებული არჩევნების შემდეგ დემონსტრაციების, ხალხის ქუჩაში გამოსვლის. თუ თბილისში პოლიტიკური ცენტრი არ იარსებებს, პოლიტიკური მიტინგის მოაზრება რთულია. ქუთაისში კი მარტივად გადაკეტავს გზას და მოსახლეობას პოლიტიკურ ცენტრთან პროტესტის გაცხადების საშუალებას არ მისცემს. ქუთაისი პატარა ქალაქია და მოსახლეობის შეჩერებას, დაშინების გზით, ადვილად მოახერხებს. თუმცა, მიშას ეს ფიქრები იმ პოლიტიკური მოცემულობიდან გამომდინარეობდა, სანამ ივანიშვილი გამოჩნდებოდა. ამის შემდეგ, რისკფაქტორები, რაც სააკაშვილის ძალაუფლებას უკავშირდება, გაზრდილია და ქუთაისში მთავრობის გადაყვანით არაფერი შეიცვლება. რაც შეეხება, სამხედრო საფრთხეს, არ ვფიქრობ, რომ რუსეთი თბილისის მიმართულებით ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციისთვის მზადაა, ამას, ფაქტობრივად გამოვრიცხავ, თუ ჩვენი ხელისუფლებისგან სერიოზული პროვოკაცია არ იქნება განხორციელებული. ამას თავისი ახსნა აქვს. როგორც აშშ-სთვის გარკვეული რისკებია ირანის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ომის წამოწყება, ასევე, რუსეთისთვის არანაკლები რისკებია თბილისის მიმართულებით სამხედრო ოპერაციის დაგეგმვა. ეს რუსეთისთვის შეიძლება უკუშედეგის მომტანი იყოს. რუსეთმა სამხედრო ოპერაციის თვალსაზრისით წარმატებას რომც მიაღწიოს, პოლიტიკურ კონტროლს ვერ შეძლებს, ხალხი არ აჰყვება და იგი მარცხისთვის იქნება განწირული.

რაც შეეხება სააკაშვილის მხრიდან რაიმე პროვოკაციის მოწყობას, ლოკალურ დონეზე შეიძლება პროვოკაციებს ადგილი ჰქონდეს, რაც იმ წონის და ზომის არ იქნება ფართომასშტაბიანი დაპირისპირება რომ გამოიწვიოს. მაგრამ თუ ეს ლოკალურ ზონას გასცდება და ფართომასშტაბიან ფორმას მიიღებს, ამ შემთხვევაში არსებობენ ევროკავშირის დამკვირვებლები, საქართველო მსოფლიოს ყურადღების ქვეშ იქნება და მიშა ასე მარტივად ვერ გაბედავს ფართომასშტაბიან პროვოკაციაზე წასვლას. უფრო მეტიც, მას სერიოზულად ეშინია შედეგების, რაც შეიძლება ამ პროვოკაციას მოჰყვეს, იმ შემთხვევაში თუ იგი გაიშიფრება. ვერ ვიტყვი, რომ სააკაშვილი საქართველოს ბედზე ზრუნავს, იგი საკუთარი ძალაუფლების ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. ასე მოქმედებდა 2008 წლის აგვისტოშიც. ამიტომ, ვიმეორებ, ძალაუფლების დაკარგვის და პირადი შიშის ფაქტორების გათვალისწინებით, იგი ფართომასშტაბიან პროვოკაციას ვერ გაბედავს.

**— თუმცა 2008 წელს სააკაშვილმა უკვე გაბედა პროვოკაციის მოწყობა. რამდენად შესაძლებელია საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით, ამჟამად მან პროვოკაცია სამეგრელოში მოაწყოს? რისთვის იქმნება იქ ბანდფორმირებები და შესაძლებელია თუ არა სააკაშვილმა არჩევნებში არასასურველი შედეგის შემთხვევაში ისინი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გამოიყენოს?**

— ის, რა ძალებიც 2008 წლის აგვისტოში საქართველოს გააჩნდა, მისი 5-10 პროცენტიც კი ვერ გამოვიყენეთ — გეოგრაფიულად შემჭიდროვებულ ომის თეატრში ასეთი ძალების გამოყენება ძალიან რთულია, თუ პარტიზანული ბრძოლის უნარჩვევები თავად მოსახლეობაში გამჯდარი არ არის. ის რაც ე.წ. ნებაყოფლობითი რეზერვის ფარგლებში ხდება, ჩემი აზრით, უფრო მეტად შიდაპოლიტიკური კამპანიის ნაწილია, ვიდრე რეალური ინსტრუმენტი საგარეო საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, ან თუნდაც მოსაგერიებლად. შესაბამისი წვრთნები და სისტემა არ მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ამით რამენაირად გაძლიერდება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. ეს შეიძლება მომავალში იყოს ინსტრუმენტი, მაგრამ მას სწორი განვითარება, დაგეგმვა სჭირდება. ასე ქაოტურად სარეზერვო სამსახურის ჩამოყალიბება უფრო საპირისპირო შედეგს მოიტანს, ვიდრე გააძლიერებს თავდაცვისუნარიანობას. ამის სამწუხარო მაგალითი აგვისტოს ომის დროს გვქონდა, როდესაც რეზერვი მობილიზებული იქნა და იგი საბოლოოდ მოწინააღმდეგის სამიზნე აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში არანაკლები უკუშედეგი ექნება ამ რეზერვსაც. თუმცა, ვიმეორებ, ეს რეზერვი უფრო შიდა პოლიტიკურ კონტექსტში მოიაზრება, როგორც შიშის ელემენტი — მიშა აყალიბებს ბანდფორმირებებს და თუ მას პოლიტიკური რისკები გაუჩნდა, ის სამოქალაქო დაპირისპირებაზე წავა. უფრო მეტიც, ამ რეზერვის მობილიზებით, რომელსაც ე.წ. უბნის ლიდერები ახორციელებენ, ერთგვარად თავიანთი მხარდამჭერების მოაზრება ხდება. ისინი ამ ადამიანებს ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებად მოიაზრებენ. ეს მიუღებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის. მოვა დრო და ყველაფერს ღიად ვიტყვით — რატომ, როგორ და რანაირად კეთდება ეს. როდესაც რეალური საფრთხე არსებობს, ასეთი მიდგომა სამხედრო სამოქალაქო ურთიერთობების მიმართ დამღუპველია.

**— საქართველოში კლინტონის ვიზიტია დაგეგმილი, რასაც ირანთან შესაძლო კონფლიქტის დაწყებას უკავშირებენ. როგორია რეალობა, რა მიზნით ჩამოდის იგი საქართველოში?**

— აშშ-სთვის პრიორიტეტია საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. ამას მოწმობს ის, რომ გუშინ ღამე, ობამამ საკუთარი ინიციატივით დაურეკა სააკაშვილს და მოსთხოვა თანასწორუფლებიანობის, პოლიტიკური კონკურენციის უზრუნველყოფა. მიანიშნა — ადგილი არ ჰქონდეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასო. ამიტომ კლინტონის ვიზიტი მიმართული იქნება იქითკენ, რომ ადგილზე გაეცნოს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას.

**— თუმცა, სააკაშვილს არ ადარდებს არც აშშ-ს, არც დასავლეთის პოზიცია.**

— იგი ცდილობს დემონსტრირებას, თითქოს ნაკლებად ადარდებს სხვა ქვეყნების წარმომადგენლების აზრი. ეს მიმართული იყო იმისკენ, რომ დასავლეთი შედრკეს და იფიქროს — თუ დემოკრატიას მოვითხოვთ, სააკაშვილი შეიძლება დიქტატურისკენ წავიდეს და ჩაიკეტოს. მაგრამ სააკაშვილმა კარგად იცის, რომ დასავლეთის გარანტიების გარეშე ვერ შეძლებს ძალაუფლების შენარჩუნებას და პოლიტიკურ სამარესაც გაითხრის. სააკაშვილი იძულებული გახდა დასავლეთის მხრიდან არჩევნების გრძელვადიანი მონიტორინგი მოეთხოვა, ივანიშვილს კი ექნება პოლიტიკური სტატუსი არჩევნებში. ეს ყველაფერი მოწმობს, რომ მიშა იძულებულია არჩევნებთან მიმართებაში დათმობებზე წავიდეს. რაც უფრო მეტი დამკვირვებელი იქნება, რომელიც სააკაშვილის დიქტატორულ მიდგომებს აღმოაჩენს, მით უფრო გაუადვილდება „ქართულ ოცნებას“ მოქმედება და პოლიტიკური ამოცანების განხორციელება.

**თამარ შველიძე**


იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `gaR l e t i l e bi~



***საქართველოს თანამდებობის პირთა დეკლარირებული სახელფასო შემოსავლების ვიზუალიზაცია (იანვარი-დეკემბერი 2010-2011 წწ) კანონით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება.***

***1 წლის შემოსავალი პრემიებისა და დანამატების გარეშე:***

***პრეზიდენტ – 56,640***
***პრემიერ-მინისტრი – 51,000***
***მინისტრი – 42,480***
***პირველი მოადგილე – 35,400***
***მოადგილე – 32,640***
***პარლამენტის წევრი – 24,000***
***მერი – 42,480***
***გუბერნატორი – 35,400***
***გამგებელი – 28,320***

***პრემია – 1. ფულადი ან ნივთიერი ჯილდო რაიმე დარგში წარმატებისთვის, დამსახურებისთვის. 2. მუშებისა და მოსამსახურეებისთვის დამატებითი ფულადი ანაზღაურება (ხელფასს ზევით) საწარმოო ნორმების გადაჭარბებისთვის.***

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი – წლიური ხელფასი 56 640 ლარი;

ადეიშვილი ზურაბ, იუსტიციის მინისტრი – წლიური ხელფასი 42 480 ლარი.

ახალაია ბაჩანა, თავდაცვის მინისტრი – წლიური ხელფასი 42 480 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 14 868 ლარი.

ბაინდურაშვილი კახა, საქართველოს ფინანსთა მინისტრი – წლიური ხელფასი 42 480 ლარი; წლიური ხელფასი და დანამატი 92 040 ლარი;

ბარამიძე გიორგი, მინისტრი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში – წლიური ხელფასი 42 480 ლარი; წლიური ხელფასი და დანამატი 44 250 ლარი.

ბაქრაძე დავით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე – წლიური ხელფასი 53 400 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 38 432 ლარი.

ბეჟაშვილი ლევან, კონტროლის პალატის თავმჯდომარე – წლიური ხელფასი 86 770 ლარი.

ბურჯალიანი თინათინ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე – წლიური ხელფასი 35 400 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 73 500 ლარი.

გაგლოევა ალანა, პრეზიდენტის მრჩეველი – წლიური ხელფასი 44 294 ლარი.

გვინდაძე დიმიტრი, ფინანსთა მინისტრი – წლიური ხელფასი 32 640 ლარი; წლიური პრემია 59 120 ლარი.

გილაური ნიკა, საქართველოს პრემიერ-მინისტრი – წლიური ხელფასი 51 000 ლარი; წლიური პრემია 75 241 ლარი.

გოგავა ზაზა, სასაზღვრო პოლიციის უფროსი – წლიური ხელფასი 63 954. 48 ლარი.

გოგიბერიძე კობა, საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი – წლიური ხელფასი 44 900 ლარი.

გოროზია ზაზა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი – წლიური ხელფასი 35 400 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 61 950 ლარი.

გუგავა გიორგი, ფრაქციის გარეშე დარჩენილი პარლამენტის წევრი – წლიური ხელფასი 34 380 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 5 730 ლარი.

დავითაია მირზა, სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში – წლიური ხელფასი 42 480 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 8 095 ლარი.

დარჩიაშვილი დავით, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე – წლიური ხელფასი 42 600 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 29 482 ლარი.

დეკანოიძე ხატია, შს სამინისტროს აკადემიის რექტორი – წლიური ხელფასი 71 595. 58 ლარი.

ებანოიძე ჯამბულ, იუსტიციის მინისტრის – წლიური ხელფასი 32 640 ლარი, წლიური პრემია და დანამატი 56 500 ლარი.

ვან ბაიბურთი, პრეზიდენტის მრჩეველი – წლიური ხელფასი 32 330 ლარი.

ვარძელაშვილი ვლადიმერ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი – წლიური ხელფასი 42. 480 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 35. 400 ლარი.

ვაშაძე გიორგი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე – წლიური ხელფასი 32 640 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 58 260 ლარი.

ვაშაძე გრიგოლ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი – წლიური ხელფასი 42 480 ლარი; წლიური ხელფასი და დანამატი 42. 480 ლარი.

ზოდელავა მურთაზ, მთავარი პროკურორი – წლიური ხელფასი 107 360 ლარი.

ზღულაძე ეკატერინე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე – წლიური ხელფასი 35 400 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 72 476 ლარი.

თორთლაძე გია, ფრაქცია „ძლიერი საქართველოს" თავმჯდომარე – წლიური ხელფასი 42 000 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 17 572. 49 ლარი.

კალანდაძე ნინო, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე – წლიური ხელფასი 32. 640 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 33. 870 ლარი.

კალმახელიძე ხათუნა, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი – წლიური ხელფასი 42 480 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 57 020 ლარი.

კერესელიძე დავით, მთავრობის კანცელარიის უფროსი – წლიური ხელფასი 42 480 ლარი; წლიური პრემია დანამატი 51 081 ლარი.

კერვალიშვილი გიორგი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე – წლიური ხელფასი 32 640 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 59 180 ლარი.

კერვალიშვილი რუსუდან, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე – წლიური ხელფასი 49 800 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 20. 037 ლარი;



კოტეტიშვილი ირაკლი, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი – წლიური ხელფასი 122 500 ლარი.

კუბლაშვილი კონსტანტინე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე – წლიური ხელფასი 49. 200 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 78. 200 ლარი.

ლეგაშვილი კახა, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე – წლიური ხელფასი 86 661 ლარი.

მაჭავარიანი მიხეილ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე – წლიური ხელფასი 50. 400 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 28. 772 ლარი.

მერაბიშვილი ივანე, საქართველოს შს მინისტრი – წლიური ხელფასი 42 480 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 32 175 ლარი.

მიმინოშვილი მაია, გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი – წლიური ხელფასი 83 502 ლარი.



ნათელაშვილი შალვა, ფრაქციის გარეშე დარჩენილი პარლამენტის წევრი – წლიური ხელფასი 34 380 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 32 731 ლარი.

პაპუაშვილი გიორგი, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე – წლიური ხელფასი 95 700 ლარი.

რურუა ნიკოლოზ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი – წლიური ხელფასი 42 480 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 42 520 ლარი.

როინიშვილი მიხეილ, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი – წლიური ხელფასი 91 365 ლარი.

სანაძე ლევან, შს სამინისტროს მომსახურების სააგენტო – 70 922. 2 ლარი.

სუბელიანი კობა, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი – წლიური ხელფასი 42 480 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 50 810 ლარი.

უგულავა გიგი, თბილისის მერი – წლიური ხელფასი 42 480 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 49 882 ლარი.

ურჯუმელაშვილი ტატო, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე – წლიური ხელფასი 90 400 ლარი.

ქობალია ვერა, ეკონომიკის მინისტრი – წლიური ხელფასი 42 480 ლარი.

ყანჩელი ნატალია, პრეზიდენტის მრჩეველი – წლიური ხელფასი 76 640 ლარი.

შატბერაშვილი იოსებ, ფრაქციის გარეშე დარჩენილი პარლამენტის წევრი – წლიური ხელფასი 34 380 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 5730 ლარი.

შაშკინი დიმიტრი, განათლების მინისტრი – წლიური ხელფასი 42 480 ლარი, წლიური პრემია და დანამატი 28 320 ლარი.

შოვნაძე გიორგი, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე – წლიური ხელფასი 78 460 ლარი.

ჩალაგაშვილი გურამ, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე – წლიური ხელფასი 241 615. 8 ლარი.

ჩიქოვანი ირაკლი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე – წლიური ხელფასი 241 200. 88 ლარი.

წიქარიშვილი სერგო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე – წლიური ხელფასი 61 723. 49 ლარი

ცერცვაძე ვალერიან, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე – წლიური ხელფასი 37 200 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 47 680.

ცისკარიშვილი პეტრე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე – წლიური ხელფასი 42 600 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 21 082. 49 ლარი.

ცხადაძე დავით, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე – წლიური ხელფასი 35 400 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 59 098 ლარი.

ჭაკუა დავით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე – წლიური ხელფასი 70 250 ლარი.

ჭანტურია გიორგი, საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი – წლიური ხელფასი 66 000 ლარი.

ჯავახაძე შალვა, გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი – წლიური შემოსავალი 41 730 ლარი.

ძაგანია კახაბერ, ფრაქციის გარეშე დარჩენილი პარლამენტის წევრი – წლიური ხელფასი 34 380 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 5830 ლარი.

ძაგნიძე დიმიტრი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე – წლიური ხელფასი 32 640 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 63 500 ლარი.

ძიმცეიშვილი ნიკოლოზ, თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე – წლიური ხელფასი 35 400 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 53 276 ლარი.

ხარშილაძე ნოდარ, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე – წლიური ხელფასი 32 640 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 74 902 ლარი.

ხაჩიძე გიორგი, ბუნების დაცვის მინისტრი – წლიური ხელფასი 42 480 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 29 265 ლარი.

ხეთაგური ალექსანდრე, ენერგეტიკის მინისტრი – წლიური ხელფასი 42 480 ლარი; წლიური პრემია და დანამატი 53 348 ლარი.

ხიზანიშვილი გიორგი, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსი – წლიური ხელფასი 97 400 ლარი.

ეს, რაც შეეხება საზოგადოებისთვის საინტერესო, ან საერთოდ რომ არ გაუგია მათი არსებობა, იმ პირთა შემოსავლების ოფიციალურ მონაცემებს (სხვა თანამდებობის პირთა სახელფასო მონაცემები შეგიძლიათ ნახოთ საიტზე ჭჭჭ. Iდფl.გე), ხოლო არაოფიციალურ შემოსავალს, ცხადია, ვერავინ და არავინ დაუთვლის, მით უფრო კონტროლის პალატა...

რაც შეეხება „გაღლეტილ მინისტრებს", ვანო მერაბიშვილისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ზურაბ ადეიშვილი, წლიური შემოსავლით 42 480 ლარით და ვერა ქობალია 42 641 ლარით, ყოველგვარი პრემიებისა და დანამატების („დანამატის" ოფიციალური განსაზღვრება ვერსად მოვიძიე) გარეშე დარჩენილები, კოლეგებთან შედარებით, ნამდვილად „გაღლეტილები" არიან.

საბრალონი...

**მაია ჭელიძე**

# agvistos omi ar yofila omi saqarTvelos da ruseTs Soris, es iyo omi israel-aSS-isa ruseTis winaaRmdeg saqarTvelos teritoriaze

*ინტერვიუ პოლიტოლოგ*
***ჰამლეტ ჭიპაშვილთან***

**— ბატონო ჰამლეტ, ჩვენ არაერთხელ გვქონია საუბარი საქართველოს გარშემო მტრულ გარემოცვაზე, საფრთხეებიც გაგვიანალიზებია და საშიშროებანიც, მაგრამ არასდროს გვიხსენებია ისრაელი, რომელიც თანდათან იკვეთება, როგორც მთავარი მოთამაშე ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზში.**

— ნუ მიწყენენ ჩვენი პოლიტოლოგები თუ ვიტყვი, რომ ჩვენი პოლიტოლოგია არაა ისეთ დონეზე, რომ თუნდაც რეგიონული მასშტაბის საკითხების ღრმა ცოდნა ჰქონდეთ, გლობალურ პოლიტიკაზე, საერთოდ, ზედმეტია ლაპარაკი. ჩვენი პოლიტიკა დღეს შემოფარგლულია იმით, რა თქვა ალასანიამ თარგამაძეზე, რა უპასუხა თარგამაძემ და ა.შ. არ ვუკვირდებით ქვეყნის გარეთ ვის რა დამოკიდებულება აქვს ჩვენს მიმართ და როცა პრობლემა დადგება, „მეგობრობას“ ვიშველებთ. აი, თქვენ ახსენეთ ისრაელი. ისრაელის ხსენებაზე ყველას მოაგონდება მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა. კი, ბატონო, უმიწაწყლო, გადმოხვეწილი ებრაელები ცხოვრობდნენ კავკასიაში და მათ შორის, საქართველოში. და კარგი ურთიერთობა გვქონდა. ცნობილი ამბავია ეს. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისრაელს არ ჰქონდეს თავისი ჩამოყალიბებული პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში. მას ინტერესი აქვს ქვეყნების მიმართ თავისი პოლიტიკიდან გამომდინარე, რაშიც მკვიდრად არის ჩაწნული სიონიზმი.



**როდესაც 85 წლის შევარდნაძე პრწანისიდან საქართველოს მოძღვრავს და აცხადებს — სააკაშვილს ეს არ უნდა გაეკეთებინა, ის არ უნდა გაეკეთებინა, არავინ ახსენებს მას, რომ თვითონ არის ის, ვინც დაიწყო ომი აფხაზეთში და საფუძველი დაუდო საქართველოს დანაწევრებას. მან სრულიად უსაფუძვლოდ დაიწყო ომი აფხაზეთში.**



ებრაელი მწერალი და მკვლევარი ლევ გუნინი ერთ თავის ვრცელ სტატიაში დაწვრილებით აფასებს ისრაელის სახელმწიფოს ინტერესებს კავკასიის რეგიონში. იქვეა მითითებული, რა ამოძრავებდა ისრაელს საქართველოსადმი 2008 წელს და რა დაედო საფუძვლად 2008 წლის აგვისტოს ომს.

მინდა ვთქვა, რომ იმ საომარ კონფლიქტში საქართველო არის 100 პროცენტით დამნაშავე და ეს თქვა კიდევაც ევროკავშირმა ტალიავინის დასკვნაში. სანამ საქართველო არ იტყვის ამას, სანამ თვითონ არ აღიარებს, რომ შეცდა, სანამ არ დაისჯება ის, ვინც გადადგა ეს ნაბიჯი, საქართველო ყოველთვის ასეთ დღეში იქნება.

მოდით, დავსვათ პრიმიტიული კითხვა:

**თუ საქართველო და ისრაელი მეგობრები იყვნენ, მაშინ რატომ გასწირა ისრაელმა საქართველო? ასევე შეიძლება ითქვას აშშ-ზე — რატომ უბიძგეს მათ საქართველოს რუსეთთან ომისკენ? მოდით, ასე შევხედოთ ამ საკითხს.**

**— მას ჰქონდა „საფუძველი“ — როგორც ამბობენ, იქ რკინიგზის დასაცავად შეიჭრნენ, ზოგი ამბობს ზვიადის მომხრეებს ებრძოდა აფხაზეთშიო.**

— არავითარი მსგავსი რამ არ ყოფილა. შევარდნაძეს სურდა დაეჩოქებინა არძინბა და აფხაზეთი ყოფილიყო თბილისის ყურმოჭრილი მონა...

კიდევ ვიმეორებ, სანამ ჩვენ არ ვაღიარებთ იმ შეცდომებს და დანაშაულს, რაც გვაქვს ჩადენილი, ჩვენ წელში ვერ გავსწორდებით, მუდამ ვიქნებით ტყუილების ტყვეობაში და დღეს საქართველო გახვეულია ამ ტყუილის მომწამვლელ გარსში.

**— კი, მაგრამ, რა შუაშია ამ ყველაფერთან ისრაელი?**

— სხვათა შორის, ისრაელი შუაში კი არა, დასაწყისშია. ყველაფერი მიზანმიმართულად ხდებოდა და ამისთვის ამზადებდა სააკაშვილს ისრაელი.

2008 წლის 31 ივლისამდე საქართველოში აშშ-ის მიერ მიმდინარეობდა წვრთნები, როგორ უნდა განხორციელებულიყო ტერორისტების განადგურება დასახლებულ პუნქტებში. როცა წვრთნა დამთავრდა აშშ-ი წავიდა აქედან და ჩანაცვლდა ისრაელის სპეცდანიშნულების მასწავლებლებით — ებრაელი სამხედროები, უმაღლესი პირები აწვდიდნენ ქართულ მხარეს შეიარაღებას, უპილოტო თვითმფრინავებს და ა.შ.

ისევ გუნინს მოვიშველიებ. იგი აცხადებს, რომ 2008-ში არ იყო ომი საქართველოსა და ოსებს შორის. ეს იყო ომი ისრაელისა და აშშ-ის რუსების წინააღმდეგ. ქართველები კი გამოიყენეს იმაში, რომ შექმნილიყო მუდმივი ცეცხლის წერტილი რუსეთის სამხრეთ საზღვართან. ე.ი. შექმნილიყო ახლოაღმოსავლეთისნაირი სიტუაცია. თქვენ იცით, დღე არ გაივლის ისრაელმა არ დაბომბოს ღაზას სექტორი, მშვიდი პერიოდი არის სულ რამდენიმე თვე და მერე ისევ იგივე იწყება. ისრაელი მიჩვეულია ამას.

ერთი სიტყვით, დაგეგმილი იყო, რომ აგვისტოს ომი მალე არ უნდა დამთავრებულიყო და მერე როგორ მოხდებოდა „დახმარება“ — იარაღის მიწოდება, ჯარების გამოგზავნა და ა.შ. ეს იქნებოდა სამომავლო საქმე. მთავარი იყო, რომ ომი დაიწყო.

**მთავარი ის არის, რომ რუსეთმა მოახერხა ამ ომის 2-3 დღეში ლოკალიზება, თორემ საქართველოში იქნებოდა ისეთი დაკადაკა, რაც არის ახლოაღმოსავლეთში და როგორ გავუძლებდით, ამას, ეს უკვე სხვა ამბავია.**

**— რუსებმა გადაგვარჩინეს?**

— ნუ გელიმებათ, ჩვენ კი ვეძახით ოკუპანტს, მაგრამ გაიხსენეთ, რა ხდება სირიაში. ამბობენ, რომ გამოიღვიძა სირიელმა ხალხმა, მაგრამ სირია დღეს არის საჯილდაო ქვა. იქ გარეშე ძალებმა ააგორეს სამოქალაქო ომი, რაც სისხლისგან ცლის სირიას. ანალოგიური მზადდებოდა საქართველოში. გახსოვთ, სულელმა ბაქრაძემ რომ გამოაცხადა: გამოდით, ხალხო, დანებით და ჩანგლებითო? აქ უნდა ყოფილიყო პერმანენტული სისხლისღვრა. კიდევ კარგი, გადავრჩით ამას იმით, რომ გამოვიქეცით ქართველები ბრძოლის ველიდან.

**— ასეთი არეულობა აწყობდა სააკაშვილსაც?**

— სააკაშვილს უნდოდა ბლიც-ომი. ჩაიტანა ცხინვალში ტრიბუნა და იქ აპირებდა ტრიუნაზე შედგომას და თავის გამოცხადებას დავით აღმაშენებლად.

**— კი, მაგრამ, ომი და სისხლისღვრა რატომ აწყობდა აქ ისრაელს და აშშ-ს?**

— კავკასიას მოიაზრებენ, როგორც ისრაელის კავკასიას. ისრაელთან მენტალურად ყველაზე ახლოს სწორედ კავკასიის რეგიონია. ამასთანავე, აქ არის ენერგეტიკული ინტერესებიც. კასპიის ზღვის გადაღმა არის ნავთობით მდიდარი თურქმენეთი, ყაზახეთი, ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნები, რაც დღესაც რუსეთის დაქვემდებარებაშია. ისრაელის ინტერესია ამ ნავთობის მილზე „დაჯდეს“, რაც იქნება დიდი შემოსავალი მისთვის. ამ გეგმებით დაინტერესებული იყვნენ თავის დროზე როტშილდები. ეს კლანი დღესაც ცოცხლობს და შეიძლება ითქვას, აშშ-ს აზანზარებს.

რატომ არის დღეს რუსეთში მუდმივი დაპირისპირება ე.წ. ლიბერალურ ძალებსა და პუტინს შორის? მიზეზი არის რუსი ლიბერალები, რომელთა უმეტესი ნაწილი ებრაელია — ნოვოდვორსკაია, ალბაცი, ნემცოვი და ა.შ.

**— ამას წინათ უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ — გიგა ბოკერიამ მიანიშნა რუსეთის მხრიდან საომარი პროვოკაციების მოსალოდნელობაზე. რას ფიქრობთ, რა შეიძლება მოხდეს?**

— მინდა თავიდანვე გითხრათ: რუსეთი კი არ ემზადება ომისთვის, საქართველო ყველანაირად ეცდება პროვოკაციებზე წავიდეს, თუკი შეამჩნევს, რომ ყველაფერი ისე არ მიდის არჩევნებთან დაკავშირებით, როგორაც მას სურს და აწყობს.

ჯერჯერობით ნაციონალებს შეშფოთების საფუძველი არა აქვთ, ივანიშვილის კოალიცია ბევრ შეცდომას უშვებს. მაგრამ მაინც ჩნდება სამხედრო ფორმირებები, რაც მოწმობს იმას, რომ მოსალოდნელია გაჩნდეს საზოგადოებაში ორი დაპირისპირებული მხარე არა იდეოლოგიურად და მენტალურად, არამედ ინტერესთა კონფლიქტის თვალსაზრისით.

**ირანდა კალანდაძე**

## გედევან ფოფხაძე: ბიძინა ივანიშვილმა რეალობის შეცვლის შანსი მოგვცა



კოალიცია "ქართული ოცნების" ბორჯომის რაიონული ოფისის ხელმძღვანელის, გედევან ფოფხაძის განცხადებით, „ქართული ოცნება" არა ბიძინა ივანიშვილის პერსონალური, არამედ ზოგადად ქართველი ხალხის ოცნებაა.

როგორც ინტელექტუალური კლუბის, "რა? სად? როდის" წევრმა დღეს ბორჯომში კოალიციის რაიონული ოფისის გახსნისას განაცხადა, "ბიძინა ივანიშვილმა რეალობის შეცვლის შანსი მოგვცა".

"ყველა ხედავს ბორჯომში დიდი ველის ტრასებს, საბაგირო გზებს და კინოთეატრს, რომელიც ამ ადამიანმა თავისი ჯიბიდან გააკეთა. ის ოცნება, რასაც ბიძინა ივანიშვილი გვთავაზობს, ყველამ ვიცით, რომ შეიძლება რეალობად იქცეს. ეს არ არის მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ოცნება, ეს არის ქართველი ხალხის ოცნება. იმისათვის, რომ ეს ოცნება რეალურად იქცეს, ჩვენი, ყველას პერსონალური ბრძოლის საგანად უნდა იქცეს. თუ ჩვენ არ გვენდომება, ეს უბრალო წამოწყებად დარჩება. ჩვენ შეგვიძლია რეალობა შევცვალოთ - ამის შანსი მოგვცა ბიძინა ივანიშვილმა", - განაცხადა ფოფხაძემ.

„მედიანიუსი"

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# Zmao dito CubiniZe, ar dagaviwydes, rom `oms sityvebi iwyeben da zarbaznebi agrZeleben~

ძნელია 21 საუკუნეში გლობალურ წნეხებს გაუძლო, მაგრამ ძალიან მარტივია „ჟურნალისტური წიაღსვლებისგან“ თავი შეიკავო და შენი მოსაზრებებით არათუ მცდარი სიმართლე, არამედ ცრუ გმირების წარმოჩინებით ქვეყნის საზიანო საქმე არ გააკეთო. ამ ბოლო დროს ქართულ პრესაში (არ ვიცი რატომ, თუმცა შეიძლება ვხვდებოდე) ისეთი სტატიები



გამოჩნდა, რომელიც არამხოლოდ გარკვეული პიროვნებების დაპირისპირების პროვოცირებას ემსახურება, არამედ ზოგადად ქართული სახელმწიფოებრიობისთვის არის საშიში და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ „გარკვევებში“, შეიძლება, „წყალს ბავშვიც გავაყოლოთ“, ანუ საქართველო, ღირს კი ასეთი ინტერვიუების, ფოტომასალის, ე.წ. „ალსარებებისა“ თუ იმ „ისტორიების“ გახსენება, რომლის გამოისობითაც დღემდე ღია ჭრილობით დადის ერი.

მოაზროვნე საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ არ არსებობს – ორი სიმართლე, რადგან სიმართლე ისევე როგორც ჭეშმარიტება ერთია! თუმცა, ვინ რომელი მხრიდან უყურებს სიმართლეს, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს და ადამიანიც ხშირ შემთხვევაში ისე იგებს ამა თუ იმ სიმართლეს, როგორც სურს! ოღონდაც, ვიდრე კონკრეტულ მაგალითებზე გადავალ, შეგახსენებთ, რომ ამ „ორი სიმართლის“ დამტკიცების გამო, მავანნი ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ, და სადამდე მივა ეს ყველაფერი, ღმერთმა უწყის... ეს კი უკვე წერტილოვანი იდეოლოგიური კი არა მასიური დაბომბვაა ქართული მეხსიერების და კარგია თუ ცუდი, ეს თავად განსაჯეთ.

არ დამითვლია, რამდენმა ადამიანმა დამირეკა ორი კვირის წინ, ორშაბათს დღეს... „ირინა ამოიღე ხმა, ნუ ხარ ჩუმად, ვინ ვინ და შენ ხომ მაინც კარგად იცი, რა ხდებოდა სინამდვილეში? – მიყვიროდა ტელეფონში განწირული ხმით ჩემი კოლეგა, რომელთანაც ერთად ტელევიზიაში ბევრი წელი ვიმუშავე.

დიახ, მე ტელევიზიაში მეორე არხზე პროგრამა „საღამო მშვიდობისაში“ მართლაც ვმუშაობდი მკითხველო და გუშინდელ დღესავით მახსოვს, ნაჩუქარი ვიდეო-კამერით ხელში ვინ გამიწია პირველი კონსულტაცია, „სტატიური კადრების“ უკეთ გადაღების საკითხში.

ეს იყო ერთი მაღალი, ქერა, ცისფერთვალება, ზედმეტად ზრდილობიანი და მოკრძალებული ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც დათო ერქვა სახელად და რომელიც მთელ სატელევიზიო კოლექტივს ისე უყვარდა, თვალში რომ ჩავარდნოდათ, თითს არ ამოისვამდნენ. თავიდან გვარიც კი არ ვიცოდი იმ ბიჭის, ისე, უბრალოდ, „დათკას“ ვეძახდი, მაგრამ მოგვიანებით გავიგე, რომ ბოლქვაძე იყო გვარად და მისი ოჯახიდან დედა და დაც, ჩვენთან ტელევიზიაში მუშაობდნენ. უფრო მოგვიანებით, ერთადაც მოგვიწია მივლინებაში წასვლა და მოგეხსენებათ, ვინც „პაეზდკაში არ იჭრება“, მასთან მეგობრობაც შესაძლებელია, ჰოდა, ასე დავმეგობრდით მე და დათო ბოლქვაძე.

გულახდილად გეუბნებით, პიროვნულ შეურაცხყოფად მივიღე ის გამონათქვამები, რომელიც ჩემმა კოლეგამ დიტო ჩუბინიძემ დათოს მისამართით დაწერა, მაგრამ უფრო მეტად შეურაცხყოფილი ვიყავი მას შემდეგ, რაც „ადანდალი დანდალი, ლოთი არის სარდალი“-ს მიერ (ლოთი ქობალიას ვგულისხმობ) დათო ბოლქვაძის მისამართით ნათქვამი: „არ მალაპარაკოთ მეტი, რაც მან გააკეთა მაგ ჟურნალისტმა“ – მისი სიტყვები წავიკითხე.

ჩვენთან, ჟურნალისტურ წრეებში დათო ბოლქვაძის დახვრეტის მიზეზად სულ სხვა ინფორმაციას განვიხილავდით, და ეს ეხებოდა ხობში შოთა კვირაიას მიერ დახვრეტილი ბიჭების ისტორიას, რომელიც ჩემი ინფორმაციით, დათომ გადაიღო, მაგრამ, დროთა განმავლობაში, რადგან „ვიღაცამ“ ასე ისურვა – დათოს მკვლელობა, აბსოლუტურად სხვა გარემოსა და სხვა მიზეზებით „შემოსა“ მავანმა და საზოგადოებასაც იმგვარად მიეწოდა ეს შემზარავი მკვლელობა, როგორადაც თავად სურდა რომ მოსულიყო! ანუ, კვლავ დარჩენილიყო კითხვის ნიშნები და პერიოდული ინტენსივობით, კვლავ გამოსულიყო განსახილველად აღნიშნული თემა, ოღონდაც განსხვავებული ინტერპრეტაციებით და შეფარული მიზნებით.

ერთია, როცა ნებისმიერი თემა აქტუალობას არ კარგავს და გამუდმებით უნდა წერო ჟურნალისტმა, მაგრამ მეორეა – თითქმის მივიწყებული თემებით საზოგადოების გაღიზიანებას, რა მიზანი შეიძლება უძღოდეს წინ და რას ემსახურება ის ხელმეორე ვნებათაღელვის ესკალაცია, რომელიც სულ რაღაც თვენახევრის წინ ხელახლა დაიწყო?

ძვირფასო მკითხველო! საქართველოში ბევრმა იცის, რომ მე, ჟურნალისტი ირინე გოგოსაშვილი სხვაზე ნაკლებად არ ვარ ინფორმირებული, მაგრამ ჩემი თავისთვის არასოდეს არ მიმიცია უფლება დამეწერა იმაზე მეტი, ვიდრე ვწერდი და რასაც ვწერდი, თითოეულ სიტყვას, თითოეულ წერტილ-მძიმეს ათასჯერ ვზომავდი, რათა კვლავ არ დაწყებულიყო 21 წლის წინანდელი „გარჩევები“ მავანთა გულის გასახარად. დიტო ჩუბინიძემ არ შეიძლება იცოდეს და არც იცის იმდენი, რამდენიც ჩვენ, მასზე ბევრად უფრო დიდი ასაკის ჟურნალისტების, რადგან იმ მოვლენების ეპიდცენტრში თუკი ვინმე ყოფილა, ვყოფილვარ მეც და მერწმუნეთ, იმაზე მეტი რამ ვიცი, ვიდრე ნებისმიერმა ყოფილმა ჯარისკაცმა, „სარდალმა“, ანდა ე.წ. „მოხალისემ“, რომლებიც დღეს გასაკვირი „სიზუსტით“ იხსენებენ იმას, რაც ბუნებაში ან არ ყოფილა, ანდა იხსენებენ ისე, როგორც თავად აწყობთ. ძვირფასო მკითხველო, დამეთანხმეთ, რომ ღვარძლისა და სიძულვილის მეტი არაფერი მოაქვს ამგვარ ინტერვიუებს და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნულ ინტერვიუებში მოყვანილი ისტორიების დიდი ნაწილი სამეგრელოში მომხდარ შემზარავ დანაშაულებებს ეხება, ვფიქრობ დაფიქრებად ნამდვილად ღირს, ვის უნდა აწყობდეს ამა თუ იმ ადამიანის უბედურებათა, ხელახალი მძიმე გრძნობებით მანიპულაცია და რა შეიძლება მოხდეს დროთა განმავლობაში თუკი ასეთი „მედიაომი“ არ შეწყდება?

როგორც ვფიქრობდი და როგორც ველოდი კიდეც, ზემოთაღნიშნულმა სტატიებმა თავისი ნაყოფი კვირტის დონეზე უკვე გამოიღო, მაგრამ იცის კი ვინმემ, როგორი იქნება ფინალი და რა მოსავალს მოვიმკით ჩვენ ამგვარი დაპირისპირების შემდეგ? 90-იანი წლების ტრაგედია ჯერ თბილისში, შემდეგ ცხინვალში შემდეგ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში და ბოლოს აფხაზეთში რითაც დამთავრდა, არ გვახსოვს?

აბა, გაიხსენეთ ერთი, როგორ დაიწყო ძმათა შუღლი გასული საუკუნის 90-იან წლებში? „იმან თქვა, ამან თქვა“, „იმან გვიღალატა, ამან გვიღალატა“, ანდა „ის იარაღდება, ჩვენც შევიარაღდებით“, ხომ? ანუ, ენების ტლიკინიდან, გაუაზრებელი, მეტიც, დანაშაულებრივი სტატიებით თუ ტელესიუჟეტებით დაიძაბა ვითარება, ხომ? მერედა თქვე დალოცვილებო, ბარემ ისიც ვთქვათ, ვინ იხეირა ამით და რა საჭიროა იგივეს გამეორება 21 წლის შემდეგ?

მე სიმართლის თქმა პირში მიყვარს და ახლაც ვამბობ – მაშინდელი ხელისუფლებების უდიდეს ნაწილს განა უფლება გაქვთ ვინმეს მორალის გაკვეთილები ჩაუტაროთ და თქვენი ნაბოდვარით კიდევ ერთხელ მოშხამოთ საზოგადოება?



როგორც უკვე ვთქვი, 90-იანი წლების სისხლიანი ქრონიკის ხელახალი გახსენებით უეჭველია, რომ ვიღაც ძალიან დაინტერესებულია. ეს ვიღაც კი, როგორც ყოველთვის, ჯერ არ ჩანს, მაგრამ ხვალ რომ აუცილებლად გამოჩნდება, ეჭვი გეპარებათ?

როგორც მოსალოდნელი იყო, სამეგრელოს „გულშემატკივართა“ პარალელურად სამთავრობო შეიარაღებული ძალების, კერძოდ კი „მხედრიონის ედელვაისად“ წოდებული დოდო გუგეშაშვილის ინტერვიუებმაც არ დააყოვნა და დაიწყო... ისევ დაიწყო დოკუმენტური თუ ვილაცასთან შეთანხმებული ისტორიებს ერთმანეთთან დაპირისპირება მაგრამ რისთვის? იმისთვის, რომ „ჭეშმარიტება“ დადგინდეს?! ჩემი ღრმა რწმენით ამ ფორმით, არც ჭეშმარიტება და არც სიმართლე არ დადგინდება, მაგრამ შესაძლოა, „მედია ომმა“ იმდენი კი „გააჩალიჩოს“, რომ სამეგრელო და დანარჩენი საქართველო ისევ დაპირისპიროს ერთმანეთს! აი, ამის მეშინია ძალიან და არათუ მეშინია, წინასწარ ვგრძნობ იმ უბედურებას, რაც „მავანს“ დიდი ხანია ჩაფიქრებული აქვს და განხორციელებაში კი, რატომღაც ისევ ჩვენ ქართველები ვუწყობთ ხელს.

ძვირფასო მკითხველო! ვიდრე სტატიის წერას დავიწყებდი, რამდენჯერმე გადავურეკე ჩემს ახლო მეგობრებს, ზვიადისტებს, „მხედრიონელებს“, „ანარქისტებს“ და „შევარდნაძისტებსაც“, რათა ჩემი ეჭვების საფუძველი მათთან დიალოგშივე გამომერიცხა, მაგრამ ჩემდა გასაკვირად აღმოჩნდა, რომ თითოეული მათგანი ზუსტად ისე ხედავდა ამ ყველაფერს, როგორც მე და მეტიც, ისიც მითხრეს, რომ „სააკაშვილის ხელისუფლების მიერ შექმნილი ე.წ. „რეზერვისტების“ რაზმები, შესაძლოა, სწორედ ამგვარი დაპირისპირების პროვოცირებას ემსახურებოდეს და არა არჩევნებისწინა „დაშინებასო.“

ახლა, ალბათ, ყველას გემახსოვრებათ, ირაკლი ალასანიას განცხადება: შეიარაღებული, ხელისუფლების მიერ კონტროლირებული რაზმების შესახებ და გემახსოვრებათ ისიც, რომ ირაკლიმ თავის პრესკონფერენციაზე და მოგვიანებით ტელეკომპანია „კავკასიაში“ სიტყვა „სამოქალაქო ომი“ რამდენჯერმე ახსენა! არადა, დღეს 21 წლის წინანდელი სამოქალაქო დაპირისპირების არანაირი ნიშნები რომ არ არის, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ „მიშისტები“ და ე.წ. „ოპოზიცია“ ხანდახან ერთმანეთს ტელეეთერში თუ გაუხსნიან ცეცხლს, აბა, მაშ რომელი შესაძლო „სამოქალაქო ომის“ შესახებ საუბრობდა ალასანია და რატომ ხდება, რომ ირაკლის განცხადების შემდეგ ამ შეიარაღებული რაზმების სასწრაფოდ კანონში დასაბრუნებლად ასე „შრომობს“ ხელისუფლება? ანდა შრომობს კი ნამდვილად?

მე არ ვიცი, დამიტოვებს თუ არა „საერთო გაზეთის“ რედაქტორი ვახტანგ ხარჩილავა სტატიაში ამ სტრიქონებს, რომელსაც ახლა ვწერ, მაგრამ თუ არ „მოკრეჭს“, იმასაც ვიტყვი, რომ აბსოლუტურად გაუგებარია ისიც, თუ რა მიზანს ემსახურება მეგრულ ენაზე დაბეჭდილი ზოგიერთი გამოცემა და რატომ არის დახურული ქართული საზოგადოებისთვის კრემლის კულუარებში აქტუალური, სამეგრელო – აფხაზეთის რესპუბლიკის შექმნის თემა?

მე ვიცი, რომ ჩემს მიერ თქმული ეს სიტყვები დიდ ვნებათაღელვებს გამოიწვევს, მაგრამ მერწმუნეთ, საქართველოში ბევრმა ადამიანმა იცის „მავანთა“ მიერ ამ სცენარის შესაძლო განხორციელების შესახებ და სწორედ ამიტომ დავიწყე ჩემი დღევანდელი საგაზეთო წერილი

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

სიტყვებით — „საქართველოს ხელახალი ნაწილ-ნაწილ დაგლეჯის შემზარავი პერსპექტივა შიდა თუ გარე ძალებს კვლავაც ხელეწიფება-თქო!“

ალბათ, დამეთანხმებით, რომ თბილისისთვის, როგორც საქართველოს დედაქალაქისთვის სტატუსის ჩამოსართმევად „სააკაშვილები“ დღედაღამ მუხლჩაუხრელად შრომობენ და ხვალ რომ ქუთაისში „გადეიარს“ მთელი დეპუტატობა და პარლამენტის შენობაც დასავლეთ საქართველოში გვექნება ქვეყნის დაშლის მაგალითად, არც ეს არგუმენტი გამოდგება, ჩემო ძვირფასებო?

აჭარას რომ ნელ-ნელა ვკარგავთ, არც ეს არის არგუმენტი?

მესხეთ-ჯავახეთსაც რომ საჩვენოდ არ უჩანს პირი, ან ეს არის ტყუილი?

ვლადიმერ ჟირინოვსკი ბევრს გიჟი ჰგონია, მაგრამ, აბა, გაიხსენეთ, რას ამბობდა იგი? „საქართველოსგან მალე თბილისი და ქუთაისი დარჩება და თქვენც „პოკურე“ (მტკვარზე) გასავლელიღა გექნებათ ერთმანეთთან დასაკავშირებლად და სასეირნოდ!“

ასე, რომ ფრთხილად ვიყოთ, ქართველებო!

ღვარძლით, შუღლით, ტყუილით და ცილისწამებით იბერია არასოდეს არ გაბრწყინდება!

ვისაც სამშობლო მართლაც უყვარს, წინ იხედება და ზოგჯერ სამარცხვინო ისტორიულ ეპიზოდებს ვითომაც არა ყოფილა — არცკი იხსენებს, რადგან გასახსენებელიც არაფერია!

ვიმეორებ, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ 90-იან წლების ქართული სისხლიანი ისტორიული დრამის ხელმეორედ გახსენება სრულებითაც არ მეჩვენება შემთხვევითად და ღმერთმა დაიფაროს, ის მოხდეს, რისიც არამარტო მე, არამედ ბევრ პატრიოტ ქართველსაც ეშინია.

თავშიც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, თუკი ვინმეს 90-იანი წლების სისხლიანი ქრონიკის ამსახველი დოკუმენტური მასალა ჰქონია, უპირველესად მქონია მე, ჟურნალისტ ირინე გოგოსაშვილსაც, რადგან იმ პერიოდში თითქმის ყველა „ცხელ წერტილში“, მეტეორივით სწრაფად გადავადგილებოდი და საკუთარი თვალით მაქვს ნანახი ბევრი რამ, მაგრამ ქართველთა მიერ ქართველების ულმობელ ხოცვა-ჟლეტაზე 90-იან წლების სამეგრელოს ეგზეკუციაზე, თბილისის ომზე და ა.შ. ჩემს მოგონებებში, რომელსაც გაზეთ „ქრონიკაში“ ვწერდი კრინტიც არ დამიძრავს იმიტომ, რომ ვიცოდი ამით არამარტო ვიღაცას ვატკენდი გულს, არამედ საქართველოს გავუწევდი დათვურ სამსახურს და მტერს გავახარებდი! კარგი იქნება თუ ნებისმიერი ჟურნალისტიც ასე მოიქცევა და ვიდრე ბეწვის ხიდზე გადის საქართველო — სახელმწიფოებრივად იაზროვნებს, მითუმეტეს კი მაშინ, როცა არც იმდროინდელი მოვლენების თვითმხილველი ყოფილა და არც ფიზიკური მონაწილეობა არ აქვს მიღებული იმ პროცესებში, როგორც ჟურნალისტს. კოლეგებო! ნუ გახდებით მტრის ბრმა ტყვია, მითუმეტეს მაშინ თუ მომაკვდინებელი იარაღიც მტერს უპყრია ხელთ!

**ირინე გოგოსაშვილი**

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია ბატონი* ***შალვა ოგბაიძე***



# saakaSvili — putinis gamoputinebuli mefisnacvali saqarTveloSi

**— ბატონო შალვა, როგორც არაერთი ადამიანი, გარდაცვლილებზე აღარაა საუბარი, 2011 წლის 26 მაისს თქვენც ტვინის შერყევითა და მრავალგვარი დაჟეჟილობით შეხვდით, თქვენი შვილები დაუნდობლად სცემეს, აწამეს, უფროსს პატიმრობაც შეუფარდეს. როგორ გგონიათ, რამდენადაა შესაძლებელი ამ სისასტიკის ჩამდენ ხელისუფლებასთან შვიდობიანად, არჩევნების ენით „საუბარი“.**

— აზრი, რომ თუ არ წავა ხელისუფლება არჩევნების გზით, ის აუცილებლად უნდა წავიდეს სისხლისღვრით, ეს კლიშე დაამკვიდრა თვით ამ ხელისუფლებამ და მონოპოლიზებული ტელევიზიის მეშვეობით ძალიან ბევრი ადამიანის გონებაში ჩაჯდა კიდეც. მე ვიმეორებ არაერთგზის ნათქვამს, რომ ხელისუფლება უნდა წავიდეს არჩევნებით, ოღონდ არჩევნები უნდა იყოს ისეთი, რომ ვერ გაბედოს გაყალბება, უნდა აიძულო, რომ არჩევნები იყოს გამჭვირვალე, სუფთა.

**— ამაშია საქმე, როგორ უნდა აიძულო სახლში დამჯდარმა...**

— მედია მონოპოლიზებულია; პოლიცია პოლიტიზირებულია; სასამართლო იმ ზღვარამდეც არ იცავს სამართლიანობას, რომლის იქითაც უნამუსობა იწყება; უდიდესი ზეწოლაა ადამიანებზე, რომელთა სურვილი აქვთ, თავიანთი დანაზოგიდან რომელიმე პარტიას თანადგომა გამოუცხადონ. ხედავთ, რომ დღეს კონტროლის პალატა დაკავებულია იმით, რაც მისი დანიშნულება არ არის და უმთავრესი, საარჩევნო კომისია — ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი დეპარტამენტი, რომელიც დაკავებულია მხოლოდ გარკვეული ციფრების დაწერით. ეს არის ის ხუთი დიდი „ვეშაპი“, რაზეც დგას ისეთი რამ, რასაც ჩვენ დემოკრატიულ არჩევნებს ვუწოდებთ და რომელზეც დიდწილად არის დამოკიდებული ამ ხელისუფლების მოუსავლეთში გასტუმრება მშვიდობიანად.

**— თუ ვერაფერს უხერხებ ამ „ვეშაპებს“?**

— მაშინ ეს ხელისუფლება ამბობს (ნავაროს გამოკითხვაც ადასტურებს), თქვენ შეგიძლიათ იქოთქოთოთ სამზარეულოში, სუფრაზე, სადაც გინდათ, მაგრამ არა ქუჩაში, არა დაწესებულებებში, არავითარ შემთხვევაში, მედიაში! ეს ქოთქოთი ჩაიკალით თქვენშივე, წინაალმდეგ შემთხვევაში, როგორც კი გამოხვალთ ქუჩაში, იმის ნაცვლად, რომ მოისმინონ შენი, მათგან განსხვავებული აზრი, თქვენ მოგეკვრებათ იარლიყი, რომ ხართ პუტინის ადამიანი და ამიტომ ებრძვით სააკაშვილს — მთლად გამოპუტინდა ეს უბედური!

ყველაზე საუკეთესო სიზმარშიც არ დაესიზმრებოდა პუტინს, ისეთი რამ აუსრულა სააკაშვილმა მას — თუკი 2008 წლამდე გარკვეული ხელშესახები პერსპექტივა იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, ეს პერსპექტივა მოსპო, გადასწია, არ ვიცი, რამდენი ხნით...

მე მიმაჩნია, რომ სააკაშვილი არის პუტინის მეფისნაცვალი საქართველოში, ის აკეთებს იმას, რაც უნდა პუტინს. არც ერთ მეფისნაცვალს არ მიურთმევია ხონჩით ისეთი საჩუქარი რუსეთის იმპერატორისთვის, როგორიც სააკაშვილმა მიართვა.

მინდა ვიკითხო, სად ბრძანდებოდა 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის გარემოცვა, ნაციონალური მოძრაობის ძალიან ბევრი წევრი? — წითელ ხიდთან. მე კი ვიცი, მაგრამ როდესაც ჩემი შვილი ცხინვალში იყო რეზერვისტად და მე მოხალისედ ვეწერებოდი, ისე სამარცხვინოდ, რეკორდულად მოკლე დროში დამთავრდა ეს ომი, რომ ვერც კი მოვასწარით იარაღის ხელში აღება... მე მართლა მაინტერესებს, კიდევ მე ვარ პუტინის კაცი, რომელიც მთელი ჩემი ოჯახით მზად ვიყავი დამეცვა ჩემი სამშობლო, როცა ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნები წითელ ხიდზე და თურქეთის საზღვარზე რიგში იდგნენ, როგორ გაესწროთ აქედან და რა გაეზიდათ? — სირცხვილი მათ!

**— ამ ბოლო დროს ხალხში რაღაც ძალიან ცუდის მოლოდინია, ამბობენ, რომ დენთის კასრზე და ჰაერში სისხლის სუნი ტრიალებს, თუმცა, რას გულისხმობენ, ვერავინ აკონკრეტებს...**

— ხალხის ქუჩაში გამოსვლა უნდა სააკაშვილს. მას უნდა, რომ ჰქონდეს საქართველოდან პოლიტიკურად დევნილი და შევიწროებული პრეზიდენტის სტატუსი. თვით სააკაშვილი და მისი „ნაცმოძრაობა“ რამდენსაც აკეთებს ხალხის ქუჩაში გამოსაყვანად, ამდენი არ გაუკეთებია არცერთ ოპოზიციურ ძალას.

**— აბა, რატომ არ გამოდის?**

— იმიტომ, რომ ხალხი ბრძენია. ხალხი გამოვა არა ძალისმიერი მეთოდით, არამედ ერთადერთი მოთხოვნით — „რაც შეიძლება მალე მოგვშორდი!“

მე ეჭვი არ მეპარება, რომ ხალხი გამოვა ქუჩაში, მაგრამ ეს გამოსვლა გარეგნულად იქნება უაღრესად მშვიდი, მაგრამ შინაგანად ძალიან მრისხანე, დუმილით შეძახილი — „მიშა, უნდა წახვიდე! სისხლში ამოსვრილო მკვლელო რეჟიმო, შენ უნდა დატოვო საქართველო!“

ამ ხელისუფლებას ჩვენი კი არა, სამართლის უნდა ეშინოდეს. სამართალი ერთია, არ შეიძლება ხუთი სამართალი იყოს. რეჟიმს, რომელმაც ხალხს მოუკლა შვილები, დაუჭირა ან სამსახურიდან გაუთავისუფლა ოჯახის წევრები, უსმენს, უთვალთვალებს, წაართვა ქონება, არ აქვს სასამართლოს იმედი, ყოველდღიურად ხდება ზეწოლა, არანაირი რესურსი არ აქვს, რომ დარჩეს საქართველოს პოლიტიკურ თუ სამართლებრივ სივრცეში. ეს არის დამნაშავე რეჟიმი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ უნდა გასამართლდეს!

ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ „ნაცმოძრაობაში“ ძალიან ბევრი ადამიანი შემთხვევით არის, უბრალოდ, თვლიან, რომ აღარ აქვს იქიდან გამოსვლის და ვთვლი, რომ ისინი დროზე უნდა მოეგონ გონს, დროზე თქვან „არა!“, დროზე უნდა თქვან უარი დამნაშავე რეჟიმის მიერ გაცემული დავალებებისა და ბრძანებების შესრულებაზე...

**— ხალხი რომ გამოვიდეს, როგორც თქვენ ბრძანეთ, მრისხანე დუმილით, მაშინ უნდა გამოვიდეს ყველა, ვისაც ეს ხელისუფლება ეხება და არა ისე, როგორც 26 მაისს დავკინკილობდით ჟურნალისტები პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად და „დანარჩენები“...**

— რა თქმა უნდა! ამ რეჟიმს თუ რამე შიშის გრძნობა შემორჩა, ერთადერთი რამის შიში აქვს, ეს არის საზოგადოების ერთიანობის შიში, გაერთიანების შიში ერთი ჯადოსნური ფორმულით „ყველა, დამნაშავე რეჟიმის გარდა“ — დამთავრდა.

ჩვენ არაფერს ვამბობთ უამრავ პატიოსან ადამიანზე, რომლებიც დღეს მუშაობენ ვთქვათ, სკოლებში, საბავშვო ბაღებში, საჯარო რეესტრში, სახელმწიფო კანცელარიაში, ზოგადად სახელმწიფო დაწესებულებებში, რომლებიც პატიოსნად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მე მხედველობაში მყავს ის ადამიანები, რომლებიც განაპირობებენ ამ სისხლიანი რეჟიმის სახეს, გვარს რომ ახსენებ და ეს რეჟიმი რომ წარმოგიდგება თვალწინ, ან რომ ახსენებ „ნაციონალურ მოძრაობას“ და კონკრეტული, თითებზე ჩამოსათვლელი ადამიანები რომ დაგიდგება თვალწინ.



როცა იცი, რისი ეშინია მოწინააღმდეგეს, ის უნდა გააკეთო — რაც დროზე იქნება ერთობა, მით უფრო მალე დასრულდება ეს კოშმარი, ეს მარაზმი, რაშიც დღეს საქართველო იმყოფება. ხომ ყველა ვხედავთ, რომ ყოველი დღე არის წინა დღეზე მძიმე; ყოველი ხვალინდელი დღე გვიქადის უფრო მეტ სიმძიმეს, უფრო მეტ ტერორს, თვალთვალს, სიკვდილს...

ხელისუფლების მონოპოლიზებული მედია ყოველთვის წაახალისებს იმ ინიციატივებს, როდესაც ერთი პოლიტიკოსი მეორეზე იტყვის რაღაცას და მთელი გადაცემები იგება იმაზე, იმან რა თქვა და ამან რა თქვა. ეს კეთდება იმისთვის, რომ გვერდზე დარჩეს მთავარი — ერთიანობა!

საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაზე გამარჯვება, ეს არის ერთიანობა და არაფერი ერთიანობის გარდა!

**მაია ჭელიძე**

# komentarebi ivaniSvilis moqalaqeobis sakiTxze

**მაია ფანჯიკიძე, „ქართული ოცნების" პრესსპიკერი:** — ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებაც, რომელიც რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი, არის პოლიტიკური გადაწყვეტილება. მიღებული დასკვნა დამყარებულია ტყუილსა და უკანონობაზე და საერთო არაფერი აქვს სამართლებრივ პოზიციასთან. ეს არის შეშინებული სააკაშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. შიში კი გამოწვეულია იმით, რომ სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, ივანიშვილის სახით სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა, რის გამოც შეშინებულია. თუმცა მიხეილ სააკაშვილის შიში ნამდვილად არ არის უსაფუძვლო, მან კარგად იცის ხალხის განწყობა, ნამდვილი რეიტინგები და აქედან გამომდინარე, ეშინია, არჩევნებში დამარცხების და ძალაუფლების დაკარგვის.



მიღებული დასკვნის მიუხედავად, ჩვენ ჩვენს გეგმებს არ ვცვლით და უკვე ოფიციალურად, პარტია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო" დაფუძნდება 21 აპრილს, მას დააფუძნებს ბიძინა ივანიშვილი და ის იქნება პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი და სწორედ ასეთი გეგმებით, მივაღწევთ საბოლოო გამარჯვებას.

**თინა ხიდაშელი, „რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი:** — პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მიხეილ სააკაშვილი ყოველდღიურად საკუთარი ტყუილების მსხვერპლი ხდება. მას დაკარგული აქვს ყოველგვარი რეალობის აღქმა. ის, რომ რეალობას ვეღარ აღიქვამს ხელისუფლება, იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებულლი გადაწყვეტილებიდანაც ჩანს, რადგან გადაწყვეტილება არის აბსოლუტურად უკანონო. საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს ისეთი მუხლი და განმარტება, რომლის საფუძველზეც ბიძინა ივანიშვილს უარი ეთქვა, ნატურალიზაციის საშუალებით მოქალაქეობის მიღებაზე. სამწუხაროდ, მთელი სახელმწიფო აპარატი მუშაობს იმაზე, რომ ამ ერთი კაცის ძალაუფლების დაკარგვის საფრთხეები „გააპრავონ" ნაცვლად იმისა, ემსახურონ საკუთარ ქვეყანას, საკუთარ ხალხს. თუმცა სამოქალაქო რეესტრის ამ გადაწყვეტილებით, არაფერი არ იცვლება. ბიძინა ივანიშვილი არის კოალიციის ლიდერი და დარჩება კოალიციის ლიდერად. ამ არჩევნებზე ჩვენ ბიძინა ივანიშვილთან ერთად გავალთ და შემდეგ ის გახდება პრემიერ-მინისტრი.





**კობა დავითაშვილი, „ხალხის პარტიის" ლიდერი:** — იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უკანონოა და დაკავშირებულია იმ პოლიტიკურ ზეწოლასთან, რაც სააკაშვილმა და მისმა გუნდმა დაიწყო ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლისთანავე. თუმცა ეს „ქართული ოცნების" ფუნქციონირებას არ შეაფერხებს. ჩვენ გავიმარჯვებთ არჩევნებში, შევცვლით მიხეილ სააკაშვილს და ივანიშვილი გახდება პრემიერი.

**მირანდა ნაბახტეველი**



# Tamar iovaSvili: xelisufleba, romelic ufaso sasadiloebs Tavisi piarisTvis iyenebs, sinamdvileSi xalxis genocids eweva

**„საერთო გაზეთს" უმუშევართა კავშირის თავმჯდომარე თამარ იოვაშვილი ესაუბრა.**

— უმუშევრობის პრობლემასთან დაკავშირებით, ხელისუფლების მხრიდან სულ სხვანაირი მიდგომაა აუცილებელი. პირველ რიგში, საჭიროა პოლიტიკური ნება და შემდგომ ადეკვატური ნაბიჯების გადადგმა. უმუშევრობის პრობლემის მოგვარება, მმართველი გუნდის მხრიდან პიარ-კამპანიის ხასიათს ატარებს, რაც თავისთავად კარგი და სწორი მიდგომა არაა.

საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის მიხედვით, განსაზღვრული უნდა იყოს უმუშევართა სტატუსი და უმუშევრებს სპეციალური კანონი უნდა იცავდეს, თუმცა ჯერჯერობით ამ მიმართულებით მსგავსი არაფერი კეთდება.

**— ანუ საქართველოს კონსტუტუციაში უმუშევართა დაცვის კუთხით არანაირი ნორმა არ არსებობს?**

— შრომის კოდექსში არის განსაზღრული ვინ შეიძლება ჩაითვალოს უმუშევრად, მაგრამ ეს განსაზღვრება ძალიან ბუნდოვანი და გაუგებარია. შეიძლება ითქვას, რომ უმუშევართა დაცვისთვის არანაირი ნორმა კონსტიტუციით გათვალისწინებული არ არსებობს.

**— რატომ, რა არის მიზეზი, ეს არ არის ხელისუფლების ნება?**

— თქვენ, ალბათ, გსმენიათ კახა ბენდუქიძის ლიბერალური პოლიტიკის შესახებ. ანუ ადამიანს შეუძლია თვითდასაქმებული იყოს, თავისთვის მოიძიოს სამსახური. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს არ აიტერესებს, როგორ, რა ფორმით დასაქმდები და როგორ იშოვი „პურს არსობისას". ცხადია, ეს არ არის სწორი მიდგომა და სახელმწიფომ გარკვეული ვალდებულებები საკუთარ თავზე უნდა აიღოს. ადამიანი როდესაც უმუშევარი რჩება, სახელმწიფო ვალდებულია შესაბამისი დახმარება გაუწიოს და უმუშევრობის პერიოდში გარკვეული შემწეობა დაუნიშნოს. თუ კონკრეტული ადამიანის პროფესია უკვე აღარ არის პრიორიტეტული და ის საკუთარი პროფილით მუშაობას ვეღარ ახერხებს, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები გაიაროს.

**— თუმცა, ქალბატონო თამარ, ხელისუფლებამ შექმნა პროფესიული გადამზადების ცენტრები, სადაც კვალიფიკაციის ამაღლებაა შესაძლებელი?**

— უმუშევართა კავშირში 1 500 უმუშევარია დარეგისტრირებული და ამათგან ერთ ადამინსაც არ ვიცნობ, ვისაც ხელი მიუწვდება გადამზადების კურსებზე. მგონია, ეს არის უფრო კამპანიოური ხასიათის ინიციატივები, რომელიც ხორციელდება მხოლოდ „ნაცმოძრაობის" პიარისთვის.

**— თქვენი ორგანიზაციის საშუალებით გამოაშკარავდა უფასო სასადილოში არსებული პრობლემები. უფრო კონკრეტულად, რა დარღვევები აღმოაჩინეთ?**

— სახელმწიფომ უფასო სასადილოებში დღიურ ნორმად დადგინა 900 კალორიის მიღება, რაც არის მკაცრი დიეტის ტოლფასი და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. ჩვენ ვპატრონობთ ლიბაანის №33 მცხოვრებ 15-მდე უმწეო ოჯახს, სადაც 26 ბავშვია და ისინი სარგებლობენ სწორედ იქვე ახლოს მდებარე უფასო სასადილოთი და ჩვენი დაინტერესებაც სწორედ ამის გამო მოხდა. დადგენილია, რომ ბავშვს 5-8 წლამდე 500-1800 კალორია სჭირდება და ეს მაჩვენებელი ასაკთან ერთად უფრო მატულობს. ანუ იმ 900 კალორიით, რაც სახელმწიფომ განსაზღვრა უმწეოთათვის, ფაქტობრივად, ბავშვებს დაღუპვა ემუქრებათ, ვერ განვითარდებიან, ვერც ზრდაში და ვერც გონებრივად, ანუ შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება, რომელიც უფასო სასადილოებს თავისი პიარისთვის იყენებს, სინამდვილეში ხალხს სასიკვდილოდ იმეტებს და გენოციდს უწყობს.

აღნიშნული უფასო სასადილოდან ლაბორატორიაში წავიღეთ ლობიო, რასაც უმწეოებს აჭმევენ. ლაბორატორიიდან კი შემაშფოთებელი პასუხი მივიღეთ. წესით, ლობიოში სულ მცირე 260 კალორია უნდა იყოს, იმ ლობიოში კი მხოლოდ 140 კალორია აღმოჩნდა. ლაბორატორიაში აგვიხსნეს, რომ ლობიოში გარეული იყო პური და დამატებით ცხიმი და ამ ცხიმის ხარჯზე იყო აწეული კალორაჟი. სინამდვილეში, ის ლობიო, რასაც გაჭირვებულებს აჭმევენ, ლობიოს გარდა ყველაფერია. პრაქტიკულად, ლიბანის №33-ში მცოვრები ადამიანები სასადილოში დადიან მხოლოდ პურის მისაღებად, რდგან იქ მიღებული საკვები საჭმელად უვარგისია. თუმცა რა პურსაც აძლევენ, პურს ნამდვილად ვერ დავარქმევთ. წესით, პური უნდა იყოს არანაკლებ 500 გრამი და სასადილოდან ატანენ ერთ პურს ორი ადამიანისთვის, რომელიც იწონის 430 გრამს, ანუ

**ერთ ადამიანზე დღეში გათვლილია მხოლოდ 215 გრამი პური, რაც კატასტროფაა და არის ლენინგრადის ბლოკადის ნორმა. ამიტომ ეს სიღარიბის დაძლევის პროგრამა კი არ არის, არამედ, ხელისუფლების ფარსი. ასეთივე ფარსია სოციალური დაზღვევის პროგრამაც.**

## ulufa, romelic saakaSvils ufaso sasadiloSi rigdeba, leningradis blokadis normaa




უმუშევართა კავშირის წევრებმა უკვე შევიტანეთ თბილისის მერიაში გიგი უგულავას სახელზე წერილი და ვითხოვთ უფასო სასადილოებზე, ერთიანი მონიტორინგის დაწესებას. ამასთან დავიწყეთ აქცია, სადილი გაჭირვებულებისთვის და კვირაში ორჯერ ყველა გაჭირვებულს შეუძლია ჩვენთან ოფისში ბაქოს ქუჩა №6 მობრძანდეს და წაიღოს მოხარშული ლობიო.

არ შეიძლება ხელისუფლება საკუთარ ხალხს ასე უდიერად ექცეოდეს, რადგან ქვეყანა ასეთ შემთხვევაში დაღუპისთვისაა განწირული.

**მირანდა ნაბახტეველი**

# ratom midis saqarTvelodan leliko jafariZe?!

*გვესაუბრება დიდი თეატრის ყოფილი სოლისტი, „წინააღმდეგობის მოძრაობის“ წევრი ლელიკო ჯაფარიძე*



**— ბატონო ლელიკო, ფიქრობდით, რომ ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობას დაუბრუნებდნენ? ამას კიდევ იმიტომაც გეკითხებით, რომ თქვენც სამ ათეულ წელზე მეტ ხანს რუსეთში ცხოვრობდით და იქ მოღვაწეობდით.**

— თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ მოქალაქეობას არ დაუბრუნებდნენ კაცს, რომელიც არის დიდი ქველმოქმედი, საქართველოში დაბადებული, გაზრდილი, განათლება აქ აქვს მიღებული, ნათესავები, ოჯახი აქა ჰყავს... მართალია, მეც ვცხოვრობდი საზღვარგარეთ, მაგრამ ბოლოს დავბრუნდი სამშობლოში, ჩემს საკუთარ სახლში. არ უნდა მოეცათ აქ დარჩენის უფლება? მაგრამ საქმე რაშია, იცით? ნაციონალების ეშინიათ, სასტიკად ეშინიათ, ყველაფერს კარგავენ და არ უნდა შეეშინდეთ? ესენი არიან მშიშრები. გახსოვთ, სააკოვი როგორი გასუქებული შეიჭრა პარლამენტში 2003-ში? „ბრონეჟილეტებში“ იყვნენ ყველანი გამოწყობილი.

**— დგება დრო, რომ კიდევ დასჭირდებათ ჯავშანჟილეტები? არის ამის საშიშროება?**

— გაიხსენეთ, ჩემო ირანდა, თქვენთვის 8 თვის წინ მოცემული ინტერვიუ. მაშინ ვამბობდი, რომ დამირეკეს ზუგდიდიდან — ყალიბდება შეიარაღებული რაზმი, რომელიც სისტემატიურ წვრთნებს გადისო. ამას აკეთებენ იმისთვის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნონ აციონალებმა.

## leliko jafariZe sagangebo gancxadebas akeTebs

**ახლა მე მინდა ოფიციალური განცხადება გავაკეთო თქვენი გაზეთის საშუალებით — ძვირფასო ქართველებო, საყვარელო ერისშვილებო, მოგმართავთ მე, ლელიკო ჯაფარიძე, ერთი ქართველი კაცი. ჭორვილელი ბიძინა ივანიშვილი, სისხლით და ხორცით ქართველი, ბევრი სიკეთის მკეთებელი და მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მტერი, რომელმაც მოსვლის დღიდან დააქცია ჩვენი ქვეყანა, თბილისელი სააკაშვილი, ტირე სომეხი, პირისპირ დგანან, თქვენ, ვინც ხელი მოაწერეთ ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების თხოვნას, საქართველოს ყველა ეროვნების მოქალაქეები, თუ იმ ხელმომწერ 70 პროცენტში შედიხართ, დაიცავით თქვენი მოქალაქეობრივი უფლება და თქვენი მოთხოვნა, გამოდით, არა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნების მოთხოვნით, არამედ ერთი რიგითი ქართველის დასაცავად. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ დავიცავთ ჩვენს საკუთარ მოქალაქეობასაც, რომელსაც, როცა უნდათ, მაშინ წაგვართმევენ.**

**გამოვიდეთ და რამდენიმესაათიანი მანიფესტაცია ჩავატაროთ, გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია.**

ნუ გეშინიათ, ხალხო, ნაციონალები ვეღარ შეძლებენ ჩვენზე ძალადობას. მიხეილ სააკაშვილი უკვე არის ცოცხლად მავალი მიცვალებული, მაგან დააქცია საქართველო.

**— ზოგიერთმა შეიძლება გვითხრას, რომ საქართველოში წინა პერიოდთან შედარებით, „რაღაც“ კეთდება, გზები, ხიდები, შადრევნები, საქმე იქამდეც მივიდა, რომ, ამბობენ, ერთი შადრევნიდან არაყიც კი შეიძლება გადმოვიდესო.**

— ბოდიშით და იმ კოშკიდან რომ არაყი გადმოვა, ის არაყი შეისხას ტ...-ში სააკაშვილმა, ეგება მოვიდეს ცოტა აზრზე.

**— ბატონო ლელიკო, „წინააღმდეგობის მოძრაობის“ წევრი ბრძანდებით და რა ხდება, რას აპირებთ, მოძრაობა რაიმე გეგმავს?**

— არ დავდივარ „წინააღმდეგობის მოძრაობაში“, სპეციალურად არ მივდივარ, მაგრამ იქედან წამოსვლას ჯერჯერობით, არ ვგეგმავ. მე ვარ მეომარი, მებრძოლი კაცი, ვისაც ვუერთგულებ, ბოლომდე მის გვერდით ვიქნები, მაგრამ მოხდა ისე, რომ ბევრჯერ გამყიდეს, ბევრჯერ მატკინეს გული. ახლა ამ ამბებზე არ მინდა ლაპარაკი. არ არის მაგის დრო.

მე დღეს ვარ „წინააღმდეგობის მოძრაობაში“, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მხარს ვუჭერ „ქართულ ოცნებას“.

უნდა ვთქვა, რომ „წინააღმდეგობის მოძრაობაში“ უსპეტაკესი ხალხია გაერთიანებული და მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, „წინააღმდეგობის მოძრაობა“ და ბიძინა ივანიშვილის გუნდი შეხვდეს ერთმანეთს და შეთანხმდნენ რაღაც-რაღაცებზე. ჯერჯერობით რაღაც უშლით ხელს, მაგრამ ეს შეხვედრა შედგება.

**— რა არის ეს რაღაც?**

— ვიცი, რაც არის, მაგრამ არ მინდა ახლა ამაზე ლაპარაკი. ორივე მხარეს —„ქართულ ოცნებასაც“ და „წინააღმდეგობის მოძრაობასაც“ უნდათ შეხვედრა ერთმანეთთან, არის ამის სურვილი და ჩემი აზრით, მოხდება ეს შეხვედრა.

**— თქვენი აზრით, ბურჯანაძის და ივანიშვილის შეხვედრაც შედგება?**

— არავითარ შემთხვევაში. ბატონი ბიძინა რა არის ის კაცი, თავისი ნათქვამი რომ უკან წაიღოს.

ნინო ბურჯანაძე დღეს ხალხის ნაკლებობას განიცდის, გაღარიბებულია ყველანაირად, მაგრამ, რა გგონიათ, ჩვენ რომ გამოვალთ ქუჩაში, ნინო არ გამოვა თავისი ხალხით? გამოვა, ზუსტად ვიცი, რომ გამოვა.

**— რას ნიშნავს „ნინო ბურჯანაძე გაღარიბებულია“?**

— რა გითხრათ? პარტიიდან ხალხი წავიდა. რაც შეეხება კრებას. იქ დარჩა ერთი ბელადი — ნონა გაფრინდაშვილი, ძალიან პატივსაცემი ქალბატონი, მაგრამ მას არ შეუძლია გააკეთოს ის, რომ გამოიყვანოს ხალხი ქუჩაში. იქ რჩება ელიზბარ ჯაველიძე, რეზო ესაძე. გოგი ქავთარაძე ჩამოსცილდა მაგათ და დაუბრუნდა თეატრალურ საზოგადოებას, მაგრამ უნდა გითხრათ, ელიზბარი რომ კვლავ ნინო ბურჯანაძის იმედად რჩება, ეს არ მომწონს.



**— ბოლოს და ბოლოს, მგონი, ბურჯანაძე და ივანიშვილი ერთად გამოვლენ ქუჩის აქციებზე, ივანიშვილი კი იყო ქუჩის პროტესტის წინააღმდეგი, მაგრამ სხვა გზას არ უტოვებენ.**

— ბიძინა, რამდენადაც ვიცი, არ გამორიცხავს ქუჩის აქციებს და საბოლოოდ, მიშა დამარცხდება. სულ მალე მოხდება ეს, ამაში დარწმუნებული ვარ.

**— კვლავ ნაციონალებს რომ დარჩეთ ძალაუფლება 10-20 წლით?**

— მე ჩემს სიტყვებს უკან არ წავიღებ. თუ კიდევ სააკაშვილი დარჩა ხელისუფლებაში, მეტს ვეღარ გავუძლებ. ასაკი მემატება, ბრძოლის უნარი მაკლდება და გულხელდაკრეფილი ვეღარ ვუყურებ საქართველოს დაქცევას. ამ ქვეყნიდან წასვლა მაქვს გადაწყვეტილი. არჩევნებამდე აქ ვრჩები. თუ კვლავ სააკაშვილი და ნაციონალები გაიმარჯვებენ, ავიღებ თვითმფრინავის ბილეთს და ოჯახით წავალ საქართველოდან.

**ირანდა კალანდაძე**

## მაია ფანჯიკიძე: ივანიშვილი ყოველთვის იყო საქართველოს მოქალაქე, ახლაც არის და მომავალშიც იქნება

ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების კუთხით მხოლოდ იმ სასამართლო პროცესის თვალსაზრისით იაქტიურებს, რომელიც გასული წლის ოქტომბერში მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ დაიწყო. ეს განცხადება დღეს გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე ივანიშვილის პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ გააკეთა.



„ჩვენ სარჩელი გვაქვს შეტანილი სასამართლოში და ამ სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ არსებობს უფრო მაღალი ინსტანცია — სტრასბურგი. ამ მიმართულებით რას გავაკეთებთ და როგორ გამოვიყენებთ შანსს, რომელიც გვეძლევა საქართველოს სასამართლოს გამოცხადების გადაწყვეტილების შემდეგ, ეს იურისტების განსახილველი საკითხია. სხვა მხრივ, ჩვენი მხრიდან არავითარი აქტიობა არ იქნება“, — განაცხადა ფანჯიკიძემ და დასძინა, რომ ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხი „ქართული ოცნების“ გეგმებს არ ცვლის.

„21 აპრილს ჩვეულებრივად იქნება ბიძინა ივანიშვილის პარტიის დაფუძნება. ივანიშვილმა თქვა, რომ იგი ამ პარტიას დააფუძნებს როგორც საქართველოს მოქალაქე. ამაში იგულისხმება ის, რომ საქართველოს მოქალაქეობა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ქართული პასპორტის ქონა. ივანიშვილი ყოველთვის იყო საქართველოს მოქალაქე, ახლაც არის და მომავალშიც იქნება. ეს პრეზიდენტის გადასაწყვეტი მხოლოდ ქაღალდზეა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ საქართველოს პასპორტი და მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილს ქართველმა ხალხმა მიანიჭა. სწორედ ეს იყო ნაგულისხმევი მის განცხადებაში. „ქართულ ოცნებას“ აქვს კონკრეტული გეგმები. ოქტომბრის არჩევნებამდე გაწერილ ამ გეგმებში არაფერი იცვლება. პარტიის დაფუძნება მოხდება ივანიშვილის უშუალოდ მონაწილეობით და თავმჯდომარეობით. ამავდროულად, გათვალისწინება იქნება ყველა ის რეგულაცია, რომელიც პარტიის დაარსებისთვის არის საჭირო“, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

მან ქართული ოცნების გეგმების შესახებ ვრცლად საუბრისაგან თავი შეიკავა.

„გირჩევთ, დაელოდოთ მოვლენათა განვითარებას და ამ გეგმის შემადგენელ ნაწილს ნელ-ნელა გაეცნობით“, — აღნიშნა მან.

ჟურნალისტების კითხვა, აპირებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი, ისარგებლოს იმ საკანონმდებლო ცვლილებით, რომლის ინიციატორობით ქრისტიან-დემოკრატები არიან, ფანჯიკიძე აცხადებს, რომ ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ აქვთ გეგმა, რომელიც შესრულდება იმისდა მიუხედავად, მიიღებს თუ არა ივანიშვილი ქართულ პასპორტს.

„ამ გეგმაში არც აქამდე შეცვლილა რამე და არც ამის შემდეგ შეიცვლება“, — აღნიშნა მან.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# iranSi ufro meti demokratiaa vidre saqarTvelosa da ruseTSi

**ვესაუბრებით ექსპერტ-პოლიტოლოგს, ბატონ პაატა ზაქარეიშვილს**

**— ბატონო პაატა, თქვენი აზრით, მოსალოდნელია საფრთხეები აშშ-ი-ირანის დაპირისპირების შემთხვევაში?**

— რაც შეეხება ირანის პრობლემას, ეს გარკვეულია. ირანთან ომს არავინ აპირებს. შტატებს საქართველო გამოადგებოდა იმ შემთხვევაში, თუ გაგრძელდებოდა ხანგრძლივი საომარი ოპერაციები. ახლა თუ მაინცდამაინც რაიმე მოხდება, ეს იქნება საომარი ქმედება ზღვაზე და წერტილოვანი დარტყმები. საქართველო კი აქ არავის სჭირდება. ამასთან, ირანში ახლო მომავალში მოსალოდნელია სერიოზული ძვრები, შიდა ელიტაში არის დაპირისპირება, უკვე დროა აჰმედ ნეჯადი შეიცვალოს, ალბათ, ასეც მოხდება. დამერწმუნეთ, ირანში უფრო მეტი დემოკრატიაა, ვიდრე საქართველოსა და რუსეთში.

ერთი სიტყვით, კონგრესში გამოსვლამ გამოიწვია სააკაშვილის კონვულსიები. არჩევნებამდე ჩვენ კიდევ ბევრი კონვულსიის მომსწრე გავხდებით.

**— ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ბატონმა სოსო ცინცაძემ აღნიშნა, რომ ამერიკის ელჩმა ჯონ ბასმა გადააჭარბა თავის უფლებებს. შეიძლება ამგვარი კრიტიკული გამოსვლა ჩაითვალოს ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევად?**



— მე თუ მკითხავთ, ელჩმა კი არა, სოსო ცინცაძემ გადააჭარბა. ელჩები გაცილებით მკაცრები ყოფილან ლიბიაში, სირიაში, ეგვიპტეში. საქართველო დაადგა ამ ქვეყნების გზას, ამიტომ ელჩები აქაც ასე იქცევიან.

**— პარლამენტის ქუთაისში გადატანა რა როლს ითამაშებს პერსპექტივაში?**

— სახელმწიფოს მართავს ვანო მერაბიშვილი და შინაგან საქმეთა სამინისტრო. პარლამენტი უუნაროა, აქ არაფერს აკეთებს და თქვენ როგორ ფიქრობთ, ქუთაისში იმუშავებს? საზოგადოებას აქვს იმედი, რომ პარლამენტში მოხვდება ოპოზიცია, რის შედეგადაც წავა აქტიური პოლიტიკური პროცესები და ამისი სააკაშვილს ეშინია. ქუთაისში პარლამენტის გადატანით უნდა პოლიტიკური ძალების დაქსაქსვა, რათა არ მოხერხდეს ხელისუფლების დემონტაჟი. მაინც მოხერხდება. საქართველოს ხელისუფლება ასეთი უუნარო არასდროს ყოფილა.

**— ყველაფერ ამის ფონზე როგორ გაგრძელდება რუსეთთან ურთიერთობა? მოსალოდნელია მდგომარეობის დაძაბვა და კიდევ ომის პროვოცირება?**

— რუსეთთან რაღა ომი უნდა წამოიწყოს სააკაშვილმა, რუსები აქვე დგანან. სამხედრო რესურსები ამოწურულია, „რაგატკებით“ ხომ არ იბრძოლებს? სააკაშვილი თავის ხალხთანაა მაგარი, ქართველთჭამიაა, თორემ არავისთან ომის თავი არ აქვს. მას ახლა აწყობს რუსეთთან დაპრისპირებული პოზიცია წინასაარჩევნოდ. ასევე, არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველო მუშაობს ლოზუნგით: „ლაპარაკი საქმის ნაცვლად“ და რუსეთი მუშაობს ლოზუნგით: „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“.

**— თქვენ ყოველთვის აღნიშნავდით, რომ ქვეყნისთვის ერთ-ერთი უმთავრესი გამოსავალი არის არჩევნებზე მოსახლეობის მაქსიმალური აქტიურობა. არ გამორიცხავთ, რომ მომავალ საშემოდგომო არჩევნებზე მასიურ გაყალბებებს ჰქონდეს ადგილი? შეუშლის გაყალბებას ხელს არჩევნებში მასიური მონაწილეობის მიღება?**

— ყველაზე ეფექტური ფორმა გაყალბების წინააღმდეგ არის მოსახლეობის აქტიურობა. ამ სიტყვებს მე ჰაერზე კი არ ვამბობ. ეს არ არის ერთადერთი გამოსავალი, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა იმისა, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ გაყალბების მცდელობა. ნებისმიერ სახელმწიფოში ამომრჩეველთა 80 პროცენტი არჩევნებზე თუ მიდის, ხელისუფლებას აღარ შესწევს ძალა მაქსიმალურად გააყალბოს. დარღვევები იქნება, რა თქმა უნდა, მაგრამ მასობრივად ვერ მოხერხდება. ანუ მე არჩევნებზე მისვლაში ვგულისხმობ გაყალბების წინააღმდეგ ქმედებას. თუ ხელს ჩაიქნევ, იტყვი, რომ აზრი არ აქვს მისვლას, მაშინ ნურას უკაცრავად, სხვების დახმარების იმედი ნუღარ გექნება. ქართული ოპოზიცია ისეთი ძლიერი, როგორიც დღესაა, არასოდეს ყოფილა. მას აქვს საშუალება დააკომპლექტოს უბნები სანდო კომისიის წევრებით, დამკვირვებლებით. მსოფლიო დაინტერესებულია საქართველოში ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები, ამიტომ ბევრი დამკვირვებელი ჩამოვა დასახმარებლად. მეტსაც გეტყვით, მომავალი საპარლამენტო არჩევნები იქნება ყველაზე მეტად დაცული არჩევნები, რაც აქამდე ყოფილა.

**თამუნა ქადაგიძე**

# saqarTvelos xelisuflebis `axali migneba~ _ kiberTvalTmaqcoba

მკითხველს შევახსნებ, რომ მიმდინარე წლის თებერვლის დასაწყისში პარლამენტში განსახილველად შევიდა კანონპროექტი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ და მარტში განხილვასაც შეუდგნენ შესაბამისი კომიტეტები. კანონპროექტი რომ საქართველოს სახელგატეხილი სახელმწიფო მოხელეებისა და მთავრობის ხელში ინტერნეტსივრცეზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების მცდელობის ეჭვს რომ არ ბადებდეს, ცხადია, სალაპარაკოც არაფერი იქნებოდა. ამდენად, ის, რომ აღნიშნული კანონპროექტის მიღების შემდეგ საჯარო და კერძო დაწესებულებები კიბერშეტევებისგან დაცულები იქნებიან, ჰაერში გაფანტულ სიტყვებად მოისმის. რატომ? — იმიტომ!

23 მარტს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა კიბერუსაფრთხოების სფეროში, საქართველოში პირველი სახელმძღვანელოს „კიბერ-სივრცის სამართალი“ პრეზენტაცია. სახელმძღვანელო ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის კიბერსამართლისა და უსაფრთხოების სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ფარგლებში მომზადდა.

საქართველოს ინტერნეტ-სივრცის რეალობაში კიბერ უსაფრთხოების მნიშვნელობა თვალშისაცემი გახდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, როდესაც ნათლად გამოჩნდა კიბერ-უსაფრთხოებისა და კიბერ - რეგულაციების მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის, — ჩათვალეს „საქართველოს თავებმა“. პრეზენტაცია ფურშეტით დამთავრდა და ყველა დარჩა კმაყოფილი, საქმე გააკეთეს. ნამდვილად!

კომპანია **ESET**–ის ინფორმაციით, აღმოჩენილია დაინფიცირებული კომპიუტერების ქსელი, რომელიც საქართველოს მთავრობის ოფიციალური საიტიდან იმართება. კომპიუტრული ქსელით გავრცელებული მავნე პროგრამა, ანუ აღნიშნული ბოტნეტის შექმნის მიზანია დოკუმენტებისა და ციფრული ფორმატის ვიდეო და აუდიო მასალების მოტაცება. ზიანის მომტანი ამ პროგრამის მნიშვნელოვანი თავისებურებაა, რომ შემდგომში დატაცებისა და არასანქცირებული წვდომის მიზნით, ეძებს დაინფიცირებულ **RDP(Remote Desktop Connectio)** ფორმატის ფაილებს. გარდა ამისა, ბოტს (მავნე პროგრამას) შეუძლია შექმნას აუდიო და ვიდეოჩანაწერები და შეაგროვოს ინფორმაცია ლოკალური ქსელის შესახებ. ბოტქსელი დღეისათვის აქტიურ მდგომარეობაშია.

კომპანია **ESET**–ის ტექნობლოგების ინფორმაციით **Win32/-Georbort**-ი ბოლოს 20 მარტს ამოქმედდა და ყველა შემთხვევაში, მისი არსებობა სამთავრობო საიტებზე ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხია. კომპანიის ინფორმაციით, **Win32/Georbot**–ი უპირველესად, ქართველ მომხმარებელზეა ორიენტირებული — ინფიცირებული კომპიუტრების 70% რომელთა აღმოჩენაც სპეციალისტებმა მოახერხეს, საქართველოშია განთავსებული. მას აქვს განახლების მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს შეუმჩნეველი დარჩეს ანტივირუსული პროგრამებისთვის. ბრძანების მთავარ ცენტრთან მიუწვდომლობის შემთხვევაში, ბოტნეტს აქვს სარეზერვო მექნიზმიც, სპეციალურ ვებ-გვერდზე მიერთების საშუალება, რომელიც საქართველოს მთავრობის ოფიციალური საიტის ერთ-ერთ ვებ-გვერდზეა განთავსებული.



კომპანიის ანალიტიკოსებმა მოახერხეს ბოტნეტის მართვის ცენტრში შეღწევა, დასნებოვანებული კომპიუტერების რაოდენობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, მათი მდებარეობისა და გაცემული ბრძანებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ანალიტიკოსთა ინტერესი გამოიწვია საძიებო სიტყვებმა, რომელსაც ბოროტმოქმედები საძიებლად იყენებდნენ. (თუ კომპანია ხელს ადებს საქართველოს მთავრობის ოფიციალურ საიტს, გამოდის, ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება ყოფილა ბოროტმოქმედი) საძიებო სიტყვები აღმოჩნდა: სამინისტრო, სამსახური, საიდუმლო, აგენტი, ამერიკა, რუსეთი, „ცრუ“, „ფსბ“, „კგბ“ ტელეფონი, ნომერი და ა.შ

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ რომ ბოტნეტის ისეთი შესაძლებლობა, როგორიცაა ვებ-კამერით „სამუშაო მაგიდის“ გადაღება, არაერთხელ იქნა გამოყენებული...

ის ფაქტი, რომ ბოტნეტი საქართველოს საიტს განახლებისა და ბრძანების მიღებისთვის ან ზიანის მქონე კომპიუტერული ვირუსის გასავრცელებლად იყენებდა, მიუთითებს იმაზე, რომ ბოროტმოქმედთა მთავარი სამიზნე საქართველოს მოქალაქეები არიან.

ვინაიდან ამ საფრთხის ტექნიკური რეალიზაცია საკმაოდ დაბალი ხარისხისაა, გამოითქვა სპეციალისტთა ვარაუდი, სახელმწიფოს მიერ რომ ფინანსდებოდეს, ტექნიკურად უფრო დახვეწილი და დაფარული იქნებოდაო.

„ნიშანდობლივია, რომ ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფის ავტორიტეტულმა კომპანია **ESET**-მა **Win32/Georbot**-ის შესახებ იმ პერიოდში გვამცნო, როდესაც საქართველოს ხელისუფლება კიბერ-უსაფრთხოების შესახებ ახალი კანონმდებლობის მიღებას აპირებს“, — განაცხადა ინტერნეტ-ტექნოლოგიების სპეციალისტმა კონსტანტინ სტალინსკიმ.

რა იგულისხმა სტალინსკიმ, „ნიშანდობლიობაში“ დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან საქართველოს მოქალაქეებისთვის სწორედ რომ ნიშანდობლივია, ეს საქართველოს მთავრობის ხელწერაა მსოფლიოს დასანახად, სიტყვა ერთია, საქმე — მეორე...

ბოტნეტის მეშვეობით შესაძლებელია ინტერნეტის გათიშვა, სერვერის გათიშვა, ქსელის ბარათის გადაწვა და ა.შ

როგორ გავიგოთ არის თუ არა თქვენი კომპიუტერი „ზომბირებული“.

თუ ბოტი იმართება **IRC**-დან, შედიხართ **Start>Run>CMD** შეგყავთ **netstat** და ჩამოწერილ ცხრილ **Foregin Address**-ში თუ არის მითითებული რომელიმე **IP (Internet Protocol)** -ის გვერდზე პორტი 6667 მაშინ თქვენი კომპიუტერი „ზომბირებულია“.

როგორ მოვიშოროთ

შეხვალთ თასკ მანაგერ-ში და გადახვალთ ტაბლ **Processes**-ში, იპოვით უცნობ ფაილს და გამორთავთ. შემდეგ შეხვალთ **Start>Rum>msconfig** გადახვალთ ტაბლ **Startup**-ში და იპოვით იგივე ფაილს, ამოშლით და გადატვირთეთ კომპიუტერი.

როგორ დავიცვათ თავი

დააყენეთ მხოლოდ ლიცენზირებული ოპერატიული სისტემა და ანტივირუსული უზრუნველყოფა.

შეიძინეთ და გამოიყენეთ **Apple**-ს პროდუქცია. იგი საკმაოდ ძვირია, მაგრამ ბევრად საიმედო და სტაბილურია.

კომპიუტერზე დააყენეთ უფასო **(Open Source)** ოპერაციული სისტემა, მაგალითად, სწრაფი და საიმედო **Linux**-ის ვერსია საიტიდან **Ubuntu.com** მისი ინსტალირება შეიძლება „ვინდოუსის“ პარალელურად.

სურათზე: ბოტი აღმოაჩინა უფასო ანტივირუსმა **Avira.** საიტი განთავსებულია „კავკასუს ონლაინის“ უფასო კოლოკაციის სერვერზე.

მოამზადა **მაია ჭელიძე**

# nodar naTaZe: ivaniSvils SeuZlia bevri iseTi ram gaakeTos, rac saqarTvelos maradiulad gamoadgeba!

*ვესაუბრებით „სახალხო ფრონტის“ ლიდერს ბატონ ნოდარ ნათაძეს*

**— ბატონო ნოდარ, როგორ ფიქრობთ, ოპოზიციური პარტიების მოქმედება დღევანდელ პოლიტიკაში ჩიხში ხომ არ შევიდა, ბიძინა ივანიშვილი დაბლოკილია, გათითოკაცებული ოპოზიციონერები კი ვინ რას აკეთებს — გაურკვეველი, კვლავ ნაციონალებს დარჩებათ არჩევნების შემდეგ ხელისუფლება?**



— სააკაშვილის ხროვა, შეიძლება, დახასიათდეს ერთი ფრაზით-ესენი არიან **ინფანტილური გონების, მოქმედებით კრიმინალური ბანდა, რომელთაც აქვთ მკაფიო პოლიტიკა: საქართველოს ყოველმხრივი ნგრევა რუსეთის დავალებით, მაგრამ დასავლური ღირებულებების სახელით.** რაც იმას ნიშნავს, რომ ნგრევაც მოხდეს და დასავლეთის დისკრედიტაციაც. ეს ცალსახაა, აქ ორი აზრი არ არსებობს. საკითხავია შემდეგი. რატომ ითმენს დასავლეთი საქართველოს პრეზიდენტად რუსეთის პირდაპირ აგენტს. მე ერთი ვიცი, რომ ცხინვალის ომში რომ სააკაშვილი ბუნებრივად არ მოქცეულა, ეს მათ კარგად იციან. ის კი არ შეცდა, არამედ აგენტურულად მოიქცა. რატომ ითმენენ ამას? ამაზე მე ერთ შესაძლო პასუხს გაგცემთ, **მათ უნდათ საქართველოს სათავეში ისეთი ადამიანის ყოფნა, ვისაც ეროვნულ ცნობიერებასთან, ეროვნულ შეგნებასთან, ეროვნულ პასუხისმგებლობასთან და პროგრესის იდეასთან საერთო არაფერი აქვს!** ეს მიდგომა დასავლეთის სახელმწიფოსთვის მომგებიანი არ არის. ეს არის ჰიპოთეზა და თუ ეს ასეა ამის მიზეზი გახლავთ ადამიანის თანდაყოლილი სიზმარცე. ეს არის ადამიანის ღრმა ბუნებრივი მოთხოვნილება, ენერგიის ეკონომია.

**დანგრეული საქართველოს მართვა უფრო ადვილია ვიდრე გამართულ სახელმწიფოსთან ურთიერთობები.**

სააკაშვილმა კარგად იცის, თუ რა მოეთხოვება მას. სხვა ქვეყნებიდანაც და რუსეთიდანაც, ეს არის ის, **რომ მოახდინოს საქართველოს მოსახლეობის შეცვლა, საქართველოს ყველა რესურსი გაყიდოს, პირველ ყოვლისა, ტერიტორიის სახით, მერე ჩამოიყვანოს აქ ხუთი მილიონი უცხოელი.** ეკონომისტებისა და დემოგრაფების მიერ გათვლილია, რომ არანაირად არ არის შესაძლებელი, რომ 500 000-იანი ქალაქი „ლაზიკა“ დასახლდეს ქართველებით, ანუ მას უნდა ჩინელების, კორეელების, სომხების და თურქების ჩამოსახლება ამ ქალაქში, 22 ათასი თურქი უკვე ჩამოასახლა აჭარაში. ამით სურს სააკაშვილს აჩვენოს თავის მომხრე უცხოეთს, რომ მზადაა შეცვალოს დემოგრაფია ქვეყანაში და ამით მაინც მოიპოვოს ნდობა მათი მხრიდან. ამისათვის ის ისტორიული მასშტაბის განადგურებისათვის იმეტებს საქართველოს! ამას აკეთებს „სკამის“ შენარჩუნებისათვის.

**— რუსულ კვალს მის დავალებებში რაში ხედავთ?**

— მუშაობენ იმაზე, რომ საქართველოს სახელმწიფო მოწყობა განისაზღვროს, როგორც კონფედერაცია, ანუ როგორც სახელშეკრულებო ქვეყანა.



**სურთ, რომ დამოუკიდებელი საქართველო შევიდეს ხელშეკრულებით „დამოუკიდებელ“ აფხაზეთთან და „დამოუკიდებელ“ ოსეთთან კონფედერაციაში, იქმნება სამწევრიანი სახელმწიფო, რომელიც იურიდიულად ისეა მოწყობილი, რომ მის ნებისმიერ წევრს როცა მოესურვება, ამ კონფედერაციიდან გავიდეს, რაც ავტომატურად დაშლის ამ კავშირს.**

ეს ძველი დავალებაა, რომელიც იყო ბერეზოვსკის გეგმა და მასზე შევარდნაძეც მუშაობდა თავის დროზე.

აქ ჩადებულია რუსეთისათვის სასიცოცხლო ინტერესი. ეს არ არის მხოლოდ დაპყრობითი ხასიათის გეგმა, არამედ ამით რუსეთს სურს თავისი პრესტიჟის აღდგენა მსოფლიოს თვალში. აგვისტოს ომით რუსეთი გაბითურდა, მოახდინა დაპყრობა, რაც მსოფლიომ დაინახა. ამ გეგმის განხორციელებით კი ისინი შეძლებენ მოახდინონ თავიანთი სახელის რეაბილიტაცია. ასევე პუტინს სურს მოახდინოს თავისი თავისა და სახელის რეაბილიტაციაც — ნებისმიერი „ვანკას“ თვალში! მას დღეს გადარჩენის სხვა საშუალება არა აქვს.

**მას იმიტომ კი არ ებრძვიან, რომ ის დიქტატორია, არამედ იმიტომ, რომ ის გალახული დიქტატორია! მომავალშიც გალახვადი დიქტატორია. ამიტომ ეს ყველაფერი კარგად იცის ინტელიგენციამ, მაგრამ როცა ის მივა „ვანკას“ ცნობიერებამდე, მას მთელი რუსეთი შეებრძოლება**

იმიტომ, რომ მისი პოლიტიკისგან გამიჯვნა მოუხდებათ და ეს გამიჯვნა უნდა იყოს მკაფიო და მკვეთრი — ამიტომ მისი ჩამოგდება მოუხდებათ.

**— კონფედერაციის გეგმა ვის ეკუთვნის?**

— პრიმაკოვს, ის არის მისი ავტორი. ამ ყველაფერს ემატება კიდევ ერთი რამ. შეტევა დაიწყეს 1921 წლის კონსტიტუციაზე. მე ეს ფაქტი ამოვიკითხე ევრონიუსის გადაცემიდან. იქ თქვეს, რომ აფხაზეთი შევიდა საქართველოს შემადგენლობაში 1925 წელსო. ეს არის ტყუილი. ვინმემ ეს უნდა თქვას. თუ ჩვენი დღევანდელი კონსტიტუცია 1921 წლის კონსტიტუციის გაგრძელებაა, სააკაშვილი არ უნდა წავიდეს მის წინააღმდეგ. მაგრამ აქ სააკაშვილი გაითამაშებს ისტერიკას, პანიკურ შიშს გადაგდების საწინააღმდეგოდ, აქ კი მას რუსები კვლავ უკარნახებენ რაღაც ხრიკს, რომ ის კონსტიტუცია უარჰყონ.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილი მისი პროგრამა ჯერჯერობით არ ჩანს, რაც აძნელებს საქმეს. მე პირადად მას ვუჭერ მხარს, ამიტომ ორგანულად ვარ დაინტერესებული, მისგან გავიგო რაიმე პოზიტიური. მას შეუძლია პარლამენტში შევიდეს სერიოზული ძალით, ამიტომ უნდა აირჩიოს გრძელვადიანი სტრატეგია, მას შეუძლია ბევრი ისეთი რამის გაკეთება, რაც საქართველოს მარადიულად გამოადგება.

**ეთერ კასრელიშვილი**

# facebook

# xalxis azriT

1937 წელს მოსკოვში სტუმრად მყოფმა გერმანელმა მწერალმა ლიონ–ფოიხტ ვაგნერმა სტალინს ჰკითხა, რატომ არ ჰყავს საბჭოთა კავშირს დემოკრატიული პარლამენტი, იოსებ სტალინმა მიუგო:

—დემოკრატიული პარლამენტის საქმიანობა ძირითადად იმით გამოიხატება, რომ სიცოცხლე გაუმწარონ პასუხისმგებელ მოღვაწეებს. ხელი შეუშალონ საჭირო ღონისძიებათა განხორციელებაში, ე.წ დემოკრატიული პრესის თავისუფლება მჟღავნდება იმით, რომ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გამუდმებით ასხავენ თავს ლაფს, ანდა აიძულებენ, მთელი თავისი მოღვაწეობა მიუძღვნას უსაფუძვლო შეურაცხოფათა უარყოფას, პარლამენტურ სახელმწიფოთა მინისტრები ნაყოფიერი მუშაობის ნაცვლად თავის დროის უმეტეს ნაწილს ხარჯავენ იმაზე, რომ პასუხი გასცენ არავისათვის საჭირო შეკითხვებს და ამტკიცონ მონაჩმახი შეკამათების აბსურდულობა.

ორ ქვეყანაში სკანდირებენ პრეზიდენტის სახელს და უძღვნიან სიმღერებს, აქ და მეზობელ რუსეთში. თუ მეშლება? დადეთ ვიდეო თუ სადმე ხდება ასეთი რამ, ბავშვებიც რომ ყვიროდნენ სახელს!!! იქნებ მე არ ვიცი... მეგონა, დამთავრდა საბჭოთა კავშირი (ბევრი დადებითით - უფასო განათლება, უფასო ჯანდაცვა, მინიმალური გადასახადები და ა.შ.). ამ დროს სრული დეგენერაციის გზაა ეს პიროვნების კულტი. ნეტავ როდის დავგმობთ?! რაც არ უნდა მიყვარდეს ვინმე და ვგიჟდებოდე, ვერ წარმომიდგენია, მის სახელს "ვღრიალებდე". მაპატიეთ, თუ არ მეთანხმებით.

ბატონო ბიძინა, ამათ უპასპორტო გონიხართ და აჩვენეთ ერთი თქვენი პასპორტი :))

კაცი ქალაქის მშენებლობას შეუდგა, ათ წელიწადში უნდა დავასრულოო და ეს სადაა წამსვლელი, ამას ახლა ქაფჩას ვინ გააგდებინებს ხელიდან :)

კაცო, ეს ხალხი სულ გადაირია? განვითარებულ ქვეყანაში რამდენიმემილიონიანი სახლი რომ ვიყიდო ან მილიონიანი ინვესტიცია ჩავდო, მაშინვე მომცემენ მოქალაქეობას და ამ ადამიანმა მილიარდზე მეტი დახარჯა განვითარებად საქართველოში, ერთ პასპორტს აღარ იმსახურებს?

ბოლოს და ბოლოს აკო მინაშვილზე მეტი არ გაუკეთებია, რომელსაც ჩვენსავით, უბრალო მოკვდავებივით, ჩვეულებრივი კი არა, დიპლომატიური პასპორტი აქვს?

რად უნდა თხოვნა და პროცედურები, პირდაპირ მისცენ, მაგრამ სად აქვს ჭკუა ამ ხელისუფლებას? (არ მითხრათ, ისედაც ვიცი!)

გახსოვთ, რუსეთიდან ჩამოსულ მუსიკოსს პირდაპირ სცენაზე რომ გადასცა პასპორტი ჩვენმა შლეგმა? იმ კაცმა უთხრა, დიდი მადლობა, მაგრამ მე მოქალაქეობა არ მითხოვია, უბრალოდ, მინდა აქ კონცერტებზე გამოვიდეო... :)

დღევანდელი სამოქალაქო რეესტრის დასკვნა ბიძინა ივანიშვილისათვის მოქალაქეობის მიღებაზე უარის თქმის შესახებ არის უკანონო და სამართლებრივად დაუსაბუთებელი. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება და არა სამართლებრივი დოკუმენტი. ვფიქრობ, უმჯობესი იქნება პრეზიდენტი არ დაეთანხმოს დასკვნას და მიანიჭოს ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა. უბრალოდ, მსგავსი საქციელი არის სირცხვილი და მეტი არაფერი.

ბიჭოოოო... ფეისბუკზე მაინც გამოგეთქვათ პროტესტი ბიძინას მოქალაქეობაზე, ა?... აბა, ეხლა ცხონებული ზვიად გამსახურდია რო ყოფილიყო ცოცხალი... წარმომიდგენია, რა მოხდებოდა ეხლა მარტო თბილისში კი არა მთელს საქართველოში

ხელისუფლება, რაც უფრო მეტ მსგავს შეცდომებს დაუშვებს, მით უფრო მაღლა აიწევს ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი და მით უფრო მეტ საქართველოს მოქალაქე განეწყობა სიმპატიით მის მიმართ. ასე, რომ სანერვიულო არაფერია.



# sami Zroxa da turiko mezRapris `evropuli zRaprebi~

იმ საქართველოში, სადაც "მხედართმთავარი" შიშისგან ფორთხავს, კაკალაშვილი პოეტია, ჭიაბერაშვილი ფილოსოფოსი, თუთბერიძე პროფესორი და ქეთინო იგნატოვა ექსპერტი — გასაკვირი არაფერია, მაგრამ როგორ უნდა გაგიჭირდეს და "დაეცე ადამიანი", რომ ეროვნულობის



იმიჯით დაიწყო, მწერლობაზე პრეტენზია გქონდეს და გრანტის გამო "ანტიეროვნული მეზღაპრეობაც" დაიწყო?! "ჯინსების თაობის" ავტორიც, დღეს "გრანტების თაობის" კლასიკურ წარმომადგენლად რომ იქცა ამაში ქვემოთ დარწმუნდებით.

გრანტიც იგივე ქრთამი რომაა, გარკვეული დავალების შესასრულებლად რომ გაიცემა და არა ქველმოქმედების, სურვილისამებრ მისი განკარგვის უფლებით — ამაზე მისი მიზნობრივი დანიშნულებაც მეტყველებს. ფაქტია, რომ " ჯოჯოხეთის ახალ ქრთამად ქცეულმა გრანტმა" ბევრი ვითომ "კაი ტიპი, თბილისელი" და განათლებულიც "დაუკრეფავში გადაიყვანა". ზოგი "თამარ მეფეს ჩაუძვრა ლოგინში". "ოქროს ხანაც" დაწერა "საქართველოდან თავს დაღწეული" ორი პედერასტის ცხოვრებაზე. ზოგმა გრანტის სანაცვლოდ სამოციქულო ეკლესია და პატრიარქი ლანძღა. ზოგმაც "ჯინსების თაობით" დაწყებულმა "გრანტების თაობით" დაასრულა. ალბათ, ეს "გრანტიც" ქრთამის არ იყოს, მართლაც ისე "ანათებს ამ ჯოჯოხეთს" და "იუდას 30 ვერცხლით" ისეთი მაცდუნებელია, რომ მწერლობაზე და ეროვნულობაზე პრეტენზიის მქონე კაცს "მეზღაპრეობასაც" დაგაწყებინებს. მართალია, "ამ ზღაპრებს" ოტია იოსელიანის "დაჩის ზღაპრებთან" საერთო არაფერი აქვს, მაგრამ, სამაგიეროდ, უმაღლესი პოლიგრაფიული დონის ცარცის ქაღალდზე გამოიცემა. საბავშვო ჟურნალის "ზღაპრის პრეტენზია აქვს". რაც მთავარია, ქართველ ბავშვებს "ბავშვების დრომ" გარეკანზე დაბეჭდილი ლოთი და ნარკომანი ჯონი დეპი უნდა წარმოუჩინოს გმირად, თითქოს ქართველები საკუთარი გმირების დანაკლისს განვიცდიდეთ. ჟურნალიც სჩანს, „**USID**"-ის გრანტითაა დაფინასებული და ფასსაც — ხუთ ლარსაც თუ გავითვალისწინებთ, ჟურნალში დაბეჭდილი სტატიები და ზღაპრები საკმაოდ სოლიდური თანხებით ფინანსდება. არაფერი უშავს იმასაც, რომ ჟურნალში გამოყენებული ე.წ. "ქართული შრიფტი" ისეთი მოხაზულობისაა, რომ არათუ ბავშვს, გრაფოლოგსაც გაუჭირდება დამწერლობის წარმომადგენლობის გარკვევა? არც იმას უშავს, რომ შინაარსობრივად ე.წ. "სამი ძროხის" თითქოსდა ისტორიული ამბავიც, ერეკლე დეისაძის მსგავსთა ნაბოდვარისგან დიდად არ განსხვავდება? ერთადერთი აზრი, რაც უფროსმა შეიძლება გამოიტანოს (ბავშვი ვერაფერს გაიგებს) არის ის, რომ "ტურიკოს" კვლავაც ფულის შოვნის და "ეროვნული მეზღაპრის იმიჯის" დამკვიდრება ამოძრავებს. აბსურდული შინაარსის გამოც, ამ "ისტორიული ზღაპრის" შინაარსის განხილვა უბრალოდ იდიოტობა იქნებოდა. საინტერესო ისაა, რომ გრანტებით დაფინანსებული ასეთი "მეზღაპრეები", როგორისაც " "ტურიკო მეზღაპრე" წარმოადგენს და რომელსაც "ეროვნულობისა და საგარეჯოს კომპლექსის გამო ლამის კრუნჩხვები ემართებოდა", დღეს სააკაშვილის ანტიეროვნული კურსის დანახვა არ სურს და საზოგადოებას თავიანთი "კომპეტენტური აზრის" აუცილებლობას კვლავაც უმტკიცებენ. სხვა საქმეა, ვის სჯერა და ვის არა?! რაც ყველაზე უმსგავსობაა, ახლა ვითომდა ქართული ისტორიისა და "ქართული ზნეჩვეულებების დიდი ცოდნით" "ინტელექტუალ-მწერალ-მეზღაპრეები", უფრო სწორედ "მეჯღაბნეები" უკვე საბავშვო ბაღის ბავშვებსაც "ურევს ტვინს". გამოთქმაც: "ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო" ყველას გაგვიგია, მაგრამ თურმე "გრანტიც ანათებს ჯოჯოხეთს", რამდენადაც ეს გრანტებიც ისეთივე ქრთამია და უმეტეს შემთხვევაში, სასიკეთო და ქართული საქმისთვის არ გაიცემა. ბევრი შინაგანი სისუსტის, ბევრი უპრინციპობის, ბევრიც დაბადებიდან სიმდაბლის გამო ვერ უძლებს ასეთ ცდუნებას და ამ გრანტებზე იყიდება. გრანტს ის თვისებაც გააჩნია, რომ ის უცხოური დონორი ორგანიზაციებიდან ფინანსდება და მისი ამღები ამ ორგანიზაციების მიზნებსა და დავალებებს ასრულებს. გრანტებით დაფინანსებული პიროვნებები სწორედ "ის ინსტრუმენტია", რითაც გარეშე ძალა ყოველ ჯერზე, გაჭირვებული ქვეყნის არევასა და "სათავისო საზოგადოებრივი აზრის" შექმნას ახერხებს. გრანტით შეიქმნა: "თავისუფლების ინსტიტუტიც", "კმარაც", "ჩვენ ერთნი ვართ, ჩვენ თანასწორნი ვართ", "ლგბდგე", (ელგბდ სექსუალური უმცირესობების დამცველი) "სხვადასხვა გამჭირვალობების, სამართლიანობის" და „დემოკრატიის სახელით" შექმნილი არჩევნების გასაყალბებლად შექმნილი უამრავი ორგანიზაციებიც. ფულით მოსყიდვის აპრობირებული პრაქტიკით, სოსო ცინცაძის მიერ დღეს "არარსებულად გამოცხადებული" სწორედ მეხუთე კოლონა" მუშაობდა და დღემდე წარმატებით მუშაობს. "ამ მეხუთე კოლონის" წევრები კი არიან, როგორც რიგი "ენჯეოები", ექსპერტები და პოლიტოლოგები, ისე ე.წ. ინტელიგენციის არაერთი წარმომადგენელიც. "სკანდალური" ნაწარმოებებიც, როგორიც იყო დეისაძის „საიდუმლო სირობა", ბურჭულაძის სიბილწეები, იგივე ბულაძის "გიორგი რუსი", სწორედ ასეთი გრანტებით ფინანსდებოდა. დღეს გამინისტრებულმა, მანამდე "ქართლის დედაზე გამოლენჩებულმა", შემდეგ გაელჩებულმა, "სამართლიანი არჩევნებით" ნაცმოძრაობის მომყვანმა ჭიაბერაშვილმაც, სოროსისგან 37 000 დოლარიანი გრანტი "ახალი ქართველის პროგრამის" დასაწერად აიღო. ამ პროგრამაში კი




სწორედ ბულაძეებზე, ტურაშვილებზე და მისთანებზე კეთდება აქცენტი. "ჯინსების დარჩენილი თაობაც" ძველ "პოლიტმეძავებთან ერთად" რასაკვირველია, ახალ „გლობალურ ერაზე, იდეოლოგიასა და ახალი უფლებების დაცვაზე" გადავიდა. ნაცმოძრაობის წევრების მსგავსად, რომლებიც შრომის წიგნაკებს პირდაპირ პარლამენტარობით, მინისტრობითა და პარტიის ლიდერობით იხსნიან, დღეს "ეროვნული მოძრაობაში მონაწილეობაც" ისეთივე "სავიზიტო ბარათად" იქცა, როგორც "კომუნისტების დროს, პარტიულ-კომკავშირული საქმიანობა და პარტბილეთი". სადღაც გრანტებში ჩაიკარგა ბევრის "ეროვნული სულიცა და ის პატრიოტობაც", რომელსაც დღეს ასე ღიად, შოვინიზმს, ქსენოფობიას, რადიკალიზმსა და დესტრუქციულს უწოდებენ. ახალგაზრდებიც, რომლების ყველა პოლიტიკური ქარტეხილებისა და ეროვნული მღელვარების სათავეებთან იდგნენ და "ჯინსების თაობით" ამაყობდნენ, დღეს "გრანტების თაობად" იქცნენ. ხანგრძლივი დროით უცხოეთში საცხოვრებლად, იმ ქვეყნებში იხვეწებიან, სადაც ცხოვრება არცთუ იაფია და ლიბერასტები "გულაობენ". იქედან კი დროდადრო, ალბათ, დავალებებით ჩამოსულნი "ამერიკულ ზღაპრებსა და საბავშვო მოთხრობებსაც" გვიწერენ. ოღონდ ამ მოთხრობებში აღარც "ჯინსების თაობის სული იგრძნობა" და აღარც ის ქართულ-ეროვნული, რომლისთვის ბრძოლითაც ეს ახალგაზრდა მწერლები ეროვნულ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ. სწორედ "ჯინსების თაობის" იდეალებს ღალატობენ, რათა "ისევ ფულით "გაინათონ" ის გზა, რომელსაც ქართველს აგერ უკვე ოცი წელია „უნათებენ", ხან „თავისუფლების", ხან „პერესტროიკის", ხანაც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის" სახელით. მერე რა, ამერიკელებზეც, ინგლისელებზეც და ფრანგებზეც უკეთ თუ ვიცოდით შექსპირის, ბაირონის, ფოლკნერის, დიკენსისა და ჰემინგუეის, დიუმას ბიოგრაფიაცა და ნაწარმოებებიც. ბერძნულ, რომაულ და ეგვიპტურ მითოლოგიაშიც უკეთ თუ ვერკვეოდით?! საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მსოფლიო დონის მეცნიერებიც თუ გვყავდა. მაინც „იქ, გაღმა", რაღაც „განსაკუთრებული ხდებოდა"! ის, რასაც "ჩვენ გვიკრძალავდნენ"! ჰოდა, რადგან გვიკრძლავდნენ ე.ი. აუცილებლად "უნდა გაგვესინჯა"! ვუსმენდით "ბითლზებსაც". მოგვწონდა მოდაში შემოსული გახეხილი ჯინსები და გრძელი თმაც. (ზუსტად ისე, დღეს დაფხრეწილ-დაძონძილი ჯინსებით „ამაყად" რომ დადის "მეორადი მოხმარების ნახევარი საქართველო". ოღონდ მაშინდელისგან განსხვავებით, ახლა „გაევროპელებულ უფროს თაობასაც" ნახავთ ასე.) მაშინაც იყო „მამათა და შვილთა ბრძოლაც". უფროსებს გრძელი, ჭუჭყიანი და დაუბანელი თმებით მოარული ახალგაზრდები არ მოსწონდათ.

ახალი პოსტკომუნისტური იდეოლოგიის გამყარებას, პირველ რიგში, ახლგაზრდობის იდეოლოგიური მოწამვლა და მათი მოსყიდვა სჭირდებოდა. გაპარტახებულ, დაშლილ და დაუძლურებულ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კი ამის ყველაზე საუკეთესო საშუალებად, რასაკვირველია, ისევ „ჯინსების თაობა", ამ თაობის "მწერალ-მეჯღაბნეები", მათი მამები და ის ფული იქცა, რომელიც "საუკუნეებია ჯოჯოხეთს ანათებს". "დანგრეული იმპერიიდან" ახალი, "ამერიკულ- გლობალური იმპერიის გასანათებლად და ასაშენებელად" ეს ფულიც საუკეთესო აღმოჩნდა. "30 ვერცხლის" თანამედროვე გზად კი სხვადასხვა ლიტერატურული გამოცემებისთვის, ნაწარმოებებისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გაცემული გრანტები და "დახმარებები" იქცა. დათო ტურაშვილისთვის "ტურიკოც", გვარიდან გამომდინარე, "დიდი მეზღაპრისთვის" მეგობრების შერქმეული მისი თიკუნია და ალბათ, "მეზღაპრის" მრწამსის უკეთ გამომხატველიც. ასეთებს კი არც "ვეფხისტყაოსნის" კითხვის დღის დაწესება შველით, არც "ჯინსების თაობაზე" წერა, რადგან "მათი ეროვნულობის არსი" უკვე კარგად გამოჩნდა. "დემოკრატიის გარიჟრაჟზეც" "ჯინსების თაობაც", ალბათ, გარკვეული გრანტის სანაცვლოდ დაიწერა. შემდგომში მისი ავტორი წლობით ცხოვრობდა და "მწერლობდა" ესპანეთშიც. წიგნებსაც გამოსცემდა და დიდ ჰონორარებსაც იღებდა. უცხოეთში კი "გრანტიჭამიებსა" და ვითომდა "ეროვნული საწყისებიდან მოსულ" პიროვნებებს ისე "არ ეპატიჟებიან და აცხოვრებენ", არ ბეჭდავენ თუ "თავიანთი გავლენისა და იდეოლოგიის" ქვეშ არ მოაქცევენ.

„მეზღაპრე ტურიკოს" დიდი რეკლამა რომ არ გამომივიდეს, მისი "პროევროპული ზღაპრიდან" "სამი ძროხა" მხოლოდ რამოდენიმე ადგილს მოვიყვან, რაც სავსებით საკმარისია იმის დასანახად, რომ ერთ დროს „გარეჯის კომპლექსის გადასარჩენად მებრძოლი „მეზღაპრე ტურიკო", დღეს ნციონალების „აგიტ-პროპაგანდისტად" იქცა და რადგანაც უფროს თაობაში ეს „აღარ ჭრის", ნაცების იდეების აგიტაციას პატარა ბავშვებში ცდი-


იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ლობს. თავის "გრანტოსან მეგობრებთან" ერთად, ასეთივე "აგიტ-პროპაგანდისტი" იყო "ვარდების რევოლუციის წინაც". "მაშინაც სწამდა, რომ ნაციონალურ საქმეებში დამშვრალი გააგრძელებდა დიდი რუსთველის გზას". თუმცა, როგორც სჩანს, გრანტი და ფული იმაზე მეტია, რის დამტკიცებასაც "ტურიკო მეზღაპრე" ბავშვებისათვის ცდილობს — სწორი ეროვნული ხედვის. "მწერალ-მეზღაპრის" საინტერესო მიგნებაა ბავშვებისთვის საქართველოს ისტორიული წარსულის "ძროხების ენით" გადმოცემაც. ქართულ ხალხურ ფოლკლორს ვეფხვის, ჯიხვის, ირემის მხატვრული სახეებიც ახსოვს, მაგრამ "მეზღაპრე" მაინცა და მაინც ძროხებზე აკეთებს არჩევანს. სულხან-საბაც თავის იგავებში ცხოველების ენით ამბობდა სათქმელს, მაგრამ სად "ძროხა რომ ალაპარაკდება" და თანაც "დიდი მეზღაპრისა და მწერლის „ენით"! თანაც ძროხები, რომელიც "იმედის" სახედ ქცეული ნანიკო ხაზარაძის "ფასდაუდებელ ღვაწლსაც" ახსენებენ პატარებს! ალბათ, ლაშა ბუღაძის ორი პედერასატი გმირის მსგავსად, არც "ქართველ ძროხებს" დაედგომებათ საქართველოში და სხვადასხვა მიმართულებით "კოსმოპოლიტურ-უეროვნებო გლობალისტური მსოფლიოს" სხვადასხვა კუთხეებისკენ ამიტომაც მიემართებიან. ერთი **<u>"(თურქეთის გავლით) ევროპისკენ მიუყვება მოდერნიზებულ ავტობანებს",</u>** რომელსაც ზღაპრის გაგრძელებაში, ალბათ, "სააკაშვილის მოდერნიზებულ ავტობანებთან ერთად" აზიზიეს პატივსაცემად აშენებული მეჩეთიც დაემატება! "ვეფისტყაოსნისადმი" სიყვარულიც "ტურიკო




მეზღაპრის" ბოდვაში (სხვას ვერ დავარქმევ) იმითიც გამოვლინდა, რომ "სამი ძროხის" თათბირი, "მეზღაპრის ცნობიერებაში" "ვეფხისტყაოსნის სამთა გმირთა" თათბირთან ასოცირდება. ქართული ბუნების სილამაზის, ეროვნული მომენტების ფონზე, "მეზღაპრეს" ბავშვები თანდათან "ზღაპრის პირველი ნაწილის კვანძის გახსნისკენ" მიჰყავს. ანუ იმისკენ, რომ **<u>"ქართველებს ყოველთვის უჭირდათ თავისი ნიჭისა და უნარების სწორად გამოყენება. არადა, შრომასაც ისევე სჭირდება ორგანიზება, როგორც ყველაფერს ცხოვრებაში".</u>** „ტურიკოს ძროხების"- „სამი ძროხის" ამ ნაწილის დედააზრიც ის გახლავთ, რომ ქართველს „საკუთარი ტვინით" აზროვნების უნარი არ გააჩნია! ისე, როგორც ამას მისი კუმირი — „დიდი მიხეილ გარეკილი" გამუდმებით გვიმტკიცებს, რომ ჩვენ აუცილებლად გვჭირდება არაქართული, უცხოური გამოცდილებისა და უნარების ათვისება!

**ბაია ამაშუკელი**



სადაც ჩემი გვერდში დგომა იყო საჭირო, ყველგან ვიყავი და ვიქნები კიდეც, სადაც ჩემს მოქალაქეობრივ პოზიციას დავაფიქსირებ და თანაც აქტიურად. აზრი, რომ მე ჩემს საქმეს ვაკეთებ და პოლიტიკაში არ ვერევი, მხდალი ადამიანების გამოსავალია, მაგრამ უსამართლობამ და უბედურებამ ხომ შეიძლება ყველას კარზე დააკაკუნოს. სტუმრად ვიყავი და შემთხვევით ვნახე „იმედზე", რა ამბავი ატეხეს მოსკოვში, მართლაც საშინელ ფაქტზე, სადაც პოლიტიკური პროცესების გააქტიურებას. რამდენჯერმე ვიყავი „ქართულ ოცნებაში" სამუშაო შეხვედრაზე, საინტერესო იდეები აქვთ. თუმცა მე სულსწრაფი ადამიანი ვარ და აქტიურ ქმედებებს ველოდები. შეიძლება, აქტიურობა ჯერ საჭირო არ არის.

ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ იმედიანად განმაწყო. ანგარიშიც გავხსენი „ქართუ ბანკში". ანსამბლის გოგოებიც ჩემსავით ფიქრობენ. თუ ვინმეს გამოვადგებით ჩვენი ქვეყნის გადარჩენისთვის ბრძოლაში, ენაცვალოს ჩვენი თავი.

# `Tavisu f l eba su l s ise moswyu r da...~

*ინტერვიუ*
***ზურაბ მანჯავიძესთან***

**— ბატონო ზურაბ, ბოლო დროს საქართველოში თითქმის არ ჩანხართ. რა არის ამისი მიზეზი?**

— აზრს ყოველთვის თავისუფლად ვაფიქსირებ, ყველაფერს თავის სახელს ვარქმევ. იმიტომ მოგვიძულეს მთელი ჩვენი ანსამბლი და ლამის მტრად ვართ გამოცხადებული ამ ხელისუფლებისგან. თუმცა ეს ახალი არ არის, უკვე შეგუებულებიც ვართ, ჩვენს საქმეს მაინც ვაკეთებთ, დანარჩენი ხალხმა განსაჯოს.

**— განსხვავებული შეხედულების გამო მომღერალს უნდა აუკრძალო სცენაზე გამოსვლა?**

— რა გამართლება შეიძლება მოვუძებნოთ მსგავს დამოკიდებულებას, ეს მარაზმია. ამ საკითხზე რომ ვსაუბრობთ, ესეც კი სამარცხვინოა, ამას წინათ ერთ-ერთ სახელისუფლებო არხზე მიმიწვიეს. როგორ მოუვიდათ, არ ვიცი. ვკამათობდით ეგრეთწოდებულ შავ სიებზე, ხელისუფლების თაყვანისმცემელი მიმტკიცებდა, არაფერი მსგავსი არ არსებობსო. ისე დაჩეხეს და დაამონტაჟეს ჩანაწერი, თითქოს მე ვტყუოდი, ისე გამოვიდა. შავი სიები მართლაც რომ არსებობს და ბევრი მომღერალი თავისი აზრის გამო ათვალწუნებული რომ არის, საკამათოა ახლა ეს? სამწუხაროდ, ასეა ყველა სფეროში. საკუთარ აზრს თუ დააფიქსირებ და ეს არ იქნება მთავრობის პოზიციასთან თანხვედრაში, ამათი მტერი ხარ.

**— თქვენი ძმა, სოსო, პოლიტიკურად აქტიურია...**

— სოსოსთან ერთად ვარ „წინააღმდეგობის მოძრაობაში" ვიყავი და ვარ ყველა საზოგადოებრივ საქმიანობაში. ჩვენი თანამემამულე ახალგაზრდა პოლიციაში ცემით მოკლეს. მის ოჯახს ეყო გამბედაობა და ჩივიან სიმართლისთვის, იბრძვიან უცხო ქვეყანაში. აქ კი გავიხსენოთ ხაშურის პოლიციაში მომხდარი შემთხვევა. კაცი წაიყვანეს, მოკლეს და იმდენად გათავხედდნენ, რომ ოჯახსაც დაემუქრნენ და დაატერორეს! რომელ ქვეყანაში და გაბედავენ, რომ მოუკლან ოჯახს

**— საუბრობენ, რომ ხელისუფლება არაფორმალურ შეიარაღებულ ფორმირებას ქმნის, რაც შეშფოთებას იწვევს აქაურ მაცხოვრებლებში...**

— ზონდერჯგუფების შექმნა არახალია, მე და ჩემი ოჯახის წევრები პირადად შევეჯახეთ მათ, ჩვენზე თავდასხმას ვგულისხმობ. ახლა უფრო მწვავედ ფიქრობენ ამის გაკეთებას და რას გამოიწვევს, თვითონაც ვერ



მარჩენალი, მივიდეს ხელისუფლების წარმომადგენელი და დაემუქროს — ხმა არ ამოიღოთო! რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ. 26 მაისს ხალხი დახოცეს, მერე სახურავზე აიტანეს და დენმა დაარტყაო, უსირცხვილოდ ამტკიცებდნენ.

**— თქვენ და თქვენი ანსამბლის წევრები „ქართულ ოცნებაში" დამფუძნებელ კრებაზე იყავით. გაქვთ უკეთესი მომავლის იმედი?**

— ნამდვილად დიდი იმედია საზოგადოებაში გაჩენილი. ახლა მთავარია სწორი ნაბიჯები გადადგან. ველოდები ხვდებიან. ჭკუა არ ყოფნით, რომ გააიაზრონ, რა შედეგები მოჰყვება ამას, როგორ შეიძლება აირიოს ქვეყანა... ხალხში შიშს ნერგავენ. ეს შიში გადავა საშინელ აგრესიაში, საიდანაც ერთი ნაბიჯია სისასტიკემდე, უბედურებამდე, იგივე სამოქალაქო ომამდე. ამათ იმდენი მოახერხეს, რომ სიტყვა „პატრიოტიზმის" დევალვაცია მოახდინეს. ყველამ იგრძნოს პასუხისმგებლობა და გაიაზროს, რომ ეს ქვეყანა ყველა ჩვენგანისაა და ჩვენ ჩვენი წილი საქმე უნდა გავაკეთოთ.

**გია ბურდული**



## ბაღათურია: ანტიკორუფციული საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხის ჩაგდების გამო პასუხისმგებლობას ვერავინ გაექცევა

პოლიტიკური პარტია "ქართული დასის" ლიდერი, ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია აცხადებს, რომ პარლამენტში ანტიკორუფციული დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხს ჩავარდნის გამო პასუხისმგებლობას ვერავინ გაექცევა.

დღეს გამართულ სხდომაზე იგი 30 მარტის კენჭისყრაზე პრეზიდენტის, მისი ოჯახის წევრებისა და მთავარობის უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი კორუფციული ფაქტების გამოკვლევის და შესაბამისი რეაგირების მიზნით საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხის ჩაგდებას გამოეხმაურა.

«რა საქციელი იყო, როცა წინა სხდომაზე ანტიკორუფციული კომისიის შექმნის საკითხი ჩააგდეთ? თქვენი მოქმედებით ხელი კორუფციულ დანაშაულებს დააფარეთ და ამით ყველანი დანაშაულის დაფარვის თანამონაწილენი გახდით. ამის გამო პასუხისმგებლობას ვერცერთი თქვენგანი და ვერც პრეზიდენტი გაექცევა", — აღნიშნა ჯონდი ბაღათურიამ.

შეგახსენებთ, რომ ხსენებული კომისიის შექმნის საკითხი ფრაქციის — "ერთობა სამართლიანობისთვის" — მიერ იყო ინიცირებული. მის შექმნას მხარი კენჭისყრაში მონაწილე მხოლოდ 7-მა დეპუტატმა დაუჭირა, მისი წინააღმდეგი კი 70 დეპუტატი აღმოჩნდა.

**„მედიანიუსი"**

# visTvisac samSoblo ar aris deda misTvis ufali mama ver iqneba!!!



# ra moxda italiaSi 5 marts?

ღმერთია მოწმე, არ მინდოდა ამ წერილის დაწერა, მაგრამ „საერთო გაზეთის" რედაქტორმა, ვახტანგ ხარჩილავამ მითხრა: მოეშვი თავმდაბლობას, მერე რა რომ შენი შვილია ბექა, დაწერე რაც მოხდა იტალიაში, და ჩვენი გაზეთის მკითხველიც ჩააყენე საქმის კურსში, როგორ ასროლინა კუდით ქვა ნაც.მოძრაობას, ჩვენმა ემიგრანტებმაო. სხვა რა გზა მქონდა? მოვიმარჯვე კალამი და ვიწყებ იმის წე-



რას, რაც გაზეთ „ასავალ-დასავალშიც" უკვე თქვა ჩემმა შვილმა და რაც ჯერ არ თქმულა. როგორც გაზეთ „ასავალ-დასავალით" მკითხველმა შეიტყო, იტალიის ერთ-ერთ ქალაქში, სადაც ქართველი ემიგრანტების დიდი ნაწილია თავმოყრილი, ამ ქალაქს კი იტალიელები კალაბრიას ეძახიან, — 5 მარტს დიდი ნაციონალური ზეიმი უნდა გამართულიყო და დიასპორების მინისტრი პაპუნა დავითაია, ბუბა კიკაბიძე და სხვა მრავალ „ნაც"-ს ერთად კიდევ ერთხელ უნდა დაემუნათებინა ჩვენი XXI საუკუნის „მონები" — როგორი სანატრელი გახდა საქართველოში ცხოვრება „ნეტარი მიხეილის" ზეობის ჟამს. დიდი „ნაციონალური" ტორტიც გამოუცხვიათ, ღვინო-შამპანურიც მიუტანიათ და თურმე, ოფიციალური ღონისძიების შემდეგ ერთი კარგი მოლხენაც კი ჩაუფიქრებიათ შეხვედრის ორგანიზატორებს, მაგრამ... მაგრამ მოხდა აბსოლუტურად გაუთვალისწინებელი რამ და 500 კაციან დარბაზში, ერთი ახალგაზრდა კაცის გამოჩენამ, არათუ „ნაცების" ჩანაფიქრის თავდაყირა დაყენება შესძლო, არამედ მთელი „ნაცბნელიტა" დარბაზიდან გააქცია კიდეც. როდესაც ჩემი შვილი დარბაზში შევიდა, იტალიაში საქართველოს კონსულს ვახტანგ ანდღულაძეს უკითხავს: „ვა, ბექა შენც აქ ხარო?", რაზედაც ჩემს შვილს უპასუხია —„დიახ, მოვედი და თუ საქართველოს ხელისუფლებას დემოკრატიაზე სულ პატარა პრეტენზია აქვს, მაშინ სიტყვით გამოვალ, მივესალმები ჩემს ქართველებს და მოკლე მიმართვასაც წავიკითხავო". საღამოს ორგანიზატორ ქალბატონს, ვინმე ნინო მაზიაშვილს უთქვამს: „კი, ბატონო აქ დემოკრატიული ქვეყანაა და სიტყვის თქმის უფლება ყველას აქვსო, თუმცა, მოგვიანებით, როცა მინისტრმა პაპუნა დავითაიამ სიტყვა წარმოსთქვა, ქალბატონმა „ნაცმა" დემოკრატიის უმთავრეს პრინციპზე უცბად თქვა უარი და ჩემს შვილს მიახალა — სიტყვას არ გათქმევინებთო! დარბაზი კი თურმე ლამისაა ყვიროდა: „მიეცით სიტყვა ამ ბიჭს, იქნებ რა უნდა, რომ თქვას, რატომ არ უშვებთ სცენაზეო?" დარბაზში მჯდომი ქართველები კი, ძირითადად შუა ასაკის ქალბატონები, ქვეყნიდან გაქცეული ახალგაზრდები და თითქმის მოხუცი, ჩვენი ქართველი ემიგრანტები იყვნენ! სიტუაცია, როგორც იტყვიან „აჭრილა", „ნაცებს" დემოკრატიაში „ეჭედებოდათ" და ამ დროს, ჩემი შვილი მისულა იტალიელ ყოფილ პოლიტიკოსებთან, რომლებიც „ნაცებმა" ამ საღამოზე საგანგებოდ მიიწვიეს და უთქვამს: „ხომ ხედავთ, მეც ემიგრანტი ვარ, მაგრამ ამათ ცრუ დემოკრატიას გამოვექეცი ჩემი სამშობლოდან. საქართველოში დიქტატურა მძვინვარებს სინამდვილეში და კარგია, დღეს ამას თქვენც რომ შეესწარით! მადლობა იტალიელებს, რომ შეგვიფარეთ, დაგვაპურეთ და სამშობლოში დარჩენილი ოჯახებისთვის ლუკმა-პურის საშოვნელი სამსახურებიც მოგვეცით, მაგრამ აი, ამათმა კი, იქიდან წამოსვლა გვაიძულეს და ახლა, ხომ ხედავთ სიტყვის თქმასაც გვიკრძალავენ"-ო? ვიდრე ბექა ამას ამბობდა ამ დროს პაპუნა დავითაია, ნინო მაზიაშვილი, ვახტანგ ანდღულაძე და მთელი მათი „ნაც.ალმატებულება" სკამებიდან ამდგარან და გასასვლელისკენ დაძრულან... მიუტოვებიათ სტუმრად მოპატიჟებული ერთ დროს ქალაქ კალაბრიას დეპუტატი იტალიის პარლამენტში და დარბაზის გასასვლელისკენ დაძრულან. უფრო სწორად გაქცეულან, მაგრამ იქამდე შენობის პერიმეტრზე მდგარი პოლიციელებისთვის, ანუ კარაბინერებისთვის სავარაუდოდ ინფორმაციაც მიუციათ დარბაზში — ერთი, არალეგალი ქართველი ახალგაზრდა იმყოფება და ზომები მიიღეთო (ჩაშვება ნაცების ბუნებრივი მოთხოვნილებაა). კარაბინერებიც უცბად შეჭრილან დარბაზში და ჩემი შვილი საბუთების შემოწმების მიზეზით დარბაზიდან გაუყვანიათ, მაგრამ მალევე იმიტომ, რომ საბუთები წესრიგში ჰქონდა სიცილით შემოუყვანიათ უკან და ბოდიშიც მოუხდიათ.

დამწუხრებული, შეშინებული „ნაცები" კი წავიდნენ, მაგრამ სამაგიეროდ დარბაზში დარჩენილი ქართველობა დამდგარა „ნამეტნავად" გამხიარულებული, მაგრამ მათ მხიარულებას, მხოლოდ სცენაზე მდგარი, ნაციონალურად მომზირალი „მიმინო" — ბუბა კიკაბიძე არ იზიარებდა თურმე და როგორც ჩემმა შვილმა მითხრა — საწყალი, დაბოღმილი ბუბა ისე გამწარდა, ისე გამწარდა, რომ სულ ოკუპანტების ენაზე, ანუ რუსული სიმღერები შეასრულაო! მეტიც, ბექა განცვიფრებას ვერ მალავდა და სიცილით მეუბნებოდა: „ამ უბედურმა, ამდენი რუსული სამხედრო მარშები სად ისწავლაო?" დარბაზში, ვიდრე პაპუნა დავითაიას „ამალა" თვალს მიეფერებოდა, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც მოხდა, კერძოდ ჩემმა შვილმა, ბექა გოგოსაშვილმა და მისმა მეგობარმა, სპეციალურად ამ დღისთვის, საკუთარი დანაზოგით ნაყიდი და „ქართული ოცნების" ემბლემიანი მაისურები და კეპები ჩამოარიგეს, რომლებსაც ქართველები დიდი სიხარულით, იქვე დარბაზში სასწრაფოდ იცვამდნენ და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ჩემმა შვილმა, ვერ შეძლო ყველას სურვილის დაკმაყოფილება, ანუ მაისურების საკმარისი რაოდენობით მიტანა ემიგრანტებამდე! ბექას სულ 200 მაისური და 150 კეპი ჰქონდა და ჩვენებურები კი იმ დღეს, იმ დარბაზში 500 იყვნენ, ჰოდა ვისაც არ შეხვდათ, თურმე ეუბნებოდნენ: „რა იყო, მეტი ვერ წამოიღეო?" — ეს რა თქმა უნდა ხუმრობით იყო ნათქვამი, თორემ სინამდვილეში ვისაც მაისურები შეხვდათ და მათაც ვისაც არ შეხვდა, ერთნაირად გახარებულები იყვნენ, რადგან ჯერ ერთი ყველა იქ მისული ემიგრანტების სამშობლოდან წასვლის უმთავრესი მიზეზი სააკაშვილი და მისი სახელისუფლებო ბანდა იყო და ამ ბანდის გასტროლიორი მინისტრი კი დარბაზიდან გაქცეული და მეორე თურმე, ნუ იტყვით და 5 მარტს ქალაქ კალაბრიაში თავშეყრილ ქართველობას ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლით იმედები გაასმაგებიათ — არიქა, საქართველოში მალე დავბრუნდებით და მონობის, სულ მალე დავაღწევთ თავსო! ამიტომაც იყო, რომ ჩემს შვილს ხელიდან სტაცებდნენ მაისურებს — ეს ჩვენი დაბრუნების მაუწყებელი პირველი ნიშანიაო! გაკვირვებული იტალიელი პოლიციელები და „ნაცების" მიერ მიტოვებული ყოფილი იტალიელი დეპუტატი, თურმე განცვიფრებას ვერ მალავდნენ მხიარულების მიზეზი არ იყო, საჩუქრად მიღებული „მაიკა თუ კეპკა" და ბექასგან ითხოვდნენ ახსნას, რა ახარებდა ამდენ ქართველს?

„ხალხო, გინდათ ბუბას კონცერტის მოსმენა?" — დაუყვირია ამ დროს ვიღაცას და ქართველებსაც მიუძახებიათ —„იმღეროს, უფრო კარგ ხასიათზე დავდგებით, ოღონდ „ქართული ოცნების" მაიკა ჩაიცვას, უფრო კარგად იმღერებსო, მაგრამ ბუბასთვის ჩასაცმელი ზედმეტი მაისური აღარ აღმოჩნდა, ვერც ვერავინ გაიმეტა მისაცემად, რადგან ყველას თავისი „ოცნება" უკვე ტანზე ჰქონდა მორგებული და ამის გამო განწყობაც ამაღლებული ჰქონდა.

დარბაზში 2 უკრაინელი ქალბატონიც მჯდარა, რომელიც ალბათ პაპუნას „სასტავმა" დაპატიჟა, მაგრამ როგორც ბექამ მიამბო, ისინი ბუბას კონცერტის მოსასმენად დარჩენილან და როცა მათაც მისცა ჩემმა შვილმა მაისურები, ასე უთქვამთ — „დაი ბოგ, ჩტობ ვაში მეჩტი სბილის ი გრუზია, ვნოვ პრედსტალოს სჩასტლივოი, კაკ ეტო რანშე ბილო!"-ო. შემდეგ ამ ქალბატონებსაც გადაუღიათ ფოტოები, „ქართული ოცნების" მაისურებში გამოწყობილ ქართველებთან ერთად წასულან თავის გზაზე.

ალსანიშნავია ის გარემოება, რომ 5 მარტს კალაბრიაში ჩატარებულ ღონისძიებებზე, „ნაცებმა" თითქოსდა თავისი მომხრე ქართველები სპეც.მოსაწვევებით კი მიიპატიჟეს კონცერტზე, მაგრამ სულ რაღაც ერთ საათში, საქართველოდან გაქცეულმა ჩვენმა სისხლმა და ხორცმა, იმავე „ნაც.მოძრაობას" ზურგი აქცია და საქართველო, როგორც მათი ერთადერთი სამშობლო, სააკაშვილის და მისი ხროვის გარეშე ისურვა.



მეტიც, იმ დღესაც და ორი დღის წინ, 3 მარტს ქალაქ ბარიში ჩატარებულ კონცერტზეც, ჩვენებურებმა მკაფიოდ დააფიქსირეს თავისი აზრი და დაიმუქრნენ რომ სააკაშვილი ქართველი ემიგრანტების საარჩევნო ხმას ვერ მიიღებდა და თუკი ხმების გაყალბებას შეეცდებოდა ჭეშმარიტად „დემოკრატიულ" შტურმს, საქართველოს საელჩოსთან ვერ ასცდებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავი კი ის არის, რომ კალაბრიაში მცხოვრები ქართველებისთვის, როგორც უკვე მოგახსენეთ „ნაც.მოძრაობის" ემისრებს შეკვეთილი, ძვირფასი ტორტი, შამპანური და ღვინო შეუჭმელ-შეუსმელი დარჩა და როგორც ბექამ იხუმრა — ტორტიც კი იცინოდა, ესრა მიყო პაპუნამ, ისე გაიქცა ჩემი გემოც ვერ გასინჯაო!

მოკლედ, იტალიაში მცხოვრები ქართველები არჩევნების დღისთვის ძალიან მოტივირებული, ძალიან მკაფიოდ ჩამოყალიბებული არიან და ვნახოთ, თვითონ „ქართული ოცნების" მესვეურები რას მოიმოქმედებენ იმისთვის, რომ სააკაშვილმა ჩვენი ემიგრანტების ხმები ვერ მიითვისოს.

ბექამ ტელეფონში მითხრა: დედა, როცა ჩვენებს გამომშვიდობების დროს ვუთხარი ვისთვისაც სამშობლო დედა არ არის, მისთვის უფალი მამა ვერ იქნებათქო — ტირილი დაიწყეს, გადამეხვიენ და მითხრეს „ვინც საქართველო დაივიწყოს, ვინც გადამწყვეტ ბრძოლაში თავისი წილი დიდგორი არ დაიცვას, დაწყევლილი იყოსო" და შემოვცხეთ მრავალჟამიერი! კარაბინერები (პოლიციელები) მოგვიახლოვდნენ და „ბრავო ჯორჯიანოო" მხრებზე ხელებს გვირტამდნენ! იციან იტალიელებმა ნაღდი ხელოვნების ფასი, ვერაფერს იტყვი... სასტუმროში ღამის 12 საათზე დავბრუნდი და ვერ დავიძინე, ისეთი აჟიტირებული ვიყავი „ნაცებს" დღეს 100-ით ნული მოვუგეთ ქართველებმა და შენ, რომ იცოდე სხვა ქვეყნებშიც ასე იქნება! ისე, როგორ არ მათქმევინეს სიტყვა მაგ დამპლებმა? არ მათქმევინეს და ხომ მიიღეს, რისი ღირსებიც იყვნენ? ჯერ სად არიან, აწი ნახონ, აწი...

ძვირფასო მკითხველო! ახლა ხომ გაიგეთ, რა მოხდა იტალიაში 5 მარტს? თურმე ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო მასალაც არსებობს და



როგორც ჩემმა შვილმა მითხრა სულ რაღაც ორიოდ დღეში, ტელეკომპანია „მაესტრო“ ამ კადრებს აუცილებლად აჩვენებს! მაგრამ იცით, რა მაკვირვებს? ორშაბათს გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებულ ჩემი შვილის ინტერვიუს შემდეგ, ჩემი, „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული, იტალიაში გადახვეწილი, ყოფილი სკოლის დირექტორის მანანა გ-ს ინტერვიუების შემდეგ, რამ გააღიზიანა, ასევე ემიგრაციაში მყოფი, ე.წ. „ზვიადისტები“, რომლებსაც უდიდეს პატივს ვცემ და მათთან ინტენსიური სატელეფონო კავშირი მაქვს? ჩემთვის გაუგებარია მათი აღშფოთება, რადგან მე არასოდეს არცერთი პარტიის არათუ წევრი, არამედ აპოლოგეტიც არ ვყოფილვარ და ახლა, თუკი ვინმეს თავისი ტკივილის და პოლიტიკური გემოვნების გაზიარება, მაინცდამაინც ჩემთან უნდა, როგორც ჟურნალისტთან მე რა უფლება მაქვს, თუნდაც „ქართული ოცნების“, თუნდაც ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერს არათუ არ მოუსმინო, არამედ ნათქვამი, გაზეთში არ დავუბეჭდო?

რა ამ გაზეთის რედაქტორი და მფლობელი მე ვარ თუ რაშია საქმე?

ამ სამიოდე კვირის წინ, ეროვნული ხელისუფლების ერთ-ერთმა აქტიურმა მხარდამჭერმა, ისიც კი მაკადრა, რომ 1991 წლის 2 სექტემბერს, კინოს სახლთან პროვოკაციული და საბედისწერო გასროლა თურმე ჩემს შვილს, ბექა გოგოსაშვილს განუხორციელებია და ეს მაშინ, როცა ბექა მაშინ 10 წლის იყო და ვერანაირად ვერ იქნებოდა იმ მიტინგზე, რადგან დედაჩემთან, ლაგოდეხში იზრდებოდა და სკოლაშიც იქ დადიოდა 12 წლამდე. შემდეგ სკოლიდან გამოიპარა და სოხუმში ჩამომაკითხა, რის შემდეგაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბევრისგან განსხვავებით ძალა და ენერგია არ დაუშურებია.

დღეს ჩემი შვილის „ქართული ოცნება“ თუ სამშობლოში დაბრუნება, თავის შვილებთან ჩახუტება, 6 წლის უნახავი დედის მოფერება და საქართველოს უკეთესი მომავლის რწმენაა, ამიტომ მსაყვედურობთ ძვირფასო მეგობრებო? ჩემს ბექას, ჩემთან ერთად მიხეილ სააკაშვილის ჭინკებმა „კმარელებმა“ სახლი დაუწვეს! ჩემს ბექას მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით დედა, ჟურნალისტი ირინე გოგოსაშვილი დაუპატიმრეს! ჩემს ბექას, „ნაციონალებმა“ რუსთაველზე, მთელი სხეული დაულურჯეს, ძვლები დაუმტვრიეს, მაგრამ ქართული სული მაინც ვერ ამოჰგლიჯეს! ჩემს ბექას, აგერ უკვე 6 წელი ხდება, თავისი ანგელოზივით შვილების ნახვის უფლება წაართვეს, სამშობლოდან გააქციეს, რათა საკუთარი სიცოცხლე გადაერჩინა და ახლა თქვენი სამიზნეც გახდა, ჩემო მეგობარო ასევე შორს გადახვეწილი ეროვნულო ქართველებო?

რას მივაწერო თქვენი და სააკაშვილის ხროვის ერთნაირი ხედვები, ჩემს ოჯახთან მიმართებაში და რატომ უნდა მაყენებდეთ მე, თავის მართლების რეჟიმში? იქნებ დამიშავებია რამე და აღარ მახსოვს?

იქნებ ჩემს სამშობლოს ვუღალატე ოდესმე და დღესაც ღალატისკენ მიმიწევს გული?

ძალიან ვწუხვართ, რომ ბევრი ქართველი ისევ ვერ ვუგებთ ერთმანეთს, არადა გუშინწინ იტალიაში მცხოვრებმა ქართველებმა კარგად დაგვანახეს, რა ძალა ჰქონია ერთობას?

ძვირფასო მკითხველო! ბოდიშს გიხდით ზედმეტი გაცხარებისთვის, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა მეთქვა, რადგან არც მე და არც ჩემს შვილს, საქართველოსთვის ჩვენი მოქმედებით ზიანი არასოდეს მიგვიყენებია!

ღმერთი მაღალია და ის ყველაფერს ხედავს!

უფალმა გაგვაძლებინოს ამ ძნელბედობის ჟამს, ამინ!!!

**ირინე გოგოსაშვილი**

# arCil kbilaSvili: simarTle giTxraT, ase aSkara ukanonobas ar velodiT...

**რამდენად კანონიერი იყო სამოქალაო რეესტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რას აპირებს ბიძინა ივანიშვილი მოქალაქეობის საკითხთან დაკავშირებით და გეგმავენ, თუ არა ადვოკატთა ჯგუფის წევრები იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას, თემის დეტალებზე „საერთო გაზეთს“ ბიძინა ივანიშილის ადვოკატი არჩილ კბილაშვილი ესაუბრა.**

**— ბატონო არჩილ, რას ფიქრობთ იუსტიციის სამინისტროს გადწყვეტილებაზე, რომლის თანახმად, ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ საქართველოს მოქალაქედ არ განიხილება?**

— სამართლებრივი კუთხით გამოტანილი დასკვნა უკანონოა და არის პოლიტიკურად მოტივირებული. თუ ჩვენ დავასაბუთებთ, დასკვნა სამართლებრივად უკანონა, მაშინ ეს იქნება გა-



ქვეყნის მოქალაქეა. ამასთან განცხადებაში ბოლო პუნქტად მითითებულია, რომ მოქალაქეობის მოთხოვნის დაკამაყოფილების შემთხვევაში პირი უარს იტყვის მოქმედ მოქალაქეობაზე. სწორედ განაცხადის ეს ფორმა შეავსო ბიძინა ივანიშვილმა ნატურალიზაციის მიღების გზით საქრთველოს მოქალაქობის მინიჭებასთან დაკავშირებით. ამიტომ, იუსტიციის სამინისტროს არგუმენტი, თითქოს საქართველოს კანონით ეკრძალება პირს, რომელიც არის სხვა ქვეყნის მოქალაქე, მიმართოს სამინისროს ნატურალიზაციის საფუძველზე მოქალაქეობის მიღების თაობაზე აშკრა სიცრუეა.

**— თქვენ წარმოადგინეთ დებულებები რომლის თნახმად, განმარტეთ, თუ რატომ არის იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება უკანონო. ამიტომ ჩნდება კითხვა, მაშინ თუ გადაწყვეტილება კანონთან წინაალმდეგობრივია, რატომ არღვევს ხელისუფლება საჯაროთ კონსტიტუციას?**

— გადაწყვეტილება, როდესაც არის კანონს აცდენილი ეს არის, ან უცოდინარობის შედეგი, ან ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება.

**— ადვოკატთა ჯგუფი ელოდით ასეთ გადაწყვეტილებას?**

— სიმართლე გითხრათ, ასე აშკარა უკანონობას, არ ველოდით. ვფიქრობდი, რა შეიძლებოდა გამხდარიყო უარის თქმის საფუძველი ცხადია, კანონიერების ჩარჩოებში, მაგრამ ვერ ვიფიქრებდი იმას, რომ საერთოდ კანონიდან გასულ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. შეიძლება ასე-

თხვევაში სპეციალურ განკარგულებას. ანუ ყველა შემთხვევაში პრეზიდენტი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ამასთან კანონის თანახმად, პრეზიდენტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადაგენილი წესით. ანუ საჩივრდება პრეზოდენტის მიერ მიღებული გადააწყვეტილება და არა სააგენტოს მიერ გამოტანილი. მიხეილ სააკაშვილს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების გამოსატანად ჰქონდა სამი თვის ვადა, 5 ინვარიდან-5 აპრილამდე. ფაქტობრივად, კანონით დადგენილი ვადა უკვე ამოწურულია, პრეზიდენტს კი ჯერ გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს .

**— რას აპირებთ, ასეთ სიტუაციაში ადვოკატები?**

— არსებობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს დადგენილ ვადაში გადაწყვეტილება არ გამოაქვს, ამ შემთხვევაში დუმილი ითვლება უარყოფით პასუხად და ექვემდებარება გასაჩივრებას. ამიტომ ჩვენ გვაქვს დრო, 5 მაისამდე გავასაჩივროთ იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება.

**— რას აპირებთ, გეგმავთ გადაწყვეტილების გასაჩივრებას?**

— ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს დუმილში გამოხატული გადაწყვეტილება, რომელიც არაა დასაბუთებული. ჩემი აზრით, მიზანშეწონილი იქნება გასაჩივრება, თუმცა ამასთან ეს პოლიტიკური საკითხიცაა და ბიძინა ივანიშვილი მიიღებს საბოლოო გდაწყვეტილებას. თუმცა ყველასთვის გასაგებია სასამართლო როგორ მუშაობს, მისი დამოუკიდებლობის ხარისხი, ამიტომ ასაწონ-დასაწონია ის, ღირს თუ არა ამ სა-

საღები იმისა, გამოტანილი გადაწყვეტილება არის პოლიტიკურად მოტივირებული.

იუსტიციიის სამინისტროს მიერ მიღებული დასკვნა წესით ითვლება იურიდიულ დოკუმენტად, მაგრამ არცერთი იურიდიული ნორმა გამოტანილი მოსაზრების დასასაბუთებლათ, თუ რის საფუძველზე, არ აქვს ბიძინა ივანიშვილს უფლება ნატურალიზაციის საშუალებით მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა მითითებული არაა.

**— თუმცა იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში მითითებულია, რომ საქართევლოს კანონმდებლობით, პირი რომელიც არის სხვა ქვეყნის მოქალაქე არ აქვს უფლება ნატურალიზაციის გზით ითხოვოს საქართველოს მოქალაქეობა?**

— სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ, როცა თქვა, რომ ნატურალიზაციის საშუალებით არ შეიძლება მოქალაქეობის მიღება და თურმე სხვა გზით უნდა წავსულიყავით. მათ ამ მოსაზრების დასასაბუთებლად უნდა მოეყვანათ კონკრეტული ნორმა, ან ბრძანებულება. საქართველოს კანონში მოქალაქეობის შესახებ, არის 33-ე მუხლი სათაურით, საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებანი მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით სადაც ვკითხულობთ: პრეზიდენტი უფლებამოსილია მიიღოს უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა განაცხადი საქართველოს მოქალაქეობის მიღების თაობაზე. როგორც ხედავთ, კანონში არის ორი კატეგორია საქართველოს მოქლაქეობის მიღების შესახებ. ასე, რომ პირველ ეტაპზევე იკვეთება, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება უკანონოა. ამასთან არსებობს პრეზიდენტის 2009 წლის 30 იანვრის №34 ბრძანებულება, საქართველოს მოქალაქეობის საკითხთხებზე განაცხადების განხილვის წესის შესახებ. ბრძანებულების თანახმად, სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ვალდებულია, მოქალაქეობის საკითხის განხილვის პროცესში განმცხადებელს განუმარტოს კანონის მოთხოვნები, საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე უარის თქმის აუცილებლობის შესახებ. ეს ნორმა ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველი პირი არის უცხო ქვეუნის მოქალაქე და სააგენტო განუმარტავს მას, თუ რა შედეგემი მოჰყვება მისთვის, საქართველოს მოქალაქეობის მიღებას. ამავე ბრძანებულებაში არის სპეციალური განცხადების ფორმაც, რომლითაც პირი მიმართავს პრეზიდენტს მოქალაქეობის მიღების თაობაზე. განცხადების ფორმაში მეოთხე პუნქტად მითითებულია მოქალაქეობა, ანუ განმცხადებელი უთითებს, თუ რომელი

თი ტიპის განცხადებებიც უნდა გაკეთდეს ხოლმე, რადგან რაც უფრო დიდი არის სიცრუე, მით უფრო, ძნელია მისი უარყოფისთვის რაიმე დასაბუთებული არგუმენტის მოყვანა. სამოქალაქო რეესტრის მიერ გაცემული პასუხით მიხეილ სააკაშვილმა მოიხსნა, ვალდებულება საკუთარი ხელმოწერით, ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხთან დაკავშირებით უარყოფითი გადაწყვეტილება მიეღო. ამ შემთხვევაში სამოქალაქო რეესტრის სააგენტო მხოლოდ უარის თქმის საშუალებად გამოიყენეს, თუმცა ეს სინამდვილეში მიხეილ სააკაშვილის უარია.

**— თქვენ ერთ-ერთ განცხადებაში აღნიშნეთ, რომ ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არაა და საბოლოოთ ამ საკითხს პრეზიდეტი წყვეტს. რა ვადებში შეუძლია პრეზიდენტს გადაწყვეტილების მიღება?**



— ახლაც ვიმეორებ, რომ ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება სააკაშვილმა უნდა მიიღოს. თუმცა უმრავლესობის წევრების თქმით, გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და ამ საკითხზე პრეზიდენტი არანაირ დადაგენილებას აღარ მიიღებს, რაც თავისთავად კვლავ კანონის დარღვევაა. იგივე კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ამბობს, რომ პრეზიდენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე. ანუ კანონი გვეუბნება, რომ დადებითი, ან უარყოფითი გდაწყვეტილება უნდა მიიღოს პრეზიდენტმა და არა სამოქალაქოო სააგენტომ. საქართველოს კანონში მოქალაქეობის შესახებ, 36-ე მუხლში წერია, რომ საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცახდებასა და წარდგინებას, განიხილავს და შესაბამის დასკვნას ამზადებს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო. ამავე კანონის 37-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ საქართველოს მოქალაქეობის შეძენის შესახებ, განცახადებისა და წარდგინების დაკამაყოფილების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას, ხოლო უარყოფი გადაწყვეტილების მიღების შემ-

კითხის გასაჩივრება, რადაგან დროის თვალსაზრისითაც სასამართლო სამ ინსტანციას მოიცავს, რასაც 15 თვე სჭირდება.

**— ნებდებით ხელისუფლებას?**

— არა, არ ვნებდებით. გაჩნა მეორე თემა საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხი. რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ ბიძინა ივანიშვილს არ მიეცემა მოქლაქეობა, თუმცა პოლტიკური აქტივობის საშუალება ექნება. თუნდაც ჩამოაყალიბოს პარტია, კენჭი იყაროს არჩევნებზე და ა.შ.

**— ფაქტობრივად, ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით, ხელისუფლება ივანიშვილს იგივე პირობებს უქმნის, რასაც მოქალაქეობის მინიჭების შემთხვევაში შეუქმნიდა. თუმცა მოქალაქეობის მინიჭებაზე უარი განუცხადეს. რით ხსნით ამ ფაქტს?**

— არ მისცეს მოქალაქეობა, თუმცა საკონსტიტუციო ცვლილებები ანიჭებს უფრო მეტ უფლებებს. ამ შემთხვევაში ხელისუფლებას საკუთარი პატივმოყვარეობა არ აძლევს საშუალებას, საზოგადოების წინაშე, თქვას, რომ ივანიშვილს უბრუნებს მოქალაქეობას, რადგან მიიჩნევენ, რომ ამომრჩევლის თვალში ეს ნაბიჯი აღქმული იქნება, როგორც ხელისუფლების სისუსტე, უკან დახევა და ა.შ. ამიტომ მათთვის მომაკვდინებელი საფრთხის შემცველია ივანიშვილს მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეობა. არსებული საკონსტიტუციო ცვლილებებით, ბიძინა ივანიშვილი იღებს უფრო მეტ გარანტიებს, ვიდრე საქართველოს მოქალაქეობით. კერძოდ, ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მიღების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ის ტოვებდა საფრანგეთის მოქალაქეობას და იქნებოდა მხოლოდ საქართველოს მოქალაქე. დღეს კი ივანიშვილს ეუბნებიან, შეინარჩუნე შენი ფრანგული პასპორტი და ჩვენ საქართველოს მოქალაქეობის გარეშეც მოგცმთ პოლიტიკური აქტივობის შესაძლებლობას. ანუ ის პრივილეგიები, რაც მას, როგორც საფრანგეთის მოქალაქეს გააჩნია უნარჩუნდება. კერძოდ, საფრანგეთის მოქალაქეს, საფრანგეთის კონსტიტუციიდან გამომდინარე, იცავს და პაატრონობს საფრანგეთის ხელისუფლება, ეს მისი კანონიერი უფლებაა. ამიტომ ივანიშვილთან დაკავშირებით რაიმე რომ მოხდეს საფრანგეთის საელჩო და საკონსულო პასუხისმგებელობას კისრულობს მომხდართან დაკავშირებით, ანუ ივანიშვილი ინარჩუნებს უცხო სახელმწიფოს პატრონობას. ამასთან პარალელურად იძენს იმ უფლებებს, რითაც საქართველოს მოქალაქე სარგებლობს.

**მირანდა ნაბახტეველი**



ანზორ შონია
მკვლევარი, „ფაზისის“
აკადემიის წევრი

# ratom urCevnia qarTvel istorikosTa erTnawils, qarTvelebi kolxuriki ara somxuri warmomavlobis iyvnen?

* * *

როგორც ბატონი დავით მუსხელიშვილი ბრძანებს, ქართველურ ეთნოსს წარსულში ინტენსიური ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ჩრდილო კავკასიურ ტომებთან, კერძოდ ნუხურ-დაღესტნურ და აფხაზურ-ადიღეურ ტომებთან, რაც თურმე ვლინდება ამ ეთნოსთაა ენებისა და ქართველურ ენების ლექსიკაში – შემძრა ამ ყოველგვარ რეალობას მოკლებულმა მოსაზრებამ.

ე.ი. რა გამოდის? – თურმე, აფხაზეთი ადრე ჩრდილო კავკასიაში ყოფილა და აფხაზებიც ისეთივე უცხონი ყოფილან ჩვენთვის, როგორც ადიღები, ბალყარები, ყაბარდოელები და სხვა ჩრდილო კავკასიური ტომები.

ამას წერს აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი, რასაც მის მიერ დაშვებულ ეროვნული დონის შეცდომად მივიჩნევ.

და ეს მაშინ, როდესაც აფხაზეთი ეგრისის სამეფოს რიგითი რეგიონი იყო, მისი წარმოჩენის ეპოქიდან (I-II-ს.ს.), ისევე როგორც ლაზიკა, ჭანეთი და მარგვეთი. მართლაც, ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს შემადგენლობაში დასახელებული ტომები, ახალი წელთაღრიცხვის საწყისი საუკუნეებიდან, ფაქტობრივად, არ ჩანან. სამაგიეროდ, ეგრისის სამეფოში წარმოჩინდნენ ზემოთ დასახელებული ტომები. სათანადოდ, აფხაზები ქართველები იყვნენ, უფრო ზუსტად, აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელებს ერქვათ აფხაზები. ისევე, როგორც ლაზიკაში მცხოვრებ მეგრელებს ერქვათ ლაზები, ჭანეთში-ჭანები და მარგვეთში-მარგველები.

„აფხაზეთი“ მეგრული ტოპონიმია. „აფხა“ მეგრულად „ბეჭია“. აფხაზეთში ძირითადად მხოლოდ მეგრული ტოპონიმები იყო და უმრავლესობა დღესაც შემორჩენილია იმ ადგილებშიც კი, რომლებიც დიდი ხანია აფხაზეთს არ ეკუთვნის. აფხაზების მშობლიური ენა იყო მეგრული, უფრო სწორად მეგრული ენის აფხაზური დიალექტი, ისევე როგორც სამურზაყანოული ან მარტვილური დიალექტები; აფხაზებს მეგრული გვარები ჰქონდათ.

ამდენად, აფხაზი ისეთივე მეგრელი იყო, როგორც სამეგრელოს ნებისმიერი სხვა რეგიონის მეგრელი, ფოთელი, სენაკელი, წალენჯიხელი თუ სხვა.

მართალია, ეგრისის სამეფოში აფხაზეთის წარმოჩენის (I-II-სს) შემდეგ ის ეგრისის რიგითი საერისთავო იყო, მაგრამ VIII საუკუნეში ეგრისის სამეფოს სათავეში აღმოჩნდა აფხაზური დინასტია, რამაც განაპირობა ის, რომ VIII-XI საუკუნეებში ეგრისის სამეფოს ეწოდა „აფხაზთა სამეფო“. უფრო ზუსტად, „ეგრის-აფხაზეთის“ სამეფო და ამ ეპოქაში მეგრელები, მათ შორის ლაზებიც, ჭანებიცა და მარგველებიც აფხაზებად მოიხსენიებოდნენ.

სამწუხაროდ, უცნობია აფხაზი მეფეების გვარები, მაგრამ საქართველოს გაერთიანების შემდეგ (XIს.) აფხაზეთი ისევ საერისთავო გახდა და, აქედან მოყოლებული, აფხაზეთის ერისთავები უცვლელად იყვნენ შარაშიები, რომლებიც ქართულ წყაროებში შერვაშიძეებად მოიხსენიებიან.

ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ (XVს.), როდესაც ჩამოყალიბდა ქართლისა და იმერეთის სამეფოები, აფხაზეთის საერისთავო სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში დარჩა, როგორც გურიის საერისთავო, სვანეთი და ლეჩხუმი.

ცნობილია, რომ გურიის საერისთავომ XVI საუკუნის ბოლოს მიაღწია სამეგრელოს სამთავროდან გასვლას და უშუალოდ დაემორჩილა იმერეთის სამეფოს, როგორც სამთავრო.

XVII საუკუნის ბოლოს იგივეს მიაღწია აფხაზთა საერისთავომაც, მაგრამ მისაღწევად აშკარად ანტიეროვნული გზა აირჩია – დაიწყო ჩრდილო კავკასიიდან ადიღების, ყაბადოელების, ბალყარების და სხვების ჩამოსახლება, რომლებსაც იყენებდა სამეგრელოს სამთავროს წინააღმდეგ საბრძოლველად.

სწორედ ამ ეპოქიდან გამოჩნდნენ ჩრდილო კავკასიელები აფხაზეთის სინამდვილეში.

მართალია, მათი რაოდენობა დღესაც არ აღემატება აფხაზების 10-12%-ს, მაგრამ სწორედ მათი გამოყენებით შეძლეს გარკვეულმა ძალებმა აფხაზეთის აშკარა გაუცხოება ქართული სინამდვილიდან, განსაკუთრებით XVIII საუკუნის შემდეგ, როცა მოხდა საქართველოს ე.წ. გაერთიანება რუსეთთან.



როგორ წარიმართა აფხაზეთში მოვლენები და რა გართულებები მოჰყვა, ამაზე 1989 წელს მზად მქონდა ნარკვევი „ერის დიდი სატკივარი“, მაგრამ რედაქციებმა თავი შეიკავეს მისი გამოქვეყნებისაგან, მოერიდნენ აფხაზურ საკითხზე სიმართლის თქმას.

მართალია, იგი მაინც გამოქვეყნდა 1995 წელს, მაგრამ უკვე ის ეფექტი არ ჰქონდა.

რა იყო აფხაზეთი, ვინ იყვნენ უძველესი აფხაზები, რა როლი ითამაშეს მათ საქართველოს ისტორიაში, რა მოხდა, რა ხდებოდა აფხაზეთში, ამაზე ჩემი აზრი საზოგადოებას გავაცანი ბროშურით „გვარები მეტყველებენ“ (1994წ.), წიგნით „დიდი საქართველოს ტრაგედია“ (1997წ.), ბროშურით „დანაშაულის ტოლფასია უთქმელობა“ (2003წ.), ბროშურით „Ï ðàâäà î á Àáõàçèè“ (2003წ.), მთელი რიგი წერილებით და აღარ შევუდგები განმეორებას, მაგრამ აშკარაა, რომ აფხაზეთში მომხდარ ტრაგედიაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა იმან, რომ ხალხმა არ იცოდა სიმართლე აფხაზეთზე, უძველეს აფხაზებზე, თანამედროვე აფხაზებზე, აფხაზეთში საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე ანტიეროვნულ მოვლენებზე, რასაც ქართველი პოლიტიკოსებისა და მეცნიერების მიერ დაშვებულ ეროვნული მნიშვნელობის შეცდომად მივიჩნევ.

არა და, ისინი აფხაზურ პრობლემას სათანადოდ რომ ვერ აღიქვამდნენ, ამაზე მეტყველებს შემდეგი: თითქმის 20 წელია გასული აფხაზეთის ტრაგედიიდან და დღესაც არ ითქვა სიმართლე აფხაზეთზე და იქ მიმდინარე მოვლენებზე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ახლადგამოცემულ „საქართველოს ისტორიაში“ მაინც იქნებოდა გათვალისწინებული, მაგრამ მწარედ შევცდი.

არა და, სწორედ მასში წერია, თითქოს ქრისტიანობა სამეგრელოში გავრცელდა IV საუკუნეში, ხოლო აფხაზეთში – VII საუკუნეში, რაც გამორიცხულია, ვინაიდან იმ ეპოქაში სამეგრელო და აფხაზეთი ერთიანი იყო და არ შეიძლებოდა, სხვადასხვა ეპოქაში მომხდარიყო მათში ქრისტიანობის გავრცელება.

სხვათა შორის, ამ ეპოქაში ეგრისის სამეფოს სათავეში იმყოფებოდა ლაზური დინასტია და ეგრისის სამეფოს ეწოდა „ლაზიკის სამეფო“, ხოლო მოსახლეობას, მათ შორის აფხაზებსაც ლაზები ერქვათ.

ყოველ შემთხვევაში ეს მტკნარი სიცრუეა, რადგანაც IV საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართლში ჯერ კიდევ არ იყო ქრისტიანობა აღიარებული სახელმწიფო რელიგიად, ქრიატიანობის მსოფლიო კრებას ნიკეაში ესწრებოდნენ ფაზისისა და ბიჭვინთის ეპისკოპოსები. ამისთანა შეცდომას გამართლება არა აქვს.

მით უმეტეს, დღეს დადგენილია, რომ ეგრისის სამეფოში ქრისტიანობა აღიარებულ იქნა სახელმწიფო რელიგიად I საუკუნეში, რაც ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა და მატათამ განახორციელეს.

ამაზე არსებობს რეალური ისტორიული წყაროები, მაშინ როდესაც წმინდა ნინოზე, მხოლოდ ლეგენდა არსებობს.

სწორედ, ამან განაპირობა, რომ ამჟამად საქართველოში იხდიან ქრისტიანობის 2000 წლის იუბილეს.

ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, თითქოს საქართველოში ქრისტიანობის აღიარების ეპოქად IV საუკუნის დადგენა განაპირობა იმან, რომ ქართლის მეფემ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარა, მაგრამ აშკარაა, რომ I საუკუნეში ეგრისის მეფემაც აღიარა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად. წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულია, ეგრისის სამეფოში საეპისკოპოსოები არსებულიყო I-II საუკუნეებში.

რადგანაც ქართლის სამეფოც და ეგრისის სამეფოც ქართული სამეფოებია, სრულიად კანონზომიერია საქართველოში ქრისტიანობის აღიარების ეპოქად დადგინდეს I საუკუნე.

სწორედ ასე უნდა დაფიქსირებულიყო ეს მოვლენა „საქართველოს ისტორიაში“, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, რასაც გამართლება არა აქვს.

მით უმეტეს, ასეთი მოვლენით ნებისმიერი ერი იამაყებდა.

* * *

მართალია, ბატონ დავითს ბევრი უმუშავია ქართული ეთნოგენეზის დასადგენად, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ დაასახელა კონკრეტულად ვერც ერთი ხალხი, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო ქართველების აშკარა წინაპარი და დაასკვნა, რომ ქართული ენის გარკვეული მსგავსება ძველი ცნობილი ეთნოსების ენებთან, იძლევა საფუძველს ვაღიაროთ, რომ ქართველებს უნდა ეცხოვრათ იმ გეოგრაფიულ არეალზე, სადაც ისინი დღეს ცხოვრობენ; მაგრამ, თუ ენობრივი მსგავსება იყო საკმარისი ქართველების წინაპრების დასადგენად, ლოგიკურია, კოლხებს დიდი უპირატესობა ექნებოდათ, ვინაიდან ქართული და კოლხური (იგივე მეგრული) ენები თითქმის იდენტური ენებია. მით უმეტეს, კოლხეთი ქვის ხანიდან მოყოლებული არსებობს და ცნობილია მისი დამსახურება მსოფლიოს წინაშე.

მართალია, ბატონმა დავითმა ვერ მიაგნო ქართველების უშუალო წინაპრებს, მაგრამ აღიარა ქართველების ავტოქთონობა და მათში საერთო ეთნოსის დომინანტის არსებობა.

სწორედ ამ ფონზე გამიკვირდა შემდეგი – თითქოს ლეონტი მროველი ქართლოსს და ჰეროსს ძმებად მიიჩნევს, მაგრამ აღნიშნავს, რომ მეფე მირიანმა (IVს.) შეძლო ქართველებისგან განსხვავებული ეთნოსის ხალხის, ჰერების ქართიზაცია.

დადგენილია, რომ იბერიის სამეფოს წარმოჩენის ეპოქაში (ძვ.წ. IV-IIIს.ს.) ასევე წარმოჩინდა ალბანეთის სამეფოც და ჰერეთი მისი დასავლეთი რეგიონი იყო.

მართალია, ეს რა მოვლენებთან იყო დაკავშირებული უცნობია, მაგრამ, დაახლოებით V საუკუნიდან, ჰერეთი იბერიის სამეფოში აღმოჩნდა.

არის მოსაზრება, რომ ალბანები ქართველების მონათესავე ხალხია და ისინიც IV საუკუნიდან ქრისტიანები არიან; მათ შორის ჰერებიც, მაგრამ, ამაზე მეტი არაფერი თქმულა ალბანებზე და ჰერებზე.

ჰერეთი მდებარეობდა ფაქტობრივად დღევანდელი კახეთის ტერიტორიაზე, თელავიდან ქიზიყის ჩათვლით.

ჰერებს იმდენად დიდი დამსახურება აქვთ ქართველი ხალხის წინაშე, რომ ჰეროსი ქართველთა ერთ-ერთ ეთნარქადაა აღიარებული.

ყოველ შემთხვევაში, ჰერეთმა ხან სამთავროს, ხან სამეფოს სახით იარსება ქართულ სინამდვილეში.

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ (XVს.) ჰერეთი შეუერთდა კახეთს და ამის შემდეგ ჰერეთიც იწოდებოდა კახეთად და ჰერები– კახელებად.

ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე კახეთის ტერიტორიის დაახლოებით 80% ყოფილი ჰერეთის სამეფოს ტერიტორიაა და დღევანდელი კახელების თითქმის 80% ყოფილი ჰერები არიან.

რა გამოდის? – თუ ჰერები ეთნიკურად ქართველები არ არიან, მაშასადამე კახელების 80% სხვა ეთნოსის ხალხი ყოფილა.

მე ამან ნამდვილად შემძრა და მაინტერესებს, რას იტყვიან კახელები.

არა და, როდესაც გამოვაქვეყნე რუკა, რომელშიც შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მხოლოდ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოა. ბუნებრივია, ალბანეთიც მის შემადგენლობაშია და ალბანებიც (მათ შორის ჰერებიც) კოლხები (მეგრელები) არიან.

დავიმოწმე სათანადო წყაროები – ჰეროდოტე, ბიზანტიელი სწავლული ევდოკია, „ბიზანტიური ენციკლოპედია“ (IXს.), იოსებ ყიფშიძე, რისმაგ გორდეზიანი და დავასახელე ყოფილ ალბანეთის ტერიტორიაზე არსებული მეგრული სახელის მქონე ქალაქები - „განჯა“ (მეგრ. „გაღება“), „მახაჩკალა“ (მეგრ. „მთოხნელი“), „კამბეჩოვანი“ (ქიზიყი. მეგრ. „კამბეჩი“ – კამეჩია), „არიში“, „გიში“, „შამახია“ და ა.შ.

ბატონმა დავით მუსხელიშვილმა და მისმა კოლეგებმა თითქმის მოღალატედ შემრაცხეს, თითქოს მე ხელს ვუშლი მეცნიერებას; ხოლო თვითონ, ყოველგვარი წყაროების გარეშე, კახელები ფაქტობრივად არა ქართული ეთნოს ის ხალხად წარმოგვიდგინეს.

ვაი, ჩვენს თავს!

* * *

როდესაც იწერება ქვეყნის ისტორია, აუცილებელია, მასში ნაჩვენები იყოს, რა ერქვა ქვეყანას წარსულში და რომელ ეპოქაში რა ტერიტორიებს მოიცავდა.

ბატონმა ოთარ ჯაფარიძემ შესანიშნავად აღწერა ჩვენი ქვეყნის შორეული წარსული, მაგრამ, თითქმის ახალი წელთაღრიცხვის ეპოქამდე, ჩვენი ქვეყანა, ფაქტობრივად, სახელის გარეშე დატოვა. თუმცა, მას მოიხსენიებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ.

რადგანაც ეს ასე არ იყო, ფაქტობრივად, ჩვენი ქვეყნის სახელი ძცელი წელთაღრიცხვის ათასწლეულებში უცნობია.

მან ასევე ვერ გამოაქვეყნა რომელიმე ეპოქაში ჩვენი ქვეყნის რუკა და, ისე გამოდის, თითქოს ეს მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქვეყანა სრულიად ახალია, რასაც გამართლება არა აქვს.

სხვა თუ არაფერი, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი რეგიონის, კოლხეთის სამეფოს რუკა მაინც გამოექვეყნებინა, რომელსაც ბერძნები შორე-

# mosazrebani `saqarTvelos istoriaze~

ულ ეპოქაში იბერიად მოიხსენიებდნენ, ხოლო შემდგომში კოლხეთად. მით უმეტეს, ქართველი მეცნიერები შეთანხმდნენ, რომ აღენიშნათ ჩვენი ქვეყნის 3000 წლის იუბილე და მისი ისტორიის საწყისად კოლხეთის სამეფოს ეპოქა დაედგინათ.

მართალია, ბატონმა დავით მუსხელიშვილმა გამოაქვეყნა ჩვენი ქვეყნის რუკები, ძველ წელთაღრიცხვამდე IV საუკუნიდან, ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს, ძირითადად, ეგრისის სამეფოს რუკები დემაგოგი აფხაზი მეცნიერების, ან სომეხი მეცნიერების მიერაა შედგენილი. და აი, რატომ: დადგენილია, რომ კიმერიელების შემოსევის შედეგად, კოლხეთის სამეფო დაიშალა ძვ. წელთაღრიცხვის VII საუკუნეში და მის ტერიტორიაზე წარმოჩნდა ეგრისის სამეფო, რომელსაც ბერძნები ისევ კოლხეთის სამეფოდ მოიხსენიებდნენ, ხან იბერიის სამეფოდ.

ეგრისის სამეფო მოიცავდა ტერიტორიას შავი ზღვის სამხრეთ ნაპირებიდან ხაზარეთის მდინარეებამდე (დღ. ტუაფსე) და აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე, როგორც ნათქვამია „ქართლის ცხოვრებაში".

მართალია, ეგრისის სამეფოს V-VII საუკუნეებში ერქვა „ლაზიკის სამეფო", ხოლო VIII-XI საუკუნეებში „ეგრის-აფხაზეთის" სამეფო, მაგრამ ის მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს თითქმის XI საუკუნემდე, როდესაც იგი ერთიანი საქართველოს სამეფოში შევიდა, როგორც რიგითი რეგიონი.

ბატონი დავითის მიერ გამოქვეყნებულ რუკებში ეგრისის სამეფო არც ერთ ეპოქაში არ მოიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს, როგორც ეს რეალურად იყო.

ისე ჩანს, თითქოს ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში III-IV საუკუნეებამდე დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ჰენიოხები, მაკრონები, სანები, შეკვითინები, ხალიბები, დრილები, კორაქსები და სხვები, ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში ჭანები, ჰენიოხები, ლაზები, აფხაზები, აფშილები, ჯიქები, სანიგები ეგრისის სამეფოში არ შედიოდნენ; მაშინ როდესაც ბერძნები მათ ყველას კოლხებად (მეგრელებად) მოიხსენიებდნენ და კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს შემადგენლობაში მოიაზრებდნენ. მით უმეტეს, დადგენილია, რომ ყველა ისინი მეგრულენოვანი ტომები იყვნენ.

ამის გამართლება არ შეიძლება, ვინაიდან, სწორედ ასეთი წყაროებით სარგებლობენ დემაგოგი აფხაზი მეცნიერები, როდესაც აფხაზეთის ყალბ ისტორიას აქვეყნებენ.

საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი მოვლენა იყო ერთიანი საქართველოს ეპოქა (XI-XV საუკუნეები) და, „საქართველოს ისტორიის" თანახმად, ამ მოვლენას დამსახურებაში უთვლიან დავით III-ეს, ტაოს კურაპალატს, რაც არასწორია, რადგანაც ეს „ეგრის-აფხაზეთის" მეფე-დიდებულების დამსახურებაა.

ქ-ნი მარიამ ლორთქიფანიძე წერს, თითქოს ეგრისი და აფხაზეთი გაერთიანდა, რაც, ვფიქრობ, არაა სწორი, ვინაიდან აფხაზეთი ეგრისის სამეფოს რიგითი საერისთავო იყო; ისეთივე, როგორც ლაზიკისა და მარგვეთის საერისთავოები, მხოლოდ ეს იყო, რომ ეგრისის სამეფოს სათავეში აღმოჩნდა აფხაზური დინასტიის წარმომადგენელი, ისევე, როგორც IV საუკუნეში ლაზური დინასტიის წარმომადგენელი და ეს არ იყო დაკავშირებული რაიმე ომთან. შესაძლებელია, ეს ბიზანტიის დამსახურება ყოფილიყო, რომლის გავლენის ქვეშაც იყო ეგრისის სამეფო, მით უმეტეს, აფხაზეთი ამას ძალით ვერ შეძლებდა, იმდენად მცირე იყო აფხაზეთი ეგრისზე.

ყოველ შემთხვევაში VIII საუკუნეში ეგრისის სამეფოს დაერქვა „ეგრის-აფხაზეთის" სამეფო.

ამ ეპოქაში ეს სამეფო ქართულ სამეფო – სამთავროებში, შესაბამისად, ძლიერი ჩანს.

ლოგიკურია, „ეგრის-აფხაზეთის" სამეფო აქტიურად ჩაერთო საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლაში.

ამ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ რომელი ქართული სამეფო ან სამთავრო დაეუფლებოდა ქართლს, რომელიც, მართალია, არაბების ბატონობისაგან განთავისუფლდა, მაგრამ ადმინისტრაციული ერთეული არ იყო და მას ფეოდალები განაგებდნენ.

ვინც ამას შესძლებდა, მას დიდი უპირატესობა ექნებოდა, აღმოჩენილიყო ერთიანი სამეფოს სათავეში.

სწორედ ეს შეძლო ეგრის–აფხაზეთის მეფე გიორგი I-მა IX საუკუნეში.

ამის შემდეგ მთელი რიგი მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა ეგრის-აფხაზეთის სამეფოში:

-სამეფოს დედაქალაქი, ბედიის ნაცვლად, გახდა ქუთაისი, ვინაიდან, ქართლის შემოერთების შემდეგ, ეს ტერიტორიულად უფრო გამართლებული იყო.

-ეგრის-აფხაზეთის სამეფოს სახელმწიფო ენა გახდა ქართული.

-ეგრის-აფხაზეთის ეკლესია დაემორჩილა მცხეთის ეკლესიას.

სწორედ აქ გამოჩნდა მეგრელი დიდებულებისა და მეგრელი ხალხის, რომელიც სამეფოს ძირითად ძალას წარმოადგენდა ეგრის-აფხაზეთის სამეფოში, მაღალი ეროვნული თვითშეგნება, ვინაიდან მათ შეეძლოთ სახელმწიფო ენად მეგრული დაეკანონებინათ და მცხეთის ეკლესია მარტვილის ეკლესიისთვის დაექვემდებარებინათ. მით უმეტეს, ეგრის-აფხაზეთის სამეფომ შემოიერთა ყოფილი იბერიის (ქართლის) სამეფოს ტერიტორია და არა პირიქით.

ეტყობა, მათ გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ქვეყნის გასაერთიანებლად აუცილებელი იყო ერთი სახელმწიფო ენა და ერთი ეკლესია და არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, ეს რომელი ენა იქნებოდა, ან რომელი ეკლესია რომელს დაექვემდებარებოდა.

ასეთი ეროვნული თვითშეგნება დღესაც სანატრელია.

X საუკუნის ბოლოს ეგრის-აფხაზეთის მეფე გახდა უსინათლო თეოდოსი, რომელსაც შვილი არ ჰყავდა და მემკვიდრედ გამოაცხადა დისშვილი, ქართველთა მეფე ბაგრატ IIის შვილიშვილი ბაგრატ III (975წ).

ეს იყო უაღრესად ბრძნული გადაწყვეტილება, რადგანაც ბაგრატ III-ეს მემკვიდრებით ერგებოდა ეგრის-აფხაზეთის სამეფო, ყოფილი ქართლის (იბერიის) სამეფო, როგორც თეოდოსის მემკვიდრეს, ქართველთა სამეფო, როგორც მისი მეფის ბაგრატ II-ის შვილიშვილს და ვარაუდობენ, თითქოს ტაოც ერგებოდა, როგორც დავით III-ის შვილობილს, რაც იძლეოდა საფუძველს საქართველო დინასტიური გზით გაერთიანებულიყო.

ამ ეპოქაში ეგრის-აფხაზეთის ერისთავი ქართლში იყო დიდი პიროვნება იოანე მარუშისძე (ნამდვილი გვარი – მარუში), რომელსაც უნდოდა ბაგრატ III გაეხადა ერთიანი საქართველოს მეფედ, რაზეც თანხმობა სთხოვა დავით III-ეს და ბაგრატ II-ეს, მაგრამ სწორედ ისინი წავიდნენ ამის წინააღმდეგ და ბაგრატ III, 978 წელს, მხოლოდ ეგრის-აფხაზეთის მეფედ აკურთხეს.

უფრო მეტი, როდესაც ბაგრატ III-მ დაუმორჩილებელი ფეოდალის, რატი ბაღვაშის დასასჯელად გააგზავნა ჯარი, მას სწორედ დავით ოIII და ბაგრატ II აღუდგნენ წინ.

სიტუაციაში ისევ იოანე მარუშისძე ჩაერია და კონფლიქტური სიტუაცია უსისისხლოდ დამთავრდა, მაგრამ ფაქტია, რომ სანამ ცოცხალი იყო დავით III, ბაგრატ III ვერ შეძლო საქართველოს გაერთიანება.

ამის შემდეგ იმაზე საუბარი, თითქოს საქართველოს გაერთიანება დავით III-ის დამსახურება იყო, არასწორია. მით უმეტეს, მან, სიკვდილის შემდეგ, თავისი სამფლობელო ტაო ბიზანტიელებს დაუტოვა ანდერძით.

ბაგრატ III თითქმის 30 წელი იბრძოდა საქართველოს გასაერთიანებლად. იგი ამ მიზნით ებრძოდა ქართლის დიდებულებს, კახეთისა და ჰერეთის სამეფოებს, დავით III კურაპალატს, ბაბუას ბაგრატ II-ს, მამას გურგენს და მისი ძირითადი დასაყრდენი ამ ბრძოლაში მხოლოდ მეგრელი ხალხი, იყო მათ შორის აფხაზები, ლაზები ჭანები, მარგველები და სვანები.

მართლაც, მხოლოდ დავით III-ის, ბაგრატ-II-ის, მამის გურგენის გარდაცვალების შემდეგ, 1008-1010 წლებში შეძლო საქართველოს გაერთიანება ბაგრატ III-მ და გახდა ერთიანი საქართველოს პირველი მეფე.

* * *

ყოველ შემთხვევაში, რამდენად სწორი ვარ, ეს საზოგადოების გადასაწყვეტია, მაგრამ დაუშვებელია, გამოიცეს „საქართველოს ისტორია" და მთელი რიგი შეცდომები იყოს დაშვებული. ალბათ, დროა, გამოიცეს ობიექტური, სრულყოფილი და ღირსეული „საქართველოს ისტორია". მით უმეტეს, ქართველ ისტორიკოსებს ეს რეალურად შეუძლიათ.



**გიორგი მარგველაშვილი:** საერთოდ არ მინდა კვლევებზე კომენტარის გაკეთება, რადგან პრინციპულად მიმაჩნია, ესეთ არათავისუფალ ველში კველევის ჩატარების შემდეგ ძალიან სერიოზულად უნდა აგვიხსნან, ნიველირებული როგორ იქნა ველის უსწორმასწორობა, ანუ როგორ იქნა გამოიცხული ხალხის შიში. ისე, ამდენ სოციალურ გამოკითხვას არ აჯობებს თვითონ გააკეთონ დასკვნა, არის თუ არა დემოკრატია ჩვენს ქვეყნაში, თვითონ ხომ სპეციალისტები არიან. რაღაც დემოკრატიის სახელობის დიქტატურას რომ აშენებენ ჩვენთან, ის გამოიკვლიონ და დაასკვნან.

გამოკვლევების პერიოდში მოხდა რამდენიმე ფაქტი: პრეზიდენტის გამოსვლა პარლამენტში, კონტროლის პალატაში ხალხის დაბარება, ვაუჩერების დარიგება და ქიმერიძის მკვლელობა. მაგრამ ფაქტი, პოლიტიკური თვალსაზრისით, არ არსებობს, თუ არ არსებობს ინფორმაციის გავრცელება და ამ ინფორმაციის ინტერპრეტაცია. ყველა ზემოთქმულ საკითხზე გავრცელებაც და ინტერპრეტაციაც ამოვარდნილი იყო რეალობის კონტექსტიდან. პოლიტიკური თვალსაზრისით, მედიათვალსაზრისით, იდეოლოგიური პროპაგანდის თვალსაზრისით ჩვენ გვქვს გადმოტრიალებული რეალობა და ამას აუცილებლად სჭირდება დრო, რომ ტვინმა იგი ბუნებრივად დაალაგოს. ჩვენ ძალიან ბევრი დრო დაგვჭირდა იმის გასააზრებლად, რომ ის ტრაგედია, რაც მოხდა 2008 წლის აგვისტოში, არ იყო მოგებული ომი. რადგან პირველი, რაც უთხრა პროპაგანდამ მოსახლეობას, ეს იყო - შენ ომი მოიგე, გამოვარდა ხალხი ქუჩაში და ზეიმობდა ომის მოგებას. ეს ხომ აბსოლუტური აბსურდია. და რაც ყველაზე მეტად ამაზრზენია, შენ ამ სიტუაციაში როლს განიჭებენ, გმირად გამოყავხარ. რა არის დღეს ხელისუფლების მხარდამჭერი ადამიანების როლი - იგი ებრძვის რაღაც ძალებს, მაგალითად, რუსეთს, და ებრძვის იმით, რომ არ უსმენს რუსულ მუსიკას. ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა ბრძოლაშია ადამიანი შესული, როცა შენ, ვიღაც პატარა თბილისელი კლერკი ბრძოლას უცხადებს ამხელა ბირთვულ იმპერიას. და სააკაშვილი და პროპაგანდა გეუბნება, რომ შენ ამ ომის დიდი ნაწილი ხარ, შენ იგებ და შენი ფუნქცია იმაში კი არ არის, სადმე წახვიდე და თავი შესწირო, არა, აი, ნუ მოუსმენ რუსულ მუსიკას და შენ უკვე გმირი ხარ! ახლა ახალი ლოზუნგებია, შენ შეიძლება გმირი იყო, პატრიოტი იყო და დიდ ფულს ებრძოლო იმით, რომ მე როცა რაღაც სისულელეს გავაკეთებ, შენ ტაში დამიკრა. ამ პროპაგანდაში ვცხოვრობთ და რა თქმა უნდა, ამას გავლენა აქვს ხალხზე. ვიღაცეები ისე შედიან ხიბლში იმით, რომ შალიაპინს არ მოუსმენენ, ან პუშკინს არ წაიკითხავენ, მართლა გმირები ჰგონიათ თავი. ამით ხელისუფლებას კი არ უგორებენ კოჭს, მართლა როლში არიან შესული. ან რა გამოკითხვა უნდა ჩატარდეს დემოკრატიის არსებობაზე, როცა ორი წლის წინ მთავარი ემოციური მოძრაობა იყო - ნუ მისმენ, არ მეშინია! ანუ ვცხოვრობთ გარემოში, სადაც ადამიანებს ჰგონიათ, რომ ყველას უსმენენ.

და რას გვეუბნებიან ამ გამოკვლევებით, რატომ გვისვამენ თავზე ხელს, ან ჩვენ უბრალო ადამიანებმა რატომ უნდა დავდოთ დასკვნა, დემოკრატიაა აქ თუ ავტორიტარიზმი. ერთი ისაა ბედნიერება, დემოკრატიის შუქურას ძახილს მოვრჩით მგონი.

რაც არ უნდა ახალი ტერმინი გამოიგონო, ან ახალი ფორმებით დაწერო დემოკრატია, ფაქტი ფაქტად რჩება, ამ ქვეყანაში ხელისუფლების შენარჩუნების გამო ხდება კანონის უგულებელყოფა, ადამიანების დამცირება-დაშინება და ქვეყნის მოწყვეტა იმ ისტორიულ-პოლიტიკური ოჯახიდან, რომლის ნაწილიც ჩვენ ვართ. დანარჩენი ყველაფერი ანტურაჟია. მარტივი სიტუაცია ავიღოთ: არის ბიძინა ივანიშვილი ამ ხელისუფლების ალტერნატივა?! შენ თვითონ ადასტურებ, რომ არის, რადგან ამბობ, რომ კანონებს იმიტომ ვქმნი, ივანიშვილი გავანეიტრალოო. მაშინ მიეცი ხალხს შესაძლებლობა, რომ აირჩიოს.

აქამდე ჰქონდათ მორგებული რაღაც ლობისტის როლი, რომ თითქოს საქართველოში ხალხი ძალიან ჩამორჩენილია და უნდა გაზარდონ. საიდან გიჩნდება ეს გარყვნილი ამბიცია, რომ ვიღაცაზე მეტი ხარ, მეტი იცი თუ დემოკრატიის გჯერა?! თუ შახიდი ხარ, მაშინ კი, ბატონო, შენ შეიძლება გჯეროდეს, რომ ჭეშმარიტებას ფლობს შენი იმამი, მაგრამ თუ დემოკრატიის გჯერა, რატომ თვლი, რომ ხალხმა კი არა, შენ უნდა გადაწყვიტო ყველაფერი. აღარაფერს ვამბობ მათ ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე. მაგრამ ეს თამაში დამთავრდა უკვე, ახლა მოწყვეტილნი არიან როგორც ხალხს, ისე კონტაქტებს დასავლეთთან.

დღეისათვის, იანვრიდან მოყოლებული დღემდე, რაც გააკეთეს რადიკალურად საპირისპიროა დასავლური ღირებულებების, ანუ შეეცადნენ პოლიტიკური კონტექსტიდან ამოეღოთ ფული, პოლიტიკური დისკუსია, როგორც კი საკუთარ აზრს გამოთქვამდი, მაშინვე ხდებოდი დაკვირვების ობიექტი, აგენტი და ა.შ. და ბოლოს ამოიღეს ადამიანი, პოლიტიკური კონკურენცია მოსპეს და ბარემ რეალიგია გამოაცხადონ, დანიშნონ თავიანთი თავი ქურუმებად, მღვდელმსახურებად.

ერთადერთი საღი კომენტარი, რაც ხელისუფლების მხრიდან გაკეთდა, იყო ის, რომ მათ სურთ ივანიშვილის დამარცხება, მაგრამ თუ არ მისცემ შესაძლებლობას, გამოვიდეს შენთან პოლიტიკურ კონკურენციაში, მაშინ როგორ დაამარცხებ? ან რა იქნება შენი პოლიტიკური რეალობა, როცა ივანიშვილი გეყოლება შეჩერებული, ან როგორ შეაჩერებ? ძაან მაინტერესებს, როცა წერდნენ, რომ თურმე ივანიშვილმა რომელიღაც განცხადებაში არასწორად შეავსო გრაფა, რას ფიქრობდნენ, მერე რა იქნება, სცენარი როგორ განვითარდება, როგორ დაალაგებ ამ არეულობა-ალიაქოთს, ან ამ სიგიჟიდან როგორ უნდა გამოხვიდე?!




მე არ ვიცი ზუსტად, რატომ გადაწყვიტა ივანიშვილმა ამ საგიჟეთში ჩართვა, რასაც ქართული პოლიტიკა ჰქვია; საფუძველი არ მაქვს, არ ვენდო მის სიტყვებს, რომ თავის თავს ხედავს ამ ქვეყნის შვილად. მოდით, სხვა კუთხით შევხედოთ, საქართველოში არიან მდიდარი ადმიანები, რომლებიც ცდილობენ კიდევ უფრო მეტი სიმდიდრე დააგროვონ, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ეს შეუძლებელია თუ არ მოიპარე, ან არ წაართვი ვინმეს, მე მაინტერესებს, ამ ხალხს რატომ არ უსვამენ კითხვას, რად უნდათ ამდენი ფული, განა რამდენი უნდა დახარჯო, ადამიანის შესაძლებლობები ხომ ლიმიტირებულია?! რატომ ეკითხებიან ივანიშვილს, რა უნდოდა პოლიტიკაში, რომელსაც ძალიან ბევრი ფული აქვს, რომლის ცხოვრებაც ამერიკულ გორკებს ჰგავს, მან ხომ წარმატებებს საკუთარი ნიჭით და შესაძლებლობებით მიაღწია. ბიძინა ივანიშვილის ცხოვრებაში დგება ამბიციური გამოწვევა, რომ, მოდი, მე ჩემს ქვეყანას ამ გაჭირვებიდან ამოვაძვრენ, ამ წარმატებასაც მივაღწევ!

გამომივიდნენ და ითვლიან, როგორ და რა ფორმით უნდა დაეხარჯა თავისი ფული, ჯერ წადი და ორი კაპიკი დაახარჯე შენს მეზობელს და მერე გახდი ქველმოქმედების კრიტიკოსი. მე რამდენადაც ვიცი, ბატონი ბიძინა შეეცადა დახმარებოდა ხალხს, მაგრამ ეს მცდელობა ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში არის საცერში წყლის ჩასხმა. როდესაც მილიარდის ჩადება გინდა სოფლის მეურნობაში და გეუბნებიან, რომ ეს არ არის ქვეყნისთვის მომგებიანი, მაშინ, როცა სოფელში ოჯახი აღარ არის, რომლის ერთი წევრი მაინც ემიგრანტი არ იყოს. და ჩვენს ყოველდღიურ რაციონში მხოლოდ 20% ქართული პროდუქტი და ასეთ ვითარებაში ვიღაც „გენიოსი" გეუბნება, რომ სოფლის მეურნეობაში კი არა, სხვა დარგში უნდა ჩაიდოს ფული, გეგონება, ეკონომიკის ესმოდეს რამე. ალბათ, ამ ვითარებაში ივანიშვილის წინაშე დადგა ამოცანა, ქვეყანა გამოიყვანოს ამ აბსურდიდან და დააყენოს ნორმალური განვითარების გზაზე.

ამ ქვეყანაში, რომლის ხელისუფლებამაც ყველა პოლიტიკური კანონი დაარღვია: უღალატა პრინციპებს, დაუპირისპირდა საკუთარ ხალხს და საერთაშორისო საზოგადოებას, რატომღა ჰგონიათ, რომ სააკაშვილი პოლიტიკოსია და ივანიშვილი-არა?!

teleNEWS



**იაგო კაჭკაჭიშვილი:** სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა. ჩვენ ვიყავით მომსახურე ორგანიზაცია, დამკვეთი იყო სხვა. ეს იყო დახურული კვლევა და არ ხდება ამ შედეგების გასაჯაროება. ვინ მიაწოდა სააგენტო „პირველს" კვლევის შედეგები არ ვიცი, ფაქტია, რომ იგი სინამდვილეს არ შეეფერება - ნაციონალური მოძრაობა -35%, „ქართული ოცნება" 31%, დანარჩენი - ბარიერს მიღმა. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების გამჟღავნების უფლება მე არ მაქვს, მაგრამ ერთი შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი შედეგები გაცილებით ახლოა რეალობასთან, ვიდრე NDI-ის შედეგები.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩვენი კვლევის შედეგები საჯარო არ გახდება. იგი არ არის პოლიტიკური პარტიის შეკვეთა, არ არის „ქართული ოცნების" შეკვეთა, ხოლო ვინ არის დამკვეთი, ამ ინფორმაციას საიდუმლოდ დავტოვებ. ეს არის დამკვეთის მოთხოვნა.

ჩემთვის, პირადად, მიუღებელია NDI-ის პოზიცია, არ გამჟღავნდეს ის შედეგები, რომელიც პოლიტიკურ პარტიათა რეიტინგებს ეხება. პოლიტიკური პარტიები თავიანთ ლეგიტიმაციას იღებენ ამომრჩევლის მხრიდან და ჩემის აზრით, ამომრჩევლის უპატივცემულობაა, არ გაუმჟღავნო მას შედეგები.




თუ NDI-ის კვლევებს დავუჯერებთ, საქართველოში კვლავ გვაქვს ერთი პოლიტიკური ცენტრი, ნაციონალური მოძრაობა, ყველა სხვა დანარჩენი პარტია არის არაკონკურენტუნარიანი. ამ თვალსაზრისით თუ შევაფასებთ ვითარებას, კვლევის შედეგები არ შეესაბამება რეალობაას. ამის სათქმელად ზურგს მიმაგრებს ჩვენი ინსტიტუტის მიერ დადებული შედეგები, რომელიც დაახლოებით იმავე პერიოდში გაკეთდა. ერთი შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი გამოკითხვის მიხედვით, საქართველო დღეს ცხოვრობს მძაფრი პოლიტიკური კონკურენციის პირობებში ორ პოლიტიკურ ძალას შორის - ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება. NDI-ის კვლევებმა კონკურენტუნარიანი გარემო საქართველოში არ აჩვენა. და შესაბამისად, იგი რეალობის ადეკვატური არ არის.

ჩვენმა ინსტიტუტმა ნოემბერში ჩაატარა კვლევა (36%, ქართული ოცნება -32%, ქრისტიან-დემოკრატები -4, 3%), რომლის შედეგებიც ცნობილია საზოგადოებისათვის, შემიძლია გითხრათ, რომ მას შემდეგ სურათი ცოტათი შეცვლილია, თუმცა ფარგლებში ჯდება.

შემიძლია დავადასტურო, როომ ამ ორი პოლიტიკური ძალის გარდა სხვა პოლიტპარტიები დგანან რეალური საფრთხის წინაშე, რომ ვერ მოიპოვონ საპარლამენტო მანდატები. საარჩევნო ბარიერთან ახლოსაა ქრისტიან-დემოკრატები, სხვა ოპოზიციური პარტიები ამ ბარიერისგან ძალიან შორს არიან.

მინდა გითხრათ, რომ არის ტენდენციები, სადაც ჩვენი და NDI-ის კვლევები თანხვედრილია. მოდით, ასე დავსვათ კითხვა, როდის და სად არის მოტივირებული რესპონდენტი (ამომრჩეველი) დამალოს თავისი არჩევანი?! ნაციონალური მოძრაობის მხარდმჭერს არანირი მოტივაცია არ აქვს, თავისი არჩევანი დამალოს. სხვათა შორის, ასევე არ არის ბარიერები „ქართული ოცნების" შემდეგ ყველაზე რეიტინგული პატრიასთან ქრისტიან-დემოკრატებთნ დაკავშირებით. მათი რეიტინგი ყველა კვლევაში თითქმის თანაბარია, მცირედი ცდომილების გათვალისწინებით. ასევე არ ხდება დრამატული, დიდი განსვლა ნაციონალური მოძრაობის შედეგებთან დაკავშირებით. ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელთან მიმართებაში რადიკალურად მერყეობს გამოკითხვის შედეგები, ეს არის „ქართული ოცნება". ამიტომაც უნდა დაისვას შეკითხვა, რატომ ხდება ეს? პირველ რიგში, ეს არის მეთოდოლოგიური ხასიათის ხარვეზები, რომელიც განაპირობებს იმას, რომ გამოკითხვის დროს ოპოზიციურად განწყობილი რესპონდენტების გახსნა ვერ მიიღწევა. კატეგორიულად ვერ დავეთანხმები ლუის ნავაროს, რომ საქართველოში არ მუშაობს შიშის ფაქტორი. როგორც ჩანს, ნდI არ თვლის, რომ იგი მუსაობდა ავტორიტარულ ქვეყანაში, სადაც ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოების ნაწილს უჭირს თავისი პოზიციის გამოხატვა. მათ ამის არ სჯერათ, როგორც ჩანს. ყველაფერი ეს ჯამში უნდა იწვევდეს რესპონდენტთა გულწრფელობის პროვოცირებას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ კლასიკური მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება დემოკრატიულ ქვეყნებში, დღეს საქართველოში არ მუშაობს. განსაკუთრებით გამწვავდა სიტუაცია ბიძიან ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ და უკვე პიკს მიაღწია. როგორც კი რესპონდენტს მოსთხოვ საკონტაქტო ინფორმაციას, ეს საკმარისი ხდება იმისათვის, რომ იგი აღარ იყოს გულწრფელი, იგი თავს არ თვლის დაცულად ან მიაჩნია, რომ ანონიმურობა არ იქნება დაცული.

NDI-ის მიხედვით, რესპონდენტთა 70% -ს მიაჩნია, რომ ივანიშვილს უნდა დაუბრუნდეს მოქალაქეობა, საქმე ისაა, რომ რესპონდენტთა არაგულწრფელობა ვერ იქნება დაცული მთელი გამოკითხვის განმავლობაში. ვის მისცემს არჩევნებში ხმას - ეს არის პოლიტიკური გამოკითხვის ყველაზე ცხელი წერტილი, ყველაზე მგრძნობიარე შეკითხვა და ამიტომაც სწორედ ამ შეკითხვას აისხლეტენს ყველაზე ხშირად რესპონდენტები.



# ra acnobes `saerTo gazeTs~ quTaiselebma?

ქუთაისში აღმაშენებლის პროსპექტის პალმების ხეივანის თემა ისევ აქტუალურია. გასულ წელს ზარ-ზეიმით გახსნილი პროსპექტი კვლავ სამშენებლო რეჟიმშია. ჯერ იყო და კაკლის მშვენიერი ხეები პალმებით შეიცვალა, როგორც ამბობენ, პრეზიდენტს არც პალმების იდეა მოეწონა და არც პროსპექტის გასწვრივ გაკეთებული ველობილიკის ხარისხი —პალმების ხეივნის ბოლოს ზღვას ველოდებოდიო, — უთქვამს პირველს. ზღვა არა, მაგრამ უხარისხოდ გაკეთებული სარწყავი სისტემის გამო გუბეები კი ჩნდება ხოლმე...

როცა ქალაქის საკრებულოს სხდომაზე, გასული წლის ბიუჯეტის წარმატებით შესრულების საკითხს განიხილავდნენ, პალმების ხეივნის საკითხი კვლავ ვნებათა ღელვისა და განსჯის საგანი გახდა. 2011 წლის ბიუჯეტში ქუთაისის ამ ერთი პროსპექტისათვის 622 ათას ლარზე მეტი გაიხარჯა. შპს „ელბას" ხელმძღვანელი, რომელმაც აღნიშნული პროსპექტის გათანამედროვებაზე იზრუნა, სამართალდამცველთა „ყურადღების" ქვეშ მოექცა, თუმცა ყველაფერი სოლიდური ჯარიმის გადახდით დასრულდა. გაწეული შრომის ანაზღაურება არ აუღიათ მუშებს, რომლებიც ამ პროსპექტზე მუშაობდნენ. შესრულებული სამუშაოების უხარისხობაზე კი ქალაქის საკრებულოს წევრები ხმამაღლა საუბრობენ. მიმდინარე წლის ბიუჯეტში კვლავ ჩაიდო თანხა აღნიშნულ პროსპექტზე დაუსრულებელი სამუშაოების დასრულებისავის.

— „ქრისტიან-დემოკრატის" გიორგი შავგულიძის თქმით, ქუთაისში იმ ხალხს, ვინც ამ ტენდერებზე მუშაობს „კამიკაძეებს" ეძახიან. პრობლემა ჩატარებული ტენდერის პირობებში უნდა ვეძებოთ — ტენდერს იგებს ის ფირმა, რომელიც ამბობს, რომ სამუშაოს მიზერულ ფასში შეასრულებს, შემდეგ კი ამ თანხით ხელფასების გაცემასაც ვერ ახერხებს, შესრულებული სამუშაოებიც ეჭვქვეშ დგას. უხარისხობამ გამოიწვია ის, რომ ჩვენ ეს თანხა წყალში გადავყარეთ, დაზარალებული დარჩა ქალაქი და ის ხალხი, ვინც ამ სამუშაოებზე მუშაობდა. „2011 წელს აღმაშენებლის პროსპექტზე ჩატარებული სამუშაოებისათვის აუღებელი ხელფასების გამო, მე როგორც საკრებულოს დეპუტატს, მუშებმა მომმართეს, მაგრამ როცა მოვინდომე მათი სახელებისა და გვარების დაფიქსირება, მათ უკან დაიხიეს, რადგან ეშინიათ, ურჩევნიათ ხელფასები არ აიღონ და მშვიდად იყვნენ. ახლა ტარდება მესხიშვილის თეატრის რეკონსტრუქცია. საკრებულოში ჩვენს ფრაქციას წერილით მომართა არქიტექტორთა ჯგუფმა, რომლებმაც სამუშაოები გაწიეს, მაგრამ ანაზღაურებას ვერ იღებენ. მათ შესრულებული სამუშაოებისათვის განკუთვნილი 5400 ლარის ნაცვლად, მხოლოდ 1000 ლარი ჩაერიცხათ. სამუშაოს მწარმოებელი ფირმა შპს „ნინო" ამას იმით ხსნის, რომ ქალაქისაგან საჭირო თანხები არ მიუღია, — განაცხადა შავგულიძემ „საერთო გაზეთთან" საუბარში.

აღმაშენებლის პროსპექტზე შესრულებული სამუშაოებთან დაკავშირებულ კითხვებზე კი ქალაქის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ვასილ ნებურიშვილმა ასე გვიპასუხა: „აღმაშენებლის პროსპექტის გამყოფი ზოლის, შუა გაზონის სარემონტო სამუშაოები ჩაატარა შპს „ელბამ". მან შეასრულა ყველა გათვალისწინებული სამუშაო — გაშენდა პალმების ულამაზესი ხეივანი, შეკეთდა ბორდიურები, გამყოფი ზოლი მოპირკეთდა ფილებით, მოეწყო სარწყავი სისტემა, დაიდგა ძელსკამები... პრობლემა იმაშია, რომ შარშან ქალაქის თვითმმართველობას რამდენიმე ფრონტზე უწევდა მუშაობა, ბევრი რამე გაკეთდა, ამან კი გამოიწვია ის, რომ საბიუჯეტო სახსრები არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ მომხდარიყო ბორდიურების დემონტაჟი და ახლის მონტაჟი. ამიტომ წლევანდელი წლის ბიუჯეტში ჩაიდო თანხა ბორდიურებისათვის, რომელიც შარშან ვერ გაკეთდა, აი ასე, გაკეთდა, მაგრამ ვერ გაკეთდა. რაც შეეხება გზის საფარის სამუშაოებს, ნებურიშვილმა გვითხრა, რომ ქალაქის გზები ზამთარმა დააზიანა და მისი შეკეთება ხდება.

აღმშენებლობის ტემპების, რასაც ხელისუფლება ახორციელებს საკრებულოს, „ახალი მემარჯვენეების" დეპუტატს მამუკა მღვდელაძეს არ სჯერა, ის „ნაციონალების" საქმიანობას პიარისათვის განკუთვნილ ღონისძიებებად მიიჩნევს და ხელისუფლებისაგან მოითხოვს თავადაც აიღონ პასუხისმგებლობა იმაზე, თუ როგორი ხარისხით სრულდება მათ მიერ დაკვეთილი სამუშაოები — პროკურატურამ თუ შეამჩნია ის, რომ აღმაშენებლის გამზირზე სამუშაობი უხარისხოდ იყო შესრულებული, ხომ შეიძლებოდა რომ კეთების პროცესში ეს ხელისუფლებიდანაც შეემჩნია ვინმეს? მაგრამ ქალაქის ხელისუფლება ორიენტირებული იყო მხოლოდ იმაზე, რომ პროსპექტის დასრულება დათქმულ თარიღამდე მომხდარიყო, რათა შემდეგ საზეიმოდ გაეხსნათ. ეს არის მათი მთავარი საზრუნავი. ამიტომაც უხარისხო სამუშაოების გამო თუკი ვინმე მშენებლებიდან, პასუხს აგებს ხელისუფლებამაც უნდა აგოს პასუხი. შემკვეთმა, ყველაზე ბოლოს კი არ უნდა აღმოაჩინო, რომ სამუშაოები უხარისხოდ შესრულდა, ამას ხედავდა იქ ნებისმიერი გამვლელი, როგორ უხარისხოდ კეთდებოდა ბორდიურები, ველობილიკის საფარი, დაიდგა უხარისხო განათებები, რომელთაგანაც დღეს ნახევარიც აღარ ფუნქციონირებს-თითქმის ნახევარი გამოსულია მწყობრიდან... ასეთი ხარისხით შესრულდა ქუთაისში ბოლო წლებში თითქმის ყველა სამუშაო-ქუთაისის „თეთრი ხიდი" ორი წლის განმავლობაში სამჯერ შეაკეთეს, რადგან უხარისხოდ გაკეთებული ისევ გასაკეთებელი ხდებოდა, ანუ სამჯერ გამოიყო თანხა „თეთრი ხიდისათვის", ეს არის წყალში გადაყრილი ფული".



გზებიც ყველაზე უხარისხოდ ქუთაისში დაიგო, რა ზამთარი მარტო ქუთაისში იყო, თბილისში და ბათუმში არ ყოფილა ქალაქის რეკონსტრუქციის პირველი ეტაპი იყო და აქცენტი პრეზიდენტის დაბადების დღისათვის, სამაგიეროდ, ყველაფერი უხარისხოდ ქვაფენილი ქალაქის იმ რეაბილიტირებულ უბანში უკვე რამდენჯერმე დაიგო, მაგრამ ახლა ყველა მწყობრიდანაა გამოსული.

ოპერის თეატრი გაკეთდა და მაშინვე შენობაში წყალი ჩავიდა, სტადიონი გაკეთდა და ქარს ვერ გაუძლო... ახლა ქალაქის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი დაიწყო, აქცენტი ისევ ერთ დღეზე — გახსნის დღეზე კეთდება, 26 მაისამდე მანამდე უნდა მოესწროს ყველაფერი. არ სჯობს ამ თარიღომანიის ნაცვლად აქცენტი სამუშაოების ხარისხიანად შესრულებაზე გადავიტანოთ? თუკი ჩვენ ევროპას ვედრებით სილამაზით, არქიტექტურით და მართლაც არქიტექტორებმა დიდი შრომა ჩადეს ამ სამუშაოებში და მართლაც გემოვნებიანი ხალხი აკეთებდა ამას, უნდა შევედაროთ ხარისხითაც.

**ირინა მაკარიძე**

# gogi levaSov-TumaniSvili: `axla gadaviReb films da is iqneba afeTqeba...~



*რეჟისორი **გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილი** ქართული საზოგადოებისა და კინომოყვარულებისთვის ცნობილია მხატვრული და დოკუმენტური ფილმებით: "პრემიერა", "გამჭოლი მოქმედება", "ათოვდა ზამთრის ბაღებს", "ნუთუ ეს ჩვენ ვართ?" "მთვარის გლობუსი". ამ ფილმებმა, განსაკუთრებით მხატვრულმა: "ათოვდა ზამთრის ბაღებს" და მოსკოვში გადაღებულმა დოკუმენტურმა ფილმმა "ნუთუ ეს ჩვენ ვართ?" რეალობის შეულამაზებელი გადმოცემით და ამასთან, დახვეწილი კინემატოგრაფიული გამომსახველობით ასახა იმდროინდელი ეპოქისა და ძირეული გარდაქმნების აუცილებლობის სურათი.*

*„კარგი ნაწარმოები აქტუალურობას არასოდეს კარგავს და ვინც ბატონი გოგის შემოქმედებას იცნობს, ალბათ, დამეთანხმება, რომ ამ ფილმების თემატიკა და მათში წამოჭრილი პრობლემები, შეიძლება, დღევანდელობასაც მივუსადაგოთ. თუმცა ამ და სხვა საკითხებზე სჯობს თვითონ რეჟისორის აზრი მოვისმინოთ.*

**`Cven gvaviwydeba, rom samSoblos Svilebi varT, magram kidev unda vicodeT, rom misi mSoblebic varT, Cven vqmniT saqarTvelos~**

— ბატონო გოგი, 1984 წელს თქვენ გადაიღეთ მხატვრული ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს". ეს ის პერიოდია, როდესაც ჯერ აშკარად არა, მაგრამ ფარულად უკვე იგრძნობოდა არსებული კომუნისტური სისტემის ნგრევა. ფილმში გამოყენებული დეტალით, იმით, რომ ვერა და ვერ ხერხდება კედლის შეღებვა, საღებავი არ ჩერდება, სკდება, შიგნიდან დამპალი კედელი არაფრით არ იკარებს გარეგან შელამაზებას, მინიშნებული იქნა, რომ სისტემაა დამპალი და ფასადური გადალებვა ვერაფერს უშველის, პირიქით — შეიძლება მისი ხინჯი კიდევ უფრო აშკარა გახადოს. რომ გადავხედოთ მაშინდელ და მას მერე განვლილ პერიოდს, თქვენი აზრით რა მოიტანა შეცვლილმა დრომ, ამ წლებმა, გარეგნულად შელამაზებული სიცარიელე ისევ აქტუალურია თუ არა?

— კაცობრიობის და საქართველოს ისტორიაც იმპულსურად ვითარდება. აღმასვლას მოსდევს დაღმასვლა, ნგრევას — შენება. საქართველოს ისტორიას რომ გადავხედოთ, სამწუხაროდ, თითქმის არ ყოფილა პერიოდი, როცა ჩვენ აბსოლუტურად დამოუკიდებლები ვიყავით. ან დამოუკიდებლობა იყო ძალიან ხანმოკლე ისტორიის მასშტაბებთან შედარებით. ხან არაბები, ხან თურქები, ხან მონღოლები. . . სულ ვიღაც გვებრძოდა. შემდეგ მოვიდა დრო და საქართველო დაუახლოვდა რუსეთის იმპერიას. ვგულისხმობ გეორგიევსკის ტრაქტატს. მე არ ვთვლი, რომ ეს მავნებელი იყო ჩვენი სახელმწიფოსთვის; იმ პერიოდში ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვქონდა. რომ არა რუსეთი, ახლა ასიმილირებული ვიქნებოდით მაჰმადიანებთან, როგორც ქართული წარმოშობის თურქები თურქეთის ტერიტორიაზე. რუსეთთან მიერთებამ შეგვინარჩუნა მართლმადიდებლობა, მეორეც — რუსეთმა შემოგვიტანა ევროპული კულტურა. ის სახიფათო ზღვარი, რაც იყო ჩვენსა და მუსულმანურ ქვეყნებს შორის, გადმოიწია. რუსეთმა დაარტყა ჩრდილოეთ კავკასიას: ჩეჩნებს, დაღესტნელებს, თურქეთს წაართვა აჭარა და რატომღაც ჩვენ ეს გვავიწყდება. თბილისში გაჩნდა უნივერსიტეტი, ოპერის თეატრი, რუსთაველის თეატრი.

მერე დაარტყა ბოლშევიკურმა რევოლუციამ, გაჩნდა სტალინის ფენომენი (და ის მართლა ფენომენი იყო) და რუსებმა დაიჩოქეს სტალინის წინაშე. რუსებს, საერთოდ, უყვართ კერპი და სტალინისმაგვარი განდიდებული კერპი მათ არ ჰყოლიათ. ქართველი კაცი უცებ გახდა არამცთუ ბელადი, მეტიც, ღმერთივით ჰყავდათ რუსებს.

ნახეთ, რა ხდება ამის მერე: სამწუხაროდ, რუსებმა იმ დროს სტალინის დიდი ავტორიტეტი გადაიტანეს ყველა ქართველზე და ისე, როგორც ქართველები უყვარდათ რუსებს, არავინ ჰყვარებიათ, არც სომხები, არც აზერბაიჯანელები და არც არავინ. ნახეთ იმდროინდელი ლიტერატურა, პარტიულ—კომუნისტური ფილმები: რუსის გვერდით ყოველთვის დგას ქართველი. ან თუნდაც გავიხსენოთ ეგოროვი და ქანთარია, აქაც რუსთან ერთად ქართველი ავიდა რაიხსტაგზე.

ახლა რაც შეეხება ფასადურ შელამაზებას: სადაა სილამაზე? აახლაც გული მერევა რომ მახსენდება ხიდზე იმ რაღაც ქანდაკებებს კი არა, ჩონჩხებს რომ ვუყურებ. ეს თბილისი აღარ არის. ეს არის დედაქალაქი? ძველ თბილისს აქვს ჯერ კიდევ რაღაც შენარჩუნებული, მაგრამ საკმარისია ცოტა იქით წახვიდე ვაკისკენ, საბურთალოსკენ, დგას უშნო სახლები, უგემოვნოდ შეღებილი. ეს ის ქალაქი აღარ არის, თბილისს ვერ დაიბრუნებ. ეს ვითომ მოდერნისტული სტილი არ უხდება ჩვენს ქალაქს.

ერთი სიტყვით, არ გვიყვარს ჩვენ ჩვენი ქვეყანა. არ ვთვლი, რომ ქართველს უყვარს თავისი სამშობლო. რას ნიშნავს სამშობლოს სიყვარული, მე მინახავს ინგლისში ჩემთან მოსულა ინგლისელი და უთქვამს: აქ არ დააგდო ნამწვი, აქ არ შეიძლება ხმამაღლა ლაპარაკი, აქ მანქანას ნუ გააჩერებ; და მე რომ მაინც გავაჩერე, მოვიდა და მითხრა: მისი უდიდებულესობა ინგლისის დედოფლის სახელით თქვენ დაპატიმრებული ხართ. ამას ამბობს ჩვეულებრივი მოქალაქე. მე არ გამიგია ინგლისური ტელევიზიით ექოთ ინგლისი, ჩვენ კი სულ ვაქებთ ჩვენს თავს, ასევე სუფრასთან, არ გეგონოთ, რომ ჩვენზე ნაკლები ქეიფი უყვართ, მაგრამ მე ინგლისის სადღეგრძელო არ გამიგია.

გვავიწყდება, რომ ჩვენი სამშობლოს შვილები ვართ, მაგრამ კიდევ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ მისი მშობლებიც ვართ, ჩვენ ვქმნით საქართველოს, რომელშიც ჩვენმა შვილთაშვილებმა უნდა იცხოვრონ. უნდა გიყვარდეს შენი წარსული, მაგრამ უნდა აკრიტიკებდე შენს აწმყოს, და ეს აწმყო, როცა მომავალში გახდება წარსული, იქნება სიყვარულისა და პატივისცემის ღირსი.

**— თქვენ დიდი ხნის განმავლობაში იყავით ინგლისში, ასევე სხვა ბევრმა ნიჭიერმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა. ხშირად ჩნდება შეკითხვა: რატომ მიდიხართ?**

— ნიჭიერი ადამიანი ევროპაში იმიტომ მიდის, რომ მას იქ კარგად უხდიან. ბევრიც რჩება სამუდამოდ საზღვარგარეთ. მე იქიდან აქ მოვდივარ, სულ იქ ვერ გავჩერდები. კახეთში მიწები ვიყიდე, სოფლის მეურნეობას და ტურიზმს უნდა მივხედო.



**— ისევ დავუბრუნდებით თქვენს ფილმებს. მახსოვს, გარდაქმნის პერიოდში მოსკოვში 1988 წელს თქვენ გადაიღეთ დოკუმენტური ფილმი — "ნუთუ ეს ჩვენ ვართ?" რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის დედაქალაქის სინამდვილეს და რეალურ სახეს გვიჩვენებდა. ხომ არ გადაიღებდით ახლაც ისეთივე დოკუმენტურ ფილმს თანამედროვე ქართულ რეალობაზე?**

— გადავიღებ და ეს იქნება აფეთქება, რადგან გადავიღებ სიმართლეს თუ ვინ ვართ მართლა ჩვენ. ეს ფილმი რუსეთის გარდამავალ პერიოდს ეხებოდა, იმ დროის უსახურობას, მოქალაქეების უხეშობას და უპასუხისმგებლობას ასახავდა.

საქართველო ერთი დიდი თეატრია, დიდი სცენა. უნდა მივმართოთ მთელ მსოფლიოს, მოვუწოდოთ: ადამიანებო იყავით ფხიზლად! ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ, რადგან, როცა არტისტიზმი ვერ პოულობს გამოსავალს, იწყება აგრესია. როგორც თეატრი არის რაღაც მოცულობაში ქალაქთან პროპორციით, ასევეა საქართველო მსოფლიოსთან. ყველანი არტისტები ვართ, დაწყებული პრეზიდენტით, დამთავრებული ტაქსის მძღოლებით.

**— როგორი აზრის ხართ ახალი თაობის კინემატოგრაფისტებზე? გინახავთ ბოლოდროინდელი ქართული ფილმები?**

— ადრე იყო ზღვარი, განსხვავება ფილმებს შორის, იყო ქართული კინო, სომხური, აზერბაიჯანული, ლატვიური კინო. ქართული ფილმები ყოველთვის განსხვავდებოდა, გამოირჩეოდა ორიგინალობით. ახლა რასაც ვუყურებ, ეს რა ქართული კინოა. აგინებენ ერთმანეთს დედის ერთ ადგილს, რუსულად ყვირიან: "èäè íà . . . " ქართული სტილისტიკა და ეროვნული თემატიკა კომუნისტური ფილმების პერიოდში მეტი იყო. ამას ემატება სისტემატიური მიბაძვა, რაც სისუსტის გამომხატველია.

**— რა ჰქვია ფილმს, რომელზეც ახლა მუშაობთ და რას შეეხება იგი?**

— ფილმს ჰქვია "მთვარეულები". ეს ფილმი შეეხება ზუსტად იმას, როგორ გადავარჩინოთ საქართველო განადგურებისგან. ვგულისხმობ არა ეკონომიურ, არამედ ეროვნულ განადგურებას. მინიშნებული მაქვს, რომ ვართ არტისტული ერი და უნდა მივმართოთ მსოფლიოს, ერთი წამით მაინც გაიგონოს ქართული სიმღერა, სევდა, სიხარული და დაფიქრდეს, რა ელის სამყაროს ახლო მომავალში.

**თამუნა ქადაგიძე**















# raze `yivis~ sisxli?

მეცნიერები, მუდმივ დაკვირვებას აწარმოებენ ადამიანთა ჯგუფებზე და გამოაქვთ დასკვნა, რომლებიც დიდი ალბათობით ესადაგება ამა თუ იმ ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანის ხასიათს, ნიჭს, ტემპერამენტს და ა.შ.

შეიძლება, ადამიანს დიდად არ სჯეროდეს მეცნიერების მიერ გამოტანილი დასკვნებისა, მაგრამ მაინც ინტერესით ეცნობა საკუთარი სისხლის ჯგუფის დახასიათებას.

I ჯგუფი (0) – ეს უძველესი სისხლის ჯგუფია და „მონადირის" კატეგორიას მიეკუთვნება. ადამიანების 33,5 % ამ ჯგუფის სისხლის მატარებელია. ამ ჯგუფის სისხლი შეიძლება გადაესხას ყველა დანარჩენი ჯგუფის სისხლს, თვითონ კი მხოლოდ თავისივე ჯგუფი მიესადაგება. თქვენ ისწრაფვით ლიდერობისკენ და ისწრაფვით საშურველი შედეგის მიღწევისკენ ნებისმიერი საშუალებით, რადგან დარწმუნებული ხართ საკუთარ ძალებში. ხართ ეჭვიანი, რის დამალვასაც, ცხადია, ცდილობთ. ამასთანავე, ხართ ავადმყოფურად ამბიციური და საკუთარ თავზე ზედმეტად შეყვარებულიც, რაც ხშირად ამპარტავნობაში გადადის. არიან შურიანებიც და საშინლად ვერ იტანენ კრიტიკას. დამახასიათებელია მესაკუთრეობაც, რადგან თვლით, რომ რაც „მოინადირეთ", მხოლოდ თქვენია და თანაც სამუდამოდ. ხართ ენერგიული და გულღია. ძლიერი ნებისყოფის ხარჯზე იოლად უმკლავდებით სტრესულ სიტუაციებს და ადვილად აღიდგენთ დახარჯულ ენერგიასაც.

**მამაკაცი** – გამომდინარე ზოგადი შტრიხებიდან, საკუთარ თავში დარწმუნებულია და როგორც დამოუკიდებელი ნატურა, დარწმუნებულია რომ ქალების გულთამპყრობელიცაა, თუმცა, ქალთან ურთიერთობის დროს საკუთარ თავზე უფრო მეტად ფიქრობს, ვიდრე პარტნიორზე. ძალზე აინტერესებს სიახლე სექსში.

**ქალი** – საკმაოდ ეჭვიანი, ვნებიანი და მომთხოვნია ყველა ასპექტში.

**საკვები** – მიუხედავად შესაშური ჯანმრთელობისა, დაიჭირეთ თადარიგი, ნაკლებად მიიღეთ პურ-ფუნთუშეული და მაკარონი, მიეძალეთ ზეთზე დამზადებულ საკვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარანტირებული გაქვთ კუჭის წყლული.

ფიზიკური დატვირთვისთვის მისაღებია აერობიკა, სირბილი, ცურვა და თხილამურებით სრიალი.

ამ ჯგუფის ძირითადი პრობლემაა ნივთიერებათა ცვლა, მაგრამ არსებობს ფაქტორები, რომლის საშუალებითაც შეიძლება ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესება და წონის შემცირება.

**II ჯგუფი (A)** – ამ ჯგუფის სისხლი 37,8%-ს აქვს და „მიწისმჭამელთა" კატეგორიას მიეკუთვნება. გიყვართ ჰარმონიული გარემო და წესრიგი. პრობლემას არ ქმნით და კარგად მუშაობთ სხვა ადამიანებთან ერთად. ხართ ნიჭიერი, მგრძნობიარე, გულმოდგინე, მომთმენი და კეთილი, თუმცა, პირდაპირობასთან ერთად, დამახასიათებელი სიჯიუტე გახასიათებთ. გაქვთ პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა. ხართ გაწონასწორებული, მშვიდი, გონიერი და ერთგული მეგობარი, მაგრამ ხშირად გიყვართ გულის გადაშლაც. თვლით, რომ სექსი სიყვარულის გაგრძელებაა.

ამ ჯგუფის ძლიერი მხარეა ის, რომ ადვილად ეგუება გარემოს ცვლილებებს და დიეტას. სუსტი მხარეებია: მრძნობიარე საჭმლის მომნელებელი სისტემა, სუსტი იმუნური სისტემა (ღიაა ყველა ინფექციისთვის), ნერვული სისტემის მაღალი მგრძნობელობა.

რისკის ჯგუფი: გულის დაავადებები, ონკოლოგია, ანემია, I ტიპის დიაბეტი.

დიეტა უნდა იყოს სრული ვეგეტარიანული. რძის პროდუქტები შეზღუდულია (უცხიმო ყველი, ხაჭო), ბოსტნეული, ბურღულეული, პარკოსნები, ხილი (გარდა მკვეთრისა – ფორთოხალი, მანდარინი, ბანანი, ნესვი, ქოქოსი, ანანასი), თევზი, მაგრამ გამორიცხულია ზღვისა, ხიზილალა. შაქარი ზომიერად. სასმელებიდან რეკომენდირებულია: ყავა, მწვანე ჩაი, წითელი ღვინო. წვენები: გრეიფრუტის, ბლის, სტაფილოსი და ლიმონიანი წყალი. მოერიდეთ ფორთოხლის წვენს, შავ ჩაის და ყველა სოდიან სასმელს.

**მამაკაცი** – გამოხატულად მგრძნობიარე, მორიდებული, შეფარულად მორცხვი, მოსიყვარულე, ბუნებით ერთგული, თუმცა, სექსუალურ პლანში ცნობისმოყვარე.

**ქალი** – მორიდებული, მორცხვი, ბუნებით ერთგული, რო-



მელსაც არ აინტერესებს ექსპერიმენტები. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით ნაკლებად მოსალოდნელია მისი ღალატი.

დიდია სიმსივნისა და გულის დაავადებეის რისკი, ამიტომ, ასაკის მატებამდეც უმჯობესია ვეგეტარიანელობისკენ იყოთ გადახრილი. მიირთვით ბევრი ხილი, ბოსტნეული, ბრინჯი, პური და მაკარონი.

**III ჯგუფი (B)** – ამ ჯგუფის სისხლი 20,6%-ს აქვს და „მომთაბარეების" კატეგორიას მიეკუთვნებიან. ამ ჯგუფის ადამიანები არიან მომთმენები და ურთიერთობაში ძალზე გახსნილები, რითაც ვერ დაიკვეხნიან სხვა ჯგუფის ადამიანები. ჩამოყალიბებული ინდივიდუალისტი ხართ. მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირ გარემოს ადვილად ეგუებით, ბუნებით მიდრეკილი ხართ იმგვარი მოქცევისკენ, როგორც თქვენ მოგწონთ. მოქნილი გონება გაქვთ დიდი წარმოსახვის უნარით, მაგრამ დამოუკიდებლობის დიდი სურვილი, შეიძლება, პრობლემად გექცეთ. დამოუკიდებელი ხართ და ადვილად ახდენთ ადაპტაციას უმძიმეს სიტუაციაში და გარემოშიც კი. ხართ დელიკატური და ემოციური. თქვენი გარეგნობა მატყუარაა, რადგან რამდენადაც მშვიდი ჩანხართ, იმდენად ვარვარებთ შიგნიდან. ურთიერთობაში გრძნობას უფრო აფასებთ, ვიდრე სექსს, თუმცა, თქვენი შინაგანი მღელვარება უმაღლეს გამოხატულებას პოულობს შესაფერის პარტნიორთან. თქვენ გამოირჩევით ტემპერიმენტითა და სულიერი დახვეწილობით.

**მამაკაცი** – არ ცდილობს მუდმივი ურთიერთობის შენარჩუნებას. ამ შტრიხიდან გამომდინარე, იდეალურია მცირეხნიანი რომანისთვის, თუმცა, თუ ვინმე შეუყვარდა, ერთგულ, ყოველმხრივ სანდო და სანიმუშო მეუღლედ იქცევა.

**ქალი** – თავისუფლებისმოყვარეს ხშირად მერყევი გუნება აქვს, ადვილად შეუძლია როგორც რომანის წამოწყება, ასევე დასრულებაც. იგი არასდროს „ჩამოეკიდება" მამაკაცს. მამაკაცებში პოპულარობით სარგებლობს, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მისგან ერთგული მეუღლეც დადგეს.

ამ ჯგუფისთვის საკვებში შეზღუდვა თითქმის არ არის.

**IV ჯგუფი (AB)** – ეს ყველაზე იშვიათი ჯგუფია, მხოლოდ 7-8%-ს აქვს და „ახალი ადამიანის" კატეგორიას მიეკუთვნებიან. მშვიდი და გაწონასწორებული ხართ. გარშემომყოფებს უყვარხართ და კარგად გრძნობენ თავს თქვენს სიახლოვეს. ხართ ტაქტიანი და სამართლიანი, თუმცა, საკუთარი თავისთვის ზოგჯერ ზედმეტად მკაცრი.

**მამაკაცი** – მიისწრაფვის იდეალური ურთიერთობისკენ, ამიტომ სიყვარულისთვის ყველაფერს გაიღებს.

**ქალი** – მშვიდი ბუნებისა, საკმაოდ მგრძნობიარეები არიან. ამორჩეული მამაკაცის გვერდით თავს იდეალურად გრძნობენ, რის გამოც შესანიშნავი საყვარლები არიან.

საკვებში შეზღუდვა არ არის, შეგიძლიათ მიირთვათ ყველანაირი საკვები და როცა მოისურვებთ, თუმცა, ცხიმიან და შემწვარ კერძებს მაინც მოერიდეთ

სექსუალური თავსებადობის სურათი ამგვარია:

მამაკაცი და ქალი სისხლის 0 (I) ჯგუფი – ბედნიერებისთვის მუდმივი სქესობრივი კონტაქტი ესაჭიროებათ.

მამაკაცი 0 (I) და ქალი **A** (II) – შესაფერისი წყვილია.

მამაკაცი 0 (I) და ქალი **B** (III) – მამაკაცი აქტიურია, ქალი – პასიური, მაგრამ ეს ზუსტად ისაა, რაც მათ სჭირდებათ.

მამაკაცი 0 (I) და ქალი **AB** (IV) – მამაკაცის ქცევა ამ წყვილში გადამწყვეტია. თუ ის მომთმენია, ჰარმონიული ინტიმური ცხოვრება ექნებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან გაუძნელდებათ.

მამაკაცი **A** (II) და ქალი 0 (I) – მათ სჭირდებათ სექსი, ოღონდ ინტიმური პრელუდიით.

მამაკაცი და ქალი **A** (II) – ყველა სხვა კომბინაციიდან **A** (II) ჯგუფის სისხლის მქონე ქალისთვის საუკეთესო ვარიანტია.

მამაკაცი **A** (II) და ქალი **B** (III) – ამ წყვილის საწყის ეტაპზე, მამაკაცი ეძებს ღრმა ემოციურ კონტაქტს პარტნიორთან. თუ ქალი შეძლებს მოთმინებით დაელოდოს, მათი სექსუალური თანაცხოვრება ნელ-ნელა გამოსწორდება.

მამაკაცი **A** (II) და ქალი **AB** (IV) – სრული წარუმატებლობა.

მამაკაცი **B** (III) და ქალი 0 (I) – ისინი ერთმანეთს ასწავლიან, თუმცა ლიდერი ქალია. ხაზგასასმელია მამაკაცის სექსუალური ტალანტი.

მამაკაცი **B** (III) და ქალი ა (II) – ეს წყვილი ერთნაირად აქტიურია, რაც მათ გრძნობებს განსაკუთრებულ გამას უქმნის.

მამაკაცი და ქალი **B** (III) – მათი სექსი და სიამოვნება უღიმღამოა, ამიტომ ტექნიკის დახვეწაზე უნდა იზრუნონ.

მამაკაცი **B** და ქალი **AB** (IV) – ტემპერამენტული წყვილია. ისინი აზარტული ექსპერიმენტატორები არიან. სექსუალური თავსებადობა განსაკუთრებით მაღალია, თუ მამაკაცი უმცროსია ქალზე.

მამაკაცი **AB** (IV) და ქალი 0 (I) – მათ სექსი აერთიანებთ. მამაკაცი ბედნიერი იქნება თუ შეეჩვევა ქალის მოთხოვნებს.

მამაკაცი **AB** (IV) და ქალი ა (II) – მათი კავშირი უპერსპექტივოა, თუ ქალს არ ექნება ძლიერი გრძნობა.

მამაკაცი **AB** და ქალი **B** (III) – სხვა წყვილებთან შედარებით, ნაკლებად აქვთ სექსი, თუმცა სავსებით კმაყოფილები არიან.

მამაკაცი და ქალი **AB** (IV) ჯგუფის სისხლით – ამ წყვილის შესაძლებლობები უსაზღვროა. მათში ორი უკიდურესობაა, ან ძალზე ჰარმონიული სექსუალური ურთიერთობა აქვთ, ან ძალზე ცუდი.

მოამზადა **მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# როგორ ვიმკურნალოთ ევკალიპტით?

**წელს გრიპის ვირუსმა განსაკუთრებული სიმწვავით შემოუტია მოსახლეობას. საუბარია იმაზეც, რომ ამ სეზონზე გრიპის ვირუსის ეპიდემია დაფიქსირდა, თუმცა ჯანდაცვის სამინისტრო ამ ფაქტს არ ახმაურებს. როგორ დავიცვათ თავი ვირუსული ინფექციებისგან, ამის შესახებ ჰომეოპათიის აკადემიის რექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ТИНАТИН ТОПУРИА გვესაუბრება**

**— გრიპის სეზონი კვლავ გრძელდება. მართალია გრიპის ეპიდემია არ გამოუცხადებიათ, თუმცა ძნელად თუ მოიძებნება ოჯახი, რომელიც წელს ვირუსს გადაურჩა.**

— ვერ ვიტყოდი, რომ ეპიდემია არ იყო. უბრალოდ, პანიკა არ ყოფილა. წინა წლებისგან განსხვავებით, ახლა სხვა ტიპის პრობლემებია. კერძოდ, სეზონური გრიპის რამდენიმე ნაირსახეობასთან გვაქვს საქმე. ერთ-ერთი მათგანის შემოტევა ახლახან დაიწყო და დაავადებულთა რიცხვი ისეთი სისწრაფით მატულობს, ალბათ ეპიდემიის სახესაც მიიღებს.

**— როგორ მიმდინარეობს ვირუსი ბავშვებში?**

— მთელი ზამთარი ისეთი გრიპები იყო, რომლებიც 1-2 დღე გრძელდებოდა, მაგრამ ხანგრძლივ ხველას ტოვებდა. მას თან ახლდა გართულებები: ანგინა, ყურის ანთება, ჰაიმორიტიც კი, რომელიც ამ ასაკისთვის დამახასიათებელი არ არის. ამჟამად, ახალი გრიპი მაღალი სიცხით მიმდინარეობს, რომელიც 4-5 დღე გრძელდება. ეს ძალიან ასუსტებს ბავშვებს, განსაკუთრებით მათ, ვინც სეზონური გრიპი გადაიტანა.

**— როგორ ფიქრობთ, წელს რა იქნება წამყვანი პრობლემა?**

— როგორც ყოველთვის, ალერგიები, რაც, ამ წელს უფრო მძაფრად ჩაივლის. განსაკუთრებით, სავარაუდოა ასთმური მოვლენების გახშირება. ამის თქმის საფუძველს ალერგიის გამომწვევი მიზეზების მომატება მაძლევს — დაბინძურებული გარემო და გააქტიურებული პათოგენური ფლორა, რომელიც ორგანიზმში ყოველთვისაა და ინფექციის წყაროს წარმოადგენს. ბავშვებში ძალიან მომატებულია ადენოიდების, პოლიპების და გლანდების ჩივილები.

**— რა საშუალებები არსებობს გართულებების თავიდან ასაცილებლად?**

— რადიკალური საშუალება არ არსებობს, მაგრამ პროფილაქტიკა ყოველთვის აუცილებელია: ყელს და ცხვირს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება, აქ ყოველთვის ბუდობს მიკრობები. იმისათვის, რომ მათ გამრავლების საშუალება არ მიეცეთ, აუცილებელია დღეში რამდენჯერმე ანტისეპტიკური ხსნარების გამოვლებით მათი განადგურება. ერთ-ერთი მათგანი ყველასათვის კარგად ცნობილი ევკალიპტია.



## როგორ გამოვიყენოთ ევკალიპტი

ევკალიპტისგან დამზადებული პრეპარატები განკუთვნილია როგორც ორგანიზმის ზოგადი გაძლიერების, ასევე ბრონქებისა და ფილტვების გაწმენდისთვის, რაც სასუნთქი გზებიდან ვირუსის შეჭრის შესაძლებლობას ამცირებს. მისი გამოყენება ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვისაა შესაძლებელი, როგორც ბავშვების და მოზარდების, ისე ხანდაზმულების სამკურნალოდ. იგი გამოიყენება როგორც დასალევად, ასევე გარეგანი ხმარებისთვის — ეგზემის, ჩირქოვანი გამონაყარის, წყლულების შესახორცებლად და წითელი ქარის დროს. ასევე, ხელს უწყობს ჭრილობების სწრაფად შეხორცებას. სხვათაშორის, იგი გამოიყენება როგორც კონსერვანტიც. სწრაფად ფუჭებად პროდუქტებს ევკალიპტის ფოთლებთან ერთად ინახავდნენ, რაც ლპობის პროცესს აჩერებს. ევკალიპტის ფოთოლი ბაქტერიოციდულ ეფექტს 10 დღე ინარჩუნებს. ამით აიხსნება უძველესი ტრადიცია — ბავშვის საწოლთან ევკალიპტის ტოტის ჩამოკიდება, რომელსაც დამამშვიდებელი ეფექტი გააჩნია და ბავშვს მწერებისგანაც იცავს. ნესტიან ადგილებში მას ფართოდ იყენებდნენ ,,ავი სულის" — მალარიის დასაფრთხობად. ევკალიპტი ნერვულ სისტემაზე დამამშვიდებელ გავლენასთან ერთად ზოგადად ორგანიზმზე მასტიმულირებელ ეფექტს ახდენს.

ყველაზე მეტად ეფექტურია ყოველ დილა-საღამოს ევკალიპტის ნაყენით პირისა და ყელის გამოვლება. იგი შესანიშნავად მოქმედებს ლორწოვან გარსებზე, კლავს იქ არსებულ ბაქტერიებს. ამ გზით შეიძლება ანგინისა და სტომატიტის თავიდან აცილება. ევკალიპტი, ასევე ფართოდ გამოიყენება კუჭნაწლავის, ნაღვლის ბუშტის, შარდის ბუშტისა და საშარდე გზების ანთებების დროს.



## როგორ მოვამზადოთ ევკალიპტი

10-20 ფოთოლი ხელით დააქუცმაცეთ და პატარა ლამბაქით ოთახის სხვადასხვა ადგილებში. მოათავსეთ. ბავშვის საძინებელში დადგით საწოლის ქვეშ, ასევე, შეიძლება რამოდენიმე ფოთლის ბალიშის ან ლეიბის ქვეშ ამოდება. ჰაერის გამწმენდი ეფექტის გასაძლიერებლად გამოიყენეთ ლიმონის და ფორთოხალის კანები, ისინი ნებისმიერ ადგილას განათავსეთ, შეცვალეთ ახლით ყოველ 2 კვირაში.

**ევკალიპტის ორთქლი:** ევკალიპტის 10 ფოთოლი ჩადეთ პატარა ქვაბში, დაასხით 0,5 ლიტრი ცივი წყალი და დადგით ნელ ცეცხლზე. ადუღეთ 10 წუთი. შემდეგ ეს ქვაბი ოთახებში მოატარეთ ისე, რომ ორთქლი ამოდიოდეს. ამ ორთქლით ჰაერის დეზინფექცია ხდება. ქვაბი ისევ დადგით ცეცხლზე, დაამატეთ წყალი და ისე ადუღეთ, რომ მცენარის არომატი სახლში რაც შეიძლება მკვეთრად იგრძნობოდეს. ამ ორთქლის ინგალაცია ეფექტურია, როგორც გაციების, გრიპის, ხველის, ქრონიკული ბრონქიტის, ასევე ანგინის დროს.

**კუჭნაწლავის პრობლემებზე:** 10 კგ. ევკალიპტის ფოთოლს დავასხათ 1 ჭიქა მდუღარე. დავახუროთ თავსახური, შევფუთოთ პირსახოცით და გავაჩეროთ 30 წუთი. შემდეგ გადავწუროთ. მივიღოთ დღეში 2-3-ჯერ 40-50 გრ. ეფექტურია კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის ეროზიული დაავადებების დროს.

**ყელში სავლები:** 2 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ფოთოლს დავასხათ 2 ჭიქა ცივი წყალი, დავდგათ ნელ ცეცხლზე, წამოვადუღოთ, შევფუთოთ და დავტოვოთ 2 საათით. გადავწუროთ, გამოვივლოთ ყელში სავლებად, დღეში ორჯერ — დილა-საღამოს. ანგინის სამკურნალოდ 4-5-ჯერ დღეში.

**ევკალიპტის ნაყენი ბრონქების ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ:** 4 ს/კ დაქუცმაცებულ ფოთლებს დავასხათ 200 გრ. 70 პროცენტიანი სპირტი. დავდგათ შუქს მოფარებულ, თბილ ადგილას. გავაჩეროთ 7 დღე, გადავწუროთ. ნაყენი მზადაა. მიიღეთ დღეში 2-ჯერ 15-20 წვეთი ყავის ჭიქა წყალში გახსნილი.

**ევკალიპტის ჩაი** — დააყენეთ ჩაი შემდეგი პროპორციით — 1 ს/კ დაქუცმაცებულ ფოთლებს დაასხით 200 გრ. მდუღარე, დაახურეთ, შეფუთეთ პირსახოცით. გააჩერეთ 2 საათი. გადაწურეთ და ეს ნაყენი გამოიყენეთ ევკალიპტის ჩაის მოსამზადებლად. ამისათვის ყოველი მიღების წინ ჩაასხით ჩაის ჭიქაში 50 გრ. ნაყენი და შეავსეთ მდუღარე წყლით. დალიეთ ცხლად.



**ევკალიპტი კანისთვის:** ევკალიპტის ნაყენიანი აბაზანები ასუფთავებს კანის ფორებს, მისი მეშვეობით ხელს უწყობს შლაკების გამოყვანას, ამაგრებს თმის ძირებს, ამკვრივებს კანს. თუ დადიხართ საუნაში, შეგიძლიათ მიისხუროთ ევკალიპტის ზეთი და გამოიყენოთ ევკალიპტის ტოტების ,,ცოცხი". სპირტზე დაყენებული ევკალიპტის ნაყენი ეფექტურია კანზე აკნეებისა და ჩირქგროვების მოსაშუშებლად.

**თამარ შველიძე**




ჰომეოპათიის აკადემიის სამკურნალო ცენტრი გთავაზობთ:

ჭიების, პოლიპების, გლანდების, იმუნიტეტის სისუსტის, ბრონქების, დიათეზის და სხვა მწვავე და ქრონიკული დაავადებების მკურნალობას ბუნებრივი საშუალებებით.

ჰომეოპათიური აკადემიის პრეზიდენტი
თინათინ თოფურია.

misamarTi: Tbilisi, faliaSvilis q. #43/3,
tel.: 29 43 65; 890 29 43 65.

# სიცრუის დეტექტორი

ადამიანები უხსოვარი დროიდან ებრძოდნენ ტყუილს.

ჩინეთში „სიმართლის ექსპერტად" ეროვნულ სიამაყეს — ბრინჯს მიიჩნევდნენ. ეჭვმიტანილს დაკითხვისას პირში უმი ბრინჯის რამდენიმე მარცვალს უდებდნენ. თუ დაკითხვის შემდეგ ბრინჯი მშრალი დარჩებოდა, ბრალდებულს დამნაშავედ ცნობდნენ, თუ არადა, ათავისუფლებდნენ.

მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს დანიელ დეფოს კრიმინალურ მდგომარეობათა ანალიზის თავისებური მეთოდი ჰქონდა — მისი აზრით, დამნაშავეების, ქურდებისა და თაღლითების ამოცნობა სისხლში ადრენალინის მაღალი კონცენტრაციით შეიძლებოდა.

XIX საუკუნის დასაწყისში იტალიელი ფიზიოლოგი მოსო პაციენტ ქალბატონს სისხლძარღვთა სისხლით ავსების ხარისხს უზომავდა. უეცრად ქალმა თავის თვალწინ, მაგიდაზე, ადამიანის თავის ქალა შეამჩნია, იკივლა, პანიკური შიში დაეუფლა და გულის მუშაობის ჩვეული რიტმიც რადიკალურად შეეცვალა. გამჭრიახი ფიზიოლოგი მაშინვე მიხვდა, რომ შიში ის ემოცია იყო, რომელზე დაკვირვებაც ბევრ რამეს მოჰფენდა ნათელს.



## როგორ დავადგინოთ სიმართლე

სიცრუის პირველი დეტექტორი მეოცე საუკუნის ოციან წლებში ამერიკელმა კრიმინალისტმა, პოლიციის ლეიტენანტმა ლეონარდ კილერმა შექმნა. გამოგონება თვალის დახამხამებაში მოედო მთელ მსოფლიოს. ყველაზე ხშირად მას, ბუნებრივია, კრიმინალისტები, სპეცსამსახურებისა და სახელმწიფო დაზვერვის თანამშრომლები იყენებდნენ.

მსოფლიოში ამგვარი აპარატების რამდენიმე ათეული მოდელი არსებობს, რომელთაც მუშაობის ერთი და იგივე პრინციპი აქვთ: ფიზიოლოგიურ მაჩვენებელთა იმ ცვლილებების აღნუსხვა, რომლებიც დაკითხვისას ტყუილის თქმის მომენტში ადამიანის ორგანიზმში იჩენს თავს. დეტექტორი უმთავრესად გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი სისტემისა და კანის ფუნქციათა ცვლილებებზეა გათვლილი. სწორედ მათი გაშიფვრით დგინდება, მართალს ამბობს თუ არა მოპასუხე.

დღეს უმთავრესად კომპიუტერულ ხელსაწყოებს იყენებენ, რომლებიც ერთდროულად ორგანიზმის ოცი სხვადასხვა ფუნქციის პარამეტრს აღნუსხავს, მათ შორის — სუნთქვისა და გულისცემის სიხშირეს, კანის ელექტრული წინაღობის ძალას, მის ტემპერატურას, ტენიანობას, არტერიულ წნევას, ზოგიერთ შემთხვევაში — თავის ტვინის ამა თუ იმ უბნის აქტივობასაც. შესაძლებელია სახის მიმიკური კუნთების უმნიშვნელო ცვლილების დაფიქსირებაც.

მეთოდი 95 პროცენტში ამართლებს. ამგვარ ფილტრს ადამიანის ცხოვრების ვერც ერთი შავბნელი საქმე ვერ დაუძვრება. თვით სპეცსამსახურების ყველაზე გამოცდილი თანამშრომლებიც კი, რომლებსაც ამისთვის სპეციალურად ამზადებენ, სიცრუის დეტექტორის წინაშე ვერაფერს ხდებიან. წარმოიდგინეთ, რამდენად მცირე იქნება ჩვეულებრივი ადამიანის შანსი. დადგენილია: სიცრუის დეტექტორის მოტყუება მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც ხელეწიფება საკუთარი გულისცემისა და სუნთქვის შეჩერება.

## ტექნიკური ინტერვიუ

ასე უწოდებენ ერთგვარ ტესტირებას, რომელიც უთუოდ უნდა გაიაროს ყველამ, ვისაც კი პრესტიჟულ ფირმაში ან კერძო კომპანიაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობა სურს.

ბუნებრივია, ფირმის მესვეურთ, რომლებიც დაინტერესებული არიან თავიანთი დაწესებულების წარმატებით, არ უნდათ, თამაშრომელთა შორის ნარკომანები, მეძავები, დანაშაულებრივ საქმიანობაში გარეული ან თუნდაც კონკურენტი ფირმისგან ჯაშუშად შეგზავნილი პირები ჰყავდეთ. ამ საკითხის მოგვარებას ისინი სიცრუის დეტექტორს ანდობენ. სწორედ მასთან „ურთიერთობის გარკვევის" შემდეგ წყდება ადამიანის სამუშაოზე მიღების საკითხი.

გამოსაცდელს სპეციალურ სავარძელში სვამენ და თითებსა და გულმკერდზე ამაგრებენ მიმღებ ხელსაწყოებს, რომლებიც იმპულსებს მონიტორს გადასცემს. საგანგებო წესით შედგენილ კითხვებზე პასუხის გაცემისას ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ორგანიზმში ხდება, გრაფიკულად აღიბეჭდება მონიტორზე.

ამბობენ, თუ ტექნიკური ინტერვიუს დროს გამოსაცდელი რაიმე სხვაზე იფიქრებს ან მცირე ხნით სუნთქვასას შეწყვეტს, თითქოს, ხელსაწყოს მოტყუებას მოახერხებს. აზრი არა აქვს — გამოცდილი ოპერატორი მაშინვე შეამჩნევს ორგანიზმის არაადეკვატურ, წინააღმდეგობრივ მოქმედებას და ეს კიდევ უფრო გაზრდის სიმულაციის ეჭვს.

საკუთარი სიმართლის ფიზიოლოგიურად დასადასტურებლად ორი საათია გამოყოფილი. ამის შემდეგ ოპერატორი ინტერვიუს გააანალიზებს და გადაწყვეტს, შეეფერება თუ არა კანდიდატურა ვაკანტურ თანამდებობას.

უნდა ვაღიაროთ, რომ სიცრუის დეტექტორი აბსოლუტურად სრულყოფილი ხელსაწყო ნამდვილად არ არის, მას არ შეუძლია დაავადებებისა და გენეტიკური წინასწარგანწყობის აღმოჩენა და ადამიანის სექსუალურ მიდრეკილებათა განსაზღვრა.

და ბოლოს, არსებული კანონმდებლობის თანახმად, 14-დან 18-წლამდე მოზარდებს ტექნიკური ინტერვიუ მხოლოდ და მხოლოდ მშობლების ან ადვოკატის თანდასწრებით უნდა ჩამოერთვას.

# შრომამანია – ძლიერი სქესის სისუსტე!

დაახლოებით 25 წელია, რაც დასავლეთის დიდ ქვეყნებში: ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ჰოლანდიასა და იაპონიაში — წარმატებით ფუნქციონირებს საქველმოქმედო ორგანიზაციები სახელწოდებით: „ანონიმი შრომამანები".

ორგანიზაციების მიზანია, სამედიცინო ფსიქოლოგიური დახმარება გაუწიონ პირებს, რომლებიც თავს შრომამანებად მიიჩნევენ.

შრომამანია — ცივილიზაციის ძლვენია, მან ალკოჰოლზე, ნიკოტინსა და ნარკომანიაზე არანაკლები საფიქრალი გაუჩინა ექიმებს. ამასთან, აღმოჩნდა, რომ შრომამანიით ძირითადად მამაკაცები ავადდებიან, ვინაიდან სუსტი სქესის წარმომადგენლები, მათთვის დამახასიათებელი ქალური ეშმაკობის წყალობით, თურმე ყოველთვის ახერხებენ, თანაბრად გაანაწილონ ენერგია სამსახურსა და ოჯახს შორის; ასე რომ, შრომამანია ძლიერი სქესის სისუსტე ყოფილა.

შრომამანთა რაოდენობამ იმდენად იმატა განვითარებულ ქვეყნებში, რომ მოსამსახურეთა გადაქანცვის თავიდან ასაცილებლად იაპონელებმა ე.წ. დაღლილობის დეტექტორიც კი შექმნეს. ეს არის მოწყობილობა, რომელსაც ამონტაჟებენ სამუშაო ადგილთან ახლოს. იგი მომსახურე პერსონალის ხმის ტემბრის ცვლილებით ადგენს დაღლილობის ხარისხს და საჭირო დროს გასცემს ბრძანებას: „შეჩერდი, თორემ გადაიწვები!" მოსამსახურეც უმალვე ანებებს თავს მუშაობას, თუ ვინმე ბრძანებას დროულად არ დაემორჩილება, კომპანიის მეპატრონისთვის ჯარიმის სახით სამუშაო დღის ხელფასის ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევს.



## როგორ ამოვიცნოთ შრომამანი?

ეს არის ადამიანი, რომელსაც დაავიწყდა ცოლ-შვილი, მშობლები, მეგობრები, ნათესავები, კინო, თეატრი, დასვენებასა და ბედნიერებას კი შრომაში ეძიებს. მისი მამოძრავებელი ძალა კარიერისადმი დაუოკებელი სწრაფვა და მხოლოდ წარმატებაზე ორიენტაციაა.

მას მუდმივად საბრძოლო განწყობა აქვს, რათა ირგვლივ მყოფებს, უპირატესად კი ოჯახის წევრებს, დაუმტკიცოს, რომ მათ გვერდით თავად სრულყოფილება ცხოვრობს.

შრომამანი საკუთარ თავს სულ ახალ და ახალ ამოცანებს უსახავს და მათ რეკორდულ დროში შესრულებას ცდილობს. მიაჩნია, რომ მხოლოდ მუდმივი გონებრივი ტრენინგის მეშვეობით არის შესაძლებელი სანუკვარი მიზნის მიღწევა.

ამგვარი ფსიქოლოგიური დაძაბულობის ფონზე ის ერთგვარ ეიფორიას განიცდის, რაც შრომადამოკიდებულების აშკარა სიმპტომია.

ხშირად შრომამანი საკუთარ თავსა და ძალებში რწმენადაკარგული და მარტოსული მამაკაცია, რომელიც სამსახურში მიღწეული წარმატების, ფულის, საზოგადოების მხრივ პატივისცემის ხარჯზე ცდილობს პიროვნული უკმარისობის კომპლექსის დაძლევას.

ფრაგმენტი რიგითი შრომამანის დღის წესრიგიდან:

20 წუთი ვაჟიშვილის აღზრდა;

10 წუთი მეუღლესთან საუბარი;

5 საათი დისერტაციაზე მუშაობა...

დროთა განმავლობაში, მუდმივი გონებრივი და ფიზიკური დაძაბულობის გამო, შრომამანებში თავს იჩენს საკმაოდ ძლიერი დეპრესია, რომელიც უძილობაში, უმადობასა და



დაქვეითებულ სექსუალურ აქტივობაში ვლინდება.

ადამიანი კარგავს საკუთარი თავის პატივისცემას, ადვილად იღლება, ეუფლება უმიზეზო მოწყენილობა და სასოწარკვეთა.

თავს იჩენს ორგანული ცვლილებებიც: გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემებში. შეიძლება ითქვას, რომ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება შრომამანთა პროფესიული პათოლოგიაა.

## შრომამანიას რომ გადაურჩეთ:

ხშირად ესაუბრეთ მეუღლეს სამსახურზე, ნურც იმის აღიარების მოგერიდებათ, რომ პრობლემები გაქვთ.

ყველაფერი გააკეთეთ, რათა სარეცელი ერთგვარ ტრანკვილიზატორად არ გექცეთ — სექსი მხოლოდ დაღლილობის მოსახსნელი საშუალება როდია, ნუ შემოაძარცვავთ მას რომანტიკულ საბურველს.

გირჩევთ, მეტი დრო დაუთმოთ შვილებს, თორემ ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენთ, რომ სამსახურში ესოდენ პატივცემულ პიროვნებას, საკუთარი შვილების თვალში საერთოდ დაგიკარგავთ ავტორიტეტი.

გახსოვდეთ: ოჯახურ გარემოში გატარებული 2 საათიც კი უზღვავი ენერგიით აგავსებთ.

დაუთმეთ ერთი დღე მშობლებს — მათზე უკეთ ვინ გაგიგებთ?" ამასთან, თუ საკუთარი მიღწევებით თავის მოწონება გიყვართ, მშობლები ხომ თქვენი საუკეთესო მსმენელნი იქნებიან.

პერიოდულად მოუწყვეთ თავს დასვენების დღეები, გაიხსენეთ, რა გეხალისებოდათ ყველაზე მეტად ბავშვობაში.

და ბოლოს, შეარჩიეთ საჭირო დიეტა და მუშაობის ოპტიმალური რეჟიმი.

დამშვიდდით — ოდესმე ხომ უნდა დაიწყოთ ცხოვრება?!

გვერდი მოამზადა
ზვიად ღონღაძე

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# saakaSvili gzagasayarze

**როგორც ჩანს, ბატონ პრეზიდენტს დაავიწყდა 2003 წელი – როგორ მონაწილეობდა სახელმწიფო გადატრიალებაში, რაც არანაირად არ შეესაბამებოდა კონსტიტუციას**



მიხეილ სააკაშვილმა თავისი უშფოთველი პრეზიდენტობისთვის გზა გაიკაფა – საქართველოს მეთაურის თანამდებობაზე ყოფნისას მოახერხა და ყველა სერიოზული პოლიტიკური კონკურენტი თავიდან ჩამოიცილა. შემოდგომაზე საქართველოს პრეზიდენტმა ეფექტურად გზიდან გადააყენა ადამიანი, რომელმაც დაუფარავად გამოხატა თავისი პოლიტიკური შეხედულებები და რომლებიც, მსუბუქად თუ ვიტყვით, თვითონ სააკაშვილის შეხედულებებს არ ემთხვეოდა. ეს ადამიანი გახლავთ ბიძინა ივანიშვილი – ყველაზე მდიდარი ქართველი, რომლის ქონებასაც მსოფლიო ფინანსური ჟურნალები დაახლოებით 6,4 მილიარდ დოლარად აფასებენ. ეს თანხა უფრო მეტია, ვიდრე საქართველოს 2012 წლის ბიუჯეტი. ბიძინა ივანიშვილს, რასაკვირველია, ასეთი ფინანსური რესურსებითა და ოპოზიციური ინტერესებით, შეეძლო, სააკაშვილის ჰეგემონიისთვის სერიოზული დარტყმა მიეყენებინა.

იმისათვის, რომ ივანიშვილს თავისი პოლიტიკური ამბიციების რეალიზება ვერ მოეხდინა, სააკაშვილმა თავის შესაძლო მოწინააღმდეგეს „წერტილოვანი დარტყმა" მიაყენა – უბრალოდ, მოქალაქეობა ჩამოართვა. საქართველოს კონსტიტუცია ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს უკრძალავს, დაიკავონ უმაღლესი თანამდებობები. ივანიშვილი იყო საქართველოს, რუსეთისა და საფრანგეთის მოქალაქე, სააკაშვილის ნების შესაბამისად, მის ოპონენტს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს.

ივანიშვილმა უარი თქვა რუსეთის მოქალაქეობაზე, საფრანგეთის მოქალაქეობაზეც და საქართველოს შიდაპოლიტიკურ ბრძოლაში ჩაება... სულ რამდენიმე დღის წინ საჯარო რეესტრმა ივანიშვლის მოქალაქეობაზე ფაქტობრივად უარი უთხრა.

ისე ჩანდა, თითქოს სააკაშვილმა უბრალო ბიუროკრატიული მეთოდით მოიცილა თავისი პოლიტიკური კონკურენტი და შეეძლო ჩვეულ კალაპოტში გაეგრძელებინა პრეზიდენტობა. საქართველოს პრეზიდენტისთვის სრულიად მოულოდნელად, საქმეში ჩაერივნენ სააკაშვილის ძველი მეგობრები – ამერიკელები, რომლებმაც ამჯერად სააკაშვილის კი არა, ივანიშვილის დაცვა განიზრახეს. სააკაშვილი აშკარად აანერვიულა საქართველოში ამერიკის ელჩის ჯონ ბასის შემდეგმა განცხადებამ: ამერიკის შეერთებული შტატები მოუწოდებს „საქართველოს მთავრობას, წარმართოს ივანიშვილისთვის მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხი კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპით და წარმართოს სწრაფად".

საქართველოს ოპოზიციონერთა დიდ ნაწილს და ხალხსაც მიაჩნიათ, რომ თუ ივანიშვილს მოქალაქეობას არ მიანიჭებენ და შესაბამისად, იგი მონაწილეობას ვერ მიიღებს არჩევნებში, თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების ქუჩებში საპროტესტო აქციები გაიმართება.

ძნელია წარმოიდგინო, რა თავსატეხის ამოხსნას ცდილობს საქართველოს პრეზიდენტი. მისი მთავარი მეტოქის მხარდასაჭერად მასობრივი მიტინგების გამართვა აშკარად ეწინააღმდეგება მის გეგმებს. აღარ იცის, რა მოიმოქმედოს: მისცეს მოქალაქეობა? ამის შემდეგ ხომ ივანიშვილი თავის კოალიციასთან ერთად არჩევნებს მშვიდად მოიგებს... არ მისცეს? ამით ხომ საპროტესტო მღელვარებასაც გამოიწვევს და თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური სპონსორის – ამერიკის შეერთებული შტატების გულისწყრომასაც... ამერიკული დიპლომატიის წარმომადგენლის განცხადება იმის მანიშნებელია, რომ სააკაშვილმა შეიგნოს – ვაშინგტონი აღარ აპირებს ძველებურად მის მხარდაჭერას. პოლიტიკოსთა პოპულარობის ბოლოდროინდელი რეიტინგებიც ადასტურებს, რომ სააკაშვილი პოზიციებს კარგავს.

ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭებაზე უარი სააკაშვილის აშკარა სისუსტეზე მიუთითებს – სუსტი ლიდერი არც ხალხს უყვარს ქვეყნის შიგნით, და არც უცხოელ პარტნიორებს: სააკაშვილი აღარ არის „ხელსაყრელი პერსონა" კავკასიაში; ამასთან, გავიხსენოთ სამხრეთ ოსეთთან ომი და ისიც, თუ როგორ ცდილობდა სააკაშვილი, აშკარა ფაქტები სიცრუით გადაეფარა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის სახელმწიფოთა უმრავლესობა საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე სააკაშვილის მოღვაწეობას 2008 წლის სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის გადასახედიდან აფასებს.

ახლა სააკაშვილი ხშირად იშველიებს კონსტიტუციას, რომ ქვეყნის მთავარი კანონით მოქალაქეობის საკითხი მკაცრად არის რეგლამენტირებული და არ შეუძლია, არ დაიცვას იგი. როგორც ჩანს, ბატონ პრეზიდენტს დაავიწყდა 2003 წელი – როგორ მონაწილეობდა სახელმწიფო გადატრიალებაში, რაც არანაირად არ შეესაბამებოდა კონსტიტუციას. ისტორიას ხომ გამეორება სჩვევია...

**topwar.ru**

# saxelmwifo saTaTbiroSi `ferad revoluciebTan~ brZolis sabWo iqmneba

## `kontrrevoluciuri inteleqtualuri centri~ _ postsabWoTa qveynebis winaaRmdeg

რუსეთში გადაწყვიტეს, „ნარინჯისფერი საფრთხეების" პროფილაქტიკით დაკავდნენ. სახელმწიფო სათათბიროში, დსთ-ის საქმეთა კომიტეტში იქმნება სპეციალური საბჭო, რომელიც გააანალიზებს პოსტსაბჭოთა სივრცესა და ახლო აღმოსავლეთში წარმოქმნილ საფრთხეს და განიხილავს „ფერადი რევოლუციების" საწინააღმდეგო მოქმედებების საკითხებს. ექსპერტთა ვარაუდით, ასეთ სტრუქტურას რუსეთის პრეზიდენტი უნდა კურირებდეს. ინფორმაციას საბჭოს ჩამოყალიბების შესახებ ადასტურებენ სათათბიროს კომიტეტის წარმომადგენლებიც. მათი აზრით, ამ ორგანოს დანიშნულება იქნება რუსეთისა და მისი მოკავშირეების ინტერესთა დაცვა.



უწინარესად, ამ საბჭოს საქმიანობა მიმართული იქნება რუსეთის ინტერესებს დაპირისპირებული საფრთხეების აღსაკვეთად ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე; კერძოდ, საბჭო განიხილავს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე დსთ-ის ქვეყნებზე სხვა სახელმწიფოების ზეგავლენას.

ექსპერტი, რომლისთვისაც ცნობილია ამ საბჭოს შექმნის აშკარა თუ ფარული მიზნები, აცხადებს – ეს იქნება ერთგვარი „კონტრრევოლუციური ინტელექტუალური ცენტრი". მის სხდომებზე ექსპერტები განიხილავენ „უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციების, როგორც „ფერადი რევლუციების" ინსტრუმენტის საკითხს", „ქსელური ტექნოლოგიების როლს საპროტესტო მოძრაობის ორგანიზებისას", ბლოგებისა და სოციალური ქსელების მასებზე ზეგავლენას... მათი კვლევის არეალში მოექცევა აგრეთვე რევოლუციური მოძრაობის საწინააღმდეგო მეთოდების შემუშავებაც.

საბჭოს ფუნქციებსა და შემადგენლობაზე ოფიციალური მსჯელობა ხვალ დაიწყება. ითქვა, რომ საბჭოს მუშაობის საფუძველი გახდება იმ ინსტიტუტების გამოკვლევები, რომელთა სპეციალიზაციაა პოსტსაბჭოთა სივრცის კვლევა; კერძოდ, სტარატეგიული კვლევების რუსეთის ინსტიტუტი, დსთ-ის ქვეყნების ინსტიტუტი და დსთ-ის ანტიტერორისტული ცენტრი. სავარაუდოდ, ამ მუშაობაში ჩაერთვება შავი და კასპიის ზღვების რეგიონის პოლიტიკური და სოციალური კვლევების ინსტიტუტიც.

ექსპერტებს აშფოთებთ ჩინელი კოლეგების გამოცდილება – 2005 წელს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა ჯგუფი, რომელსაც დაევალა „ფერადი რევოლუციების" უკვე არსებული გამოცდილების შესწავლა საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში. ამ საბჭოში შედიოდნენ სამხედროები, მეცნიერები და სპეცსამსახურის თანამშრომლები, რომლებმაც რევოლუციების ტალღით შეშინებულ პოლიტბიუროს წევრებზე უზარმაზარი გავლენა მოიპოვეს. ექსპერტთა არეკომენდაციების შედეგად, შეიქმნა შეიარაღებული სახალხო პოლიცია (შინაგანი ჯარის მსგავსი), გაფართოვდა სამხედროების უფლებები უწესრიგობების აღკვეთისას და გაიზარდა ჩინეთის შიდაუსაფრთხოებისთვის გამოყოფილი დაფინანსების ოდენობაც. მაგალითად, წლეულს საამისოდ გამოყოფილია 111,4 მილიარდი დოლარი, 5 მილიარდით მეტი, ვიდრე თავდაცვის სამინისტროს ერგო. იმავდროულად, გაძლიერდა ინტერნეტით სარგებლობისა და მოქმედი ოპოზიციის წარმომადგენელთა კონტროლი.

**vz.ru**
**ĐÁÊ daily**

ბაქო შესაძლოა გახდეს ხიდი აჰმადინეჯადსა და დასავლეთს შორის, აგრეთვე ჯაშუშთა ბუნაგი, ისეთი, როგორიც მეორე მსოფლიო ომის დროს კასაბლანკა იყო, წერს მიმომხილველი ინტერნეტ-გამოცემაში **Giornalettismo**.

„აზერბაიჯანი – ეს არის ქვეყანა-რგოლი რუსეთსა და ახლო აღმოსვლეთს შორის. აზერბაიჯანს ესაზღვრება ირანი, ამიტომაც ბაქომ ისრაელსა და თეირანს შორის დიპლომატიურ ომში შესაძლოა, ცენტრალური როლი შეიძინოს", – წერს ექსპერტი.

„ბაქოს შეუძლია გახდეს სადაზვერვო საქმიანობის ნამდვილი ცენტრი, ირანის პრობლემის „მონიტორინგის ცენტრი". ბოლოდროინდელი მოვლენები ადასტურებს ეჭვებს საერთაშორისო მანევრების შესახებ, რომლებშიც განსაკუთრებული როლი ბაქოს ერგო. მარტში აზერბაიჯანის დედაქალაქში სპეცსამსახურებმა დააკავეს 22 ადამიანი, რომლებმაც თითქოსდა მომზადება გაიარეს ირანში ისრაელისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოებთან ტერაქტების მოასაწყობად. იანვარში ორი ადამიანი ებრაული სკოლის მასწავლებლის მკვლელობისთვის გაასამართლეს", – იტყობინება გამოცემა.

# jaSuSTa qalaqi



ბევრ ექსპერტს უჩნდება საერთო მოსაზრება, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მუშაობენ როგორც ებრაელი, ასევე ამერიკელი აგენტები. ისრაელთან და ამერიკასთან ურთიერთობის გასააქტიურებლად გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, აზერბაიჯანი კვლავაც დინასტიური დიქტატურის ქვეყანაა, რომელსაც ამჟამად ილჰამ ალიევი ხელმძღვანელობს. მას ხელისუფლება მამისგან ერგო. იგი 2003 წელს აირჩიეს, მაგრამ როგორც **Human Rights Watch** ამტკიცებს, მისი არჩევა „თაღლითობა" იყო. არჩევნების შემდგომ გამართულმა საპროტესტო აქციებმა აზერბაიჯანი ჩაითრია კრიზისში, რასაც თან სდევდა ადამიანის უფლებების შელახვა. ამ მხრივ კრიზისი ჯერაც არ დასრულებულა.

**Giornalettismo**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**

# mwaregakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

### ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

ჯემალ დავლიანიძე

#### „დისიდენტი“ შევარდნაძე კომპარტიის რიგებში

ვაშა და დიდება ფოფხაძეს! ბატონებო, ხომ ხედავთ, საით უმიზნებს იგი? ადრე პირწავარდნილი პარტაქტივისტი, რომელმაც კომპარტია ჩინებულად გამოიყენა კარიერის და პირადი ცხოვრების მოსაწყობად, ახლა კეხს იბრუნებს და ტლინკსა ჰყრის, ყვირის და ბღავის: ძმებო,



ჩვენ, შევარდნაძეც, მეც და ძმანი ჩვენნი, კომპარტიაში გადაცმულნი, ნიღბებით ვიყავით შეპარულები, ძირგამომთხრელ მუშაობას ვეწეოდით, შიგნიდან ვანგრევდით კომუნისტურ წყობას, სხვაგვარად მოაზროვნეებს ანუ ზვიად გამსახურდიას და მის მეგობრებს ჩუმად თუ ცხადად ვეხმარებოდით, ნუთუ ვერ ჰხედავთ — ჩვენც დისიდენტები ვართ, სათანადოდ დაგვაფასეთო.

აქვე არ შემიძლია არ განვმარტო და არ ვუპასუხო ნუგზარ ფოფხაძეს და სხვებსაც — თუ რატომ გადაასახლეს ზვიად გამსახურდია ახლოს, დაღესტანში და სხვები კი — ციმბირში... ესეც შევარდნაძის პირადი მითითებით მოხდა. რა თქმა უნდა, შევარდნაძემ ჩინებულად აწონ-დაწონა, მრავალი მზაკვრული ვარიანტი გათვალა... მერაბ კოსტავა რუსეთის შორეულ უღრანებში გამოკეტა, ზვიადისთვის კი ყიზლარი გამიზნა. ეს საიმისოდ გააკეთა, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის გონებაში ღრმად ჩაჭედილიყო აზრი: ორი მეგობრის, ორი დისიდენტის სასჯელს შორის დიდი განსხვავებაა — ერთი რუსეთის შორეულ გულაგშია, მეორე კი საქართველოდან სულ ახლოს, აქვე, კავკასიაში — მოძმე დაღესტნის რესპუბლიკის ტერიტორიაზე! უფრო მეტიც — ზვიადი ქართველი მწყემსების, ქართველი სპეციალისტების, თითქმის ქართული მოსახლეობის წიაღშია! მერაბ კოსტავას უჭირს, ზვიად გამსახურდიას კი ულხინს, აქედან გამომდინარე, ხალხში უნდა გავრცელებულიყო კითხვა: რატომ მიუჩინეს სასჯელის მოხდა მერაბ კოსტავას უმკაცრესი რეჟიმის კოლონიაში, ხოლო ზვიად გამსახურდიას ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე? მაინც რატომ მოხდა ასე? რატომ, რა მიზეზით მიეცა „შეღავათი“ ზვიად გამსახურდიას? მაშასადამე, დისიდენტებში შეგზავნილი ხომ არ გახლდათ?

შევარდნაძემ ყოველივე სპეციალურად მოაწყო, რომ შემდგომში ზვიადსა და მერაბს შორის განხეთქილება ჩამოეგდო.

შევარდნაძე მსოფლიო „ახალ არქიტექტორთა“ დიდი გაერთიანების ერთ-ერთი ღვიძლი შვილია. იგი ყმაწვილკაცობიდანვე სარგებლობდა სათანადო ყურადღებით, რაც პოლიტიკურ კარიერაში გამოიხატა. როგორც ინკუბატორში აკვირდებიან ჩვილის სხეულის განვითარებას, ასევე ზრუნავდნენ მის წინსვლაზე თუ აღზევებაზე. ამიტომაც იყო, რომ თითქმის დაღუპვის პირას მდგომი (როცა ხალხს ეგონა, დღეს თუ არა, ხვალ გაათავისუფლებენ ან დააპატიმრებენო), პირიქით — ზემოთ-ზემოთ მიიწევდა. სწორედ იმ მფარველების წყალობით მიაღწია ჯერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნობას, შემდგომ პოლიტბიუროს, შემდგომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობას, კვლავ საქართველოს პრეზიდენტობას და ბოლოს ე.წ. დამსახურებულ პენსიას... გზაზე უამრავი სისხლი დაღვარა! მრავალი ადამიანი გაამწარა! ბევრზე-ბევრის დედა აატირა ცხარე ცრემლით, თვით საქართველო კი მიანგრ-მოანგრია, ააოხრა, დაშალა და დაღუპვამდე მიიყვანა. მიუხედავად ამისა, სადღეისოდ ისევ საქმიანობს, ისევ ჭკუას ეკითხებიან, საიდუმლოდ ისევ აფინანსებს ბნელეთის ძალებს, სულგაყიდული დემონთა ჟურნალისტები მას თავს დასტრიალებენ და აინტერესებთ მისი შხამიანი აზრები... მთავარია ვერავინ ვერასოდეს გაიგოს მის მიერ შესრულებული დავალებანი, რომლებიც კაცობრიობის დაღუპვის მიზნით ეძლეოდა!

შევარდნაძემ თავისი მზაკვარი მეგობრების მეოხებით მაინც შეძლო დაებრმავებინა ადამიანთა უმრავლესობა. მისი ვამპირული ცხოვრება განიხილება, როგორც დიდი პოლიტიკოსის მიერ განვლილი გზა, მაგრამ მრავალთა სამწუხაროდ, ეს ურჩხული მაინც გაშიფრულია. გახსოვთ, მეგობრებო, რას ამბობს ერთი მისი მეგობარი ნუგზარ ფოფხაძე? კომპარტიაში, საბჭოთა კავშირის მმართველობაში სპეციალურად მუშაობდა, რომ ცენტრი ანუ რუსეთის იმპერია შიგნიდან აეფეთქებინაო. ნუთუ არავის აინტერესებს, მაინც ვის დავალებას ასრულებდა ეძიკა შევარდნაძე? საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა და ევროპის კავშირი შეიქმნა, ვისი ჩანაფიქრი გახლდათ? თუმც, ყოველივეს პასუხი რომ გავცეთ, თვალი მივადევნოთ თვით შევარდნაძის კარიერას, სადაც ნათელ პასუხებს მივიღებთ!

#### ჯალათები რუსი ხალხის სახელით... და შეთქმულება კაცობრიობისადმი

შევარდნაძე რომ ჯერ საქართველოში აღზევებულიყო და შემდგომ საბჭოთა კავშირის კომპარტიის სათავეებში მოსულიყო, საკმაოდ დიდი სამუშაოები გახლდათ ჩასატარებელი. ტრამპლინი,




რა თქმა უნდა, ბედკრული საქართველო უნდა ყოფილიყო. მთავარზე უმთავრესი კი ისეთი საქმიანობის გაჩაღება წარმოადგენდა, რის საფუძველზეც საიდუმლო მმართველთა საქმე გაკეთდებოდა, უდიდესი დამნაშავე კი მაინც რუსეთი იქნებოდა. ამაში ხელს უთუოდ წააშველებდა თვით საბჭოთა კავშირში მოკალათებული უდიდესი მაფია დემონებისა, რომლებიც რუსი ხალხის სახელით თავიანთ უკეთურ გეგმებს განახორციელებდნენ.

არადა, რუსეთში ყველაზე დაჩაგრული ისევ და ისევ უბრალო, პატიოსანი, ჭეშმარიტი რუსია. დიახ, ნაღდი რუსი ხალხი: უბრალო, სტუმართმოყვარე, გულღია, დაჩაგრული, ხშირად მოტყუებული და გაწამებული. საბჭოთა კავშირში, თითქმის ყველა დაწესებულებაში ნირშეცვლილი, ნიღბოსანი ადამიანები არიან ხელმძღვანელებად. ნათელია, რომ მათ ესაჭიროებათ რუსეთი, როგორც ნოყიერი ნიადაგი თავიანთი სამომავლო ავი ზრახვებისათვის! და არა მხოლოდ რუსეთია მათთვის სანუკვარი... მათდა სამწუხაროდ, დედამიწის მაოხრებელთა ზრახვანი სადღეისოდ საკმარისადაა გაშიფრული. ბოლოს და ბოლოს, ღვთის შეწევნით, რუსეთი ალბათ თავს გაითავისუფლებს, რაც მას გადაარჩენს ეშმაკის მიერ მოვლენილ ადამიანთა ბოროტი ჩანაფიქრებისგან!

არც საქართველოს, არც კავკასიას, არც მსოფლიოს არ სჭირდება აგრესიული იმპერიები, თუნდაც დიდი სახელმწიფოები. არადა, დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკოსების საქმიანობაში აშკარად ჩანს რაღაც დიდი შეთქმულება მსოფლიო ხალხებისადმი, ეროვნებებისადმი, მცირერიცხოვანი ქვეყნებისადმი.

ღმერთის მიერ დედამიწაზე წარმოიშვნენ და ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა ეროვნებები და ქვეყნები, რომელთაგანაც ყველა პატივსაცემია. ჩვენ უნდა გვიხაროდეს, რომ ამ ქვეყნად არსებობს იტალიელი, ბერძენი, გერმანელი, რუსი, ირანელი, ფრანგი, ესპანელი, ინგლისელი, ებრაელი, იაპონელი, ჩინელი, ინდოელი, ირლანდიელი, ინდიელი, ესკიმოსი, მონღოლი, არაბი, ქართველი, სომეხი, თურქი, ქურთი, ბელგიელი, ფინელი, შვედი, პოლონელი, ჩეხი და სხვა ეროვნებები და არა რაღაც აბსურდული. ერთ დიდ ქვაბში ჩაყრილი და მოხარშული, უეროვნო ქვეყნები ანუ ე.წ. გლობალიზაციის მსხვერპლნი.

ამერიკელი — ამერიკელი მოქალაქე, საბჭოთა კავშირელი, საბჭოთა მოქალაქე, გაუგებარი ხელოვნური ეროვნებებია. ძალიან კარგად გვახსოვს, მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე რა ფერები დომინირებდა, რის მიხედვითაც ვგებულობდით თუ რომელი ქვეყნის კოლონიებს წარმოადგენდა ესა თუ ის მხარე მსოფლიოსი. ამან არ გაამართლა, რადგან ღმერთის საწინააღმდეგო მოქმედება გახლდათ. კი ცდილობდნენ გაეცამტვერებინათ მცირერიცხოვანი ერები, მათი ენა, ადათი, წესი, კულტურა, მაგრამ ამაოდ...

და, მერე, არ უნდა ვიკითხოთ, ვისი ჩანაფიქრით კეთდებოდა ყოველივე? დღესაც რომ არის ამის მცდელობა, რაო, თვალში ნაცარი შევიყაროთ?

ვიღაცა დემონური საკრებულოს წარმომადგენლებს ესურვილებათ მთელს დედამიწაზე ერთი ჯიშის ყვავილი, ერთი ჯიშის ხე მოამრავლონ, - უფრო ადვილად მოვუვლითო და ამაზე ხმაც აღარ უნდა ამოვიღოთ?

მაინც რა იყო საბჭოთა კავშირში აღმოცენებულ-განვითარებული გეგმა — კომუნიზმში სულ მალე შესვლის თაობაზე? ღმერთო ჩემო, რა დროება გავიარეთ. გვპირდებოდნენ, - სულ რაღაც 1980 წლისათვის სამას მილიონამდე კაცი ნაღდ კომუნიზმში შევჯლიგინდებითო. თან ამერიკას ეწეოდნენ და უსწრებდნენ... სიმდიდრე დანაშაულად ითვლებოდა, სიღატაკე — ვაჟკაცობად! ეკლესია ხალხის დაუძინებელი მტერიაო, ღრიალებდნენ და აღდგომის დღეებში ცნობილ ვესტერნებს უჩვენებდნენ. სასაფლაოს შესასვლელებს მილიციის შეიარაღებული რაზმები იცავდნენ, წითელი კვერცხი არ მიიტანონ ქართველებმა და სანთელი არ დაანთონო.

განა საინტერესო არ არის, ვინ ხელმძღვანელობდა ყოველივეს? სწორედაც ედუარდ შევარდნაძე. მისი საყვარელი საბჭოთა საქართველოს აგიტაცია-პროპაგანდა... ყოველგან: პრესაში, ტელევიზიაში, რადიოში გადმოსცემენ ნაკისრი გეგმა-ვალდებულებების შესახებ... გეგმები — ნაკისრი, არანაკისრი, შემხვედრი, ვერშემხვედრი, აუცილებელი, არააუცილებელი, ვადამდელი, ვადაზე ადრე შესრულებული... არ დაუთესიათ? — მოსავალს მაინც იღებენ! ერთი ნერგი არ დაურგავთ? — მაინც ანაშენიანებენ! სეტყვამ, ღვარცოფმა, წყალდიდობამ გაანადგურა ბაღ-ვენახები? — არამც და არამც! დემონთა მიერ შექმნილმა შტაბმა მაინც მიიღო სასურველი მოსავალი! ქვაზე თესავენ, მაგრამ ჭარბი რაოდენობის მოსავალი მოჰყავთ!

წინა, მჟავანაძისეული პერიოდი უკვე ითვლება უძრაობის, კორუფციის, ძარცვა-გლეჯის შავბნელ დრო-ჟამად. საქართველოს

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14-17

კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი, ედუარდ შევარდნაძე იწყებს „ახალ ერას“ ქართული კომპარტიის ცხოვრებაში.

თუმც, სინამდვილეში დგას სტალინის შემდგომი ე.წ. ინერციით წინსვლის პერიოდი...

როგორც ზემოთ გითხარით — საქართველოში იწყება „ახალი ერა“ და „ახლებური აზროვნება“. იწყება „ბრძოლა“ ძველი გადმონაშთების, პროტექციონიზმის, მექრთამეობის წინააღმდეგ! არა, არა! სინამდვილეში კი არ ხდება! ვითომდაც იწყება! ვითომც — ხდება! ვითომ ჰქმნიან! ვითომ იბრძვიან! ვითომ აშენებენ! ვითომ აკეთებენ!

## ინტერნაციონალური სულისკვეთება და კოსმოპოლიტური ფერხული

შევარდნაძე პირნათლად იწყებს ინტერნაციონალური საკრებულოს მიერ მისთვის მიცემული დავალების შესრულებას. მისეულ „ახალ მიდგომას“ ვითომ მტერიც გამოუჩნდა! ვითომ ებრძვის ჩასაფრებული ქართველობა! საბჭოთა სამშობლოს, საბჭოთა ადამიანთა დაუძინებელი მტრები მედგრად ეწინააღმდეგებიან შევარდნაძეს.

და, აი, საქართველოში იწყება ხანძართა უდიდესი სერია: იწვის ოპერისა და ბალეტის თეატრიც! მოსკოვში თვალებს აჭყეტენ! ბიჭოს, საქართველოში მართლაც პროგრესულად მოაზროვნე იწყებს სათანადო ძვრებს! იქ ერთი წმინდა ადამიანი შეეჯახა ქართული ცხოვრების ძირმომპალ წესებს! მას კი ეწინააღმდეგებიან! აბა, ბიჭებო, დემონებო — მხარი მივცეთ, მივეხმაროთ...

დიახ! თურმე, ეძიკა შევარდნაძეს სურს საქართველოს კეთილდღეობა, უმადური ქართველობა კი მის სურვილებს პასუხობს ხანძრებით, ტერორისტული აქტებით!

დღეს თითქმის ყველას მოეხსენება, რომ ყოველივე ეს ამბები უნიჭოდ დადგმული კონცერტები იყო, მაგრამ... განა შევარდნაძემ, როცა იგი დააბრუნეს საქართველოს პრეზიდენტად, 1992 წლიდან იგივე არ გაიმეორა? რად გვინდა ძველ დროზე საუბარი? განა კვლავ შევარდნაძემ არ დაიწყო ბრძოლა ზვიად გამსახურდიას „პროვინციულ ფაშიზმთან“ და მის მიმდევრებთან? განა კვლავ ცეცხლი არ მოედო ყოველივეს? განა პოლიცია არ აბობოქრდა? განა ევროამერიკული საკრებულო ისევ გვერდში არ დაუდგა თავის გამოცდილ აგენტს? განა ყველაზე დაჩაგრული საქართველოში ისევ და ისევ პატიოსანი ქართველი არ შეიქნა?

ვიმეორებ — შევარდნაძეს არასოდეს უკეთებია არც საქართველოს და არც რუსეთის საქმე. უფრო სწორად — კარგი საქმე მისთვის უცხო იყო. იგი ემსახურება მომავალი მსოფლიოს მესვეურებს და ეს მომავალი მსოფლიო არა უფლისმიერი მსოფლიოა...

ისეა თუ ასეა, შევარდნაძეს ხელი შეუწყვეს საქართველოში პირველობისათვის, შემდეგ კი რუსეთის წიაღში ჩანერგილმა მსოფლიო ახალი წესრიგის მესვეურებმა წინ წასწიეს საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროსაკენ, ეს სჭირდებოდათ, რადგან მუდამ საჭიროა კადრები, რომლებიც ანტირუსულ საქმეს მოემსახურებიან, ბნელეთის საერთო საქმე გაკეთდება და ყოველივე ცუდი კი რუს ხალხს დაბრალდება. თან, ესეც საჭიროა, მისწრებაა... ყოველივე ამგვარმა პოლიტიკურმა ორომტრიალმა მოგვცა დღევანდელი საქართველოსა და რუსეთს შორის ჩამოვარდნილი საშინელი მტრობა...

საინტერესოა, რომ საქართველოდან საბჭოთა კავშირისკენ საგზურის მოპოვებაში, შევარდნაძეს უკვე ოკეანესგაღმელი საძმოს წევრები მიეხმარნენ. რა საძმოზეა საუბარი? ამის შესახებ ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამ კი ჩემი ქვეყნის, საქართველოს მოსახლეობის შევარდნაძისეულ დეგრადირება-ზომბირებას გავადევნოთ თვალი...

ქვეყანა იხრჩობოდა მექრთამეობაში. ყველამ ზეპირად იცოდა რაიკომის მდივნობის, მინისტრობის, სამმართველოს უფროსობის და თვით ცეკას მდივნობის მისაღწევად რა თანხის გადახდა იყო საჭირო. აქა-იქ ძმაბიჭობაც სჭრიდა. იქი-აქ ცოლის გასხვისება, უცხოსთან ლოგინში ჩაგორება...

ჯამში ყოველივე გამიზნულია ერის გადაგვარებისათვის, პიროვნების მოსპობისათვის. კუჭისა და ფულის კაცების მომრავლებისათვის, რაც მთავარია — უსამშობლო, უეროვნო, ე.წ. ტოლერანტ რეგვენთა გაჩენისათვის.

ყველაზე ძლიერად ამუშავებდნენ ინტელიგენციას.

სისტემა ცნობილია! — არც მეტი და არც ნაკლები!

დიახ! არც მეტი — არც ნაკლები! — აი, მათი ფორმულა!

თანაც, — საყოველთაოა ეს ფორმულა!

ხელფასი? ხელფასი — არც მეტი, არც ნაკლები!

სახრავი? მოსაპარი? კი ბატონო!

ოღონდ! — არც მეტი, არც ნაკლები!

ამიტომაც, სასურველია — ყველა ოდნავ მაინც ქურდობდეს!

საჭიროა და მეტადაც საჭიროა ყველა იპარავდეს, ოღონდ — არც ბევრს და არც ცოტას!

უნდა იქურდოს ლომმა, დათვმა, მგელმა, მელამ, ტურამ, ინდაურმა, ქათამმა, ცხვარმა, თხამ, თაგვმა, კრაზანამ...

ამას ჰქვია სახრავი და იგი აუცილებელია ყველასათვის!

ბინა გინდა? სამსახური გინდა? ტელეფონი და ავტომანქანა გსურს? სიმაღლე, წარმოჩენა, წარმატება და აღმატება გესურვილება? შედი კომპარტიაში!

შედგი ხომ ფეხი კომპარტიაში? რამდენიც გიდა აჩმახე! რამდენიც გსურს იღრიალე! დამლა გაქვს საერთაშორისო დემონთა წევრობისა! მორჩა და გათავდა.

ხომ აშკარაა — სადაც ყველა იპარავს, იქ, საჭიროების შემთხვევაში, ყველას დაჭერაც შეიძლება. რადგან ეს ასეა, ყველა დაბმულია სათავისო ბაგაზე და აბა ბიჭია, ზედმეტი ხმა გაიღოს. აბა, კრინტი დაძრას... აგერ არ არის მზად ციხე ანუ ვირის აბანო?

ვიძახდი და ვიძახი, რომ... რაც საქართველოს გაუკეთეს და უკეთებენ, სხვებისთვისაც უნდათ! ასე მაგალითად — დღევანდელი რუსეთის ფედერაციის თითოეულ წევრ ქვეყანაში საიდუმლო მოძრაობა ოდითგანვე მიმდინარეობს. სათანადო რადიოსადგურები, ტელევიზია-პრესა გამალებით და სპეცდავალებით მუშაობენ და ძირითადად დემოკრატიაზე გაჰყვირიან. არწმუნებენ მოსახლეობას, რომ მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში და მუსულმანურ ქვეყნებშია დაჩაგრული დემოკრატიული ფასეულობები! რომ დემოკრატიისათვის საჭიროა ბრძოლა და შემართება! ასე იყო აღმოსავლეთ ევროპაში, ასეა კავკასიაში! ასეა შუა აზიაში და შორეულ აღმოსავლეთში!

შევარდნაძის ხელისუფლება მსოფლიო კოსმოპოლიტურ ფერხულშია ჩაბმული. ინტერნაციონალურ სულისკვეთებას თესავენ! ქართულ, სახელგანთქმულ ტოლერანტობას ქადაგებენ! გაცოფებით ებრძვიან ყოველივე ქართულს, ყოველივე ეროვნულს — მიწას, სინდისს, პატიოსნებას, ნამუსს, ღირსებას, ენას, სარწმუნოებას...

დიდი დავით აღმაშენებელის სულიერი მოწოდება — სამშობლოს ინტერესების გამო გაწირო ყველაფერი, იცვლება გადაძახილით — საკუთარ კარიერას, სახელისუფლო სკამს, მბრძანებელ ბნელეთს შეწირო ყოველივე ძვირფასი — დედა, მამა, ნათესავი, მიწა-წყალი, ქვეყანა, რომელიც სამშობლოა ანუ საქართველოა!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)




იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი


facebook

# xa l xis az r iT

საერთოდ, ხალხნო, ტრაგედიაა, როცა საქართველოს ყავს პრეზიდენტი, რომელიც კუტუთი ფიქრობს! ეგაა ტრაგედია

ყველა-ყველა და ჩვენი ნათუშკი მოგელანძე სად გაქრა? ჯონ-ჯიგარ ბასის გამო გადამალეს საცხა? :)))

ხელისუფლება ერთი ადამიანის გამო ცვლის კონსტიტუციას და შემოაქვს ნორმა, რომლის მიხედვითაცა ის პირი, ვინც დაბადებულია საქართველოში, ათი წელია ცხოვრობს საქართველოში, აქვს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა, გათანაბრებული იქნება საქართველოს მოქალაქესთან. მეორეც, თუ პარლამენტის წევრობის უფლებას აძლევ და მოქალაქესთან ათანაბრებ, თავად მოქალაქეობას რატომ არ აძლევ?! აბსურდის თეატრია!

სახეზეა სრული მარაზმი, ავტორიტარიზმის ნავაროტკებით და ამას მხოლოდ 2 სახის პასუხი ეკუთვნის - ან სრული იგნორი, როგორც გიჟებს, ან გამოსვლა და ამ კონსტიტუციის თავზე გადაფხრეწა თარგამაძიდან დაწყებული, მიშათი დამთავრებული(რა თქმა უნდა, კუბლაშვილების გავლით)...

საააკაშვილმა საბოლოოდ გარეკა!!!!!!! ისეა გონებადაბინდული, რომ ოღონდ (ჯინაზე!!!) ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა არ დაუბრუნოს, –კონსტიტუციაში შეაქვს ცვლილებები, რომლის თანახმადაც საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ–მინისტრის თუ პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს საქართველოს მოქალაქეობის არ მქონე პირმა????!!! 100% გიჟია და რა გაძლებს ოქტომბრამდე!!!!

მოკლედ, მიშა აქამდე კონსტიტუციას საკუთარ თავზე ირგებდა. ახლა ისეთი გულმოწყალე და სულგრძელი გახდა, თავის მთავარ მეტოქეზე – ივანიშვილზე აპირებს მორგებას. ბიძინა დღეს 12–ზე დიპკორპუსს შეხვდა. ვითომ ამათი ჩაკაკუნების შედეგია?

მე მგონი, ქართველმა რაიმეს გააზრების უნარი დაკარგა!

უდიდესი უმრავლესობა დეზინფორმაციის მსხვერპლია და დეზინფორმაციას ავრცელებს!

პარლამენტის თავმჯდომარე ბ-ნი დავით ბაქრაძე ერთს ამბობს, კონსტიტუციაში ცვლილებების ავტორად მიჩნეული ბ-ნი გიორგი თარგამაძე სულ სხვას!!!

იურისტები ადასტურებენ, რომ მათ არ შეუძლიათ ტოლი დაუდონ ხელისუფლების იურისტებს მახვილგონიერებასა და "იურიდიულ თამაშებში" და... ვერაფერს ამბობენ!!!

პოლიტიკური საკითხები პოლიტიკური გზით უნდა გადაიჭრას და არა იურიდიული ბლა-ბლა-ბლა-თი! რა მარაზმია?!

რა ხდება?!

არ ვიცი, უცხოელებმა მოილაპარაკეს თუ არა, ენახათ პატრიარქი, ვფიქრობ, ისინი პატრიარქის თხოვნით იყვნენ მისულები. არ ვიცი, ვინ რა ბრძანება გამოსცა საქართველოს საპატრიარქოში, მაგრამ დიპლომატებთან შეხვედრის შემდეგ პატრიარქი პრაქტიკულად, იზოლირებულია საერო ადამიანებისგან. უფრო მეტიც, ბრძანებაა გამოცემული, რომ საპატრიარქოში უკვე არ შევიდეს არც ერთი არათუ ერის ადამიანი, არამედ თავდაპირველად მღვდელმთავრებსაც არ უშვებდნენ

მოკლედ, ახლა გეტყვით, ჩემი აზრით რატომ უწევთ კონსტიტუციის შეცვლა ივანიშვილის გამო. როგორც სიტუაციიდან გამოჩნდა, იყო სერიოზული ზეწოლა, რომ მოქალაქეობა აღედგინათ ივანიშვილისთვის, მაგრამ შხუილამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა და არ აღვუდგენო. ამ დროს ნაცებს სხვა გზა აღარ ქონდათ, რადგან უნდათ, რომ თავი გადაირჩინონ და თან მიშასაც რამენაირად გვერდი აუარონ. ამიტომ ცვლიან კონსტიტუციას, რომ არჩევნებში მიაღებინონ ივანიშვილს მონაწილეობა. აქედან დასკვნა: დაპირისპირება და გაურკვევლობაა ნაცებში და ალბათ, ვნახავთ მაგათ სერიოზულ ჩამოშლას!!!




Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook

# ზოგიერთი ტირანოზავრი თეთრი და ფუმფულა იყო



ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით ლიაონინის პროვინციაში განსაკუთრებული აღმოჩენა გააკეთეს. ნაპოვნი იქნა ტირანოზავრის მონათესავე უზარმაზარი მტაცებელი მონსტრის ჩონჩხი, რომელიც, სავარაუდოდ, ფრთიანი იყო. ეს საშინელება 125 მლნ. წლის წინ ცხოვრობდა, იწონიდა თითქმის ნახევარ ტონას და 9 მეტრი სიგრძნისა იყო, ანუ ოთხსართულიანი კორპუსის სიმაღლის. დინოზავრს Yutyrannus Huali დაარქვეს, რაც თარგმანში ნიშნავს „ლამაზი ტირანი ფრთებით".

პროფესორი სიუ სინი აღნიშნავს, რომ ეს მტაცებელი ყველაზე უფრო დიდი ფრთებიანი ტირანოზავრია მათ შორის, რაც აქამდე იყო აღმოჩენილი.

— მათ ფრთები ჰქონდათ არა ისეთი, როგორც დღევანდელ ფრინველებს, არამედ ძალიან რბილი პატარა წიწილასავით ღინღილებით დაფარული.

კანადელი პალეონტოლოგი დოქტორი კორვინ სალივანი აღნიშნავს, რომ „ტირანს" ფრთები ფრენისთვის არ ჰქონია, არამედ იმისთვის, რომ გამთბარიყო. ის გამყინვარების პერიოდის მაცხოვრებელია.

მეცნიერები სხვა ჰიპოთეზასაც განიხილავენ. ფრთები საჭირო იყო საწინაალმდეგო სქესის გასარჩევად. მაგრამ იყვნენ თუ არა ტირანოზავრები თანამედროვე ფრინველების წინაპრები? ამაზე კამათი მიმდინარეობს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დინოზავრების უმეტეს ნაწილს ჰქონია ფრთები, მათ შორის ძლიერ მტაცებლებსაც.

# ჩინეთში „ყინულის კაცი" ცხოვრობს



ჩინეთში ცხოვრობს ადამიანი, რომელსაც შეუძლია 120 გრადუს C ყინვაშიც იცურაოს. ამ კაცს ცზინ სუნხაო ჰქვია. ის თავის მეწყვილესთან ჩენ კეცაისთან ერთად ათასობით მაყურებელს და მორიგე ექიმების თანდასწრებით 119 წუთი ჩაწვა ყინულით სავსე აბაზანაში. ამ რეკორდით მათ აჯობეს ჰოლანდიელ ვიმა ხოფს, რომელმაც ანალოგიურ სიტუაციაში 115 წუთს გაძლო. ხოფი იმითაც არის ცნობილი, რომ მან მარათონულ რბოლაში ფინეთს შემოურბინა, ხოლო ევერესტზე ერთი შორტით ავიდა, თუმცა ეს „ტანსაცმელიც" კი ბოლომდე ვერ მიჰყვა, გზაზე შემოეფლითა.

ითვლება, რომ ადამიანი წყლის სიღრმეში 10 გრადუსზე ქვემოთ 30-60 წუთის შემდეგ გონებას კარგავს, ხოლო 1-2 საათის მერე კვდება კიდეც. თუ წყლის ტემპერატურა ნულს ქვემოთაა, გონების დაკარგვა 15 წუთში ხდება, სიკვდილი კი 15-60 წუთის განმავლობაში დგება.

# 15 წლის განმავლობაში მხოლოდ ქათმის ხორცს ჭამდა



17 წლის ბირმინგემელი სტეისი ირვინი საავადმყოფოში მას შემდეგ მოხვდა, რაც გულყრა დაემართა სამუშაოზე. აღმოჩნდა, რომ გოგონა მძიმედ იყო დაავადებული, და ეს გამოწვეული იყო არაჩვეულებრივი და არანორმალური კვებით. ორი წლის სტეისი მიირთმევდა მხოლოდ ქათმის ნაწარმს და ცხოვრებაში არასდროს ჰქონდა გასინჯული არავითარი ბოსტნეული ან ხილი.

გოგონა საავადმყოფოში სუნთქვის უკმარისობის გამო დააწვინეს და მას ანემიის დიაგნოზი დაუსვეს. ექიმები აღნიშნავენ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. თუ გოგონა რაციონს არ შეცვლის, მალე მოკვდება კიდეც. მას გაურთულდება გულის დაავადებები, დაემართება ინსულტი ან კიბო.

ვიტამინების ნაკლებობის გამო სტეისის სპეციალურ ინექციებს უკეთებენ.

„არ ვიცოდი, რა მექნა: როდესაც ექიმი საავადმყოფოში სტეისის ეუბნებოდა, რომ თუ ქათმის ხორცის ჭამას კვლავ გააგრძელებდა, ვერ იცოცხლებდა ორ წელიწადზე მეტ ხანს, მაგრამ მას სხვა საკვების მიღება არ შეუძლია, — წუხს სტეისის 39 წლის დედა.

გოგონა ამბობს, რომ მან ქათმის ნაწარმის ჭამა ორი წლიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც დედამ ის „მაკდონალდსში" წაიყვანა. იმ დღიდან იგი ისე შეეჩვია ამ საკვებს, რომ უარის თქმა, უბრალოდ, აღარ შეუძლია. მას სხვა საკვების მიღების სურვილიც არა აქვს.

ექიმების სიტყვებით, სტეისის ორგანიზმს აკლია რკინა, კალციუმი, ვიტამინები და აუცილებელი ცხიმები.

ოჯახის სხვა წევრი, სტეისის უმცროსი და ირვინი ჩვეულებრივად იკვებება.

# ქალი თმის საღებავმა მოკლა

ყარაგანდაში 31 წლის ქალბატონის სიკვდილის მიზეზი თმის საღებავი გახდა. როგორც იუწყებიან, მას გული გაუჩერდა. ექიმების ვარაუდით, ალერგიულ ფონზე მოხდა თავის კანის შეშუპება, შემდეგ იგივე სიმპტომები ტვინზეც გადავიდა, რამაც სიკვდილი გამოიწვია. ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაცვლილი ამ საღებავით მუდმივად იღებავდა თმებს, მაგრამ, ამჯერად, თავის კანი განსაკუთრებით გაუწითლდა, შემდეგ სიწითლე სახეზეც გადაუვიდა. სხეულის ტემპერატურამ საგრძნობლად მოიმატა. გამოიძახეს სასწრაფო დახმარების ჯგუფი, მაგრამ ქალბატონი საავადმყოფოში გადაყვანისას გზაში გარდაიცვალა.



აღმოჩნდა, რომ საღებავი იაფფასიან ბაზრობაზე ჰქონდა შეძენილი, ახლა სპეციალისტები იკვლევენ იმ ნივთიერებებს, რაც, სავარაუდოდ, ამ საღებავის შემადგენლობაში შეიძლებოდა ყოფილიყო.

თმის საღებავისადმი ალერგია არცთუ ისე იშვიათი შემთხვევაა. დაახლოებით იგივე შემთხვევა მოხდა ბრიტანეთში. ინგლისელი ექიმები ამაოდ ცდილობდნენ 22 წლის ზოი ვერნონის გადარჩენას. გოგონამ თმა პოპულარული ცნობილი ფირმის საღებავით შეიღება. ექიმები აღნიშნავდნენ, რომ მსგავსი შემთხვევა მოსმენილიც არ ჰქონდათ. პაციენტმა საავადმყოფოში სამი დღე დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში მისი სახე დაფარული იყო წითელი ფერის წყლულოვანი ბუშტუკებით, მხედველობა მკვეთრად ჰქონდა დაქვეითებული. გოგონა ირწმუნებოდა, რომ ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც საღებავის ინსტრუქციაში იყო მითითებული და გაიკეთა კიდევაც ტესტი ალერგიაზე იმ დილით, როცა თმის შეღებვას აპირებდა. მეორე დღეს მან გაწითლებული სახით გაიღვიძა, მომდევნო დღეს კი სიწითლე ყელზეც გადაუვიდა და წითელი წყლულებით დაეფარა.

მეშინოდა, რადგან წყლულები ძალიან მტკივნეული იყო, არ მსურდა, ვინმეს დავენახე, ვერ გამოვდიოდი ქუჩაში, ვფიქრობდი, ყველაფერი თავისით გაივლის-მეთქი, მაგრამ უფრო და უფრო ცუდად ვხდებოდი. მერე საავადმყოფოში წამიყვანეს. — ამბობდა გოგონა.

ბრიტანელი მედიკოსები კიდევ ერთ შემთხვევაზე ჰყვებიან, როცა ქალბატონი თმის შეღებვის შემდეგ თანდათან გამელოტდა, თავი გაუსივდა და მიიღო მსხლის ფორმა. ჭაღარა თმის შესაღებად პაულა პრატმა საღებავი იყიდა, რის შემდეგაც მძიმე ალერგიული შოკი მიიღო. ქალბატონმა თმა მუქი ფერის საღებავით შეიღება. მალე სახე გაუსივდა, თვალები გაუდიდდა, ქუთუთოები ჩამოეზარდა და დროებით დაბრმავდა. თავის კანი გადაეჭიმა, დაუსკდა და იქედან სითხემ დაიწყო დენა.

საავადმყოფოში მიყვანისთანავე პაულას პირველადი დახმარება აღმოუჩინეს, რამდენიმეთვიანი მკურნალობის შემდეგ პაულას ნორმალური გარეგნობა დაუბრუნდა.



# ეგვიპტეში უნიკალური სამარხი აღმოაჩინეს

არქეოლოგებმა ეგვიპტეში უძველეს ქალაქში ორმაგი სამარხი აღმოაჩინეს ფერადი ფრესკებით. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ეს სამარხი ყველაზე ძვირფასია მათ შორის, რაც აღმოჩენილია. უძველეს ნეკროპოლისში საჰარაში, კაიროსთან ახლოს აღმოჩენილ ამ სამარხში ყველაზე მეტი ფრესკაა წარმოდგენილი. ეგვიპტის უმაღლესი საბჭოს გენერალური მდივანი ზახი ხავასი ამტკიცებს, რომ სამარხის ასაკი 4300 წელია. ხოლო საფლავი მიეკუთვნება დიდი სასაფლაოს ერთ ნაწილს, რომელიც, სავარაუდოდ, ქვიშამ დაფარა.

სამარხს ორი კარი აქვს, ორივეზე გამოსახულია ადამიანი, მამა და ვაჟიშვილი, რომლებიც ტექსტების გადამწერლებად მუშაობდნენ ფარაონ პეპი II-თან, მეექვსე დინასტიის ფარაონთან. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ნახატის საღებავები ისე გამოიყურება, თითქოს გუშინ დაეხატოთ. ვაჟიშვილის სამარხი ძველთაგანვე გაუძარცვავთ, ასე რომ იქ საგულისხმოს ვერაფერს მიაკვლიეს.

მეცნიერების მტკიცებით, პეპი II ტახტზე ავიდა 6 წლის ასაკში და მმართველობდა თითქმის 100 წელი. ასე თუ შევხედავთ, პეპი II-ს ძალაუფლება მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მმართველობა ყოფილა.

# რა აქვთ საერთო გველსა და ქალს?

კრასნოდარის მხარეში, ტამანში, არქეოლოგებმა ანტიკური ხანის ნამარხი აღმოაჩინეს და ქალთა სამარხებში გველის ჩონჩხებიც იპოვეს.

არაჩვეულებრივი აკროპოლი არტუშენის სამარხი ეკუთვნის VI ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე. აქ, სავარაუდოდ, პონტოელი ბერძნები ცხოვრობდნენ. „მოედანი, სადაც ადგილობრივები პურს თესავდნენ 20 ჰექტარს მოიცავდა, მაგრამ ხალხი არც ისე ბევრი იყო. უბრალოდ, 5 წელიწადს ერთი და იგივე ადგილას ცხოვრობდნენ, შემდეგ გადასახლდებოდნენ სხვა ადგილებში“. – აცხადებს ექსპედიციის ხელმძღვანელი. სამარხში აღმოჩენილია უძველესი იარაღები, სამკაულები, კერამიკის ნაკეთობანი, მაგრამ სენსაციური აქ ის არის, რომ ადამიანის გვერდით გველის ჩონჩხიც იქნა აღმოჩენილი. რეპტილია ესვენა დასაფლავებულის ფეხებთან ლათინური ასობგერა S-ის მაგვარად. შთაბეჭდილება რჩება, რომ ის აქ სპეციალურად ჩაასვენეს. – ამბობენ არქეოლოგები. დასაწყისისთვის ამაზე ყურადღება არ გაგვიმახვილებია. ვიფიქრეთ, გველი შემთხვევით მოხვდა იქ, მაგრამ ჩვენს მიერ აღმო-



ჩენილ 7 სამარხში იგივე სურათი დაგვხვდა – მიცვალებულის ფეხებთან გველის ჩონჩხი S-ის ფორმით იდო. საფლავებში, ძირითადად, ქალებია ჩასვენებული 15-დან 30 წლამდე. ჩანს, ყოველივე ამას მისტიური დატვირთვა ჰქონდა.

ისტორიკოსებისთვის ცნობილია, რომ უძველეს საბერძნეთში არსებობდა გველის კულტი. თვლიდნენ, რომ ის იყო საიქიო ცხოვრების მცველი. ამ სამარხებში აღმოჩენილი გველის ჩონჩხები მეცნიერების მტკიცებით, ადამიანების სულების გამცილებლად ითვლებოდნენ საქიოს გზაზე. რაც შეეხება ასო-ბგერა S-ს, ეს ნიშნავს რეპტილიის მდგომარეობას მოქმედებაში.

მაგრამ რატომ არის მსგავსი რამ სხვაგანაც აღმოჩენილი? ერთადერთი ადგილი, სადაც ასეთი ტიპის სამარხი აღმოაჩინეს უძველესი სამარხებია შუა აზიაში.

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ იმდროინდელ ცივილიზაციაში ქალს განსაკუთრებული როლი ჰქონდა. თუ ზოგიერთები ქალს მხოლოდ ოჯახის დიასახლისად მოიაზრებდნენ, ზოგიერთები, მაგალითად, სინდები, ქალებს არმიის მთავარსარდლებად ნიშნავდნენ.

სინდების ტრადიცია აღმოსავლურ კულტურებში განივრცო. ხოლო გველის კულტი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. ლეგენდების მიხედვით, განსაკუთრებული ასტრალური მეთოდების შედეგად შესაძლებელი გახდა გველისა და ადამიანის გონებრივი გასაუბრება, რითაც ადამიანი გონებით გაჰვებოდა გველის სამყაროს გზას იდუმალებისკენ. რაზეც ისინი იღებდნენ პასუხებს თავიანთი ცხოვრების ამოუხსნელ კითხვებზე.

რაც შეეხება საფლავებში აღმოჩენილ გველებს. შესაძლებელია, ეს ყოფილიყო რიტუალური პროცესის შედეგად დაღუპული ქალების საფლავების მცველები. საფლავებში ხომ მხოლოდ ახალგაზრდა ქალბატონები იყვნენ დასაფლავებულნი? სავარაუდოდ, ისინი გველის შხამისგან გარდაიცვალნენ, როცა ისინი საინტერესო კითხვებზე პასუხს ელოდნენ სპეციალური რიტუალის საშუალებით, რათა ქვეწარმავალს იდუმალების გზისკენ წაეყვანა ისინი. შემდეგ ეს ქვეწარმავლები ჭირისუფლებმა დახოცეს, რათა განუხორციელებელი მიზნები და უპასუხო კითხვები საიქიოში არ წაეღო მიცვალებულს. საიქიოს გზაზე, მათი აზრით, მათ გველი გააცილებდა და ამქვეყნიერ და იმქვეყნიურ საიდუმლოებებსაც გაუმხელდა.

# aRmoCenilia ucxoplanetelTa sacxovrebeli adgilebi dedamiwaze

***„ფორბსი“ იტყობინება, რომ აღმოჩენილია 10 უნიკალური ადგილი, რომლებიც ძნელი დასაჯერებელია, რომ დედამიწელების მიერ ყოფილიყო დასახლებული.***

## სოკოტრის არქიპელაგი იემენში

დაახლოებით 6 მლნ. წლის წინათ აფრიკის კონტინენტზე გაჩნდა კუნძული სოკოტრა. ამ კუნძულს „ბოტა-



ნიკურ სამოთხეს“ უწოდებენ. აქ 850 სახის უნიკალური მცენარე ხარობს. მცენარეულობა სოკოტრაზე სასწაულებრივად გადარჩენილი უძველესი ფლორის სხვადასხვა სახეობებს წარმოგვიდგენს.

## ანტარქტიდა – ყველაზე მშრალი ადგილი დედამიწაზე

თქვენ, ალბათ, დედამიწის ყველაზე მშრალი ადგილი საჰარის უდაბნო გეგონათ, მაგრამ ანტარქტიდაში 2 მლნ. წელზე მეტი ხანია, რაც ერთი წვეთი წყალიც არსად მოიპოვება. ეს არის უზარმაზარი მთებით შემოსაზღვრული



ადგილი, სადაც გრავიტაციის ძალით უდიდესი სიჩქარით (300 კმ.სთ) მოძრაობს ყინულოვანი ჰაერი. იგი ანადგურებს ირგვლივ ყველაფერს, მათ შორის წყალსაც და თოვლსაც. ყოველივე ეს მარსის ბუნებრივ მდგომარეობას ჰგავს. ამიტომ იყო გასაკვირი, რომ მეცნიერებმა იქ ცოცხალი ორგანიზმი აღმოაჩინეს და ეს ორგანიზმი ბაქტერია იყო. ამაზე წერდა რამდენიმე ხნის წინ „საერთო გაზეთი“.

## რორაიმის მთა, ვენესუელა

პროფესორ რობერტ შომბურგკის მეთაურობით 1839 წელს ჩატარდა ექსპედიცია ბრიტანეთის გვიანაში და მიადგნენ მანამდე უცნობ კედელს. ეს იყო მთა, მაგრამ რაღაც არაჩვეულებრივი. მას უზარმაზარი დანის ფორმა აქვს.

რორაიმის მთა მიეკუთვნება სამხრეთამერიკულ მთათა სისტემას, რომელსაც ადგილობრივები ტეპუის უწოდებენ. ინდიელების ენაზე ტეპუი ღმერთების სახლს ნიშნავს, მაგრამ ეს სახლი არც ისე მყუდროა. აქ არამიწიერი ლანდშაფტია და არ არსებობს არავითარი პირობა ჩვეულებრივი ცხოვრებისათვის. აქ არის იშვიათი მცენარეულობა



– განსხვავებული ფლორა და ფაუნა, რაც მსოფლიოში უნიკალურად ითვლება.

## ბოლივია – იუნის მლაშობი

ამ ადგილს დედამიწისა და ცის საზღვარს უწოდებენ, მაგრამ ეს არის ადგილი, სადაც ზემოთაც და ქვემოთაც ცაა, რომელზეც სიარული შეიძლება. ეს არის ყველაზე დიდი „სარკე მსოფლიოში“. ტბა შეიცავს მინერალებისა და ბუნებრივი რესურსების უდიდეს მარაგს, რომელიც 1000 წლის განმავლობაში არ გამოილევა. ეს არის, დედამიწის უნიკალური წერტილი. ტბის სიგრძე 10 კვადრატული კილომეტრია, მისი ზედაპირი ისეთი მკვრივია, რომ მასზე გასეირნება სრულიად უსაფრთხოა. ყოველ ნოემბერს აქ მოფრინავენ ფლამინგოები, რომლებსაც საოცარი შეფერილობა აქვთ და განსაკუთრებული ჯიშისანი არიან.



## გალერეა „ტალღა“ – აშშ

ქვიშის და ქვის საოცარი გამოსახულებები, რომელსაც „ტალღა“ უწოდეს აშშ-ის შტატების – იუტასა და არიზონას საზღვარზე მდებარეობს. 200 მლნ. წლის განმავლობაში ძლიერმა ქარმა ამ ადგილს საოცარი ფორმა



მისცა. ლანდშაფტი ფოტოგრაფებისთვის ერთ-ერთი საოცნებო ადგილია. მნახველების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ხელისუფლება დღეში მხოლოდ 20 ბილეთს გასცემს.

## მდინარე ტინტო – ესპანეთი

უძველესმა ტერტესებმა და იბერებმა სიერა-მორენას მთებში ჯერ კიდევ ასეულობით საუკუნის წინ დაიწყეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება. სწორედ აქ იღებს სათავეს მდინარე ტინტო. რკინა, სპილენძი, ვერცხლი, ოქრო, მაგნიუმი – ამ წიაღისეულს მოიპოვებენ აქ უკვე



5000 წელიწადია. როგორც ჩანს, ჩაფხუტიანი და კომბინეზონიანი მუშების გარდა აქ სხვა სულიერ არსებას არ შეხვდებით. დედაბუნებამ მდინარე ბაქტერიებით C დაასახლა – ექსტრემოფილები ყველაზე მომწამვლელი ბაქტერიებია, რომლებიც ამ ადგილას ბუდობენ.

ადგილობრივი პირობებით ტინტო ძალიან ჰგავს მარსისა და იუპიტერის ლანდშაფტს.

36 gv.






თრეხვის წარწერიანი სტელა.



ბერი დავითი ზარებს არისხებს სარკეში

მოგზაურობა სამშობლოში

# ქვაბები, სარკე და სასწაული

## ხვედრულის ხეობა

**რუისსა და ურბნისში ამასწინდელი გადასვლით მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მოგზაურობის პრინციპს კი ვუღალატეთ, მაგრამ დიდი ხნით არა — უკანვე ვბრუნდებით და სკრის დასავლეთით რომ ხვედრულის ხეობაა, იქ შევდივართ. როგორც ვახუშტი ბრძანებს ეს პატარა მდინარეც საცხენის მთიდან იღებს სათავეს და მისი სანახები ისეთივე ვენახოვანი და ხილიანია, როგორც სკრისა. განსხვავება ისაა, რომ ხვედურეთის ხეობა ორჯერ უფრო გრძელია.**

ხეობაში ორი მოზრდილი და ათამდე პატარა სოფელია. სულ თავში, მაღალ მთაში კოდისთავი და ტყემალაა, ბოლოში, გაშლილ ადგილზე — ქვემო ხვედურეთი. იგი დიდი სოფელი არაა, მაგრამ გვიან შუასაუკუნეებში ხეობის ცენტრი, მგონი, ის უნდა ყოფილიყო და არა ზემო ხვედურითი. საამისო ეჭვს ის ბადებს, რომ **ციციშვილების უამრავ ციხე-დარბაზთაგან ერთ-ერთი სწორედ აქ (დღევანდელი სკოლის მახლობლად), ჰქონიათ. იგი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე უნდა იყოს აშენებული, მაგრამ ამჟამად ძველი სახე აღარ შერჩენია.** გარდა იმისა, რომ სრულიად მორღვეულია დასავლეთით მდგარი საბრძოლო კოშკი, ფასადებიც შეცვლილია (საბჭოთა პერიოდში ამ შენობაში კლუბი, ბიბლიოთეკა და სატელეფონო კვანძი იყო მოთავსებული). 1888 წელს ამ სახლშია დაბადებული ქართული სამარკო კონიაკების გამოჩენილი სპეციალისტი ვახტანგ ციციშვილი. ციციშვილების გვარს, რომელიც შიდა ქართლში XIV ს-ის II ნახევრიდან გამოჩნდა, ჩვენ სხვა მოგზაურობის დროს დავუბრუნდებით, ახლა კი აქვე, ხეობაში არსებულ რამდენიმე ეკლესიაში უნდა შევიხედოთ, რომელთაგან უმეტესობა, მიტროპოლიტ იობის ძალისხმევით აღდგენილი და მონასტრად ქცეულია.

ქვემო ხვედურეთიდან სამხრეთით, დაახლოებით 2 კილომეტრში მდებარეობს ხეობის დღევანდელი ცენტრი — სოფელი **ზემო ხვედურეთი,** სადაც ადრე, საშუალო სკოლასთან ერთად, სხვადასხვა დანიშნულების კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი იყო. აქედან კიდევ სამხრეთით, **ჭანდრების მიმართულებით, 1,5 კილომეტრში მთის ფერდობზე მოგზაურს გვიანი შუასაუკუნეების წმინდა გიორგის დარბაზული საყდრის ნახვა შეუძლია, რომელიც ნაწილობრივ კარგად გათლილი შირიმის ქვითაა აგებული.** აღმოსავლეთ სარკმლის თავზე (ფასადზე) ჩასმული მწვანე ორნამენტირებული ქვა, რომელიც სტილისტურად XI საუკუნეს განეკუთვნება, ბადებს ეჭვს, რომ აქ უწინ განვითარებული შუასაუკუნეების ეკლესია იდგა.

კიდევ უფრო საინტერესოა სოფელ ჭანდრების „მწვანე საყდარი", რომელსაც ეს სახელი სამშენებლო მასალად გამოყენებული შაბიამნისფერი ტუფის ქვის გამო შეერქვა. ეს დარბაზული ეკლესია (9,6X6,2 მ), მდებარეობს ჭანდრებიდან 5 კილომეტრში, ნასოფლარ ცილისწყაროს ჩრდილოეთით, ჭანჭრობის და სანახშირეს ხევებს შორის. **იგი XII საუკუნის ნაგებობაა. მისი მორთულობის მთავარი მოტივი ოქროსფერ ქვაში გამოყვანილი სადა და გრეხილი ლილვებია.** ისინი გამოყენებულია ზეძირკვლის ხარისხზეც და სარკმლის არშიებშიც. აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე სარკმლის ჩარჩოებიდან ჩამოსული ეს ლილვები ხარისხის ლილვებს უერთდება და საყდარს ერთი, მთლიანი კომპოზიციით კრავს. აქა-იქ გვხვდება გირჩები და სხვაგვარი სამკაულებიც.

ჭანდრებს ზევით, ხეობის სიღრმეში, სანამ თრეხვის ცნობილ გამოქვაბულებამდე მივალთ, არის პატარა სოფელი, რომელსაც ახლა **ხეობა** ჰქვია. ის და მისი ოთხი ნაეკლესიარი: „იოანე მახარებელი", „მთავარანგელოზი", ღვთისმშობელი" და „ბარბარეს ნიში" თრეხვის დიდი ლავრის საზღვრებში შედიოდა უთუოდ. **გაცილებით ძველია (VIII-IX სს.) თავად თრეხვის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელსაც ადგილობრივები „მარიამწმინდას" უწოდებენ. ფლეთილი ქვით აშენებული ეს საშუალო ზომის (8,5X5,3 მ) დარბაზული საყდარი სოფლის ცენტრიდან ჩრდილოეთით 300-400 მეტრშია გზის პირას არსებულ სასაფლაოზე, ხელოვნურად მოსწორებულ ბაქანზე დგას.** ტაძარი რომ აღდგენილია, ამას საკურთხევლის აფსიდის მოხაზულობა ცხადყოფს — ქვევით ნალისებრი, ზევით ნახევარწრიული. ძალიან არქაული და თვალშისაცემია ციკლოპური წყობის მსგავსი გალავნის ნაშთები.

„მარიამწმინდა" სამხრეთით, ციცაბო კლდეებში ნაკვეთ ქვაბებს უყურებს. **გამოქვაბულთა ეს სისტემა პირობითად 4 კომპლექსს და 50 ოთახს მოიცავს, რომელთაგან ზოგი 2, ზოგიც 24, 25 და 30 კვ. მეტრია. შეიძლება ითქვას, რომ შიდა ქართლში ქვაბ-სენაკთა ამხელა სისტემა (უფლისციხე სულ სხვა სტილია) არც შიომღვიმეში და არც მეზობელ აბუხალოშია.** თრეხვი XI ს-ის 60-იან წლებში აუთვისებია და მონასტრად უქცევია **მროველ ეპისკოპოს ლეონტის,** რასაც 1957 წელს ერთ-ერთ ქვაბში აღმოჩენილი წარწერიანი ქვაჯვარი ადასტურებს. აყვავებული ჯვრის ქვედა ფრთებთან ასომთავრული წარწერა გვეუბნება: **„მე ლეონტი მროველმან დიდითა მოჭირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატისათვის ღმრთეებისა და დღესა ჭირისასა ნავთსაყუდელად რუისისა საყდრისა შვილთათვის ჟამთა შინა ალფარსალან სულტნისაგანო ოხრობისათა".** ამავე ქვაჯვარზე ქველა მკლავის ძირში, კოპზე, ამოკვეთილია ქორონიკონი, რომელიც 1066 წელს შეეფარდება. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დაბეჯითებით არის მიჩნეული ის მოსაზრება, რომ სწორედ ეს ლეონტი მროველია „ქართლის ცხოვრების" იმ ყველაზე ძველი ქრონიკების შემდგენელი, რომელსაც ჰქვია „ცხოვრებასა ქართველთა მეფეთასა და პირველთაგან მამათა და ნათესავთა", ანუ მოკლედ „ცხოვრება მეფეთა". ამით, თითქმის დასრულდა კიდეც კამათი იმის თაობაზე თუ რომელი საუკუნის თხზულება იყო „მეფეთა ცხოვრება". თურქ-სელჩუკთა შემოსევის დროს, რომელსაც არფასლანი მეთაურობდა, რუის-ურბნისელ მწყემსმთავარს, მროველ ეპისკოპოსს ლეონტის რუისის ტაძარში შენახული საეპარქიო სიმდიდრე აქ ამოუზიდავს და ტაძარ-სენაკებად გადაკეთებულ გამოქვაბულებში გადაუმალავს.

ხვედრულის ხეობად უნდა ჩაითვალოს მისგან დასავლეთით არსებული ერთი მცირე, უსახელო ხევი, რომელსაც, გავბედავ და, სარკის ხევს დავარქმევ იქიდან გამომდინარე, რომ მას სარკის ეკლესია დასცქერის. აქ მოხვედრა ზემო ხვედურეთიდანაც შეიძლება ორი პატარა სოფლის აფნისის და გომბორის გავლით, მაგრამ ყველამ ქარელში ჩასვლა და იქიდან შემოვლა გვირჩია. ამიტომ, თავდაპირველად ქარელიდან ძამის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე მოზრდილ სოფელ კეხიჯვარში შევდივართ.

ტოპონიმი **კეხიჯვარი** მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანშიც გვხვდება, სადაც VIII საუკუნეებით დათარიღებულ ნაეკლესიარს სწორედ ასეთი სახელი აქვს. ოდნავ განსხვავებულია ქარელის რაიონში არსებული VI საუკუნის დვანის ეკლესიის სახელწოდება — „წმინდა გიორგი" კოხიჯვრისა. იქ ადრე, თურმე რიტუალური დღესასწაული — კვართობა იმართებოდა. კეხიჯვართან შედარებით, თითქოს, კოხიჯვარი უფრო ანგარიშგასაწევი ტოპონიმია და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ხატობა ძამის ხეობის ამ სოფელშიც იმართებოდა. მართალია კეხიჯვარი წყაროებში მხოლოდ XVII საუკუნიდან მოიხსენიება, მაგრამ სოფელი რომ გაცილებით ძველია, ამას დასახლებიდან სამხრეთით, გორაკზე მდგარი „სამება" ადასტურებს. ახლანდელი საყდარი XIX საუკუნისაა, მაგრამ მის კედლებში ძალიან ძველად გათლილი ეკლესიის ქვები ურევია. საინტერესოა ამ ადგილის სახელწოდება — უკუღმა ტაძარი. ასეთი მეტსახელი უმეტესად ისეთ ეკლესიებს აქვთ, რომელთაც, ადგილმდებარეობის გამო, კარი ჩრდილოეთ კედელში აქვთ ხოლმე გაჭრილი. ამ საყდრის გარდა კეხიჯვარში, სასაფლაოზე, წმინდა გიორგის გვიანი შუასაუკუნეების ეკლესიაც დგას. სოფლის მოსახლეობის უმეტესობას ცხვედაძეები, ლომიტაშვილები, ჭაბუკაშვილები და მეტრეველები წარმოადგენენ, ხოლო მეზობლად მდებარე ქობესაანთუბანში — ქობესაშვილები. სწორედ ამ მიდამოებიდან გადავდივართ თითქმის მიტოვებულ პატარა სოფელ კლდუში, რომლის ზოგიერთ სახლს საბძლად იყენებენ ქარელიდან ასული წვრილი ფერმერები.

კლდუდან სამხრეთით გზა ძალიან რთულდება და 3-4 კილომეტრში 400 მეტრით ვიწევთ მაღლა, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც კიდევ უფრო ზევით გველის. გზა ისეთი ოღრო-ჩოღრო, ვიწრო და დახვეულია, რომ „ნივასაც" კი რამდენიმე მანევრი სჭირდება მოსახვევად. ერთგან სულაც სიკვდილს ჩავხედეთ თვალებში — ხევის პირზე მანქანა ორ, ჯვარედინ ბორბალზე დადგა და აქანავდა.

კაბინაში გაჭირვებით ვიცავთ წონასწორობას. ჯერ ოპერატორი გადადის როგორღაც და სავარძელზე პირადი წონის შესანარჩუნებლად ქვებს აწყობს, მერე მე ვიმეორებ იგივეს. მძღოლი გაფითრებულია, მაგრამ ბუფერზე შედგომით ორ უკან საბურავს ერთნაირი მოჭიდების საშუალებას ვაძლევთ და ეშმაკისგან თავს ვიხსნით. ზღაპარივით დაგვემართა — დიდ ხიფათს თავი დავაღწიეთ თუ არა, ტყის გზა ხავერდოვანი გახდა და 15 წუთში **სარკეში** ავედით. რატომ ჰქვია ამ ადგილს სარკე, მერეც ვერავინ ამიხსნა, ალბათ, იმიტომ, რომ ამ მთის თავზე მუდამ კრიალა ცაა (აღსანიშნავია, რომ ასეთივე სახელწოდების ეკლესია „სარკის წმ. გიორგი" დმანისის რაიონში, ქვემო ყარაბულახის მთაზეც არსებობს).

მთის თხემი მწვანედ ხასხასებს — ხევიდან ამოპარულ ტყეს ბოლომდე ვერ ამოუბედავს, ალბათ ტაძრის რიდი აქვს, რომელიც ველზე თეთრი კვართით დაბრძანებულა. პატარაა, მაგრამ გუმბათიანი. ძველ ფუძეზე აუგიათ...

**„წმინდა გიორგია" — სარკის წმინდა გიორგის სახელობის საკვირველმოქმედო ეკლესია. განსაკუთრებით უშვილო ოჯახებს ეიმედებათ მისი, მაგრამ მხოლოდ მამაცნი ამოდიან. არადა, არავის ახსოვს, რომ ამ საშინელ გზაზე ვინმე დაშავებულიყო.** ვერ ვიტყვი რატომ გამორჩა სიტყვა ვახუშტი ბატონიშვილის ეკლესიის სასწაულმოქმედებაზე (იგი ასეთ მახასიათებელს ხშირად იყენებს თავის თხზულებაში), მაგრამ საგულისხმო მონასტერი რომ ყოფილა, ეს არ დავიწყნია: **„ამის** (ყინწვისს — გ.ქ.) **სამხრით, მთასა შინა, არს სარკეს მონასტერი უგუნბათო, ფრიად კეთილშენი და აწ უქმი".** განმარტება „ფრიად მშვენიერი" და „უგუნბათო" განვითარებული შუასაუკუნეების ძალიან ლამაზ, მაგრამ ამავე დროს არამარტო უგუმბათო, უსამრეკლო ეკლესიასაც გულისხმობს ვახუშტის ენაზე.

რის გამო და როდის დაინგრა ის ძველი ტაძარი XVIII საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ, გაურკვეველია. ახალი, ამჯერად სადა, პატარა და გუმბათიანი საყდარი საუკუნისაც არ არის. რაც შეეხება სამრეკლოს, მის მაგივრობას ჩვენი იქ ყოფნის დროს მარტივი ხარიხა და ზედ ჩამოკიდებული ზარები ასრულებდა (ახლა, როგორც შევიტყე, მისთვის ორსართულიანი ფანჩატური აუგიათ).

მონასტერი მოქმედია!...

ერთი მღვდელი და ერთი ბერი — ესაა და ეს, მაგრამ ამით ღვთის სახლს მადლი როდი აკლდება. ჩვენ ადგილზე მარტო მორჩილი დავითი დაგვხვდა, რომელიც, მერე ბერად აკურთხეს. ძალიან გაუხარდა ჩვენი დანახვა და მოგვიბოდიშა კიდეც, რომ მცირე ხანს ყურადღებას ვერ მოგვაქცევდა:

— უფალმაც შემინდოს და თქვენც, — დავითმა პატარა ბავშვივით დაიმორცხვა, — როცა მარტო ვრჩები, საქმეს ვერ აუდივარ, ახლაც ძროხას ვეძებდი ტყეში და ტიპიკონი დავარღვიე — მწუხრის ლოცვა დავაგვიანე. ალბათ, შემოხვალთ და თქვენც ილოცებთ...

ტაძარში შესვლამდე ზარი დაარისხა დავითმა. მისმა ხმამ ზეცა მოვლო და ხევებში ჩაირბინა.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

„სარკის წმინდა გიორგი" ხვედრულის ხეობაში



„სარკის წმინდა გიორგი" ყარაბულახის ხეობაში



*** მკითხველს უნდა ვაუწყო, რომ ჩვენი რუბრიკის წერილების ერთი ნაწილი 2002-2003 წლების მოგზაურობის შთაბეჭდილებებითაა დაწერილი.**







## თავსატეხი

ოქტავა
ნიკორა
რაპირა
ტრაქტორი
ჩანიე
გაზელი

ვერტიკალურად: ამაგა, ილიადა, ხარია, ამორტია, ასტაზა, გავაზი, დაისკი, განილი, თიკანი, კანტრი, ზიკია, ოლეგია, პიკოლი, ტრაქია, ფიოლია, ვარი-კოზი, ქალიაშინა.

ჰორიზონტალურად: აგავა, ატომი, ნოდია, ფარია, ურემია, ლელიან, ნანიკი, საზელი, ქოთაკა, იიკანა, შიშინი, ჩალზია, ცერიტი, ძლევი, წიწილა, ჭალა-რა, ბილიარდი.

## სამიდან ერთი

ვერტიკალურად: 1. ბიჭონი, თითლიცი, გაზეები. 2. ქალუხი, მაწონი, მურუხი. 3. ვასილი, მერალი, კოლოფი. 4. პალტო, მაცნე, კორტი. 5. ტროსი, კრუ-ასი, ნიაკი. 6. მერქანი, ანანასი, კორსეტი. 11. ალუმინი, ზურაბი, ვარსკვლავი. 12. სტომერი, ლრუბელი, ამერიკი. 13. ფეფელა, მილერი, ხელუწი. 14. ფასო ნი, ტერონი, პრალი. 15. ლიტრონი, კუპერი, ხამაზი. 19. ობი, ენა, ალი.

ჰორიზონტალურად: 3. პასალუნა, ვაკანსია, ჯამბაზოი. 7. რეზინი, ქოჭობა, ხუმარი. 8. სეკატორი, კალადოლი, ხაროფანი. 9. ფეფონი, ტუნისი, ბაიუში. 10. კატალოზი, შალამიბი, ლეოზიანა. 13. ზუბადა, შატილი, ზეიამე. 16. ტრო-კობი, გრიფიტი, შლაგერი. 17. ფერიტი, ზაზუნა, მუსიკა. 18. ნიღილა, გრა-ფიკა, ტატიელი. 20. საფურე, ფილერი, რობინი. 21. პალატონი, ბაირონი, ზეც ქრი.

## შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 32 | | 11 | | 14 | 3 | 15 | 14 | 9 | 6 | 9 |
| 12 | 24 | 4 | 24 | 30 | 9 | | 3 | | 17 | | 13 |
| | 11 | | 25 | | 1 | 3 | 15 | 23 | 24 | 2 | 9 |
| 21 | 9 | 22 | 10 | 4 | 9 | | 24 | | 1 | | 1 |
| | 31 | | 31 | | 4 | 9 | 23 | 31 | 9 | | 3 |
| 7 | 9 | 11 | 3 | 12 | 9 | | 9 | | | 16 | |
| 3 | | 10 | | 4 | | 20 | | 20 | 3 | 8 | 3 |
| 28 | 19 | 31 | 28 | 19 | 2 | 9 | | 9 | | 9 | |
| 9 | | 8 | | 31 | | 28 | 3 | 32 | 24 | 31 | 19 |
| 23 | 33 | 3 | 8 | 9 | | 9 | | 31 | | 5 | |
| 19 | | 6 | | | 19 | | 27 | 3 | 4 | 3 | |
| | 6 | 9 | 16 | 3 | 4 | 9 | | | | 2 | |
| | 9 | | 10 | | 3 | | 29 | 10 | 15 | 9 | 3 |
| 17 | 18 | 24 | 15 | 3 | 31 | 24 | | 26 | | | 11 |
| | 9 | | 3 | | 9 | | 27 | 19 | 31 | 26 | 9 |

ა-3, ბ, გ, დ, ე-24, ვ, ზ, თ, ი-9, კ-6, ლ, მ, ნ, ო-19, პ, ჟ, რ-31, ს-2, ტ, უ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ-29, ჭ, ხ-30, ჯ, ჰ

# კროსვორდი

შვეულად: 1. „ადიდასის" მიერ მსოფლიო ჩემპიონატისთვის დამზადებული ბურთი. 2. უბედურების სიმბოლო თვითმფრინავებზე. 3. ერთი ციცქნა ხალხის ქვეყანა, რომელშიც იმოგზაურა გულივერმა. 4. მამის ცოლი წინანდელი ცოლის შვილებისათვის. 5. პრივილეგირებული კურ-სამკურნალო დაწესებულება. 6. ძველად ხელდახელ, ხმალდახმალ მებრძოლი. 7. სურნელება. 14. ბაგ-რის მწყობრცნებული ძველი შესატყვისი. 15. ამერიკული საბრძოლო „უხილავი" თვითმფრინავი. 16. გერმანიაში ხახმისის გადაწყვეტა სურრაზე. 18. ნარკომანიით შეპყრობილი ადამიანი. 20. სოფელი ქართლში. 21. იტალიის ავიაკომპანია. 22. სხვადასხვა კონსტრუქციისა და კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღი. 27. მუზეუმში ცეცხლგამძლე ოთახი, სადაც განსაკუთრებით ძვირფასი ექსპონატებია დაცული. 28. ფოლადზე უფრო მძიმე და მასზე ნაკლებად მყიფე ლითონი.

თარაზულად: 5. რუსული ხალხური სიმღერა. 8. თეატრში მოთამაშე, რომელიც მაყურებლების უსინჯავს ბადეებს, თავისუფალ ადგილებს წესრიგს. 9. ფეტვის მსგავსი მარცვლოვანი მცენარე, მოყავთ საკვებად. 10. ოქროს ფული გერმანიასა და მის მეზობელ ქვეყნებში. 11. თეთრი ქსოვილი, რომელსაც საპარიკმახეროებში აფარებენ კლიენტებს კრეჭის დროს და საფარად. 12. ქუსლიანი დიდი ჯამი. 13. განთიადი, ალიონი, აისი. 14. პრემია, რომელსაც უხდის გემის მფლობელი ტვირთის პატრონს გემის ვადაზე ადრე დატვირთვისა და გადმოტვირთვისთვის. 17. მდინარე გერმანიაში. 19. ამ შტატის გუბერნატორია შვარცნეგერი. 23. ლიტერატურის სახეობა. 24. გერმანიის საფეხბურთო გუნდი. 25. იაპონიის უძველესი რელიგია, აღმერთებდა იმპერატორს. 26. გერმანელი მოქანდაკე, მხატვარი, ექსპრესიონისტი ემანუელ ... 29. ქართველი ჰანის ტი ... ასწავლიდა. 30. ნიუ იორკის უმაღლესი მუს. სასწავლებელი. 31. ეპოქა, რომელსაც ახასიათებდა ბერძნულ-აღმოსავლური კულტურა. 32. კლეტკების ტიპების შორის მიმდევრობა.

# იაპონური ნახაზი

Column clues (left to right): 2; 3; 4; 4; 3 6; 6 6; 8 7; 9 7; 10 4; 11 6; 13 7; 13 7; 6 6 6; 1 4 3 7; 2 1 3 3 7 2; 6 3 9; 6 2 4 10; 12 6 10; 13 7 9; 13 7 11; 38; 38; 37; 37; 10 24; 6 21; 17; 11

Row clues (top to bottom): 7; 10; 12; 11; 12; 10; 4 9; 7 9; 7 10; 8 9; [illegible]; [illegible]; 8 6; 9 4; 8 6; 6 6; 3 8; 2 9; 3 11; 1 12; 11; 17; 3 1 8; 8; 2 8; 4 8; 7 8; 8 9; 14; 18; 4 16; 6 13; 6 12; 6 13; 4 13; 8 10; 8 9; [illegible]; 6







# eduard balaSovi



ვთარგმნიდით და ვაქვეყნებდით (ო.სულეიმანოვის გამოკლებით).

რა მინდა ვთქვა?

მინდა, ჩვენებურმა მკითხველმა რამდენადმე გაიზიაროს, თუ რატომ გაირჯა ასე ვ.კოჟინოვი და რა ასხვავებთ ერთმანეთისგან წმინდა რუსულ და რუსულენოვან პოეტებს. არათუ ზემორე ჩამოთვლილი პოეტები, რუსული პოეზიის ანთოლოგიის გარეთ რჩებიან ისეთი სახელოვანი მესიტყვეები, როგორებიც არიან: ბ. პასტერნაკი, ო. მანდელშტამი, მ. ცვეტაევა, ი. ბროდსკი... რასაც მშობლიური ენის დედაბუნება განაპირობებს. ვატყობ, ცოტა ხმამაღლა ნათქვამია, რასაც აქ ვამბობ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჩემი გამონათქვამი თითქმის არც გაისმება იმავე კოჟინოვის, ან კიდევ რუსი პატრიოტი პოეტის ს.კუნიაევის გამონათქვამებთან შედარებით.

### ცნობისათვის

ვადიმ კოჟინოვმა, დიდი რუსი კაზმულსიტყვაობის ზედმიწევნით მცოდნე კრიტიკოსმა და ისტორიკოსმა 1983 წელს შეადგინა და გამოსცა წიგნი „თანამედროვე ლირიკის ნიმუშები“, სადაც შეიტანა 12 რუსი პოეტის რჩეული ლექსები. ესენი გახლავან: ალექსეი პრასოლოვი, ნიკოლაი რუბცოვი, ვლადიმერ სოკოლოვი, ანატოლი ჟიგულინი, გლებ გორბოვსკი, სტანისლავ კუნიაევი, ანატოლი პერედრეევი, ვასილი კაზინცევი, ალექსეი რეშეტოვი, ოლეგ ჩუხონცევი, ედუარდ ბალაშოვი, იური კუზნეცოვი.

რატომ მაინცდამაინც 12 პოეტი? ეს, ალბათ, თავად ცხონებულმა ლიტერატორმა იცოდა, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ცნობილმა პოეტმა და ჟურნალ „ნაშ სოვრემენნიკის“ რედაქტორმა სტანისლავ კუნიაევმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა: ცოცხალი რომ იყოს კოჟინოვი იმ „თორმეტეულს“ დღესაც იმავე რიგითა და წესით გამოსცემდაო.

როგორც ვხედავთ, წიგნში არაა შესული იმ ხანებში (და დღემდეც) დიდად პოპულარული პოეტების: ევგენი ევტუშენკოს, ბულატ ოკუჯავას, ოლჟას სულეიმანოვის, ანდრეი ვოზნესენსკის, ბელა ახმადულინას და კიდევ არაერთი სხვა რუსულენოვანი პოეტის ნახელავი, რასაც, როგორც მახსოვს, ჩვენ მთელი მონდომებით

„პოპულარობა არ არის ნამდვილი შემოქმედების, ნამდვილი პოეზიის დამადასტურებელი და გარანტი, — წერს თავის წინათქმაში ვ.კოჟინოვი, — იგორ სევეტერიანინს თავის დროზე გაცილებით მეტი თაყვანისმცემელი გააჩნდა, ვიდრე ალექსანდრე ბლოკს. საშუალო, მდარე, საყველპურო ლექსები უფრო მალე იხვეჭენ ხოლმე პოპულარობას, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ნამდვილ პოეზიასთან შედარებით იოლად აღსაქმელ-გასაგებნი არიან“.

ამ ათიოდე წლის წინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ მე გამოვაქვეყნე წერილი — ესე ბულატ ოკუჯავას სახელთან და შემოქმედებასთან დაკავშირებით, სადაც, სხვათა შორის, მოვიხსენიე ადრე დაღუპული რუსი პოეტი ნიკოლაი რუბცოვი, რაც ცხონებულმა ალექსანდრე გვახარიამ რუსული პოეზიის უცოდინრობად ჩამითვალა, რუბცოვი ვის დაკარგვია და ვინ არიო, მაგრამ სანთელ-საკმეველი თავის გზას გაჰყვა და დღეის რუსეთში მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის უპირველეს პოეტად სწორედ ნ.რუბცოვია აღიარებული.

რა მალაპარაკებს?

თამამად შემიძლია ითქვას, რომ პოეტი და მოაზროვნე ედუარდ ბალაშოვი, რომლის ნახელავებიც მინდა გაიცნოს ჩვენებურმა მკითხველმა ნ. რუბცოვისა და კიდევ რამდენიმე რუსი შემოქმედის მხრის ამხანაგია („èäåò â çëàòîè ðÿäíèíå òâîé Àëåêñåé Êîëûöîâ“ — ესენინი).

და კიდევ:

ბატონი ედუარდ ბალაშოვი საქართველოს, ქართული კულტურისა და ლიტერატურის მცოდნე და მოყვარულია. ნამყოფია ჩვენთან, მეგობრობდა ცხონებულ ნოდარ ყიფიანთან. იყო ცნობილი სპორტსმენი (მორაგბე) და მორაგბეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი, რასაც 25 წლის ასაკში თავი გაანება.

ამჯერად იგი ოცამდე წიგნის ავტორია. ლიტერატურის ინსტიტუტში კითხულობს ლექციებს. გახლავთ პროფესორი. მე დავესწარი მისი უახლესი წიგნის პრეზენტაციას ლიტერატურის ცენტრალურ სახლში, სადაც ერთმა აკადემიკოსმა (ნამდვილმა) მას თანამედროვე რუსული პოეზიის უპირველესი პოეტი უწოდა.

„ბნელი თავს იკლავს, როდესაც
უახლოვდება ნათელს,
დანტესი ასე გადარჩა,
კიდევ კარგი რომ გადარჩა.
ამრიგად წყალობს იღბალი,
არა იღბალი, უფალი
რუსული სიტყვის რაინდს“.

ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რომ პუშკინს დანტესი მოეკლა, ან ლერმონტოვს — მარტინოვი!

ამგვარია ქრისტიანი, მართლმადიდებელი პოეტის ნახელავ-ნააზრევი.

**მურმან ჯგუბურია.**

**P.S.**
**ედუარდ ბალაშოვს**
**(ექსპრომტად)**

**რაც გაგიცანი, თავი ვიცანი,**
**აი, რა უნდა გითხრა,**
**და თან დამყვება**
**მე გულთმისანი**
**— დაუვიწყარი სიტყვა.**

**მ.ჯ.**



## ედუარდ ბალაშოვი

### მამალი

ჩუმი შორეთი, შავი შორეთი,
მე ვარ, მამულო, შენი პოეტი,
ოქრო — ხორბალი, ზღვა — მოსავალი,
საგათენებოს ყივის მამალი.
გამოვალ კარში მე ფეხშიშველი,
სხვა ვინ გიშველის, კვლავ მე გიშველი,
რომ წინ დაგემხო მკერდგაოფლილი
და ვთქვა: „მოვჭამე წუთისოფელი!“

ჩუმი შორეთი, შავი შორეთი,
ვინ მომისია მე საქორეთი?
გაათბობს ყანას მზე ამავალი,
ბუჯარობს ხნულში ჩემი მამალი,
რომ მოიძიოს ოქროს მარცვალი,
„გულს, გულს მიკენკავ, შენ გენაცვალე,“
ელვარებს მზეზე წითლად ბიბილო,
„სალამი შენდა, მოვედ, სიკვდილო!“

ჩუმი შორეთი, შავი შორეთი,
სადაც დამკარგეთ, იქ მიპოვეთ მე,
ოქრო ხორბალი, მზე ამავალი,
ეზოს ბაჯბაჯით უვლის მამალი.
„შენ გამაღვიძე მე უთენია?“
„ყი-ყლი-ყო! მეტიც მოგითმენია!“
„შენ ამიკენკე გული ხალისით?“
„ყი-ყლი-ყო! მე ვარ შენი დაისი!“

ჩუმი შორეთი, თეთრი შორეთი,
რა სიმწარეთი, რა სიტკბოეთი!
ოქრო ხორბალი, მზე ჩამავალი,
მორჩა. დახვავდა ზღვა მოსავალი.
ვერ გაიხარა მტერმა ვერაგმა,
მოვალს მთესველი მიტკლისპერანგა,
მოვალს ფეხშველი, აღმდგარი მკვდრეთით,
მარად მრავალი და მარად ერთი!

### გადანახული ღვინო

*ეძღვნება კახელ მევენახეებს*

შესვი? გაამოს! გახსოვდეს ესე
დროა წამ-წამის ხელა
და არ მოგვიწევს იმ ღვინის შესმა,
რაც გადაგვიტანს ყველას.

ახალ-ყოილთა დადგება რიგი,
რომ გავიხედოთ წინა,
და გრილ მარანში მიაგნებს იგი
ღრმად გადანახულ ღვინოს.

და დაგვლოცავენ ახალ-უხლები,
ვით ჩვენ ვლოცავდით იმათ,
ადღეგრძელებენ მერმე უკლებლივ,
ჯერეთ ფეხზეა ვინაც.

მესამედ სასმისს ასწევენ მათთვის,
ვინც იმათ კვალზე ივლის,
და გაიბმება უწყვეტი ძაფი —
ლხინს წაებმება ლხინი.

შესვი, გაამოს! გარბიან დღენი,
ჟამმან იდარდოს მისი,
ბებერ მარნებში ჩქაფუნებს წვენი
ცოცხლად ცხონების ღირსი.

დუღს დრო მარანში, ისე ვით ღვინით
პირსავსე ზორბა ქვევრი,
ჩვენ სხვად ვიქნებით მერმისს.

მოვა ახალი თაობა, გარნა
სხვა საუკუნის მგზავრი,
და სიჩუმეში ბებერი მარნის
გაიჭრიალებს კარი.

გადაებმება ლხინს ლხინი გროვად,
სადღეგრძელოთა ცვენა,
შრიალი ფოთლის და თოვლის თოვა
და დროის ღვინოდ დენა...

31 gv.

## კლილუკის ტბა — კანადა

ლაქებიანი ტბა ერთ-ერთ ყველაზე საოცარ ადგილად ითვლება დედამიწაზე. ამ ტბაში ყველაზე მაღალი მარილის შემცველობაა. ცხელ სეზონზე კლილუკი რამდენიმე ტბის ერთობლიობას ქმნის, რომელზე სიარულიც თავისუფლად შეიძლება.



აბორიგენებისთვის კლილუკი იყო წმინდა ადგილი, რომელსაც უამრავი ლეგენდა და ხალხური თქმულება უკავშირდება.

## მთვარის ხეობა, ბრაზილია

მთვარის ხეობა ბრაზილიაში მდებარეობს ნაციონალური პარკის შაპადა-დუს-ვეადეირუსის ტერიტორიაზე. პარკის გარეშო 1,8 მილიარდ წლის წინ ჩამოყალიბდა. ეს კლდეები ყველაზე უძველესია დედამიწაზე. მდინარე სენ-მიგელის წყლებმა აქ ბუნებრივი კვარცი დამუშავა. ათასწლეულების განმავლობაში, რომლისგანაც გამოიკვეთა ქვები და მიეცა მათ უცნაური ფორმები. აქ არის მცენარეებისა და ცხოველების უძველესი სახეობის სამარხები, ასევე თანამედროვე ორქიდეები, პალმები, ჭიანჭველაჭამიები, ტაპირები, კაპიბარები და სხვები. ბრაზილიის მთვარის ხეობა 2001 წელს იუნესკოს მფარველობაში გადავიდა.



## ცინჯი-ღიუ-ბემარაჰი — მადაგასკარი

ამ ტერიტორიის ძნელად წარმოსათქმელი სახელწოდება მალაგასიურ ენაზე „ფეხის წვერებზე სიარულს" ნიშნავს და ცხადია, ერთი შეხედვით, ამ ლანდშაფს რომ შეხედავ, სხვა რაიმეს ვერც კი წარმოიდგენ.

ცნობილი ქვის ტყე ეროზიის შედეგად წარმოიშვა. აქ ჩვეულებრივი მთების ნაცვლად ქვის უზარმაზარი მასებია, რომელზეც იშვიათი ხეები იზრდება როგორც რაოდენობრივად, ისე ჯიშების მხრივ. ხეებზე ცხოვრობენ იშვიათი სახეობის ლემურები, ქვებზე დაფრინავენ საოცარი და არაჩვეულებრივი ჩიტები.



ქვემოთ საიდუმლო გამოქვაბულებია, ტყის კანიონები და მდინარე მანამბოლოს შავი მდინარეები.

1927 წლიდან ამ ტერიტორიას მიენიჭა ნაკრძალის სტატუსი. მის დიდ ნაწილს ჯერ ადამიანის თვალიც კი არ მისწვდომია.

## დალოლის ვულკანი — ეთიოპია

ამ ვულკანის კრატერი თვალნათლივ აჩვენებს იმას, რაც ხდება იუპიტერის თანამგზავრ იოზე. იქ არის უამრავი მობუყბუყე გეიზერი, გოგირდის მჟავური სუნი და ფანტასტიკური, ზღაპრული ფერები. დალოლი ზღვის დონიდან 48 მეტრით ქვემოთაა და დღესაც აქტიურია. ლავა მუდამ დუღს და გადმოდის. ვულკანის ბოლო დიდი ამოფრქვევა 1926 წელს მოხდა, სწორედ ამის შედეგად წარმოიშვა არამიწიერი ტბა, რომელიც იისფერი და მწვანე სითხით არის სავსე.



დალოლის კრატერი დედამიწის ყველაზე ცხელი ადგილია. აქ საშუალო ტემპერატურა 34 გრადუსია. ასეთ ცხელ, აგრესიულ გარემოში შეუძლებელია არსებობდეს სიცოცხლის ნიშანწყალი ბაქტერიების გარდა. სწორედ ისინი აძლევენ ამ ადგილს თვალწარმტაც შეფერილობას, რომელიც ადამიანებს სამუდამოდ ამახსოვრდებათ.

მოამზადა ანა ბადაჭკორიამ





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გიყვარდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!


## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — მთლიანობაში ეს პერიოდი თქვენთვის წარმატებული იქნება, თუმცა შესაძლოა, მოგიწიოთ გარკვეული დაძაბული საუბრები. თუ დასასვენებლად გამგზავრებას ვერ ახერხებთ, მაშინ მცირე ხნით განმარტოვდით.

**კურო** — თუ თქვენ ხელოვნებას რაიმე კუთხით ემსახურებით, მაშინ, შეეცადეთ, დასვენებაცოტა ხნით გადადოთ და ეს დრო გამოიყენოთ.

**ტყუპები** — მეტ-ნაკლებად წარმატებული კვირა გელით, მოსალოდნელია პერსპექტიული წინადადებების მიღება, ამიტომ ყველა საკითხი სერიოზულად უნდა გააანალიზდეს.

**კირჩხიბი** — შეეცადეთ ახალი არაფერი წამოიწყოთ და ცოტა ხნით ყოველდღიური საქმით შემოიფარგლოთ ან ჩაერთოდ დაისვენოთ.

**ლომი** — დაასტაბილურეთ ურთიერთობები გარშემომყოფებთან და პარტნიორებთან, ნუ იქნებით კონფლიქტური და ნუ შეეცდებით საკუთარი პირობების ხაზგასმას.

**ქალწული** — გააქტიურდება თქვენი საქმიანი ურთიერთობები, შეეცადეთ, არ იყოთ კრიტიკული და ზედმეტი ანალიზითა და აუდიტით მომავალი პარტნიორები არ დააფრთხოთ.

**სასწორი** — იყავით მშვიდი და დიპლომატიური, ამავე დროს შეეცადეთ, ამ პერიოდში ყველა პერსპექტივა თუ შანსი გამოიყენოთ.

**მორიელი** — კვირის დასაწყისი და კვირის ბოლო წარმატებული იქნება, ამ დღეებში მოსალოდნელია სასარგებლო შეხვედრები და მოლაპარაკებები.

**მშვილდოსანი** — მკვეთრად გაუმჯობესდება თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობები, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება.

**თხის რქა** — მოგიწევთ საკმაოდ ბევრი ინფორმაციის მიღება-გადამუშავება, თუმცა, მოსალოდნელია აქ ცრუ და ფსევდო-ინფორმაციებიც იყოს.

**მერწყული** — ამ კვირაში გარკვეული გამართლების ალბათობაც გექნებათ, მოსალოდნელია სასიამოვნო ინფორმაცია მიიღოთ უცხოეთიდან.

**თევზები** — ეს კვირა საკმაოდ მშვიდ ტემპში ჩაივლის და რაიმე გართულებას ადგილი არ ექნება. მოგიწევთ საოჯახო პრობლემების გადაწყვეტა. შესაძლოა საჩუქრებით მიიღოთ.

### ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:

#### სკანვორდი

1.ვაშინგტონი. 2. ჭინჭილა. 3. ჭოპორტი. 4. ჭადრაკი. 5. მიტელშპილი. 6. მეტრონომი. 7. ზნედაცემული. 8. არათითი. 9. ალავერდი. 10. პირველი. 11. იატაგანი. 12. ქერტლი. 13. ვაზელინი. 14. შპილი. 15. ფორმოზა. 16. ნახიჩევანი. 17. ვარხვი. 18. ნესტლე. 19. მერმისი. 20. ჯაზი. 21. ჯივისი. 22. სენტროპე. 23. მიმი. 24. მუსკულატურა. 25. დრელი. 26. ჯიხვი. 27. ჩლავი. 28. კლეი. 29. ჯეიხანი. 30. სიმეტრია. 31. ჯეჯილი. 32. თუნუქი. 33. რეპატრიაცია. 34. დებატები. 35. პეტრე. 36. დიღომი. 37. ბაქიბუქი. 38. ბურგასი. 39. ქრონოლოგია. 40. მკერავი. 41. ბრუკ. 42. ენდემი. 43. გრანტი. 44. ფერეიდანი. 45. ლიდია. 46. კალთა. 47. დოლბანდი. 48. დემი. 49. დილეგი. 50. თონე. 51. მილანი. 52. მარინა. 53. რაუნდი. 54. ტილო. 55. ორიონი. 56. ანატოლია. 57. ვოგი. 58. თიკა. 59. ნუარე. 60. კურტ. 61. ქართუ. 62. ბაბეტა. 63. კუნელი. 64. კრიალა. 65. ტაქსი.

#### სკანვორდი

1.ლორთქიფანიძე. 2. სეპტიმა. 3. სელპაკი. 4. პავიანი. 5. ილიუშინი. 6. ჰაიდნი. 7. პლიმუტი. 8. აფექტი. 9. ვენტილატორი. 10. ანგელა. 11. არქივი. 12. ატავიზმი. 13. დაშნა. 14. ფილფანი. 15. ფიანჯი. 16. ჯამნა. 17. იარლიკი. 18. რეაქტივი. 19. ჰანტი. 20. ტარიელი. 21. აზია. 22. რატევანი. 23. გიპიური. 24. სტაპელი. 25. ფაზისი. 26. სარი. 27. სტრიპი. 28. გამა. 29. მაფია. 30. ეტუში. 31. აჯანყება. 32. კინწი. 33. ბოდიალი. 34. ბურჯი. 35. სუპერი. 36. ფუნდუ. 37. ჯიუტი. 38. ზეითუნი. 39. ბაზა. 40. შეკვეთა. 41. სასა. 42. ნაბუქო. 43. აყირო. 44. როქსანე, 45. ხმელეთი. 46. ბანდეროლი. 47. მორანდი. 48. მენჩიკი. 49. კურაგა. 50. სიკიმი. 51. აირანი. 52. კაპელი. 53. მონტესუმა. 54. თორნიკე. 55. ოქრო. 56. ბალიში. 57. აბდულა. 58. არგა. 59. ლაიზა. 60. ენრონი. 61. აგრაფია. 62. პიტერ. 63. თვისება. 64. საბზა. 65. ნასა. 66. ელჩი. 67. ტერ. 68. ბუჩქი. 69. მუქარა. 70. ანასეული. 71. სეული.

#### კროსვორდი

შვეულად: 1. ჯაკულანი. 2. მეიდეი. 3. ლილიპუტია. 4. დედინაცვალი. 5. დისპანსერი. 6. მორკინალი. 7. არომატი. 14 დისკობოლი. 15. სტელსი. 16. ალაფურშეტი. 18. ნარკომანი. 20. რუისი. 21. ალიტალია. 22. არტილერია. 27. სეიფი. 28. თუჯი.

თარაზულად: 5. დომრა. 8. კაპელდინერი. 9. სორგო. 10. გულდენი. 11. პენუარი. 12. ბადია. 13. ცისკარი. 14. დისპაჩი. 17. რაინი. 19. კალიფორნია. 23. ლირიკა. 24. ბაიერნი. 25. სინტოიზმი. 26. ლასკერი. 29. გიზი. 30. ჯულიარდი. 31. ელინიზმი. 32. ბარდი.